



# ჩვენს მწერს


გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

16 მაისი 2014

№ 10 (218)

პეტრე — იგივე კლდე  
 შეიშას ჰინის ლექსები  
 იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერები  
 თამილა მაკარიძე ჯანსუღ ჩარკვიანზე  
 ქაქუცა ჩოლოყაშვილის საიდუმლო აგენტი  
 სიმონ ჩიქოვანი ემზარ კვიციანიშვილის თვალით  
 ექსპრეს-ინტერვიუ ავტობიოგრაფიულ მონახაზად  
 ნოდარ ნულეისკირის წერაქვული ოცნლეული  
 ესმა მანიას ეგვიპტური შთაბეჭდილებანი  
 სოსო სიგუა გუჩა კვარაცხელიაზე  
 ხალიდ ალ-ხამისის ტაქსი  
 მერაბ გეგიას პიესა



# შინაარსი

ისტორიის თეთრი ლაქები	2	მაია ჯალიაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის საიდუმლო აგენტი
დედაშვილობა, ბავშვს არ ბოხვს	4	ციცინო ჯერვალიძე ვალმოხდილი მამულიშვილი (პეტრე ხვედელიძე)
	4	ნათელა არველაძე პიტრა, იბივა — კლდე!
ამსპრან-ინტერვიუ	6	ზურაბ ხასაია ჩემი საყვარელი საქმიანობა... ცხოვრება (მომზადა ნატა ვარადაძე)
ჩვენი ყოფა, წუთისყოფა	13	ნინო საბაშვილი ქართული ხელოვნება საზღვრებს გარეთ (საუბარი დალი ოქროპირიძესთან)
დრამატურგია	15	მერაბ გეგია მეღვინეობის მსახური
პოეზია	22	ზაალ ებანოიძე შთაბრძნება და სხვა ლექსები
გამომავლობა	26	ელგუჯა თავბერიძე მუშტრის თვალთშეპყრობის ნაკითხული ნოველა (მო იენის „თეთრი ძალი და საქანელა“)
ეპიტოფა	27	მარინე გიგაშვილი-ცერცვაძე რაც ასაკს არ ემორჩილება (დავით წერეთლის ლექსი „უძილობა, ტფილისური მოტივები“)
უსწოთის სწორებიდან	28	ალექს ბროკასი მარტო ვარგის ღიოსა — თხრობის მსახური
	29	სტეფან მიშო მსოფლიოს მეფე
	29	ბორჟეს ულისე „ლიტერატურა სინათლეა“
აფრიკის გზაზე	30	ესმა მანია ეპიკური ქაქუცა
მომხიბვლები სივრცე	33	მერაბ კალანდია და ვალს ამასა გიხდით ისე, როგორც რიგია (საყვარელი მასწავლებლის კოტე ანთაძის გახსენება)
	37	იოსებ ჭუმბურიძე ჩანაწერები მინაწერებით
კვლევები	38	მურმან ჯგუზურია ცოტა რამ დიერა მანანაზე ანუ „ამ ამბავის წარსული კიდევ დამატებდა“ (მანანა დუმბაძის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „ავღანეთი „ბარონის“ ჭეჭრუტანიდან“)
კრიტიკა	40	თამილა მაკარიძე ამ თაობას შეხსენება უნდა — არის ჯანსუღ ჩარკვიანი!
	44	სოსო სიგუა უცხო ქალაქი (გურჯა კვარაცხელია)
ლიტერატურული პორტრეტი	47	ემზარ კვიციანი სიმონ ჩიქოვანი
რეპორაჟი	55	ნინო დეკანოიძე „ვარშავის“ ხალისიანი შექაჩილი (ჯანო ჯიქიძის ახალი რომანის განხილვა)
	59	როსტომ ჩხეიძე მწერალი პარსონაჟის გარეშე (ნოდარ ნუგეისკირის წერაქველი ოცნებები)
წუთები და წლები	63	უილიამ ჰ. დიკინსონი ვარდები
ახალგაზრდაობა, ან კი თქვენ	64	შეიმას ჰინი მოსტოვი: ორი მიძღვნა და სხვა ლექსები
პოეზიის მერიდიანები	64	ხალიდ ალ-ხამისი ტაქსი
უსწორი ნოველა	67	ლალი ურდულაშვილი „პარიციტი“ თუ „ცნობიერების უწყვეტობა“ (ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“ და როსტომ ჩხეიძის „ორი მდინარის შესაყარზე“)
უბის წიგნიდან	70	კიკელიძის ეტიუდი
ამ მთისა და იმ ბარისა	71	



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი  
გამოვა 30 მაისს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: ზაალ ებანოიძე, გონერ ჭეიშვილის ფოტო  
მაჩუ პიქჩუ, პეტრე

მაია ჯალიაშვილი

# ქაქუცა ჩოლოყაშვილის საიდუმლო აბენტი

საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე შეურიგებელ მოწინააღმდეგედ ქაქუცა ჩოლოყაშვილი დარჩა, რომელმაც გარს შემოიკრიბა თავგანწირული ადამიანები და ცდილობდა ყოველი ხერხით გადაერჩინა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდებში დაცულია მასალა, რომელიც ასახავს, როგორ ცდილობდა ბოლშევიკური რეჟიმი ამ მოძრაობის განადგურებას. ისინი აპატიმრებდნენ, ხვრეტდნენ, აწამებდნენ იმ ადამიანებს, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ქაქუცასთან.

გთავაზობთ უცნობ დოკუმენტებს ამ არქივიდან. საბჭოთა ხელისუფლება მოტყუებით, ძალადობით და პროპაგანდით ცდილობდა წინააღმდეგობის მოძრაობის მოსპობას. ბოლშევიკური რეჟიმის ინკვიზიტორები ქაქუცასა და მისი რაზმის წინააღმდეგ ავრცელებდნენ სხვადასხვა ტიპის ცილისმამაებლურ პროკლამაციას, მაგალითად ასეთს:

„ამხანაგებო, ფშავ-ხევსურეთის მუშებო და გლეხებო!  
უკანასკნელ ხანებში თქვენმა მოლაღატეებმა, თქვენმა სისხლის მწოვლებმა გაგაბრყველეს, ნაძირალა შავრაზმელებმა და თქვენ მიდინხართ თქვენი ბედნიერების წინააღმდეგ.

ამხანაგებო გლეხებო, ჩვენ კარგად ვიცით ფშავ-ხევსურეთის პატრიოსანი მშრომელი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ წავა არასოდეს, პირიქით, ხელს შეუწყობთ, რომ იქნას განთავისუფლებული ერთხელ და სამუდამოდ მოლაღატე ბურჟუაზიის კლანჭებიდან.

ამხანაგებო, მოტყუებით, პროვოკაციით თქვენ გამოგიყენებთ ბრმა იარაღად ნაძირალა შავრაზმელებმა, თავად-აზნაურ ჩოლოყაშვილებმა და ვაჩნაძეებმა, რომლებმაც თქვენ გაგალესინათ დანა თქვენივე გულის გამოსაჭრელად.

მუშათა და გლეხთა დიქტატურა რამდენად ღმობიერია, იმდენად სასტიკიც არის. უკანასკნელად მოგიწოდებთ სასტიკად შეებრძოლოთ თქვენს მოლაღატეებს, ჩოლოყაშვილებს, ვაჩნაძეებს და განდევნეთ და გაათავისუფლეთ კონტრრევოლუციონერებისაგან თქვენი მხარე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს და ზიზლი თავდაზნაურ ჩოლოყაშვილებს და მათ ამყოლებს.

თიანეთის სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი თავაკვაძე

ავიტაციის განყოფილების გამგე კაკაბაძე“  
(*შსს არქივი, ყუთი 46, ფონდი 6, საქმე № 22229*)

როგორც ცნობილია ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის რაზმთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აფარებდა თავს, ყველგან ჰყავდა მოკეთენიცა და მტრებიც. ამჯერად ერთ საინტერესო საქმეს წარმოგიდგინებთ, რომელიც ასახავს კახეთის მთიანეთში გაშლილი წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ ფრაგმენტს.

ყუთი 6, ფონდი 6  
საქმე № 2322, გვ. 15  
რუსულ ენაზე:

„ქ. თელავში, 1923 წ. 18 მაისს, დღისით განიხილეს სოფ. ალვანის მცხოვრებლების, ბაგრატ ცოცანიძის, პანტო ანთაიძის და სხვათა საქმე. გამოვლინდა, რომ ცოცანიძეს საქმე აქვს ჩოლოყაშვილის ბანდასთან.

*თელავის მაზრის რწმუნებული, ამხანაგი კომპლუჰი“*

1923 წ. 10 მაისს დაკითხეს ბაგრატ ცოცანიძე, ქვემო ალვანი, თელავის მაზრა,

28 წლის, თუში, გლეხი, მიწა-ნახევარი დესიატინა, სახლი — 1 ოთახი, ცოლშვილიანი, 1 შვილი. განათლება შინაური, სპეციალობა-მღვდელი.

კლასობრივი მდგომარეობა — მუშა გლეხი (შემდეგში მღვდელი) კომუნისტურ პარტიაში იყო 1921 წ, შემდეგ გარიცხეს.

## ბაგრატ ცოცანიძის ჩვენება:

„1922 წ. დაახლოებით აპრილის პირველ რიცხვებში ძველი ეტლით ერთ დილას მე მივედი სახლში გიორგი უშიძესთან (ბრუდთან). შევედი თუ არა, ვნახე 14-15 კაცამდის შეიარაღებული ხალხი. მე მეგონა მელიციონერები (რადგანაც ბრუდი იყო ნევრი აღმასკომისა), რაღაც საქმისათვის მოსულები. მაშინვე მითხრეს, ხმა, კრინტი არსად ამოგიღია, თორემ ხომ იცი, უსიკვდილოდ არსად გადავირჩებიო. სხვათა შორის, გამაცნო ქაქუცა, სოსო ლოსაბერიძე და მიშა ნაცვალაოვი და შემდეგ ბრუდმა ამიხსნა, თუ რაშიც იყო საქმე. ესენი, მითხრა მან, არიან მთავრობისგან დევნილი ხალხი, სულ ნასწავლებლები და მეტწილად აფიცრებია, რომელთაც უნდათ თავი შეაფარონ სადმე, ვიდრე ხალხში „არეულობა“ მოხდება და საქართველოს ისევ ყორდანიას მთავრობა ჩაიგდებს ხელში. სულ ერთია ამათ (ბოლშევიკებს) მაინც არ დარჩება მმართველობა. ან ინგლისი და ან საფრანგეთი უსათუოდ განდევნიან აქედან ამათა და მაშინ რომ ჩვენს ხელი არ გავანძროთ, სულ იმათ ხელში დავრჩებითო. მანდ რომ ვიყოთ და ჩვენი ქვეყანა ჩვენივე ხელში დარჩებაო (მენშევიკები) და სხვებიც რაღაც ილაპარაკეს და აღარ მახსოვს ზოგიერთის გარდა, მაგალითად, ჩვენსო, სთქვეს იმათ, არავის შევანუხებთო. ყორდანია იქიდან გამოგვიგზავნის იარაღს და ტანისამოსს და ვიდრე ამას მივიღებთ კი აქა-იქ სადმე უნდა შევაფაროთ თავებიო. ქი ზიყში ვიყავით, იქ ეჭვი აგვართვეს და ეხლა აქეთ წამოვედითო. ბრუდმა მითხრა, შენ ხომ ფრანგული თოფი გაქვს, ამათ მიეცი, ერთს არა აქვსო. მეც გამოვუტანე სახლიდან და მივეცი. საღამოს ბრუდმა (გ.უშიძემ) წაიყვანა იქით ფიჩხოვანის ლეღეში, ტყეში და იქ ერთ ხეობაში დაბინავდნენო, მითხრა, როცა დაბრუნდა და წერილი მაქვს, თელავში უნდა წავიდეო, კარგად არ მახსოვს „სანარმო კავშირში“ უნდა მივიტანოო. თელავიდან იმავე დღეს დაბრუნდა და წავიდა იმათთან. ამ დროს იმათ თურმე დაარტყეს ცეპი ალვანის პარტიულებმა და იქიდან წასულიყვნენ, როგორც შემდეგში ბრუდმა მიაშრო. ძლიერ გავასწარით და პანკისის გადასახვევამდინ გავაცილე ისინი და ისევ აქ დავბრუნდიო. ამის შემდეგ აღარაფერი ვიცი საით წავიდნენ და საით არა. გაიარა ორმა თვემ, იმათი მე აღარაფერი გამიგია.

იენისის პირველ რიცხვებში მოვიდა ერთი მალალ-მალალი ბიჭი პირხმელი, კითხულობდა ბრუდს. მე უთხარი, რა გინდა? საქმე მაქვს იმასთანაო. ბრუდი ამ დროს იქ არ იყო. მოუცადა და მოვა მეთქი და ჩვენსა დარჩა იმ დამეს. მეორე დღეს ავად გახდა და სულ ინვა, მესამე დღეს ბრუდიც მოვიდა (არ მახსოვს სად იყო წასული) და მივიყვანე ბრუდთან სახლში და გვიამბო, რომ მე ახმეტაში მივედიოდი ქალაქიდან წამოსული ქაქუცას ვეძებდი, ეგებ გავიგო რამეო და ახმეტაში რომ ჩამოვიარე, იქ დამიჭირეს და ეხლა იქიდან გამოქცეული ვარო და შენ გზა უნდა მომცე, რომ თუ ხელში ჩამიგდეს, უეჭველად დამხვრეტენო. ამ დროს ჩოლოყაშვილის პარტია სად იყო, არ იცოდა ბრუდმა და საით გაეგზავნა არ იცოდა. მერე მან თქვა, თუკი ვერ მივალნე იქამდე, ქვევით ახალსოფლისკენ გზა მასწავლეთ, მერე მე თვითონ წავალ, მარტო გეზი მინდა გავიგო, რადგანაც ჯერ კახეთში არა ვყოფილვარ, გზა არ ვიცოდა და იქიდან მე თვითონ წავალ ქვევით ან ახალსოფელში ან და ლავოდახში. იქ ნათესავები და

ნაცნობები ბევრი მყავს, რადგან იქ მე მილიციის უფროსათ ნამყოფი ვარ და იქ თავს შევიწინააღმდეგე, ვიდრე იმათ რასმე გავიგებდეთ. იმ კაცის სახელი იყო ლოლაძე ლადო.

მე მითხრა ბრუდმა, რაკი არ ვიცით, ისინი სად არიან, ამიტომ ეს კაცი გააცილე თუ ძმა ხარ ფშავლის ბოლომდე და მერე თვითონ წავაო. მეც გავყევი. დღე იყო, რომ მივიყვანე სოფელ ფშავლის ბოლომდე. იქ ქუდი ვადამიცვალა, მითხრა მიცნობენო და წავიდა. ამის შემდეგ მე ცოლშვილით მთაში წავედი მთელი სამი თვის განმავლობაში. იქ ვიყავით და ქაქუცას შესახებ მხოლოდ ყველა იმას ამბობდა, რომ ხევსურეთში მოამწყვდიეს და მოკლეს. სხვა არაფერი გამიგია. ბარში რომ ჩამოვრეკე ჩემი ცოლ-შვილი, ბრუდი კიდევ მთაშივე იყო და მერე ისიც ჩამოვიდა. მე ვკითხე, არაფერი იცი იმათ შესახებ-მეთქი და არაო, არ იცოდა. ამის შემდეგ მე ყური აღარაფერს ვუგდე. მართლაც, მოუკლავთ მეთქი, მეგონა.

ნოემბრის შუა რიცხვებში თანახმად ხალხის თხოვნისა მე ქალაქში წავედი მღვდლად საკურთხებლად და იქ დავრჩი ხუთი კვირა. რომ მაკურთხეს, მოვედი და ბრუდმა მითხრა, ისინი ისევ ცოცხლები ყოფილან და როგორც ამბობენ, ქვევით ქიზიყში არიანო. არ ვიცი, საიდან გაიგო ბრუდმა მათი იქ ყოფნა. ერთი კვირის შემდეგ კიდევ გაიქცა, რადგანაც ჩემ თბილისში ყოფნის დროს მასთან მისულიყო მათი მეგობარი, ძველი ვილაც ციხისთავი და სხვა ამათ შესახებ ვიცი ის, რაც პანტო ანთაიძემ სთქვა, თუ ვაჩნაძიანთში ვისთან ჰქონდა მატანელი ტანისამოსი. ჯანდირთანა სთქვა და სხვა, რომელიც მე პანტოსთან და ლეონტი სანებლიძესთან ლაპარაკის დროს პადავალში, სადაც მე ვიყავი ჩამწყვდეული, გავიგე ანთაიძისგან, სხვა აღარაფერი ვიცი. შარშან ბრუდი მიდიმოლოდა ხოლმე და ვისთანაც კავშირი ქონდა, იმან იცის. ჩვენ არ გვეუბნება, რომ თქვენ დაგიჭირონ, ყველაფერს იტყვიანო. ის კი ვიცი, რომ იმათ, ბრუდის თქმით, კავშირი ჰქონდათ მატანთან, ენისელთან და ვაჩნაძიანთან, სხვა არ ვიცი“.

**არავინ იცის, რა გზით მიადნია მთავრობამ, რომ ცოცხანიძეს ამგვარი ჩვენება მიეცა, თუ გავითვალისწინებთ ვაჟ-ს (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, იგივე უშიშროების სამმართველო) მაშინდელ ხერხებს, ძნელი არ არის ამის წარმოდგენა.**

**ამავე საქმეში არის ამგვარი ხელნაწერი თხოვნა:**

**„საქართველოს საგანგებო კომისიის ტუსაღები: ბაგრატ ცოცხანიძისა და პანტო ანთაიძის თხოვნა**

სიცოცხლის განმავლობაში, ადამიანის შეცდომა ნებითი თუ უნებური მრავალნაირია, მაგრამ არ იქნება ისეთი კი, როგორი შეცდომაც ჩვენ მოგვივიდა და რომელსაც არც ერთი ღარიბი და მუშაკაცი არ იზამდა. ეს გამოიხატა ჩვენგან, თავზეხელაღებული და როგორც შემდგომში დავრწმუნდით თავისი თავადული ზნედაცემულობით და იმავე წოდების ტრადიციით გატაცებული ჩოლოყაშვილის თავრეტიან მოხეტიალე ბანდის ყაჩაღებთან. ზოგიერთ დროს მელოურ კავშირში ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩოლოყაშვილი რაღაცას ეძებს და ეს საქმე არის მისი გაბატონება და მამაპაპური ქეიფი მუშა ხალხის ზურგზედ. ის ეძებს თავისი კნიაზური სულისკვეთების კმაყოფილებას გლეხთა სისხლით ნაგარ „მეითხედებით“. მას სურს აანრილოლოს უსამართლოდ მათრახი მშრომელთა წელზედ, და ჩვენ კი ამას ჩვენი რწმენით ვერ შევურიგდებით. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, ვიგრძნეთ მწვავე, მაგრამ სამართლიანი მუხრუჭი საბჭოთა ხელისუფლებისა. ამ აზრს ჩვენ წინათაც ვატარებდით, მაგრამ საშუალო მხვილი სიკვდილმა ბენვით ჩამოკიდა ჩვენს თავზედ ჩოლოყაშვილმა, თუ გავამხედლით მის მოქმედებას. მაგრამ სიმართ-

ლემ თავისი გაიტანა. ჩვენ გამოგვიშკარავდა ყველაფერი. ჩვენ ორ ცეცხლშუა მოვექცით, რომლითგან ერთი სწავეს ლიპიანთა და მათ ხელშემწყობთა ლემს და მეორე მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ჩამცმელთა ტანჯულ ხალხს და ვინაიდან ჩვენც ამ უკანასკნელთა მოდემისანი ვართ და რწმენითაც მასთან თანაზიარი, ჩვენ გვინდა და გვირჩევნია ამათთვის ჩანვა ცეცხლში, ვიდრე მათთვის სამარცხვინოდ თავგადადება და ტანჯვა, რომელთაც სურთ მონობის უღელში შეებმა ჩვენისთანა ლატაკთა და მაშვრალთა მასისა, ამიტომ ვსთხოვთ ამ უკანასკნელთა მოდარაჯე საქართველოს საგანგებო კომისიას მიიღოს ეს ჩვენი გულის სიღრმიდან ამონახეთქი თხოვნა და სულგრძელად გვაპატიოს დანაშაული, რისთვისაც ვაძლევთ პატიოსან სიტყვას და ვსდებთ ფიცს ვიმუშავებთ და ვიბრძოლებთ თქვენთან ერთად იარაღით თუ უიარაღოთ ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად, რომელსაც სჩადის ჩოლოყაშვილს ტურული ბანდა და ეს ბანდა რომლის წყალობითაც იტანჯება დღეს ასობით დაჭერილი ხალხი და იწირება სიცოცხლე მასთან ბრძოლის დროს მრავალი საუკეთესო მშრომელი შვილებისა, მოქმედებს და მის გდებას ველით თქვენგან.

**მთხოვნელი: 1) ბაგრატ ცოცხანიძე 2) პანტო ანთაიძე 1923 წ. მაისის 10 დღეს.**

**ამავე საქმესთან დაკავშირებით სევერიან ჩხეტიანის (ჩოლოყაშვილის რაზმელი— მ.ჯ) ჩვენებიდან ამონაწერი (ნაბეჭდი, რუსულ ენაზე). გვ. 25**

„სოფ. ალვანში ჩვენ აგენტის სახით გვყავდა მღვდელი ადგილობრივი და მისი დიაკვანი, სახელად პანტო. მათზე ბანდაში ამბობდნენ, რომ გამოგ ზავნეს თოფი სერგო მაისურაძის ხელით, რომელიც მე ვადმომცეს და მითხრეს, მღვდელმა (ბაგრატ ცოცხანიძე ჩვენებაში წერს, რომ გადასცა თოფი ჩოლოყაშვილის რაზმელს ბრუდის თხოვნით— იხ. ზემოთ ჩვენება- მ.ჯ.) გთხოვა, ეს თოფი, შემენახა, სანამ თვითონ მღვდელი მოვიდოდა ბანდაში პირადი შეიარაღებისთვის“.

**დადგენილება (ნაბეჭდი, რუსულ ენაზე)**

„1923 წ. 3 სექტემბერს თელავის მაზრის პოლიტიბიუროს რწმუნებულმა ტ. კოვლეუევმა განიხილა საქმე 28, ცოცხანიძისა და ანთაიძის შესახებ, რომელნიც მხილებულნი არიან ჩოლოყაშვილის ბანდის ხელშემწყობაში. მათ აღიარეს ბანდასთან კავშირი, კერძოდ ის, რომ 1922 წ. როცა ბანდა ალვანში იყო, ცოცხანიძემ სახლში დააბინავა, ამარაგებდა პროდუქტით, გადასცა თოფი ტყვიებით. სახლში ჰყავდა ავადმყოფი ბანდიტი ლოლაძე. მღვდელიც იმიტომ გახდა, რომ თვალი აეხვია. ჩოლოყაშვილს მისი სახით საიმედო აგენტი ჰყავდა. მას უნდა აღესრულებინა პანაშვიდი (ლოცვა) მოკლული სიკო ჩოლოყაშვილისთვის.“

დამნაშავე პანტო ანთაიძემ აღიარა, რომ იყო აგენტი ჩოლოყაშვილის ბანდისა, მათთან მიჰქონდა პროდუქტი, ასრულებდა მათ ბრძანებებს. მას შეეძლო ყოველივე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ეცნობებინა, მაგრამ ასე არ მოიქცა.

ზემო თქმულის გათვალისწინებით, დადგინდა: ბაგრატ ცოცხანიძეს, (28 წ. გლეხი, საშინაო განათლებით, უპარტიო, არ ყოფილა ნასამართლევი) დაუდასტურდა დანაშაული— თანამშრომლობა ჩოლოყაშვილის ბანდასთან).

მასთან დაკავშირებით მიღებულ იქნას უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია.

ანთაიძეს (24 წ. გლეხი, საშინაო განათლებით, არ იყო ნასამართლევი) მიესაჯოს 5 წლით პატიმრობა“.

**ეს დადგენილება გადაეცა სამეულს განსახილველად.**

ციცინო ჯერვალძე

# ვალმოსდილი მამულიშვილი



ციცინო ჯერვალძე და პეტრე ხვედელიძე

2014 წლის 27 მარტს, აშშ-ის დედა-ქალაქ ვაშინგტონში მოულოდნელად გარდაცვლილმა ფრანგული და ამერიკული ემიგრაციის პატრიარქმა პეტრე ხვედელიძემ მთელი ქართული ემიგრაცია და საქართველო დაამწუხრა...

დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ 95 წლის ვალმოსდილი ქართველის გარდაცვალება თითქოსდა ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს, მაგრამ ვინც მას იცნობდა, მასთან მეგობრობდა, ყველა აღიარებს, რომ იგი განსაკუთრებული მოვლენა იყო ადამიანთა შორის. დიდთან — დიდი, პატარასთან — პატარა, მრავალჭირვარამ-გამოვლილი, მაგრამ ყოველთვის სხვათა ნუგეშისმცემელი, ძალზე ასაკოვანი, მაგრამ მაინც ჩვენზე ბევრად ახალგაზრდა...

პეტრე ხვედელიძე იყო უსპეტაკესი პიროვნება, რომელიც ყოველთვის ზნეობის უმაღლესი კატეგორიებით ცხოვრობდა და ჩვენც, მის ირგვლივ მყოფთ, ასეთი

ზნეობის იშვიათ მაგალითებს გვაჩვენებდა. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, მაღალი ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება, ამასთანავე უდიდესი ქველმოქმედიც გახლდათ.

ჩემი 13-წლიანი მეგობრული ურთიერთობა მასთან და მისი ყოველდღიური „სიტყვა“ — „ციცინოს გაუმარჯოს, იმედია კარგად ხარ“... — უდიდესი იმედი მავსებდა და საოცრად ალამაზებდა ჩემს ემიგრანტულ ყოველდღიურ ცხოვრებას. ჩვენი ხანგრძლივი საუბრების დროს, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიმოგზაურა ქართველ ემიგრანტთა უკვე ისტორიადქცეულ ეპოქაში, რამდენჯერ გამიზიარებია მათი ტკივილიანი ცხოვრება.

თავისი ხანგრძლივი და მრავალმხრივ საგულისხმო ცხოვრების მანძილზე იგი ყოველთვის იბრძოდა საქართველოს გასათავისუფლებლად საბჭოთა იმპერიისაგან — ჯერ როგორც ჯარისკაცი საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში, მოგვიანებით კი — როგორც რადიო „ამერიკის ხმის“ ცნობილი წამყვანი — კიკა ჭალელი.

ცალკე თემაა პეტრე ხვედელიძის პირადი არქივი, რომელშიც ჩვენ, საბჭოეთში მცხოვრებიც, ქართული ემიგრაციის ისტორიის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მონაკვეთები შემოგვინახა.

პეტრე ხვედელიძეს არასოდეს ჰყვარებია ხობტა-დიდება, მრავალჯერ უთქვამს: „არ გინდა, გენაცვალე, შენს წერილებში ხშირად ნუ მახსენებ, არაა საჭირო ხალხს თავი მოვაბეზრო“. მისი საყვედური მოვისმინე, მაგრამ რა ვქნა, თუკი რაც ძველი ქართული ემიგრაციული მასალების შესწავლას შევუდექი, საითაც გავიხედე, ყველგან მისი სახელი დამხვდა. მის არქივსა და მოგონებებში ცოცხლებდნენ გარდასულ დროში დარჩენილი ღირსეული ქართველი ემიგრანტები და მისივე საშუალებით ჩვენშიც აგრძელებდნენ ცხოვრებას. ვინ იცის, რამდენი ადამიანი გაუხარებია თავისი განუმეორებელი კეთილშობილებით, ყურადღებით, მხარდაჭერითა და სიკეთის ქმნის საოცარი უნარით. იგი გახლდათ უიშვიათესი ადამიანი, როცა მას ესაუბრებოდით, ღრმად ეცნობოდათ მის ცხოვრებასა და პიროვნებას, რწმუნდებოდით, რომ „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე“ მართლაც დიდი გმირობა ყოფილა.

უფლის დიდ წყალობად მიმაჩნია, რომ ბატონმა პეტრემ უდიდესი ნდობა გამომიცხადა და საკუთარი, პირადი არქივის გამოქვეყნების პატივი დამდო. მიხარია, რომ მისი სიცოცხლის ბოლო წლები გალამაზებული და გაცისკროვნებული იყო იმ წიგნებით, რომლებიც მისივე არქივის საშუალებით შევქმენი და საჩუქრად გადავეცი ქართველ საზოგადოებას ნიშნად ჩემი ღრმა, მონივრული დამოკიდებულებისა, უპირველეს ყოვლისა პეტრე ხვედელიძისა და მისი თაობის ქართველ ემიგრანტთა მიმართ.

ბატონი პეტრე ხვედელიძის არქივი გამოქვეყნდება ბოლომდე და, იმედი მაქვს, ახლა უკვე ზეციური საქართველოდან გამაძლიერებს მისი ყოველდღიური „სიტყვა“ — „ციცინოს გაუმარჯოს, იმედია, კარგად ხარ...“

გზა მშვიდობისა, ბატონო პეტრე, მონივნებით ვხრი თავს თქვენს მიერ განვლილი სპეტაკი ცხოვრებისა და დიდი ადამიანურობის წინაშე!

ნიუ იორკი

ნათელა არველაძე

# პეტრე, იგივე — კლდე!

პეტრე ხვედელიძე 96 წლისა გახლდათ, თითქმის საუკუნის თანატოლი. მისი ურთულესი ბიოგრაფიული ფაქტების მიღმა წამომართულია ჭეშმარიტი მამულიშვილის, საქართველოს ბედ-იბაღზე მოფიქრალი და მოჭირნახულე პატრიოტი, უმნიშვნელო მეგობრობის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ქართველ ემიგრანტთა შემწე და მოამაგე. ბატონი პეტრე ამართლებდა სახელის ბიბლიური მნიშვნელობას — კლდე. ის მართლაც კლდესავით იყო აღმართული ბედისმადიებელი ქართველი ემიგრანტებისათვის, რადგანაც გამოცდილი ჰქონდა — „უცხოებაში რაა სიამე!“ მან ჯერ საფრანგეთს, შემდგომ კი აშშ-ში გამოსცადა ის „სიამე“, რაც მოუშუშებელ ჭრილობად დააჩნდა ემიგრანტის მწარე ხვედრისათვის განწირულ ყრმას. მისი ბედისტრიული თავადვე გვამცნო მოკლე ბიოგრაფიის შემწეობით. ახლა სწორედ იმ ორი წიგნის თაობაზე მოგიტხრობთ, რომელთა შემწეობითაც არაერთი საკითხია ახლებურად გასააზრებელი.

ორივე წიგნს ერთი სათაური აერთიანებს „პარიზიდან ვაშინგტონამდე, საქართველოზე ფიქრით“ (შემდგენელი, წინასიტყვაობისა და კომენტარების ავტორი — ციცინო ჯერვალძე, მთავარი რედაქტორი — სოფიკო ჯერვალძე). ეს უჩვეულო ეპისტოლური კულტურის ნიმუშია. პირველი ეძღვნება ლევან ზურაბიშვილს, მეორე — რევაზ გაბაშვილს, ორ ემიგრანტს. ბატონი პეტრესადმი მიწერილ ბარათებს რომ გაცნობი, თვალწინ დაგიდგება საქართველოს პოლიტიკური ყოფის სურათები გასული საუკუნის 20-30-იანი წლებისა და შემდგომი ხანისა. ეს ორი წიგნი მკითხველს აცნობს პატრიოტ ქართველთა გარემოცვას, მათს ყოფას ემიგრაციის პირობებში, სამშობლოსადმი მათ ტრფილსა და ურვას მისი ანწყოს გამო.

ამ ორმა წიგნმაც ნათელი გახადა პეტრე ხვედელიძის, ძალზე მორიდებული და თავმდაბალი პიროვნების, ნამდვილი სახე. ის ჩემთვის გახლავთ ექვთიმე თაყაიშვილის გილდიის წევრი, მისი ორდენის კავალერი, მისი თავდადებული მოღვაწეობის მიმდევარი: მან იცის დოკუმენტის ფასი, ის მშობლიური ერის ინტერესების დამცველია, როგორც ერთგული ჯარისკაცი. ის მსახურებს თავის სამშობლოს, მეგობრებს, ჭეშმარიტებას. მსახურებს — გულმხურვალედ, წმინდა გონითა და გულით, ყალბი პათოსის გარეშე...

ამ ორმა წიგნმა ისტორიის ბინდიდან გამოჰყო ლევან ზურაბიშვილისა და რევაზ გაბაშვილის პიროვნებანი. და ეს უწინარესად ბატონი პეტრეს დამსახურებაა, მან შემოუნახა შთამომავლობას ფასდაუდებელი

ბარათები. ამ სტრიქონებიდან აღსდგა ორი პიროვნების, ორი მამულიშვილის ფიგურა.

ლევან ზურაბიშვილი, ამ ბარათების შემწეობით, კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდა, როგორც საზოგადო, უფრო ზუსტად — სახელმწიფო მოღვაწე. ის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებაა. ემიგრანტთა თავკაცი და სახელმწიფოს რანგში მათზე მზრუნველი — პასუხისმგებლობა საკუთარი ერის, სახელმწიფოს წინაშე მასშტაბს ჰმაინობას.

რევაზ გაბაშვილი — ქვეყნისთვის, აღორძინების ეპოქის სადარი მოღვაწე — მრავალპლანიანი, მრავალმხრივი ინტერესებისა და საქმიანობის, ძლიერი და ქედუხრელი პიროვნება. იგი ტიტანური — ძალოვანებით აღბეჭდილი ეროვნული მოღვაწე ყოფილა: მწერალი, ლიტერატურის მკვლევარი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ფსიქოლოგი... როგორა აქვს გააზრებული ენის ფუნქცია, როგორ გრძობს მშობლიური ენის მშვენიერებას და სურს უცხოელებსაც გააცნოს ეს დიდებული სამყარო! მას უკანასკნელი გროშიც კი იმისთვის უნდა, რომ უცხოეთს გააცნოს ქართველთა წვლილი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებისათვის. ისიც გზიბლავს, ტრფობის როგორი ნიჭითაა დაჯილდოებული! მისი მოსაზრებანი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, სიყვარულზე, ქალის ფსიქიკასა თუ ვნებაზე — სტენდალის ცნობილ სტრიქონებს არ ჩამოუვარდება, მიხეილ ჯავახიშვილის კალმის სადარია.

ლევან ზურაბიშვილი — დინჯია, დაფიქრებით მოქმედებს, ყოველ ნაბიჯსა და სიტყვას საგანგებოდ უკვირდება, მისი მზერა ყოველ ემიგრანტს სწვდება, ზრუნავს მათზე — ის სახელმწიფოს წარმომადგენელია! გაცეხებით მისი პასუხისმგებლობის გრძნობა და ვალდებულებათა აღსრულებისათვის მზაობა — ის ხომ იმ სახელმწიფოს განასახიერებს, ბოლშევიკ-კომუნისტებმა რომ გააძევეს და ემიგრაციაში აგრძელებს არსებობას!

რევაზ გაბაშვილი მთლიანი, განუწყვეთელი, ცეცხლოვანი ვულკანივით ბოპოქრობს და გრგვინავს. მის სულიერ სამყაროში ჩაკირული ლავა მზად არის ამოფრქვევისათვის, როცა საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა დევს სასწორის პინაზე.

და ისევ პეტრე ზვედელიძე... სამშობლოს კეთილდღეობასა და დამოუკიდებლობაზე მეოცნებე, ყოველი პატრიოტი ემიგრანტის მესაიდუმლე და მკურნალი. ბოლოხანს, როცა ვაშინგტონის საავადმყოფოში სამკურნალოდ აღმოჩნდნენ ავღანეთის ბრძოლებში დაჭრილ-დასახიჩრებული ქართველი მეომრები — ის ყოველ ოთხშაბათს აკითხავდა მათ, მიჰქონდა ნუგბარი, მთელ დღეს მათთან ატარებდა, ეთამაშებოდა ჭადრაკსა და ნარდს, აცნობდა პრესას, უამბობდა მათს სამშობლოში მიმდინარე პროცესებზე. ცდილობდა, შეემსუბუქებინა მათთვის ხვედრი, ყოფილიყო მათი სულის აქიმი. ბატონი პეტრე უაღრესად მორიდებული პიროვნება გახლდათ, არასოდეს საუბრობდა საკუთარ ქველმოქმედებაზე. რაც კი ვიცით მის შესახებ — სხვა ემიგრანტთა ნა-

ამბობია. კაცთმოყვარე და კეთილი, მრისხანე ხდებოდა, როცა იხსენებდა 9 აპრილისა თუ 1991-92 წლის ქართველთა დაპირისპირების ამბავს. ახლაც ჩამემის მისი მკაცრი ხმა, როცა ტელეფონით შემეხმინა და საქართველოს დანატრებაზე ვისაუბრეთ: „არ დაგბრუნდები, ვიდრე...“ — და ეს ვიდრე — პოლიტიკური კლიმატის შეცვლას ეხებოდა. უკომპრომისო და შეუპოვარი გახლდათ, მით უფრო, როცა საქმე ეხებოდა საქართველოს.

ამ წიგნების შემწეობით კიდევ უფრო ახლოს გავიცანით ქართველი ემიგრანტები, ბატონები — პეტრე, ლევანი და რევაზი. ეს ძალზე სასიხარულოა. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სრულიად ნათლად წარმოსდგა მკითხველის წინაშე — რა ინტელექტუალური პოტენციის, პატრიოტი, პატიოსანი და პასუხისმგებლობით გამოირჩეული თაობა ჩვენაცვლებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ხელისუფლებას, რომ არ მომხდარიყო 1921 წლის ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის მიერ. გაოგნებული ვარ — რა თაობა გაინირა! მხოლოდ თაობა კი არა, საქართველო გაინირა! ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა და პრინციპები გაინირა! ასპარეზი დაეთმო კონფორმისტ-სატელიტების მოსვლას ქვეყნის სათავეში. შემდეგ კი „გადემოკრატიულმა“ კომუნისტთა მმართველობის რესტავრაციამ და მათმა მექვიდრებმა საერთოდ ამოშალეს ახალი თაობის უმეტესობის გულეში სამშობლოს გრძნობა.

ეს სატიკვარი განმიახლეს ბატონი პეტრეს მიერ შემონახულმა ბარათებმა. და... ვკითხულობ ბატონი რეზოს ბარათს პეტრე ზვედელიძისადმი: გიგზავნი გოზინაყს და ნამცხვარს. მართალია ერთი თვე გზაში იყო, ახლა კიდევ ორი კვირა მაინც მოუწევს შენამდე მოგზაურობა. და დასძინე. „ეს მაინც იქიდანაა!..“ ნაირევი გულის ამონაკვესია — „ეს მაინც იქიდანაა!“ ამ ბართმა სულით ხორცამდე შემძრა და დამაფიქრა: ვიდრე ქართველი ემიგრანტისთვის საკრალური და მაგიური ძალისაა — მაინც იქიდანაა! — მანამდე შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს გულით დაატარებს უცხოეთს შეხიზნული ქართველი, მისი სამშობლო საქართველოა და დასაბრუნებლად მზადაა იგი. რა იქნება ხვალ? გუშინ კი ქართველ ემიგრანტთა უმეტესობა, მათ შორის ბატონები პეტრე, ლევანი და რეზო მხოლოდ ფიზიკურად ცხოვრობდნენ უცხოეთს, მათი სული და გული სამშობლოს დასტრიალბდა, რადგანაც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა თითოეული ქართველის სულიერი კონსტიტუციის პირველ პარაგრაფად ჩაჭედეს: „არ გაცველი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“ მნამს, რომ ეს სიტყვები ასულდგმულბდა ბატონ პეტრეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

და კვლავ უმთავრეს სატიკვარზე ვფიქრობ — ღირსეული, ეროვნული და პიროვნული ღირსებით გამორჩეული თაობა გაინირა XX საუკუნის პირველ ნახევარში. ისინი შეცვლიდნენ სოციალ-დემოკრატებს და მნამს, ღირსეულ სახელმწიფოს შექმნიდნენ, ღირსეულ მომავალ თაობას აღუზრდიდნენ ქვეყანას. ჩემი ფიქრით, ამ სიმალიდან უნდა შეფასდეს მათი ამქვეყნიური მოღვაწეობა. ნაბუქოდონოსორის მსგავსი მრისხანება დაატყდა თავს საქართველოს რუსეთის იმპერიის სახით, სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტა პატრიოტი ქართველების ნაწილი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპებით მოქმედი მოღვაწენი და ამით აუნაზღაურებელი დარტყმა მიაციენა ჩვენს სამშობლოს. ღირსეული თაობის ნაწილი ასე უღვთოდ მოწყვიტეს საქართველოს, ამოგლიჯეს მისი გულისპირიდან და ამით მთელი საუკუნით უკან წასწიეს საქართველოს განვითარება.

ამ ორი წიგნით კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება დავფიქრებუიყავით, გავგვაზრებინა, გავვეთავისებინა ჩვენი იავარქმნილი სამშობლოს ბედის წაღმ-უკულმა ტრიალი. ბატონი პეტრეს არსებობა, მისი ცხოვრება უცხოეთს შეხიზნუ-



პეტრე ზვედელიძე

ზურაბ ხასაია

# ჩემი საყვარელი საქმიანობა... ცხოვრებაა

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— გაჭირვებულ მდგომარეობად მე ადამიანის ცხოვრება მიმაჩნია. უბრალოდ, მონას მონობის გამო უჭირს, მეფეს კი — მეფობის გამო. ხომ გახსოვთ: „თვით კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?“ გაჭირვება გვაგრძნობინებს, რომ ვარსებობთ. გაჭირვება რომ არა, სამუდამოდ ჩაგვეძინებოდა. ერთი სიტყვით, ადამიანი შვილია გაჭირვებისა.

„უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა“ კი ერთობ პრობლემატური გამოთქმაა. ეს მდგომარეობა ადამიანს, როგორც წესი, არასწორად ესმის. უპირველეს ყოვლისა, მას ცუდად ესმის ის, როცა ასეთ მდგომარეობაში სხვაა. სხვისი გაჭირვება თვალში ეპატარავება. ხოლო ესმის იგი უკეთ, როცა ამ მდგომარეობაში თვითონაა.

მაშინაც კი, როცა გაჭირვებული თვითონაა, ადამიანს არასწორად ესმის ის. ამჯერად აზვიადებს მას და ჰგონია, რომ მეტის გადატანა აღარ შეუძლია. აღმოჩნდება კი, რომ თამასის ანევა კიდევაც შესაძლებელი და მას მეტის ატანა შეუძლია. სამი რამ გვამცნობს ასეთი ზღვრული მდგომარეობის დადგომას: ადამიანი ან თავს იკლავს, ან კვდება, ან გიჟდება. თუ არცერთი არ ხდება, ეს ნიშნავს, რომ უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა ჯერ არ დამდგარა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მე ცხოვრებას არსად არ ვისურვებდი. ამიტომ სჯობია იქვე დავრჩე, სადაც ვარ.

თუ ამ კითხვას ღრმად გავიგებთ, მაშინ პასუხიც ღრმა იქნება: ვიცხოვრებდი საკუთარ თავში! დიას, ჩვენ ყველგან ვცხოვრობთ; მხოლოდ არა იქ, სადაც უნდა ვცხოვრობდეთ — შინ, საკუთარ თავში.

თუ საკუთარ თავში არ ცხოვრობ, მაშინ ამაოდ იცვლი საცხოვრებელ ადგილს, ქვეყანას, დროს. ზოგს ჰგონია, რომ მომავლის კაცია და ადრე დაიბადა; ზოგს კი ჰგონია, რომ წარსულის კაცია და გვიან მოევლინა ქვეყნიერებას. ლაყობაა ყოველივე ეს. განა შენს დროში არ ხარ, ან შენს სივრცეში. საკუთარ თავში არა ხარ და ვერ გაგიგია! ხოლო რაკი ასეა, ამოვებას ვერა და ვერ გაექცევი.

მაგრამ თუ საკუთარ თავში ცხოვრობ, ანუ იქ ხარ, სადაც უნდა იყო, მშვიდდები და კარგად ხარ. ამ დროს სულერთია სად ხარ და როდის, რომელ ეპოქაში. ჩვენ ვაზვიადებთ განსხვავებას ქვეყნებსა და ეპოქებს შორის. განსხვავება კი მხოლოდ შინ ყოფნასა და გარეთ ყოფნას შორის არსებობს.

ამას ნიშნავს ჰერაკლიტე ეფესოელის განცხადება: „ღმერთი აქაცაა!“ აგრეთვე ლაო-ძის სიბრძნე: „დაო შეიმეცნება საკუთარი ქოხმანიდან გაუსვლელად“.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— პუშკინი ამბობს: „На свете счастья нет, но есть покой и воля!“. ზოგი ბედნიერებას ფიქციად თვლის, ზოგი — წამიერ გაელვებად. მე მაქვს ლექსი, რომელიც ასე მთავრდება: „ცხოვრება, ერთი ადლო, არარსებულ ლამის, გაელვებისთვის გმადლობ სულ რამდენიმე წამის“. ასეა, ბედნიერება ან წარსულშია, ან მომავალში, ანმყოფში კი მხოლოდ გაიელვებს. ეს ნიშნავს, რომ ბედნიერება ფიქცია და მირაჟია. ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია ბედნიერება იყოს.

მაგრამ, პუშკინისა არ იყოს, არსებობს სიმშვიდე. უმაღლესი ბედნიერება — საკუთარი თავის მოპოვება და ამით დამშვიდებაა. ადამიანები კი ბედნიერებას გარეთ ეძებენ და მაშინ იგი ფიქციას ედრება. ბედნიერება შიგნითაა, მაგრამ მისი მოპოვება მხოლოდ სწორი, ბრძნული ცხოვრებით შეიძლება.

ლი ქართველების სულის მოთქმასავით აღიქმება, ისევე, როგორც რადიო „ამერიკის ხმაში“ მისი მოღვაწეობა სუფთა ჰაერივით გვეჭირდებოდა საბჭოეთის „ტუსალებს“.

მართლაც, იშვიათი თვისებით ჩამოჰგავდა პეტრე ხვედელიძე თავის ბიბლიურ სეხნიას, ის კლდესავით უმაგრებდა ზურგს შეჭირვებულ ქართველს. იქ, ოკეანის გადაღმა, არამართო პატრიოტი, ემიგრანტთა მოჭირნახულე და ქომაგი ეგულებოდა ქართველობას, არამედ თავისი სახელმწიფოს, საკუთარი ერის გამორჩეული დესპანიც. ეს კი დიდი შვება და შემწეობა იყო ჩვენთვის. უმშვენიერესი და უკეთილშობილესი სტატუსია — ჩამოჰგავდე, გვახსენებდე, გვიახლოვებდე წინაპართა სულებს. ამის სადარი დიადემა, ჩინი, ორდენ-გუჯები არ არსებობს და ვერც ვერაფერი შეეცდობა. ის გვახსენებს ბიბლიურ პეტრეს — მას შეეძლო სიტყვითაც და საქმითაც ექადაგა, გავერცელებინა წინამდგომთა პრინციპები.

იგი მართლაც თავგადაკლული მოციქულია იმ იდეებისა და მოძღვრებისა, რაც ანდერძად დაუტოვა ილია ჭავჭავაძემ თავის ერს, შთამომავლობას. სიყვარული, სიკეთე, ერთგულება — ეს იწინამძღვრა პეტრე ხვედელიძემ და ასე განვლო გრძელი გზა საქართველოდან, მეორე მსოფლიო ომის წლებში, შემდეგ პარიზიდან ვაშინგტონამდე, მართლაც, საქართველოზე ფიქრით. ასე მგონია, ის ოკეანეზე გადებული, მყარად ნაგები ხიდი იყო, რომელიც აერთიანებდა ქართველთა მინა-წყალზე მცხოვრებ და უცხოეთში მყოფ ქართველობას. ბოლოსანს ის იქცა სამშობლოდან გახიზნული ემიგრაციის სიმბოლოდ. ამ სიმბოლოს ჩამოსვენებას ელიან ახლა მისი ნათესავ-მეგობრები, ნაცნობი თუ უცნობი ქართველობა.

სიმბოლურია მისი ცხოვრების ეს ეტაპიც: სამშობლოზე ფიქრით დაღარული მისი სულის ხვეულებზე, როგორც კლდის ნაპრალებზე, ამოზრდილია ნორჩი სიცოცხლე, ის პატარა ემიგრანტი ქართველი, რომელსაც ჯეჯილივით მსუბუქი სიოც კი არხევს, მაგრამ იმდენი ძალა კი შესწევს, რომ ამოინვეროს სალი კლდის ფერობიდან, მზეს შეანათოს თვალს და კიდევ ერთი ადამიანური სამყაროთი გაამდიდროს კაცობრიობა. და ის მანამდე იქნება საქართველოს მოქალაქე (და არა დაბადების ადგილის მოქალაქე!), ვიდრე ბატონი პეტრეს გულის სითბოთი ნასაზრდოები ვინმე უხუცესი ემიგრანტი გულის ძგერით გადასცემს სულთათნასავით იდუმალ გრძნობას: „ეს მაინც იქიდანაა!“ ვიდრე ეს ჯადოსნური სიტყვები, პეტრეს მიერ მიმოხეული სიკეთისა და სამშობლოს სიყვარულის თესლი, ანდამატივით მიიზიდავს უცხოეთს დაბადებულ ქართველთა შთამომავალს, ასე მგონია, მანამდე ქართველს გადაშენება და საქართველოს ფიზიონომიის შეცვლა არ უნერია!.. ამ როლის შესრულებაში ვხედავ უხუცეს ემიგრანტთა მისიას, თუნდაც პეტრე ხვედელიძის კვალს საქართველოდან — ევროპის გავლით — ვაშინგტონამდე.

ახლა მისი ტანჯული, მაგრამ ანკარა სული ვაშინგტონიდან საქართველოს მოეშურება, რათა მისმა ნემშმა საუკუნო განსასვენებელი აქ, ქართველთა მშობლიურ მინაზე პოვოს. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული...

24. 04. 2014

## რედაქციისაგან:

ბატონი პეტრე ხვედელიძის ნემში 26 აპრილს დიდუბის მინას მიეზარა. ღირსეული შვილი მონატრებულ სამშობლოს სამუდამოდ დაუბრუნდა. ამიერიდან „უფრო ახლოდან“ შეგვახსენებს მამულის სიყვარულს...

გაგიმხელთ ჩემს ინტიმურ საიდუმლოს. აკვიტებული სიზმარი მჭირს ერთი: დაეკარგე სანუკვარი ნივთი, ვეძებ და ლანდით გამირბის. იცით, ეს რას ნიშნავს? დაკარგული მაქვს საკუთარი „მე“ საზოგადოებრივი ცხოვრების დომხალში. ვეძებ, მაგრამ არასწორად — ისევ ამ დომხალში! ესე იგი, იქ ვეძებ, სადაც მხოლოდ დაკარგვა შეიძლება მისი და არა პოვნა.

ბედნიერების ძებნაც ფაქტობრივად ესაა. „ბედნიერება“ შინაგანი ცხოვრების მხატვრული დასახელებაა.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— „საყვარელი პერსონაჟი“ ცუდი გამოთქმა მგონია. არსებობს შთამბეჭდავი და დაუვიწყარი პერსონაჟები, რომლებიც ხშირად სულაც არ არიან საყვარელნი. ადამიანი ოდნავ სულელი თუ არაა, საყვარელი ვერ იქნება.

ზოგი შეგნებულად ისულელებს თავს, რათა შეიყვარონ. მაგალითად, ერთი ჩემი ფილოსოფიის მასწავლებელი, უთუოდ ნიჭიერი და კეთილშობილი კაცი, მთელი ცხოვრება თამაშობდა დაბნეულის როლს. არადა არც ისე დაბნეული იყო სინამდვილეში. ამას შერებოდა იმისთვის, რომ შეეყვარებინათ. სიყვარული ისედაც არ აკლდა, მაგრამ ცეცხლისთვის შუშის შეკეთება ყოველთვის საჭიროა. თან, ლათინების თქმისა არ იყოს, ჩვევა მეორე ნატურაა ჩვენი.

ასე რომ, საყვარელ ადამიანში ბევრი არაფერი ყრია. მით უფრო ნაკლებად აინტერესებს იგი დიდ მწერლობას. მწერალს ნაკლებად იზიდავს მისი დახატვა.

სხვაა შთამბეჭდავი პიროვნება. ჩემთვის უაღრესად შთამბეჭდავი პერსონაჟია ჩეხოვის ანდრეი ეფიმიჩი „პალატა 6“-დან. აი ეს მე ვარ! ეს მოთხრობაც მე უნდა დამეწერა, მაგრამ ჩეხოვმა დამასწრო.

არასოდეს დამავიწყდება გორკის ლოიკო ზობარი „მაკარ ჩუდრადან“. რუსული კლასიკური ლიტერატურა მიუწვდომელ ნიმუშად მეჩვენება.

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პიროვნებები?**

— ისტორიული პიროვნებები მით უფრო არ არიან საყვარელნი. მაღალი ზნეობის ადამიანი არასდროს არაა საყვარელი. მაგალითად, როგორ შეიძლება გიყვარდეს დავით აღმაშენებელი ან, სიტყვაზე, დათა თუთაშხია? მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა გეუფლება და არა სიყვარულისა.

ერთი სანდომიანი ქალბატონი ბრძანებდა, ზვიადს არასოდეს შევიყვარებდიო. ეს მან, სხვათაშორის, გულწრფელადაც თქვა და ღრმადაც. მან სწორად გაიგო ზვიადი. ყველა ცდებოდა, ვისაც უყვარდა იგი, და არავინ ცდებოდა, ვინც პატივს სცემდა მას. ისტორიული პიროვნება, ისევე როგორც ყველა მაღალი ზნეობის ადამიანი, პატივისცემას იმსახურებს და არა სიყვარულს.

დიდი ისტორიული პიროვნება ყოველთვის დამნაშავეა ადამიანთა წინაშე და მხოლოდ „ისტორიის“ წინაშეა მართალი. ისინი მარტონი არიან და ეს მათი ტრაგედიის ნაწილია. ტრაგიკული კაცი იყო დავით მეფეც. წარმოიდგინეთ: საქართველოს უდიდესმა კაცმა, ვის წინაშეც ესოდენ დავალებულია მისი ქვეყანა, მონანიებით დაასრულა თავისი დიდი, ბოქარი, გაუხარელი სიცოცხლე.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— მე აჭრილი ვარ ლამაზი ზამთრის ხატით. ეტყობა, ეს სისპეტაკის ხატია ჩემი ცნობიერების სიღრმეში. სისპეტაკის-კენ ასეთი ლტოლვა სიცოცხლის უარყოფელ იმპულსად, ას-კეტურ ვნებად მეჩვენება. ამიტომ არ ისურვა ილია ჭავჭავაძემ წმინდა მყინვარი და მღვრიე თერგს არგუნა უპირატესობა.

ყველაზე კარგად ეს ჩემი „შინაგანი ზღაპარი“ დამიხატა და მაჩვენა მეცხრამეტე საუკუნის დიდმა რუსმა მხატვარმა ალექსეი სავრასოვმა. მის მიერ დახატული თოვლიანი სისპეტაკე წუთისოფლის ყველა ცოცხალს გადასწონის.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?**

— ღრმა სიმშვიდეს, რაიც შინაგანი ძალის შეგრძნებიდან მომდინარეობს. ნამდვილი მამაკაცი არასოდეს ვარდება პანიკაში და რაც უფრო აშკარაა სასონარკვეთის მიზეზი, მით უფრო მშვიდ-



დება. შიში მგრძნობიარობიდან მოდის, სიმშვიდე — გონებიდან და ნებისყოფიდან. ვაჟკაცში გრძნობების მეტი წილი გონებად და ნებისყოფადაა გადამდნარი. ამიტომ გონება და განსაკუთრებით ნებისყოფა მამრობითი სქესის საგნებად უნდა ჩაითვალოს.

უდიდეს პიროვნებად და ნამდვილ მამაკაცად მეჩვენება სტალინი. ეს ყველაზე ღრმად და ნათლად დაინახა ორმა დიდმა ადამიანმა: გრიგოლ რობაქიძემ და უინსტონ ჩერჩილმა; ნაწილობრივ, ტროცკიმაც, ვინც სტალინის მისამართით გაკვესა ძლიერი და ზუსტი ფრაზა: „гениальная посредственность“.

ჩვენს უკუღმართ დროში ქალი და კაცი ერთმანეთს დაემგვანა, რამაც ორივე სქესი დააზიანა. ბუნების ჩანაფიქრით კი კაცი და ქალი სხვადასხვაა. ამიტომ ნება მიბოძეთ იგივე კითხვა ქალსაც შეუფარდო. ქალს ძლიერი ხასიათი, ისევე როგორც ფიზიკური ძალა, პირიქით, არ უხდება. მაგალითად, ოთარანთ ქვრივი არაა „ნამდვილი ქალი“. ქალი „რბილი სტიქია“. მისი მოძრაობები ნაზია. ამიტომ ის ბუნებით მოცეკვავეა. გოგონას აიძულებენ „წესიერად“ გაიაროს, თორემ, მის ნებაზე რომ იყოს, სულ ცეკვა-ცეკვით ივლიდა.

ქალის სტიქია ჩანს აგრეთვე შეფარულ, მსუბუქ სიმორცხეში. ამით ქალი გენიალურად მიუთითებს თავის სიშიშვლეზე; ბევრად უფრო შთამბეჭდავად და მხატვრულად, ვიდრე ჭიპის გამოჩენა. ჩვენს ვულგარულ დროს საიდუმლოება აღარ ესმის. ის აჭრილია გამჭვირვალობის ბოდვით იდეით და დაფარულის ხიბლში ვერ ერკვევა. მისთვის მიუწვდომელია ის, რასაც ბლეზ პასკალი ნატივ შემეცნებას უწოდებდა. ქალწულის სიშიშვლის მთელი ხიბლი მის დაფარულობაშია. ის მხატვრული ფანტაზიის საგანია, არა — მხედველობის ორგანოსი. ჰოლივუდური ცნობიერებას კი შიშველი ქალი ფიზიკურ, მეტიც, ფიზიოლოგიურ მოვლენად მიაჩნია.

დიახ, ფიზიკური ძალა და ძლიერი ხასიათი ქალს, მამაკაცისგან განსხვავებით, არ უხდება. ეს მამაკაცური ღირსებებია და არა ქალური. ქალს, პირიქით, უხდება სინაზე და ჭარბი მგრძნობიარობიდან გამომდინარე ერთგვარი სისუსტე ხასიათისა. ეს სისუსტე იმდენად შვენის ქალს, რომ მის ძალად იქცევა. დიახ, ქალის ძალა მის სისუსტეშია.

ჩვენს დროში ქალის „ემანსიპაცია“ და „სექსუალურმა რევოლუციამ“ საქმის ვითარება არცაა მთავრად შეცვალა. ქალმა უარყო თავისი ქალური ღირსებები და მამაკაცურს წაეპოტინა. მას უკვე ძლიერი ხასიათით მოაქვს თავი, ფიზიკური ძალითაც კი. ის რევანშს იღებს წარსულისათვის და თვითონ ლამობს მამაკაცად ყოფნას. ბუნება კი მამაკაცს ისევ განსხვავების შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. ზოგჯერ ეს თავს იჩენს უკუღმართულად — მამაკაცი ცდილობს იქცეს იმად, რაც ადრე იყო ქალი.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— მუსიკა თრგუნავს ნებისყოფას. გრიგალია იგი, რომელიც ჩვენს ნებისყოფას ნაფლეთებად აქცევს და სასაცილოდ



დააფრიალებს. მუსიკის გაგებაში საცხებით ვეთანხმები პლატონს, ასევე ლევ ტოლსტოის გადარეულ გმირს „კროიციერის სონატადან“: „В музыке содержится нечто дьявольское!“

მუსიკა ზნეობას არ აფაქიზებს. ის ზნეობაზე მალა დგება და ვნებებს უჩხიკინებს, აფორიაქებს. მუსიკაში ჩანს ყველაზე კარგად ის, რასაც უძლიერესი ფილოსოფოსები ეძებენ. თან ჩანს ბევრად უკეთ, ვიდრე ფილოსოფიაში. კარგად შენიშნა პოლ ვალერიმ: „მეტაფიზიკა — ყველაგან მოძულებული და ყველას მიერ დევნილი ბებერი ყვავი. თავგზააბნეული ეხეთქება იგი ძველისძველ კომპებს, ჩხავილით გაურბის ბუნებას და სიკვდილსა და მუსიკას აფარებს თავს“.

დიდი მეტაფიზიკოსები იგივე მუსიკოსებია, ოლონდ ... მუსიკალური ნიჭის გარეშე. ცის შემეცნება ბახმა მასწავლა, მინისა — ესპანურმა მუსიკამ. წარუშლელია მორის რაველისგან მოგვრილი შთაბეჭდილება. ბოლერო — გველის დაუსრულებელი გრაგვნა, უდაბნოზე დამდგარი ქვიშის ტაიფუნის და კორიანტელი, რისგანაც სამყარო იქმნება. ის, რაც „დაბადებაში“ ასე მოსაწყენადაა მოთხოვნილი, ცოცხლად და ტრავიკულად ბორგავს ბოლეროში.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა.**

ჩემი მთავარი საქმე სულიერ მედიტაციებში ვარჯიშობაა. ეს არის ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რაც „მე“-დ ითვლება, სინამდვილეში კი საზოგადოებრივი ნილაბია. ეს არის ბრძოლა იმისათვის, რაც ნამდვილი „მე“-ა, მაგრამ ჩვენი ყურადღების გარეთ რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ეს ბრძოლა უდიდეს ნებისყოფას ითხოვს და დამქანცველია. მისგან შესვენების ჟამს ცხოვრებით ვერთობი, ვითარცა მსუბუქი ჟანრის კომედიით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება ჩემი საყვარელი საქმიანობაა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?**

— არასოდეს მდომია ვყოფილიყავი სხვა ადამიანი. ეს არცერთ ადამიანს არ სურს. ადამიანს სხვების წარმატება შურს და არა სხვების პიროვნება.

მე სხვა პრობლემა მანუხებს — მინდა ვიყო თვითონ. აღარ ვიყო არცერთი საზოგადოების წევრი და თვითონ ვიქცე ერთადერთ საზოგადოებად ჩემთვის. დავაბრუნო ყველა ვალი, რაშიც ჩაფლული ვარ, და სამაგიეროდ დავიბრუნო ჩემი ნაფლეთები, რითიც შეკონინებულია მთელი სამყარო. მას, რაც მიიღება ყველაფერ ამისგან, ინდუსები „ატმანს“ უწოდებდნენ. ეს არის ის უნიკალური განძი, რაც დამარხებულია ჩვენს ნანგრევებში, ჩვენი ცხოვრების სამსუხარო და, როგორც ჩანს, დაუსრულებელ დრამაში.

ცხოვრება ამგვარ შესაძლებლობასთან ლოლიავია, სასწაულის მოლოდინია. ეს მოლოდინი სიკვდილით მთავრდება! ასეთი საქმის ფუნდამენტური ვითარების ცინიკური აღწერა. იქნებ ეს აღწერა ზუსტად იყოს, ვინ იცის...

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— ადამიანურ სათნოებებს შორის ყველაზე მეტად ვაფასებ თანაგრძობას — სხვისი სიხარულისა და მწუხარების ღრმად გაზიარებას. სხვათაშორის, ამ სათნოებას ასწავლიდა იესო ნაზარეველი, რის გამოც ფრიდრიხ ნიცშემ არ მიიღო მისი მოძღვრება.

საკითხის მთელი სიმწვავე იქიდანაა, რომ თანაგრძობას ცხოვრებისგან განდგომამდე მივყავართ. ეს იცის იესომ, რის გამოც აქებს განდგომას. ეს იცის ნიცშემ, რის გამოც უარყოფს თანაგრძობას. იესო სიცოცხლეზე მალა ზნეობას აყენებს, ნიცშე კი ზნეობაზე მალა — სიცოცხლეს.

სიცოცხლის დაყენება ზნეობაზე მალა და გამოცხადება უმაღლეს ღირებულებად დასავლური კულტურის საბედისწერო დოგმაა. ამით მან სიცოცხლეს, პირიქით, ფასი დაუკარგა და წარმოშვა „აუშვიცი-ოსვენციმი“. ზნეობაზე მალა დამდგარი სიცოცხლე არათუ უმაღლესი ღირებულებაა, არამედ საერთოდ არ შეიცავს არანაირ ღირებულებას. ის ერთგვარ სტიქიურ უბედურებად გამოიყურება, რომელიც მძევნარებს დედამინაზე.

ერთადერთი, რითაც სიცოცხლე გამართლებულია, ესაა მისი თვითდაოკების უნარი — ზნეობა. „ხეს სიცოცხლისას“ ეს ერთადერთი ნაყოფი — ზნეობა ამშვენებს. ეს სიცოცხლის აზროვნებითი უკუქცევაა საკუთარ თავში და ქვეყნიერების უმაღლესი კანონის ამოკითხვაა შიგ. სიცოცხლის ბობოქარი სტიქიის ადგილს მაშინვე იკავებს თანაგრძობა.

თითქოს ადამიანმა „გველის ხორცი“ იგემა და მინდიად იქცა. იმის შიშით, რომ სიცოცხლისგან არ დაიღუპოს, მინდია ზნეობისგან იღუპება. ასეა, ადამიანი სიკვდილისთვისაა გარენილი და უნდა აირჩიოს სიკვდილის ამ ორ ნაირსახეობას — ბუნებრივსა და თავისუფალს — შორის. იესომ თავისუფალ სიკვდილს, უბრალოდ, „სასუფეველის მოპოვება“ დაარქვა, რათა განესხვავებინა ის უკვალოდ გაქრობისგან. ის „სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველია“.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— იქვენულობაა ჩემი ხასიათის მთავარი თვისება. ჰამლეტის ავადმყოფობა მჭირს. მეჩვენება, რომ ადამიანი თამაშობს რალაცაში დარწმუნებულობას. სინამდვილეში კი ეჭვი მუდამ თანა სდევს მას.

მეტსაც ვიტყვოდი: რაც უფრო დაქვევებულია ადამიანი, მით უფრო დარწმუნებული ჩანს. ხოლო ვინც ნამდვილად დარწმუნებული ჩანს, ის გაურბის თავის ეჭვს განუწყვეტელი მოქმედებით. ადამიანი მოაზროვნე არსებაა, რაც ერთადერთ რამეს ნიშნავს: მას ეჭვი ეპარება! ფილოსოფიაც ამან წარმოშვა და რელიგიაც, აზროვნებაც და მოქმედებაც. ეჭვები ღრღინის დედასაც, მამასაც, შვილსაც, შეყვარებულსაც... ადამიანს სურს ეჭვები ჩააქროს და სული მოითქვას, მაგრამ ამის მიღწევა ერთობ საეჭვოა.

ვეჭირობ, ყველა დიდ ადამიანს ეჭვი ეპარება თავის სიღრმეში. ხომ კარგად ვითამაშე ჩემი ცხოვრების კომედიო, იკითხა თვითდაჯერებულობით ცნობილმა ოქტავიანე ავგუსტუსმა სიკვდილის წინ.

ცნობილია ფოლადივით ურყევი სტალინის ირონია თავისი ბელადობის თემაზე;

აინშტაინი ურჩევდა დიდ მეცნიერებს: არასოდეს ჩაიხედოთ ღრმად თქვენს ამოსავალ პრინციპებში, თორემ სასოწარკვეთილება შეგიპყრობთო.

გალაკტიონის თვითდაჯერებულობა პოზა იყო, თორემ სულ ეჭვით აცეცებდა თვალებს; ერთი სული ჰქონდა გაეგო, აღიარებდნენ თუ არა მის სიდიდეს. სხვისგან აღიარებას კი ის ითხოვს, ვინც თვითონ არაა დარწმუნებული თავის თავში.

მეგობრები ჩვენ იმისთვის გვჭირდება, რომ ჩვენს სრულფასოვნებაში დაგვარწმუნონ. ყოველივე ამის საფუძველთა საფუძველი კი ნათელია: ცნობიერება, არსებითად, იმის გაცნობიერებაა, რომ ეჭვიანიერება და მასში ადამიანის არსებობა გაუგებარი ჩანს.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— მე ყოველთვის გონებაგახსნილ და წიგნიერ ხალხთან ვმეგობრობ. გონებაგახსნილობა და წიგნიერება — აი თვისებები, რის გამოც ადამიანს ვუმეგობრდები.

გონებაგახსნილი ადამიანი უცებ ხვდება საქმის არსს. ასეთ ადამიანთან შეგიძლია ილაპარაკო — შენს ნათქვამს სწორად გაიგებენ. ამ მხრივ მშვიდად და დაუძაბავად ხარ. დიდი ბედნიერებაა, თუ გონიერებას წიგნიერებაც ზედ ერთვის. წიგნიერ ადამიანს იმდენი ბრძენისთვის მოუსმენია, იმდენი დიდი ცხოვრება განუცდია, რომ შეუძლებელია შურდეს. მას ადამიანებისა აღარ შურს და, მამსადაამე, მეგობრობაში ველარაფერი შეუშლის ხელს.

წიგნიერ კაცს ბევრი ცხოვრება გამოუვლია-მეთეი, ბევრჯერ გაუმარჯვია და ბევრჯერ დამარცხებულა. ამიტომ არც გამარჯვება აუვარდება თავში და არც დამარცხების გამო შეიკრავს ძაძებს. ის თითქოს სტუმარია თავისსავე სხეულში და მუდამ ერთი ფრთის გაქნევით მალა დგას ნუთისოფელზე.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— ჩემი მთავარი ნაკლი ... ჩემივე ღირსებაა. მე მუდამ ვგრძობთ სინდისის სუნთქვას ზედ კეფასთან. ოლონდ დარწმუნებით არ ვიცი: სიჯანსაღეა ეს თუ სნეულება.

ამის გამო ყოველთვის ამაყი ვარ. ყოველი მარცხი, წარმატება თუ გულისტკივილი ასევე ამის გამოა. სწორად უთქვამს, ვინც თქვა: ჩვენი ნაკლოვანებანი ჩვენზე ღირსების გაგრძელებაა. ნამდვილი გერმანული დიალექტიკაა, ოღონდ ფრანგულად გამართული. უთუოდ ფილოსოფოსად დაბადებული იყო ის კაცი, ვინც ეს თქვა.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ბედნიერების გამო უკვე მოგახსენეთ, მაგრამ რაღაი საშუალება მომეცა, დავამატებ: მთელი მსოფლიო ბედნიერების კარს გარედან აწვება. ის კი არ იცინა, რომ ეს კარი შიგნიდან იღება. აი რატომ ვერ ახერხებენ ბედნიერების ნათელ და მშვიდ დარბაზში შესვლას; აი რატომ ვერ აღწევენ ბედნიერებას.

აღმოსავლური ანეკდოტია ასეთი: მოლასთან მივიდა მრევლთაგანი ერთი და შესჩივლა. აკვირებულმა სიზმარმა ლამის არი მომგუდოსო; მთელი ღამე ბედნიერების კარს ვაწვები. თითქოს სადაცაა უნდა გაიღოს, მაგრამ ვერა და ვერ ვაღებო. მოლაშ ჰკითხა, იქნებ ისიც მიბრძანო, რა აწერიო კარზე. თქვენკენ გამოსწიეთო, უპასუხა მრევლმა. მეერ შენც იქით რაღას აწვები, შენკენ გამოსწიეთო, დაარიგა მოლამ.

ასეა, ხშირად გამოსავალს იმიტომ ვერ ვაგნებთ, რომ მთლად ცხვირწინაა. ასეა თუ ისე, ბედნიერებას ვერ ვაღწევთ და ცხოვრებაც წაგებულ თამაშად უნდა ჩაითვალოს. მთელი კაცობრიობა გაჩენის დღიდან ომის ხანძარშია გახვეული. ვინც მარცხდება ამ ომში, ხომ მარცხდება? ეს ყველამ ვიცით. მაგრამ ვინც იმარჯვებს, ისიც დამარცხებულია. აი ეს კი ცოტამ თუ ვიცით. ასეა, რადგან პირველი მაშინვე ჩანს, მეორე კი ცოტა მოგვიანებით გამოჩნდება. აკი ჭეშმარიტებამდე მუდამ რაღაც მანძილის გავლაა საჭირო. ამას კი დრო სჭირდება.

როცა შეაღებ იმ კარს, სადაც ბედნიერება აწერია, შიგ უბედურება დაგვხვდება. ბედნიერება შიგ არასოდეს ყოფილა. ხოლო იმ ქოხმასს, სადაც ბედნიერებაა დავანებული, არაფერი აწერია. აკი ყველა წარწერა სინამდვილის გასაყალბებლადაა მოგონილი. ადამიანმა წერა—კითხვა იმიტომ გამოიგონა, რომ სიყალბეები ჰქონდა ჩაფიქრებული. მსოფლიო წიგნების წარღვნაში დანთქა. სულ რამდენიმე წიგნი უბადა ძველ მსოფლიოს. ამიტომ ის ჩვენზე ბევრად უფრო ჯანსაღი და ბედნიერი იყო.

ოთარ ჭილაძეს ჰყვარებია ერთი ხალხური აფორიზმი, ქალისგან გაბედნიერებულს ღმერთიც კი ვეღარ გააუბედურებსო. მერე თვითონ გაუმდიდრებია ეს აფორიზმი, ვერც ქალისგან გაუბედურებულს გააბედნიერებსო ღმერთი.

ჩემს ცნობიერებაში მაშინვე გაიელვა შენიშვნამ: მაშინ ღმერთი კი არ ყოფილა ღმერთი, არამედ ქალი ყოფილა ღმერთი. ხალხის გენიაში ბედნიერება უშნოდ მიეწება გამრავლების ინსტინქტს. არადა ეს ღრმა შეცდომაა. ხალხი ღრმა სტიქიაა, ამიტომაც ღრმად ცდება ხოლმე.

მარტში კატების ბედნიერება იწყება. კარგა ხანია ჩვენს უგაზაფხულო ეპოქაში გაზაფხულის შემოსვლას მათი ღამეული ჩხავილი მამცნობს. ქალის გაბედნიერებული არ გაიშვა არსად. ასე რომ, ზემოთ გაკვესებულ ორ აფორიზმს მესამესაც დავუმატებდი: ქალის გაბედნიერებულს ქალივე გააუბედურებს!

თუ ბედნიერება ასეთი საეჭვო წარმომავლობისაა, მაშინ ადამიანებს ასე დავარიგებდი: ერიდეთ ბევრ რამეს, განსაკუთრებით კი — ბედნიერებას! აკი საშიშია სიმაღლიდან კისრით გადმოვარდნა.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— მე ჭაობიან კოლხეთის უკიდურესად მივარდნილ სოფელში გავიზარდე. არაერთხელ მიხილავს ჭაობის ფრინველი — ყანჩა. მაღალი, გაძვალტყავებული, მოცახცახე ლანდებისგან აკინძული, ღატაკი ფრინველი ღვთის. მშვიდად დატყაპუნებდა ჭაობში, ან იდგა ცალ ფეხზე, ჭაობის მითთაჟამურ ჯადოსგან გარინდული. ან როგორი ნაღვლიანი ფრენა იცოდა! ჩემს მეხსიერებაში ის დარჩა მარტოსულ, სევდიან ფრინველად.

ჩემს ლექსებში ყანჩა დაფრინავს, ან სადაცაა გამოჩნდება. ჩემი ერთი ლექსი, რომელიც გამორჩევი მიყვარს, ასე მთავრდება:

**ჩემი ბერმუხა, რაც წარმართულ მითისგან დარჩა;  
გარშემო მუმლი — აწივლებულ სულელების კრება...  
ლაქაშებიდან აფრინდება საბრალო ყანჩა,  
უკიდევანო სინათლეთა წკვარამში ქრება.**

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ადამიანს იმდენი უბედურება უდარაჯებს, რომ უარესს ვერ გამოარჩევ. ერთს დაასახელებ, მეორეს ეწყინება. ყველაზე დიდ უბედურებად უნდა ჩაითვალოს ამორჩევის აუცილებლობა ორ დიდ უბედურებას შორის.

ჩემდა საუბედუროდ, პროზა არ მეხერხება, თორემ მოთხრობას დავეწრდი ამ თემაზე. უბედურების დახატვა მწერლის უპირველესი მოვალეობაა, რადგან ამით ცხოვრების არსი დაიხატება. ადამიანის ცხოვრება ბედისწერისგან თავს დატყუილებული უბედურებაა. სიცოცხლე კარგი რომ იყოს, ვინ მოგვაშავებდა, მუქთად ვინ მოგვეცემდა?

ამიტომ, კაცმა რომ თქვას, ქარაფშუტები არ სტყუიან თავიანთი ქარაფშუტობით. სერიოზული ადამიანი კი ღრმად ცდება თავისი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით. ოღონდ რა ჰქნას, „აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს!“

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ჭირი შეჩვეული სჯობია. მირჩვენია ისევე ის ვიყო, რაც ვარ, და ისეთი, როგორც ვარ. სხვათაშორის, ადამიანს არ შეუძლია წარმოიდგინოს სხვა ადამიანად ყოფნა, ბევრიც რომ იტყუილოს ტვინი. მეტიც, ვერც სხვანაირ ადამიანად წარმოიდგენს თავს, თუ სერიოზულად დაუფიქრდება საკითხს. მართლაც სხვანაირი რომ იყო, თვითონ ვერ იქნებოდა.

მართალია, ხშირად ვნატობთ სხვა თვისებების ქონას, მაგრამ ეს ქარაფშუტობით მოგვდის. ბოლომდე არ გვაქვს გააზრებული, რას ვლაპარაკობთ. ჩვენი ხასიათი თუ შეიცვლებოდა, ეს ჩვენ აღარ ვიქნებოდით.

მომიტყვეთ, მაგრამ პირდაპირობა მჩვევია: სხვა ადამიანის თვისებების ნატვრა, რაც ესოდენ ხშირია, არსებითად, სიკვდილის ნატვრაა. ადამიანს დასვენება სწყურია თავისი თავისგან, ანუ სიცოცხლისგან. ესა და ეს.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— ცისფერი და თეთრი ფერი მიზიდავს. პირველი კარგია იმით, რომ ცას უკავშირდება — შორეულს, მიუწვდომელს, წმინდას, დედამიწის ყაყანისგან, მისი „არასრულყოფილი ფორმებისგან“ განრიდებულს. ეს არის ფერი აღმოსავლურ ღვთაების; ფერი დიადი, აუსხნელი არარაობის. ყოველი რაობა ხეიბარია თავისი რაობის, ანუ ცალმხრიობის გამო. მხოლოდ არარაობას ეკუთვნის ღვთაების სახელი.

ამიტომ არ მომწონს ვანო მარაბის მეტაფორა: „არარაობა, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“ ჯერ ერთი, შექსპირს არ ეკადრებოდა „გენდერული ცრურწმენა“ — რაიმეს დამცირება ქალთან მისი გაიგივების გზით. ხოლო „არარაობა“ ბატონმა ვანომ გამოიგონა. შექსპირს, მგონი „brailly“ (სიმყიფე, სისუსტე) აქვს. მაჩაბელი, უბრალოდ, არ იცნობდა არარაობის მნიშვნელობას აღმოსავლური აზროვნებისთვის.

თეთრი ფერი კი ზემოთ სისპეტაკეს დაუუკავშირე. მე ზედმეტად მგრძნობიარე ვარ „ბიბლიური ცოდვის“ მიმართ და ყელში მარყუჟივით მიჭერს ცხოვრება; ის, რასაც „ადამიანურ სისუსტეებს“ ეძახიან და სწორედ რისთვისაც უყვართ ცხოვრება. ამიტომ ზომაზე მეტად ვეტრფი სისპეტაკეს. ეს განწმენდის წყურვილია და მხოლოდ ჯოჯოხეთში შეიძლება გაჩნდეს. რა ვქნა, ძალიან მიჭერს განვასხვავო ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთისგან.

იქნებ არის რაღაც სიბილნე ამ ზედმეტ სისპეტაკეში. ფროიდიც სულ მიანიშნებს ამაზე. ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება: „სისპეტაკეა, ო, ისეთი, ეტყობა, ახლოს მიმალულია ვერაგულად მოკლულის გვაში“.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ.**

— ყვავილი „დამნაშავე ბუნების“ ლამაზი ბოდვაა. ბუნებაში იმდენი ბოროტება თვლემს, რომ მის საპირწინედ ყვავი-

ლი გახდა საჭირო. ყველა იმისთვის რომ არა, ადამიანი სიყვარულს ვერ შესძლებდა. ისაა გრძობის მათობელი პროვოკატორი. ქართულში ორი სიტყვა „ყვავილი“ და „სიყვარული“ იქნებ ერთი ფუძიდანაც კი იყოს. რუსულში „ყვავილი“ „სინათლესთანა“ შეწყვილებული: „СВЕТ“, „ЛБЕТ“, „ЛБЕТОК“.

გაზაფხული ყვავილის რელიგიური გამოცხადებაა. ქალს ამ დროს რაღაც ღრმა საიდუმლოება აიტანს და უცნაურ გამოვლენებს იწყებს. მამაკაცს თვალზე ლიბრი გადაეფარება და ჭკუა უსუსტდება, ნებისყოფა უდუნდება. ემმასგან გათვალულ ნუთისოფელში ამ დროს დაბორილობს ჭკუანაკლები ღმერთი — ეროსი. ეს ცელქი, თავქარიანი ბიჭუნა უმისამართოდ იწყებს დანამულულ ისართა სროლას გაუხუნარ მშვილდიდან.

ყვავილების დედოფალი კი ვარდია — ეს ნამდვილი ქალღმერთი სპარსულ პოეზიის. ვეფხისტყაოსანშიც ის ყვავილების მეთაურია. ბედნიერი ვარ, რომ ბავშვობაში გაზაფხულის წვიმისგან სულ ლაპაღუპით დასველებულ ვარდისთვის მიყნოსია. ამაზე დიდი ბედნიერება ძნელი წარმოსადგენია. და არაფერი ისე არ გამოხატავს ნუთისოფლის უხანობას და მის ირაციონალურ ხვანჯს, როგორც ვარდის დაჭნობა და სიკვდილი. გვახსოვს გალაკტიონის პოეტური ნამოძახილი: „კვდომა ბუნების წესია, მაგრამ ჩემს გულში ასეა: ნუ კვდება, რაც უბრძნისია, ნუ კვდება, რაც ლამაზია“; ნამოძახილი, რაიც ასერიგად ეხმაურება უაილდის მთავარ იდეას „დორიან გრეის პორტრეტში“.

ირაციონალური ანუ აზრისთვის მიუწვდომელი აქ ისაა, რომ ვარდი თითქოს არ უნდა ჭკნებოდეს და რომ, ამავე დროს, არც მარადიულობა შეიძლება ვარდისა. ყველაფერი მშვენიერი აღრევე უნდა მოკვდეს. ვისაც ეს არ ესმის, მას არც არაფერი ესმის ნუთისოფლისა.

ოპტიმისტები და პესიმისტები ლაყბობენ ხოლმე ერთმანეთის წინააღმდეგ. მდგომარეობის მთელი სავალალოობა კი სხვა რამეა: ამ უბადრუკ და სვედავსილ ნუთისოფელზე უკეთესი თვით ღმერთმაც კი ვერაფერი გამოიგონა. ამის გასიგრძეგანებისას ნებისყოფა სრულიად დუნდება და სასონარკვეთილება გიპყრობს.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— საყვარელ მწერლებზე მოგახსენებდით. მწერალი ამ შეიძლება საყვარელი იყოს. დიდი მწერალი, პირიქით, ქაჯი და დემონია. ის ხომ ჭეშმარიტებას ხატავს. ეს კი ვერაფერიშვლი სიამონებაა. დიდი წიგნის კითხვა დაძაბულობისა და ალტაცების შეხვედრაა. ლიტერატურა ყველაზე ცუდი გასართობია. ის ამ საქმისთვის არ გამოდგება. ამიტომ კაცობრიობის ბევრად უმეტეს ნაწილს ლიტერატურა არ უყვარს. მას გართობა ურჩევნია.

ლიტერატურა ცხოვრების შემეცნებაა. სიტყვა „ცხოვრებაში“ ყველა ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, თავის ცხოვრებას გულსხმობს, რის გამოც ლიტერატურაში თავისი ცხოვრების საიდუმლოებათა ამოხსნას ეძებს. პირადად მე ამას ვხედავ კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და მოთხრობებში, ჩეხოვისა და ლევ ტოლსტოის ნაწარმოებებში, უაილდის ზღაპრებში, ჩინგიზ აითმათოვის დიდ მოთხრობებში...

ყველა დროის დიდ მოთხრობად და ერთგვარ ნიმუშადაც კი შეჩვენება ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მათა“. ასეთ მოთხრობას რომ დანერ, სრული უფლება გაქვს მოკვდე. თურმე, ორი ოლიმპიური ჩემპიონის მამას ბერძნებმა ალტაცებით შესძახეს: ამაზე მეტს მოკვდავმა რაღას უნდა მიაღწიოს, დროა მოკვდეო.

სიტყვამ მოიტანა და სიკვდილს დამსახურება უნდა. უმაქნისი და გარენარი უკვდავებით უნდა დაისაჯოს. მე დარწმუნებული ვარ: ხეპრეები სიკვდილის მერეც განაგრძობენ ცხოვრებას. რაღაც ამის მსგავსი ელანდება ჩეხოვის გმირს „პალატა 6“-დან, თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში.

**— თქვენი საყვარელი პოეტი.**

— პოეტის შესახებ კითხვაზე პასუხს შენიშვნით დავიწყებდი. ადამიანისთვის ასე თუ ისე მისანდომია მთელი მსოფლიოს ხელოვნება, ოღონდ არა პოეზია. ის ისეა მიღწერ-

სმული ენას, რომ სხვა ენაზე არ ითარგმნება. ამიტომ მე შემიძლია მხოლოდ ქართველი პოეტების შეფასება.

საოცარია, რომ პოეტების ქვეყანაში დიდი კონკურენცია იმთავითვე გამოირიცხა. ჩვენ გვყავს დიდი პოეტები, აგრეთვე რუსთველი და გალაკტიონი. ისინი ცალკე დგანან, რადგან სხვაგვარ სიზმრებს ხედავდნენ. მე მათი თანაფარდობა ასე მესმის: გალაკტიონი მეთორმეტე საუკუნეში რომ დაბადებულიყო, უთუოდ „ვეფხისტყაოსანს“ დანერდა. რუსთველს მეოცეში რომ ეცხვრა, „მესაფლავეს“, „გურიის მთებს“ და „ნიკონწმინდას“ შექმნიდა. ამას წყალი არ გაუფა. მათ დანერეს გენიოსის საკადრისი ლექსები და იცხოვრეს პოეტისთვის აუცილებელი ტრაგიკული ცხოვრებით. ქელივიძის პოპულისტური ლექსი კი „ქვაფენილზე შურდულივით დანარცხების“ შესახებ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს: პატარა ადამიანებმა დიდებზე არ უნდა წერონ!

უნდა ნაკვითხობთ პლატონი: პოეზია „დამიონ“-ის ბოდეაა და სიმშაგე ბობოქარი! კარგი პირობები საშუალო პოეტს სჭირდება. დიდი პოეტის უნივერსიტეტი კი მისივე ტანჯული ცხოვრებაა. გრანელი ცას მიეყინა. ლეონიძისა და რობაქიძის სიტყვა მინის მფშინავი მეტაფიზიკაა. გალაკტიონმა კი თავისი „რუსთველური“ ქნართ ცა და მინა დაამეგობრა.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა!**

— ომი ცხოვრების ბედისწერაა. ცხოვრების მთელი სისასტიკე და სიმწარე მასში ჩანს ყველაზე მკაფიოდ. დიდი ერები აქებენ მას, რადგან გადახდილი ომებისგან სიკეთე ახსოვთ. როცა ჩვენც დიდი ერი ვიყავით, ჩვენი რუსთველი ომის სურათებს ალტაცებით ხატავდა. ის ცხოვრების ყველა კუნჭულისთვის უზადოდ გახსნილი პოეტია, მაგრამ ომის თემა გამორჩევი უყვარს.

მე კი პირდაპირ უნდა გითხრათ: დამარცხებული ერის შვილი ვარ, რის გამოც ცუდად მესმის ომის სიკეთეები. ომი ბოროტების ყელყელოობა და ზეიშია. ამას ვერ ჩანდა ვეროპულ ხალხთა სიბრძნე. ბერძნული და გერმანული მითოსი მეომრების ქებათა ქებაა. ბარაქლა „დაო დე ძინსა“ და „მაჰაბ-ჰარატას“. აქ მეომარ მხარეებს ანაზად გონება გაუნათდება, ყურს არ ათხოვებენ საომარ დაფსა და ნალარას და შეწყვეტენ საომარ მოქმედებას. ვისაც თვითშემეცნების უნარი არა აქვს, მან უნდა იომოს. ხოლო ვინც ნამდვილი მტერი იხილა, ის მახვილს ქარქაშში ჩააგებს უთუოდ და თავის გულსა და გონებაში დავანებულ წყვილადს შეებრძოლება.

ომი კაცობრიობის შემეცნებითი კულტურის ნაკლებობაზე მეტყველებს. ამიტომ ის სისუსტედ და მანკიერებად უნდა ჩაითვალოს. ცხადია, არ უნდა დავგავინყდეს, რომ ომში სახალხო ენერჯია ჩანს. ომის კულტურა მხოლოდ ჯანსაღ ერსა აქვს. ძალა, რაიც ფეთქავს ომში, უთუოდ სიმპათიას იმსახურებს — სალამინშიც და გეგამელაზეც, ორლენთანაც და აუსტერლიცზეც, დიდგორზეც და ბოროდინთანაც. უძლურის მშვიდობისმოყვარეობას ძლიერის დაპყრობანი სჯობს, მაგრამ ორივეზე მაღლა ხალხის ენერჯული და მძლავრი თვითშემეცნება დგას. სახალხო ენერჯიის გარდაქმნა თვითცნობიერებად — აი კაცობრიობის იდეალი!

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— უნდა გითხრათ, რომ არ მიყვარს გმირი ქალები. ომი მამაკაცების საქმეა. ქალმა ომი უნდა გამოიწვიოს, როგორც მშვენიერმა ელენემ და ნესტან—დარეჯანმა ჰქნეს ეს. ქალის საომარი აქტივობა მამაკაცის ნახდენის ნიშანია. ერთი საიდუმლოც უნდა გაგიმხილოთ: მხედარი ქალი შიშის ზარსა სცემს მამაკაცებს. ამორძალები მუსრს ავლებდნენ მამრ მეომრებს, ხოლო ორლენელმა ქალწულმა კუდით ქვა ასროლინა ინგლისელ დამპყრობლებს და ფაქტობრივად, გადანყვითა ასწლიანი ომის ბედი.

ამის მიზეზი, ვგონებ, ნათელია: ქალი სხვაგვარად აზროვნებს, სხვაგვარად მოძრაობს და მამაკაცს არასოდეს არ ესმის მისი. იცით რა იყო დიდი მოჭადრაკის — მიხეილ ტალის მთელი საიდუმლოება? ის ქალურად თამაშობდა ჭადრაკს და მა-

მაცაცები ვერაფერს უგებდნენ. ქალები სწორედ ისე იომებენ, როგორც მიშა ტალი თამაშობდა ჭადრაკს.

ოჰ, მაპატიეთ, თქვენ, მგონი, ლიტერატურულ გმირებზე მეკითხებოდით. შეცდომაში შემყვანა სიტყვა „გმირმა“. ეს, თუ არ ვცდები, ბოლშევიკების დამკვიდრებული სიტყვაა. მათ არსებობა ტოტალურ ომად ესმოდათ და ყველგან გმირი ელანდებოდათ. ალბათ, სიტყვა „პერსონაჟი“ აჯობებს „გმირს“.

იცით რაა მწერლის ბენვის ხიდი? ქალის დახატვა! ქალი იზიდავს ფუნჯსა და კალამს, მაგრამ ბოლოს გაურბის ერთსაც და მეორესაც. ის მოუხელთებელი ირაციონალი რიცხვია მათემატიკის. დიდი მწერლები ისინია, ვინც ქალი დახატეს კარგად. დაუფინყარია ეს სახეები: ანა კარენინა, თავადის ქალი მაია, შორენა კოლონკელიძე, ოფელია და შეუდარებელი ქალბატონი ზოვარი!

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— რეალური ცხოვრების გმირები ლიტერატურული გმირების სუსტი ანარეკლებია. გმირი, თითქმის ყოველთვის, ნახევრად სინამდვილეა, ნახევრად ლეგენდა. ცხოვრებაში გმირების ძებნა უგემოვნობად მიმაჩნია, უხამსი ფანტაზიის ნიშნადაც კი. აქ ისტორიის ფილოსოფიის ერთი მანკიერი წრე იკვრება. გმირი მაშინღა გამოჩნდება, როცა მოკვდება, კარგა ხანი გავა, წყალნი წავლენ და წამოვლენ... მაგრამ, მეორე მხრივ, დრო დეტალებს წაშლის და რეალობას ლეგენდა მიეკვრება ზედ.

ასეა, გმირი სანახევროდ ფანტაზიის ნაყოფია. რეალური ცხოვრება მხოლოდ შავ მასალას იძლევა მის შესათხზავად. ამიტომ მთელი გმირის ძიება რეალურ ცხოვრებაში მხატვრული გემოვნების ნაკლებობაზე მიუთითებს.

— **საყვარელი სახელები?**

სახელი ადამიანის ბედისწერაა. სახელის შერქმევა მითთა ჟამიდან მომდინარეობს და სიტყვათა მაგიას უკავშირდება. ფიქრობდნენ, რომ სახელს გავლენა ექნებოდა ადამიანზე. ამიტომ პოეტებივით იგონებდნენ კარგ სახელებს. ქალებისთვის ლამაზ საგანთა, კაცებისთვის კი ძლიერ არსებათა სახელებს. აქედან — თინათინ, იამზე, ირმა... მეორე მხრივ — ვეფხვია, დათა, მგელიკა. ქართველს როგორღაც ლომი არ შეუწუხებია. სამაგიეროდ, სხვა ხალხებს ბლომად ჰყავთ ლომები: ლეონიდე, ლეონე, ლეე, ლეონტი, ასად... ეს ხშირად კომიკურ სახეს იღებს. ქალები უფრო ამართლებენ თავიანთ სახელებს, ვიდრე კაცები. ქალის მთავარი ღირსება, სილამაზე, უფრო ხშირია და სახელიც მეტ-ნაკლებად გამართლებული ჩანს. სამაგიეროდ, მამაკაცის ღირსება, სიძლიერე, უფრო იშვიათია და სახელიც უფრო ხშირად შეუფერებელი.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— რას ვერ ვიტან? მე ცუდად ვიტან სიცხეს, თუმცა სიცხე ზოგჯერ იწვევს ფანტაზიის სიჭარბეს და მძლავრ რელიგიურ განწყობას. ნუ დაგავინყდებით, რომ ყველა დიდი რელიგია აზიის სიციხეში წარმოიშვა — იუდაიზმიც და ქრისტიანობაც, ზოროასტრელობაც და მანიქეველობაც, ბუდაელობაც და ისლამიც, კიდევ ბევრი სხვა. სიცხე ცეცხლის სიჭარბეა, ამიტომ მისი განსაკუთრებით ეშინიათ შინაგანი ცეცხლით გზნებულ ადამიანებს.

ხოლო თუ თქვენ ადამიანის თვისებებზე მეკითხებით, მაშინ ჩემი პასუხი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი და უსიამოვნო იქნება: მთელი ცხოვრება, თან ყველა დროსა, იმაში გვარწმუნებს, რომ ადამიანები ძნელად იტანენ ერთმანეთს; ბევრად უფრო ძნელად, ვიდრე გვგონია ხოლმე. ამის მიზეზებზე აქ ვერ შევეყოვნებ. მე მხოლოდ ფაქტს მოგახსენებთ.

ფილოსოფოსს კი ყველაზე ნაკლებად აქვს უფლება ვერ იტანდეს რამეს ან ვინმეს. დაუფიქრდეთ: ადამიანი მგრძობიარე არსება უფროა, ვიდრე მოაზროვნე. ამიტომ მოაზროვნე არსება, ფილოსოფოსი ადამიანზე მაღლა დგას, ზეადამიანია. ის კი არ აფასებს, არამედ შეიმეცნებს. ადამიანები ფიქრობენ: ეს უნდა იყოს, ის — არა. ფილოსოფოსი ფიქრობს: რაც არის, ის უნდა იყოს კიდევ. ამას ჰქვია amor fati, ბედისწერის სიყვარული, რაც ფილოსოფოსს სჭირს.

წარმოგიდგენიათ, რომ სოკრატე რამეს ან ვინმეს ვერ იტანდეს? ფილოსოფოსი კი არ იძულებს, არამედ შეიმეცნებს. „ნურც სწუხარ, ნურც გიხარია, მხოლოდ შეიცანი!“ — ამბობს ბარუხ სპინოზა. შემეცნება კი შემეცნებულის გამართლებაა.

მაგრამ აზროვნება აქაც, ისევე როგორც სამყაროს ნებისმიერ წერტილზე, მანკიერ წრეში ექცევა. დავაკვირდეთ: თუ აუტანელი არ არსებობს, მაშინ სიკეთეს ბოროტებისგან ვერ განვასხვავებთ და შეიძლება ყველაფერი ერთნაირად აუტანელი მოგვეჩვენოს. ასე რომ, ფილოსოფოსი ვერ იტანს ბევრ რამეს და ეს, უპირველეს ყოვლისა, მიზოლოგიაა, აზროვნების სიძულვილია. ფილოსოფოსი ვერ იტანს აზრისადმი სიძულვილს, უაზრობას. არადა სიცოცხლე სწორედ ესაა.

საქმე აქ ძალიან რთულადაა. თუ აზროვნება არ შეიძლება, სიცოცხლეს ვერ შეიყვარებ. ასეა, რადგან აზროვნება სიცოცხლის სისასტიკესა და უსამართლობაში, აგრეთვე უაზრობაში გარწმუნებს. ამით აზროვნებას სიცოცხლის უარყოფამდე მივყავართ. მოაზროვნის განცვიფრებას სწორედ ეს კანონზომიერება იწვევს. ქვეყნიერება ისეთი აბურღული კვანძია, რომ ცნობიერების გაჩენა აქ სრულიად, სრულიად ზედმეტი ჩანს. მას აზრსა და გამართლებას ვერ მოუძებნი. ამას გამოთქვამს ვაჟა—ფშაველას კითხვა: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმად?“ ასევე მისი ლექსი „იას უთხარით, ტურფასა“ და, საერთოდ, მთელი მისი შემოქმედება.

იგივე უსაშველობა გამოსჭვივის ილიას „გლახის ნაამბობიდან“, „ოთარანთ ქერივიდან“, „განდევლიდან“, „აჩრდილიდან“... ფილოსოფოსისთვის აუტანელია ეს მდგომარეობა; კერძოდ კი — ამასთან მწერული შეგუება ანუ აზროვნების გამორიცხვა, მიზოლოგია. ის წონასწორობიდან გამოჰყავს ადამიანთა მწერულ ბზუილს, ამაოებისადმი უგრძობლობას, იდიოტურ ენერგიულობას ანუ იმას, რასაც ადამიანთა ცხოვრება ჰქვია.

საკვირველია: ადამიანი ისე ცხოვრობს, თითქოს ცნობიერება არ გააჩნდეს. უაზრო ჟივილ—ხივილი, აშკარა პირობითობათა გამოცხადება სინამდვილედ, სიკვდილისჯილთა საკანში იმის მოხერხება, რომ სიკვდილი ვერ შეამჩნიო, მოაზროვნე არსებათა უცნაური შეთქმულება გონიერების წინააღმდეგ — ყოველივე ეს ჯერ აცვიფრებს ფილოსოფოსს, მერე კი ზიზლს ჰვერის ადამიანთა მოდგმის მიმართ. ბოლოს ის ტოვებს ადამიანთა ამ საცხოვრისს, ვოლტერის თქმისა არ იყოს, ისეთსავე სულელურს, როგორც დახვდა და, ომარ ხაიამის თქმისა არ იყოს, ისეთივე უმეცარი ტოვებს მას, როგორც შემოვიდა შიგ.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?**

— ისტორიულ პიროვნებაში მაინც უფრო ხელისუფალნი და მხედართმთავარნი იგულისხმებიან, არა? ესე იგი, ადამიანები, ვის ხელშიც დიდი ძალაუფლება იყოს თავს — დიქტატორები.

ადამიანი, მთელი თავისი ფსიქოფიზიკური ორგანიზაციით, დიდი ძალაუფლების სატარებლად არაა შექმნილი. ის იმთავითვე საზოგადოების ნევრია და, მაშასადამე, დადგენილ წესებსა და ნორმებს ემორჩილება. ადამიანის ზნეობრივი ცნობიერება, როგორც ჩანს, ამ წყაროდან იქმნება და, მაშასადამე, მისი ძალაუფლების სიმცირეს უკავშირდება. დააკვირდით, საკმარისია ძალაუფლება დაკარგოს ან გაუჭირდეს და ადამიანი ადამიანს ემსგავსება. ხოლო თუ შენიშნეთ, რომ თქვენი ნაცნობი საძაგელი ვახდა, ის ალბათ დაანინაურეს.

როცა ადამიანის ძალაუფლება არანორმალურად იზრდება, მისი ზნეობრივი ცნობიერება სუსტდება და ალბათ ქრება. ბერძნული გემოვნებით რომ ვთქვათ, მოკვდავი ადამიანი თითქმის უკვდავ ღმერთებს უტოლდება და, მაშასადამე, მოკვდავთა მიმართ თანაგრძნობის საფუძველი, უბრალოდ, აღარ არსებობს. მართლაც, როგორ შეიძლება თანაუგრძნობდე იმას, ვისთანაც აღარაფერი გაქვს საერთო?

დიქტატორს, პირიქით, უნდა სძულდეს ადამიანები მათდამი შურის და შიშის გამო. მას შურს ადამიანების ჩვეულებრივი, გაჭირვებებით სავსე ცხოვრება, რადგან ასეთი ცხოვრება ადამი-

ანურია. მას ეშინია ადამიანებისა, რადგან მისი უკიდევანო ძალაუფლება მათგან მიტაცებულ მცირე ძალაუფლებათა ჯამია.

თუ დიქტატორის ხასიათში შეკავება (ნებისყოფა) სჭარბობს აგზნებას (მგრძობიარობას), მაშინ ის ეგუება „ძალაუფლების დისკომფორტს“, თავის ზეადამიანურ მდგომარეობას და ცივად ემორჩილება სამართლისა და ზნეობის კანონებს. ასეთი დიქტატორებია: ოქტავიანე ავგუსტუსი, დავით აღმაშენებელი, პეტრე დიდი, სტალინი...

ხოლო თუ დიქტატორის ხასიათში აგზნება სჭარბობს შეკავებას, მაშინ მას ვერაფერი იხსნის შიშისა და შურის შემოტევისგან. შედეგად ისინი უბედურების ქარბორბალას დაატრიალებენ. ასეთი დიქტატორებია: კალიგულა, ნერონი, ივან გროზნი, ჰიტლერი.

თუ მართალია, რასაც გაიუს სვეტონიუს ტრანკვილიუსი წერს ნერონის გამო, მაშინ მასზე უფრო სამსუსხარო შემთხვევა ძნელი წარმოსადგენია.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ.**

— მე ძალიან ცუდი წარმოდგენისა ვარ რეფორმებზე. ოდნავაც არ ვაჭარბებ: ისტორია რეფორმატორთა გამოა ასე საცაგელი და კომპარული, თუმცა ისტორიას სწორედ რეფორმატორები ქმნიან.

რეფორმა იმისთვის კი არ ტარდება, რომ ცხოვრება უკეთესი გახდეს. რეფორმა იმისთვის ტარდება, რომ ადამიანებმა არ მოიწყინონ ერთისა და იმავეს განმეორებისგან. რეფორმატორი იგივეა, რაც „ამრევი“ — ქართული სუფრის ინსტიტუტში. ის დამკვიდრებულის საწინააღმდეგე ამბობს და ეს გამოცოცხლებას იწვევს. ცხოვრება არასოდეს „არ ვარგა“, რითაც მარჯვედ სარგებლობს რეფორმატორი. ხალხს სურს ცუდის შეცვლა კარგით, რის გამოც აპყვება ცვლილების მოთავეს. ბოლოს კი მიიღება ცუდის შეცვლა ცუდით, ოღონდ — დიდი მსხვერპლის ფასად. ამიტომ უნდა დავაზუსტოთ — ცუდი იცვლება ოდნავ უარესით.

მწარედ იხუმრეს ფრანგებმა ბურბონების დინასტიის აღდგენის შემდეგ: რამდენი რამ უნდა შეიცვალოს, რომ ყველაფერი იგივე დარჩეს.

უფრო ადრე, ძველ მსოფლიოში, საოცარი რამ მოხდა სირაკუსელი ტირანის — დიონისოს კარზე. ტირანი მთელ სირაკუსას სძულდა, რითაც თვითონ ტირანი, როგორც ჭეშმარიტი დიქტატორს შეეფერება, ტკებოდა. მისი პრინციპი გასაგებია: „გძულდეთ, ოღონდ ემინოდეთ!“ მსტორებმა ამბავი მოუტანეს: ყველას სძულხარ, მხოლოდ ერთი გადაღრმეებული დედაბერი გლოცავსო ნიადავ. გაკვირვებულმა ტირანმა დედაბერი მაშინვე მოაყვანინა და მიზეზი ჰკითხა. საოცარი რამ მიუგო დედაბერმა პასუხად: ასი წლის ქალი ვარო; უამრავი ტირანი გამოვიცვალე და ყოველი შემდგომი წინარეუბი არეის იყოო; შენზე უარესი კი არაა უნდა იყოს, შვილოო. ამიტომ ღმერთებსა ვთხოვ შენი თავი დიდხანს გვიცოცხლოსო.

იცით, რატომ იყო ყოველი შემდგომი წინაზე უარესი? იმიტომ რომ ყოველი ახალი ტირანი რეფორმით იწყებდა, ეს კი სუფთა ზარალია. უქმობის მქადაგებელმა ბრძენმა ლაო—ძიმ ამიტომ აუნია ყური რეფორმატორ ახალგაზრდა კონფუციუსს: თუ გინდა ცხოვრება უკეთესი გახდეს, ნუ ჩაერევი, ნუ ბორგავ, დამშვიდდო.

აბა იანგარიშეთ: ბოლო ოცდახუთ წელინადმი რამდენ უბედურებას ავცდებოდით, რეფორმატორებს რომ არ ეხვანცალათ! ეტყობა, ცხოვრება მოსაწყენია ფრიად და ადამიანს ცუდად შრომა ურჩევნია ცუდად ჯდომას.

რეფორმების ხანაში გეცხოვროსო, ასე იწყებებიან თურმე ჩინელები.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ.**

— მე, სამწუხაროდ, არაფრის ნიჭი არ მაქვს. ამიტომ ყოველნაირ ნიჭს მადლიერების გრძობით მივიღებდი. ხშირად ვნატრობ ხოლმე მწერლურ ნიჭს. ვოცნებობ მოთხრობის დაწერაზე, მაგრამ სიუჟეტის გამლას ვერ ვებედავ.

ბარონ მიუნჰაუზენი იყო მწერალი — თვალს მოჭუტავდა და სიუჟეტი მზად იყო. მას შეთხზული ამბავი უფრო ეჩვენებოდა რეალობად, ვიდრე ის, რასაც რეალობა ჰქვია ხოლმე. აი ამ ნაცარქეჩულ ფანტაზიას ვინატრებდი. დაწერდი მოთხრობას, რომელშიც ნათლად ჩანს ადამიანის ცხოვრების მთელი გაუგებრობა.

**— როგორ გინდათ, რომ გარდაიცვალოთ?**

— ჩვენ ვაქებთ ხოლმე ქართულ სიტყვა „გარდაცვალება“. მე კი მგონია, რომ საქმის ნამდვილ ვითარებას სიტყვა „სიკვდილი“ უფრო გამოხატავს. „გარდაცვალება“ სიკვდილის უარყოფაა. ადამიანის ცხოვრებას კი ისე ძლიერად ატყვია სიკვდილის დაღი, რომ სიკვდილის უარყოფა აშკარა ფაქტზე თვალის დახუჭვაა და ადამიანის ღირსებაზე არ მეტყველებს.

ნებისმიერი გმირობა, ვაჟკაცობა, ნამუსიანი ქცევა, საერთოდ, ზნეობა შეუძლებელი იქნებოდა სიკვდილის გარეშე. ამიტომ ამბობდა ვაჟა-ფშაველა: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შენობს შენითა“. ადამიანად ყოფნა მე ტრაგიკულ დრამად მიმაჩნია. ამ ტრაგედიის შუაგული კი სიკვდილია, სხვა არაფერი.

სიკვდილის უარყოფა სიცოცხლის უძლეველი ინსტიქტიდან მომდინარეობს და არა გონებიდან, სიბრძინიდან. ბევრი ხალხის ზებირსიტყვიერებასა და მითოსში ადამიანის შემოქმედებით გენია ღალადებს, რომ სიკვდილის უარყოფელი ბოლოს სიკვდილის აუცილებლობაში რწმუნდება. ჩვენ სიკვდილი არ გვსურს იმიტომ, რომ სიცოცხლე ვერ მოვახერხებთ. ადამიანის უძველესი და მოუგვარებელი პრობლემა სიცოცხლეა და არა სიკვდილი.

სიკვდილი ცხოვრების უდიდესი საიდუმლოებაა. ესაა ცხოვრების ერთადერთი სასწაული. „სასწაული მოგელის შენ, ტერენტე გრანელი!“ — ო, რომ ამბობდა ჩვენი პოეტი, სწორედ სიკვდილს გულისხმობდა. სხვა ყველაფერი, მასთან შედარებით, უფერული და მოსაწყენია.

დიდი მეცნიერი ივან პავლოვი თურმე კვებოდა. მოახსენეს, შორიდან ჩამოსულ მნახველებს სურთ შემოსვლაო. დიდმა მეცნიერმა ბრძნული პასუხი შეუთვალა: „აკადემიკოს პავლოვს აღარ სცალია, ის კვდება!“

პასუხის სიღრმე ისაა, რომ დიდი მეცნიერის ცხოვრებაში დადგა მართლაც სერიოზული საკითხი და სხვა ყველაფერმა მნიშვნელობა დაკარგა; დაახლოებით ისე, როგორც მოჭიატე სანთელი ჰკარგავს მნიშვნელობას ზაფხულის მზით გავსებულ შუადღეში.

ზოგს სიკვდილი ურჩევნია სიცოცხლეს, მაგრამ ავიწყდება, რომ აქაც უსიამოვნო სიურპრიზი ელოდება — სიკვდილის დადგომა ერთობ მტკივნეული პროცესია. თითქოს რაღა უნდა იყოს მანქანის დაჯახებით ან ტყვიისგან სიკვდილზე უფრო მისიერი? ვაი, რომ აქაც ბევრად უფრო რთულადაა საქმე. მართალია, მძლავრი დარტყმისას, ტყვიის მოხვედრისას და ასე შემდეგ ადამიანი ტკივლს ვერ გრძნობს; უფრო ზუსტად, ტკივილის განცდას ვერც კი ასრებს, მაგრამ ამას თან ახლავს მოულოდნელი უცნაურობა. ამ დროს გარედან გაზომილი დრო ორიოდე წამია, მაგრამ შინაგანი დრო თურმე დიდხანს გრძელდება. თურმე ადამიანი გრძნობს არა ერთ, არამედ რამდენიმე დარტყმას, გულისრევას ამ დარტყმებისგან და ბედის სიმუხტლეს, თითქოს კინალამ გადარჩა, ბოლო დარტყმა რომ არა!.. აი, რა მისტიფიკაციებს თხზავს ტვინი წამის უმაღლ.

იულოუს კეისარს უთქვამს: სიცოცხლე არ ვიცი, სიკვდილი კი შეცარი სჯობსო. მაგრამ უცვარი სიკვდილიც კი თურმე არც ისე შეცარია. სიკვდილი ზუსტად იმდენივე ხანი გრძელდება, რამდენიც — სიცოცხლე.

ჩემი პასუხი ასეთია: ვინატრებდი ისეთ სიკვდილს, რის მეტეც არანაირი სიცოცხლე აღარ იქნებოდა. უსასრულო სიცოცხლე ანუ „მკვდარი უკვდავება“ ხალხის ფართო მასებისთვის დამითმია. კონკრეტულად კი ვინატრებდი ევთანაზიას — სიბერისგან სიკვდილს, რასაც ქართულად ძილში გაპარვა ჰქვია და რაც ასე იშვიათია. დიას, დიდი იშვიათობაა ეს, რადგან ბედნიერება საერთოდაა იშვიათი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად.

— მე ყოველთვის მხნედ ვარ; მაგრამ გამჭრიახი მხატვრის თვალის ყოველთვის ამოიკითხავს ჩემი სახიდან ღრმა დაღლილობას. ეს დაღლილობა არც სიბერის მოახლოებისგანაა და არც ცხოვრების სიმწრისგან. ეს არის დაღლილობა ადამიანად ყოფნის გამო, რაც ყველა ასაკში მეტყობოდა.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— მე კარგად არ მესმის, რას ნიშნავს შეწყნარება, პატიება. პატიება შეუძლია ღმერთს, მეფეს, ხელისუფლებას — მათ, ვის ხელშიცაა ადამიანის ბედი. მე კი ასეთი ძალაუფლება არ გამაჩნია. ამიტომ ჩემთვის შეწყნარება, პატიება არავის უთხოვია. ასეთ კითხვას კი მხოლოდ გამოცდილებიდან უნდა უპასუხო და არა ფანტაზიიდან. მე პირადად შემძილია პატიებაზე მეტი — ვაგება!

მე არ ვამბობ ფილოსოფოს ჟან-პოლ სარტრით, რომ ადამიანს შეეძლო სხვაგვარად მოქცევა და, მაშასადამე, პასუხი უნდა აგოს. უფრო არტურ შოპენჰაუერს ვემხრობი, ვინც ყოველ მოცემულ მომენტში მხოლოდ ერთ შესაძლებლობას სცნობდა. სარტრი, ეტყობა, სასტიკი განმკითხავი იყო ადამიანისა, შოპენჰაუერს კი ებრალებოდა ადამიანი. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ფრანგი ფილოსოფოსი მეტი წარმოდგენისა იყო ადამიანზე, ვიდრე გერმანელი.

მე მგონია, რომ ადამიანის ნება არაა თავისუფალი. მას შეუძლია მხოლოდ ისე მოიქცეს, როგორც იქცევა, და არა ისე, როგორც „უნდა იქცეოდეს“. ჩვენი ცხოვრება ჩვენს ხელში არაა.

— თქვენი დევიზი?

ნინო საბაშვილი

# ქართული ხელოვნება საზღვრებს გარეთ

ერთ-ერთი მასშტაბური საერთაშორისო კინოფორუმი „ზოლოტოი ვიტიაზი“ რომლის დამფუძნებელი და პრეზიდენტი რუსეთის სახალხო არტისტი, ცნობილი რუსი მსახიობი ნიკოლაი ბურლაევი, თავის შემოქმედებით საქმიანობას 1992 წლიდან იწყებს. მოგვიანებით ფესტივალი აერთიანებს ხელოვნების ყველა დარგს: თეატრი, მუსიკა, ლიტერატურა, გამომსახველობითი ხელოვნება. ფესტივალი მიმდინარეობს დევიზით „ზნეობრივი ქრისტიანული იდეალებისა და ადამიანის სულიერების ამაღლებისათვის“. „ზოლოტოი ვიტიაზის“ მასშტაბები ყოველ წელს იზრდება. წარმომადგენლობა მსოფლიოს 35-მდე ქვეყანაში აქვს. საქართველოში ფესტივალის წარმომადგენლობა, რომლის ხელმძღვანელიც კინომცოდნე დალი ოქროპირიძეა, 2005 წელს გაიხსნა და დღემდე აქტიურ მოღვაწეობას ეწევა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. რუსეთში 2013 წლის 28 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა მოსკოვის საერთაშორისო კინოფორუმ „ზოლოტოი ვიტიაზის“ IV სლავიანური ხელოვნების ფორუმი და XI საერთაშორისო თეატრალური ფორუმი.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით შევხვდი მოსკოვის საერთაშორისო კინოფორუმ „ზოლოტოი ვიტიაზის“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს დალი ოქროპირიძეს.

— რამ განაპირობა „ზოლოტოი ვიტიაზის“ წარმომადგენლობის გახსნა საქართველოში და როგორ გაიცანით ნიკოლაი ბურლაევი?

— სადიპლომო ნაშრომმა, რომელიც ბულგარელ მსახიობს ნევენა კოკანოვას შემოქმედებას ეძღვნებოდა, განაპირობა ბულგარეთში ჩემი გამგზავრება და სტაჟირობა კინოაკადემიაში, სადაც პროფესორ მარგარეტ ნიკოლოვის შე-

— ჩემს დევიზად რჩება სოკრატეს სიტყვები, რაც გამოცხადებასავით აღვიქვი სტუდენტობის წლებში: „შეიცან თავი შენი!“ ჩემს მეგობარ ფილოსოფოსს, ნაპო კვარაცხელიას, გულისტკივლით ეღიმიება ამ სიტყვებზე; იცრუა იმ ბებერმაცო, იტყვის. არც შიგნით ყრია რამე, თორემ ადამიანს, სულ გარეთ რომ აგდია, ვინ შეასწრებდა შიგო, ფიქრობს.

გასაგებია, რასაც უპასუხებდა უცნაური ბერძენი — შიგნით რომ არ იხედება, იმიტომაც აგდია გარეთო.

ერთი სიტყვით: ეს რწმენის საკითხია და არა თეორიისა. სოკრატე იმედს არ ჰკარგავს, ჩემს მეგობარს კი ჭეშმარიტება ურჩევნია იმედს. არცაა გამორიცხული, რომ ჭეშმარიტება ყველაზე საიმედო იყოს და ორივე მოკამათე მორიდდეს. ადამიანმა ყველა ილუზია გამოსცადა ღუზის ჩასაშვებად. მხოლოდ ჭეშმარიტებას არ ეკარება სათოფეზე და იქ არ დაისადგურებს.

მე მწამს: ვინც საკუთარ თავს შეიმეცნებს, ის სხვა პიროვნებად გადაიქცევა — ღირსეულ პიროვნებად. ოღონდ ერთი პატარა პრობლემაა: ამისათვის ადამიანმა უნდა ასწიოს ქვა, რაზეც... თვითონ დგას!

თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

ვისურვებდი, რომ ღმერთმა მიპასუხოს კითხვაზე: „რა საჭირო იყო ცნობიერი არსების გაჩენა ამ იაღლიშიან წუთისოფელში?“ ცხოვრებაშიც და ყველა დიდ წიგნშიც ამ კითხვის პასუხს ვეძებ. ღმერთისგანაც ამ კითხვის პასუხს მოვისმენდი.

დარწმუნებული ვარ: პასუხად ის „მთვარის სონატას“ ან „ბოლეროს“ მომასმენინებდა. გამგებმა გაიგოსო, დასძენდა.

მოქმედებითი ტრადიციებით მიდიარ ოჯახში შევხვდი გამოჩენილ რუს მსახიობს ნიკოლაი ბურლაევს. ამ დღიდან დავუშეგებდი დიდ მსახიობს. 2005 წელს თბილისში ჩავატარე ანდრეი ტარკოვსკის შემოქმედებითი საღამო, მასში მონაწილეობის მიღება ვთხოვე ნიკოლაი ბურლაევს. მსახიობი სიამოვნებით დათანხმდა ჩემს მოწვევას და ერთი დღით ჩამოფრინდა მეუღლესთან, მსახიობ ინგა შატოვასთან ერთად. სწორედ ამ საღამომ დაუდო დასაბამი „ზოლოტოი ვიტიაზის“ წარმომადგენლობის გახსნას საქართველოში.

— წარმომადგენლობა, როგორც ცნობილია, დღემდე აქტიურ მოღვაწეობას აგრძელებს და ქართულ კულტურას პოპულარიზებას უწევს საზღვარგარეთ.

— საქართველოს წარმომადგენლობამ თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ფესტივალი ჩაატარა, როგორც თბილისში, ასევე რუსეთის სხვადასხვა ქალაქში (ცნობილ ქართველ და რუს მსახიობთა მონაწილეობით: რეზო ჩხეიძე, სოფიკო ჭიაურელი, ნიკოლოზ ბურლიაევი, ვლადიმერ მენშოვი, ლარისა გალუბკინა, ლიდია ფედოსეევა შუკშინა, ალექსანდრ პანკრატოვ-ჩორნი, ბაადურ ნულაძე, ელდარ შენგელაია, ზურაბ ყიფშიძე, ცნობილი ანსამბლი „თბილისი“ და სხვა. ფესტივალის ფარგლებში რუსეთში მოეწყო ცნობილი ქართველი მხატვრის რუსუდან ფეტვიანაშვილის გამოფენა, ასევე ფოტოხელოვან იური მეჩითოვის ქართული კინოს ისტორიის ამსახველი ფოტოგამოფენა.

ჩვენი მუდმივი პარტნიორებია — სასტუმრო „თბილისი მარიოტის“, ავიკომპანია „აირზენას“, კინოთეატრ „ამირანის“, ბიზნესმენ თეიმურაზ შელეგეას ფინანსური მხარდაჭერით 2013 წლის 23-26 სექტემბერში კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა III საერთაშორისო კინოფესტივალი „ზოლოტოი ვიტიაზი“ თბილისში, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის სახალხო არტისტები: ნიკოლაი ბურლაევი, სერგეი ბეზრუკოვი, მარია შუკშინა, მარია ბურლიაევა, და მათთან ერთად რეზო ჩხეიძე, ბაადურ ნულაძე, ელდარ შენგელაია და ანსამბლი „თბილისი“.



დალი ოქროპირიძე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ნიკოლოზ ბურლია-ევის საღამო და მისი შემოქმედების ამსახველი სამტომეულის პრეზენტაცია. წიგნის წარდგენისას ცნობილ რუს მსახიობებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ უნიჭიერესი მხატვრის რუსუდან ფესტივაშვილის ნამუშევართა გამოფენას. სამი დღის მანძილზე თბილისის მაცურებელს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა იმ მსახიობებს და ეხილათ ის ფილმები, რომლებიც თავისი ღირებულებით მსოფლიო კინემატოგრაფიის საგანძურშია შესული.

ფესტივალის მონაწილე მსახიობებზე, ქართველ მაცურებელთან შეხვედრასთან ერთად, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II შეხვედრამ, რისთვისაც ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებს.

ასევე დიდ მადლობას ვუხდით ტელეკომპანია „იმედს“, ჟურნალ „რუსკი კლუბს“, მეღვინეობა „ხარებას“ და მასმედიის ყველა იმ წარმომადგენელს, რომელთა მხარდაჭერასაც მუდმივად ვგრძნობთ.

— რუსეთში 2013 წლის 28 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა მოსკოვის საერთაშორისო კინოფორუმ „ზოლოტოი ვიტიაზის“ IV სლავიანური ხელოვნების ფორუმი და XI საერთაშორისო თეატრალური ფორუმი, სადაც ქართველებიც მონაწილეობდნენ, რა შედეგებით დაბრუნდით?

— სულ ახლახან, ქალაქ სუზდალში 26-28 ნოემბერს გაიმართა IV სლავიანური ლიტერატურული ხელოვნების ფორუმი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ მწერლები სხვადასხვა ქვეყნიდან. სიახლოვებით მინდა აღვნიშნო, რომ ნომინაციაში „დიდი პროზა“ ვერცხლის „ზოლოტოი ვიტიაზის“ მფლობელი გახდა ნიჭიერი მწერალი ზარიანა ჩეხოტარი, რომელიც თბილისში ცხოვრობს

და აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. ჟიურის თავმჯდომარე იყო ცნობილი რუსი მწერალი ვალენტინ რასპუტინი და სხვადასხვა ცნობილი კრიტიკოსები.

ხოლო 28 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა 11-ე საერთაშორისო თეატრალური ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი თეატრალური დასები მოსკოვიდან, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან, სერბეთიდან, ბულგარეთიდან და საქართველოდან.

6 დეკემბერს ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი, ლეე ტოლსტოის ნაწარმოების მიხედვით ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლით „ფეხმარდი. ცხენის ამბავი“ XI საერთაშორისო თეატრალური ფორუმის „ოქროს რაინდი“ გრანპრიტ დაჯილდოვდა. რუს მაცურებელს შესაძლებლობა რომ მიეცა ეხილა ეს ბრწყინვალე სპექტაკლი, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის თეატრის დირექტორს ნიკოლაი სვენტიცკის. სპექტაკლი ანშლაგით მიმდინარეობდა, აღფრთოვანებას ვერ მალავდა, როგორც მაცურებელი, ასევე ჟიურის ყველა წევრი.

სპექტაკლი ნაჩვენები იყო ოსტროვსკის სახელობის მოსკოვის საგუბერნიო დრამატულ თეატრში. თეატრალური ფორუმის ჟიურის წევრები იყვნენ: ვლადიმერ ფედოსევი, ვლადიმერ ვასილიევი, ჟურნალ „თეატრალური ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი, კრიტიკოსი ოლეგ პივავაროვი და სხვ.

დიდი მოწონება დაიმსახურა მთლიანად, როგორც სპექტაკლის რეჟისურამ, ასევე მხატვრობამ, მუსიკალურმა გაფორმებამ, მსახიობებმა და მთავარი როლის — ხოლსტამერის — შემსრულებელმა ვალერი ხარიუტჩენკომ. როგორც ჟიურის ერთ-ერთ წევრს სიხარულით ამეცსო გული, როდესაც ჟიურიმ ერთხმად აღიარა გრიბოედოვის თეატრის ბრწყინვალე გამარჯვება.

ფესტივალის პრეზიდენტი ნიკოლაი ბურლიაევი ოდითგანვე საოცრად კეთილგანწყობილი იყო როგორც საქართველოს, ასევე მისი კულტურისადმი და ყოველთვის დიდ პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავდა. მან ცნობილ ქართველ მსახიობს ზურაბ ყიფშიძეს 60 წლისთავთან დაკავშირებით გადასცა „ზოლოტოი ვიტიაზის“ ოქროს დიპლომი.

სასიამოვნო იყო ჩემთვის ის მოვლენაც, როდესაც ნიკოლაი ბურლიაევმა და სხვა ცნობილმა რუსმა ხელოვანებმა ქართული კინოს პატრიარქს რეზო ჩხეიძეს მიულოცეს დაბადების 86 წლისთავი.

— ახალ წელს რა სიახლეები გაქვთ საზოგადოებისთვის, როგორც ვიცი, რეგიონებშიც აპირებთ შემოქმედებითი საღამოების და ღონისძიებების გამართვას.

— 2014 წელს პირველი შემოქმედებითი საღამოს გამართვისთვის მზადება უკვე დაწყებულია, მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმესთან ურთიერთობამ დასაბამი დაუდო ბორჯომში ცნობილი ხელოვანის შემოქმედებითი საღამოს ჩატარებას, რომელსაც, ვფიქრობ, ერთ-ერთი ბიზნესმენის ფინანსური და ბორჯომის მინიციპალიტეტის მხარდაჭერით უახლოეს მომავალში განვახორციელებთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბორჯომის მუნიციპალიტეტი და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობა ყოველთვის მხარში უდგანან კულტურის სფეროში დადებითი პროცესების წარმართვას.

სამშაბათს, 20 მაისს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
შეხვედრა  
**ფოლკლორულ  
ანსამბლთან**  
**„სნო“**  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის 41

მერაბ გეგია

# მელპომენას მსახური

(მონოდრამა)

მეზობელი კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო...  
ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან

მოქმედი პირნი:

**მსახიობი** — ტყვედჩავარდნილი მამაკაცი, შუახნის.

**ხმა** (რეპროდუქტორიდან) — სპექტამსახურის აგენტი, ასევე შუახნის.

მოქმედება ვითარდება სამხედრო ტყვეებისთვის განკუთვნილ საკანში. ჩვენი დრო.

1.

(სცენაზე სიბნელეა. შორიდან მოისმის ხმაური, შეხლა-შემოხლა, გინება და ყვირილი. საკნის მიძიმე კარი ჭრიალით იღვება. უხეში ხელისკვრით ვიღაც საკანში შემოაგდებს ტყვეს, რომელიც კარგავს წონასწორობას და პირქვე ეცემა. კარი იკეტება. ტყვე უძრავად წევს. ბოლოს და ბოლოს მოსულიერდება. თავს აწევს, ილანძღება და იგინება)

**მსახიობი** — უხ, მე თქვენი დედა ვატირე, დამპლემო, ნაძირლებო. თქვენს არსებობას როგორ ითმენს ეს საწყალი პლანეტა. ჩემი ნება რომ იყოს, გაგნყვეტლით დედაბუდიანად, არ დაგინდობდით არც დიდს და არც პატარას, არც ქალს და არც მოხუცს, არც დავრდომილებს და არც იდიოტებს. მითხარი, ღმერთო, რაში დაგჭირდა ჩემი ასეთი წვალება, რატომ დაასახლე ჩვენს მეზობლად ეს გარეწრები, რა ფარული განზრახვა გამოძრავებდა, მითხარი, ძალიან გთხოვ, ნუ დამიმალავ. უხ!... (წამოიწევს, წამოჯდება, ჯიბეებს მოიქექს, რაღაცას ეძებს) ყველაფერი წამართვეს, სიგარეტიც კი არ დამიტოვეს. (ყვირის) ჩემი ტყვედ ჩავარდნა სრული შემთხვევითობაა! ვერასოდეს დამატყვევებდით, ჩემს ცხვირსინ ბოძში რომ არ აფეთქებულიყო. მე უზრალოდ გონება დავკარგე, მოულოდნელად გავითიშე, ბიჭებს კი, ეტყობა, მკვდარი ვეგონე. სხვაგვარად არ მიმატოვებდნენ. მე ყველა მიცნობს არამარტო ჩემს ბატალიონში, არამედ მთლიანად ჩემს ქვეყანაში იმიტომ, რომ მსახიობი ვარ, თანაც ნიჭიერი, თანაც ცნობილი, თანაც ყველასათვის საყვარელი. ჩემთვის არაერთხელ უწოდებიათ დიდი, და მე უკვე მწვერვალებს ვეპოტინებოდი, როცა მაიძულეთ ხელში იარაღი ამეღო. თქვენ მკითხავთ, რა შევქმენი ისეთი, რასაც შეიძლება დიდი ეწოდოსო. მე კი კითხვას შეგიბრუნებთ: მომეცით კი ამის საშუალება, რომ მშვიდად მემუშავა და დამეპყრო ხელოვნების მწვერვალები? ნაძირლებო! არაკაცებო! (ისტერიულად ყვირის) დამიბრუნეთ ჩემი სიგარეტები!

**ხმა** — შენ, ეი, ვიგინდარა მაიმუნო, ნუ ღრიალებ და ნუ ილანძღები. სიკვდილის წინ მუხლებზე დაგდებ და ილოცე. როცა წარსდგები უზენაესის წინაშე, პატიება გამოსთხოვე ჩადენილი ცოდვების გამო. რაც შეეხება სიგარეტებს, შენთვის შხამი არ გვენანება

(მსახიობის მისამართით მოფრინავს იაფფასიანი სიგარეტების კოლოფი).

**მსახიობი** — კიდეც კარგი, შხამი მაინც არ გენანებათ. თქვენგან ესეც გასაკვირია. იქნება და ასანთიც გაიმეტოთ?

**ხმა** — ჩემი ნება რომ იყოს, გიჩვენებდი შენთვის რაც მემეტება. იმ ასანთის ღერებით ნელ-ნელა შეგხრუკავდი, შე დამპალო. სიგარეტი მთხოვე, მოგართვი, ახლა ასანთი მოგინდა, არა? მალე ლამაზ ქალსაც მომთხოვ. ვიცი რა ჯიშისაც ხარ.

**მსახიობი** — (ირონიულად)

ლამაზი ქალისა რა მოგახსენოთ, (ყვირის) მაგრამ იმას კი ნამდვილად მოვიტოვო, რომ დაიცვათ კონვენცია სამხედრო ტყვეების თაობაზე. მე ვითხოვ პატივით მოპყრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილს გამოვაცხადებ!

**ხმა** — ნუ იკადრებ მაგას, შეიბრალებ ჭიები.

**მსახიობი** — ჭიების რა მოგახსენო, შენ კი ნამდვილად მეტრადები, იდიოტო. დღეს მე დამხვრეტენ, ხვალ შენი ჯერი დადგება. თუმცა რა, ფიქრობ, რომ ამას აიცდენ იმიტომ, რომ ჭკვიანი ხარ, ზიხარ შენს ფულუროში და თავი დაცული გგონია. შენც რომ მოგწვდებიან, გაიხსენე, საწყალო. (ყვირის) მომეცი ასანთი, სადისტების ნაშეირო!

(მსახიობისკენ მოფრინავს ასანთის კოლოფი)

**მსახიობი** — მადლობა უფალს, რომ თუნდაც ეს გემეტებათ ჩემთვის. თქვენ რომ არა, თქვე არაკაცებო, მე უკვე წარმოსადგენად ვამზადდებდი კლასიკურ რეპერტუარს, სხვათა შორის, თქვენში და თქვენს ნაირებში ადამიანობის ნაპერწკლის წარმოსაშობად. მე უკვე მზად მქონდა შეილოკის როლი შექსპირის პიესაში „ვენეციელი ვაჭარი“. მაგრამ ამ დამპალ სამყაროში ვინ დაგაცლის რაიმე ფასეულის კეთებას. ნეგატივებით დამუხტული პიროვნებები ყოველთვის აღწევენ მიზანს, იკავებენ წამყვან პოზიციებს საზოგადოებაში და უწამლავენ სიცოცხლეს იმათ, ვისაც შეუძლია შექმნას რაიმე ფასეული და პოზიტიური. რა მართალი იყო მეფე ლირი, ადამიანები ქვისგან არიან შექმნილი: „იყმუვლეთ, იყმუვლეთ, ადამიანო! თქვენ ქვისგან ხართ გამოთლილი! მე რომ ბევრი თვლი, ბევრი ენა მქონდეს, ჩემი ცრემლები და ჩემი კვნესა გააპობდა ცის დასაღიერს!“ აი, რას ამბობს მეფე ლირი! ამას ვამბობ მეც და კეთილი ნების ყველა ადამიანი.

**ხმა** — ეი, შენ, მეფე ლირო, შენთან სალაპარაკო გვაქვს და თანაც სერიოზული. გიგზავნი მიკროფონს, რომ კარგად გაგიგონოთ, რას ბურტყუნებ. (მადლიდან ეშვება მიკროფონი)

**მსახიობი** — (მიკროფონში, ირონიით) მაცვიფრებს თქვენი წინდახედულება. და რა თემაზე უნდა მელაპარაკოთ?

**ხმა** — იმაზე, რომ მეფე ლირი შენსავით ნაძირალა იყო.

**მსახიობი** — რა შეატყვევთ ნაძირლობის?

**ხმა** — ილაპარაკე მიკროფონში, შენი ხმა არ გვესმის.

**მსახიობი** — გეკითხებით, რაში გამოიხატება მისი ნაძირლობა-მეთქი.

**ხმა** — თუნდაც იმაში, რომ მოიძულა საუკეთესო შვილებს შორის — კორდელია.

**მსახიობი** — შეცდომა ვის არ მოსვლია? კორდელიასაც მეტი მოუვიდა, ერთგულების ფიცის ნაცვლად როყოფდ მიახალა, რასაც ფიქრობდა.

**ხმა** — ჭკვიანი მაშინვე მიხვდებოდა, რომ სიმართლე გულწრფელი შვილის მხარესაა. მაგრამ ისეთი სულელები, როგორებიც ხართ შენ და შენი საყვარელი მეფე ლირი, ვერასოდეს ვერაფერს





მიხვდებით, ვიდრე ცხოვრება ჭკუას არ გასწავლით. სულ მალე დასახვრეტად რომ გაგიყვანო, უცებ მიხვდები, რა შეცდომაც დაუშვი.

**მსახიობი** — კარგია, საიქიოში მანაც მეცოდინება, ვისთანაც მაქვს საქმე.

**ბმა** — გინდა თქვა, რომ ყველაფერს მიხვდი და გამოსწორდი? თუ ასეა, იქნებ ყოფნაც გაჩუქოთ.

**მსახიობი** — მაგაზე შემოძლია გიპასუხოთ ჰამლეტის სიტყვებით: „ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხავი აი, ეს არის.“

**ბმა** — შენ, როგორც ჩანს, ვერ ხედავ სხვაობას ჰამლეტსა და მეფე ლირს შორის.

**მსახიობი** — მე კი ვხედავ სხვაობას, მაგრამ შენ საიდან იცი, მათ შორის რა განსხვავებაა, შენ რა, თეატრალი ხარ?

**ბმა** — შენი უბადრუკი ტვინის საქმე არ არის, ვინ ვარ. კაცი რომ საპირისპირო ტიპებს ვერ განასხვავებს, უფლება არა აქვს, თავს მსახიობი უწოდოს.

**მსახიობი** — ღრმად ცდები, ღრმადპატივცემულო ხმავე სამარიდან, მე კარგად ვხედავ მათ სხვაობას, მაგრამ შენ ის არ იცი, რომ უბედურება ყველას აერთიანებს და რომ ისინი მხოლოდ უბედურებაში შეიცნობენ ჩვენი ყოფის უვარგისობას. დარწმუნებული იყავი, ჰამლეტი არასოდეს წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, რომ არა ბიძის ვერაგობა და დედის ღალატი.

**ბმა** — აბა, ერთი წამიკითხე ჰამლეტის მონოლოგი, საინტერესოა ვიცოდეთ შენი ინტერპრეტაცია.

**მსახიობი** — მაშ ისმინე და ჩანვდი:

„ყოფნა? არ ყოფნა? — საკითხავი აი ეს არის. სულდღე ქმნილებას რა შეჰფერის? ის, რომ იტანჯოს და აიტანოს მწაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ამ ბრძოლითა მოსპოს იგი?.. მოსპოს სიცოცხლე... ბოლო მოუღოს... მიიძინოს...სხვა არაფერი... ამ მიძინებით გათავდება ის გულისქენჯნა და ათასი სხვა ბუნებრივი უკუღმართობა, რაიც ხორცშესხმულ ადამიანს წილად ხდომია. განა ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს? მოვსპოთ სიცოცხლე... დავიძინოთ... რომ დავიძინოთ, მერე სიზმრად იქ ვნახავთ რასმე?... ძნელი ეს არის, არ ვიცი თუ მაშინ რა სიზმრები მოგვევლინება, როს სიკვდილის ძილს მივეცემით და მოვშორდებით მოკვდავთ ცხოვრების მღელვარებას! აი ეს გვიშლის და გრძელს ცხოვრებას ჩვენსას გრძელ ტანჯვადა ხდის.“

**ბმა** — ვინ მოითმენდა უამისოდ ჟამთა სიმწარეს, მტარვალის ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას, ტანჯვასა მწვავესა უარყოფილ სიყვარულისას, მართლმსაჯულების გვიანობას, მძლავრთ უკმეხობას, შეურაცხყოფას ღირსეულის უღირსისაგან, — მშვიდობის პოვნა რომ შეგვეძლოს დანის ერთ დაკვრით?

**მსახიობი** — ვინა ზიდავდა ჯაფით, კვნესით ამ სიცოცხლის ტვირთს, რომ არა გვეკონდეს იმის შიში, თუ სიკვდილს შემდეგ იქ რა იქნება, იქ იმ ბნელსა და უცნობ მხარეს, სადით არცერთი მგ ზავრი უკან აღარ ბრუნდება.“

**ბმა** — კარგად კითხულობ, მაგრამ განმიმარტე, თუ შეგიძლია, რას გულისხმობს ჰამლეტი, როცა ამბობს: არ ვიცი, მაშინ რა სიზმრები მოგვევლინება?

**მსახიობი** — აქ განსამარტი არაფერია... სული უკვდავია და პასუხს აგებს თავის ნამოქმედარზე.

**ბმა** — და თუკი მას არაფერი დაუშავებია? თუნდაც ჰამლეტს რისი უნდა ეშინოდეს?

**მსახიობი** — ჩვენ ყველა სათამაშოები ვართ ბედის ხელში. ძველ საბერძნეთში მონებმა ამბოხი მოაწყვეს. ამბოხის

ჩასახშობად ბერძენმა დიდებულებმა ლეგიონები გამოიყვანეს. შემთხვევით ამ დროს ქუჩაში მოსერილობდა დიდი მიეგავე ეზოზე. ჰკითხეს, სად მიდიხარო. არ ვიციო, უპასუხა. იგი დააპატიმრეს როგორც ამბოხის თანამონაწილე. მერე, როცა გაირკვა, რომ არაფერ შუაშია, ჰკითხეს, ასე უცნაურად რატომ გვიპასუხეო. მე გითხარით, არ ვიცი-მეთქი და სწორიც აღმოვჩნდი, აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ მშვიდად მოსერიწე კაცი საპყრობილეში თავს ამოვეყოფდიო? განა ჰამლეტი ოდესმე წარმოვიდგენდა, რომ სისხლიან მკვლელად გადაიქცეოდა? თუნდაც მე განა შემძლო მცოდნოდა, რომ მივატოვებდი ყველაფერს, ოჯახს, შვილებს, საყვარელ ქალს, ჩემს უსაყვარლეს პროფესიას, ჩემს მიერ გაღმერთებულ თეატრს და ხელში დავიჭერდი ავტომატს, რათა გავსწორებოდი ჩემივე მსგავს ადამიანებს, როგორც უკანასკნელ ქვენარმავლებს, სინდისისგან გარეცხილ ვიგინდარებს. როცა სამშობლო გინმობს, ვერცერთი ნაღდი მამაკაცი ვერ დარჩება გულგრილი ამ დაძახილის მიმართ.

2.

**ბმა** — ჩემი ნება რომ იყოს, შიშველი ხელებით ამოგლეჯდი გულს და შენსავე უსირცხვილო თვალების წინ ფეხით კარგად გავსრესდი, ტაკიმასხარა ვირიშვილო!

**მსახიობი** — აი, როგორი გაბოროტებული ხარ! და იტანჯები ჩემზე არანაკლებად. მერედა, რატომ? განა ასე ძნელია, მიუჯდე მოლაპარაკების მაგიდას, კარგად ასწონ-დასწონო შექმნილი ვითარება, გაითვალისწინო ყველა მოქალაქეობრივი და ადამიანური ფაქტორი. ეს ჩვენი ნაქები მსოფლიოს საერთაშორისო საზოგადოება დღემდე ვერ მიხვდა, რომ საჭიროა შეიქმნას ისეთი სამართლებრივი ორგანო, სადაც განხილული იქნება ყველა სადავო ნაციონალური საკითხი. ნაფიც მსაჯულებად მონვეულ უნდა იქნენ პლანეტის უჭკვიანესი ადამიანები, მწერლები, ისტორიკოსები, სწავლულენი... ვერდიქტი გამოტანდა უნდა იქნეს უმაღლესი ადამიანურ ფასეულობათა გათვალისწინებით. ის უნდა იყოს საბოლოო და მისი გასაჩივრება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საკითხის ირგვლივ წარმოიშობა ახალი მტკიცებულებანი. მაგრამ არა! პოლიტიკოსებს ეს ხელს არ აძლევთ. ასეთი ორგანოს არსებობა დასამარება მათ პრესტიჟს, ბოლოს მოუღებდა სინდისისგან გარეცხილ, ამორალურ პოლიტიკურ თამაშებს. წაართვით ბავშვს მისი საყვარელი სათამაშო და დაინახავთ, რომ მასზე უბედური ქვეყნად არავინ იქნება. ჰოდა, შეიბრალებთ პოლიტიკოსები, რითი შეიქცინოთ თავი, თუკი წაართმევთ უფლებას, გადწყვიტონ სახელმწიფოს და ხალხთა ბედი. ვინლა ივლის მაშინ გაფხორილი ინდაურივით? ვინლა მოინანებს თავს ფარშევანგის მსგავსად ფერადოვანი ბუმბულით? ვინლა ამტკიცოს, რომ ქვეყნად არავინა ამ ნამუსგარეცხილებზე უფრო ჭკვიანი და მედგარი (*ნერვიულად აქრობს სიგარეტს*). ახლა ისიც ვიკითხოთ, ასეთი ორგანოს არსებობის შემთხვევაში რა ეშველება იარაღით მოვაჭრე ბიზნესმენებს? იმ ადამიანებს, ვისთვისაც მთავარი ფულის შოვნაა, სულერთია რა ხერხებით თუ საშუალებებით. რა ეშველება გამალეებული შეიარაღების პროგრამებს? სადლა უნდა წაიღოს სახელმწიფომ გამოთავისუფლებული უთვალავი მილიარდი? ყველაფრის ბატონი — ძალა და ყველაფრის ბატონი — ფული, აი, რა არის აღიარებული მთავარ არგუმენტად. და წურვინ დაიჩემებს, რომ ამ ბიზნეს თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებს. (*პაუზა*) და რალა დამრჩენია გარდა იმისა, რომ ჰამლეტის მსგავსად ამოვიკვნესო: „რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი? რად არ გადნება და ცის ნამად რად არ იქცევა? ან შემომქმედი თავის მოკვლას ნეტავ რად გვიშლის? ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ წუთის სოფლის, როგორ ფუჭია,

უნაყოფო, დაობებული, თითქო ქვეყანა იყოს ბალი გაუმარგ-  
ლავი, რაშია ც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი.”  
(პაუზის შემდეგ) „ცუდ ამბებს ვხედავთ, კვლავაც უნდა ცუდს  
მოველოდეთ. გაიპე გულო, რაკი ენა უნდა დადუმდეს.”

**ხმა** — თავი დიდ ჰუმანისტად მოგაქვს, არადა, სულ ახ-  
ლახან გამოგათრიეთ ბრძოლის ველიდან.

**მსახიობი** — ამაზე გიპასუხებ გიოცის სიტყვებით სარტ-  
რის პიესიდან: „ნუ გეშინია, უკან არ დავიხეხე. ვაიძულებ ჩემს  
წინაშე თრთოდნენ და კანკალებდნენ შიშისაგან, რაკი სხვაგ-  
ვარად შეუძლებელია მათი სიყვარული. მათზე ვიმეფებ, რაკი  
სხვაგვარად შეუძლებელია მათი სიყვარული. ვიქნები მარ-  
ტოსული ამ ცარიელი ცის ქვეშ — რაკი არ არსებობს სხვა  
ხერხი ისინი მიყვარდეს. ომი მძვინვარებს — და მეც ვიომებ!”

3.

**ხმა** — ეი, შენ, დიდო ფილოსოფოსო და ტაკიმახსხარავ,  
იქნებ გადმოხვიდე ჩვენ მხარეზე. თუკი გადმოხვალ, სი-  
ცოცხლეს შეგინარჩუნებთ.

**მსახიობი** — და შენ ბედავ შემომთავაზო სამშობლოს  
ლალატი? ვის რაში სჭირდება თქვენ მიერ ნაჩუქარი დამპა-  
ლი სიცოცხლე და თანაც სამშობლოს ღალატის ფასად. მო-  
ღალატეები და სულმდაბლები თქვენს რიგებში მოიკითხეთ.  
ჩანს, თქვენ შეგიძლიათ ჩაიდინოთ ამგვარი სულმდაბლობა,  
და იმიტომ ბედავთ, იგივე მეც შემომთავაზოთ. გაიხსენე, რა  
მოითხოვა შეილოკმა იმ ფულის სანაცვლოდ, რომელიც ან-  
ტონიოს ასესხა. მეც ამ სიტუაციაში გთავაზობთ გარიგებას:  
გამოაცხადეთ სრული და უპირობო კაპიტულაცია და მე  
გადმოვალ თქვენს მხარეზე და ყველა თქვენგანს სიცოცხ-  
ლეს შევუნარჩუნებ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ!

**ხმა** — ნუ მაიმუნობ. ჩვენ კი არა, სულ მალე თქვენ გამო-  
აცხადებთ სრულ და უპირობო კაპიტულაციას. შენი საქციელი  
მაგალითად იქცევა და ბევრ ადამიანს შეუნარჩუნებს სიცოცხ-  
ლეს. ამკარად ვხედავ, შენ გაქვს სხვებზე ზეგავლენის უნარი.

**მსახიობი** — ტრიბუნა მომეცით და მოვუნოდებ ჩემს თა-  
ნამემამულეებს, იბრძოლონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!

**ხმა** — იფ, რა მოუნდა? უნდა, რომ ტრიბუნა მივართვათ.  
ჩვენ გავაკეთებთ ვიდეოჩანანერს, სადაც შენ მოუნოდებ თა-  
ნამოქალაქეებს, დაყარონ იარაღი და შეწყვიტონ ამოა წინა-  
აღმდეგობა.

**მსახიობი** — მაგას არ ჩავიდე, თუნდ სულ ნაჭერ-ნაჭერ  
დამჭრათ! და გიპასუხებთ ვაგიფის სიტყვებით ვურგუნის  
პიესიდან:

„არა და არა! მე ხომ ძმა ვარ ცის ლალ ფრინველთა!  
დიდ არს სამყარო და მახარებს სიუხვე ფერთა,  
ამ სამყაროში დღეებს ვერვინ დაადებ ხუნდებს,  
და მე სადაც მსურს იქ ვიკეთებ ათასერთ ბუდეს!  
მაგრამ ანგარიშს, სამნუხაროდ, არ უჩანს ბოლო,  
დღეებს მიწამლავს, არ მასვენებს ერთი სიმბოლო,  
კვალში მიდგას და უკან დამდევს სიკვდილის ლანდი,  
სურს მომახვიოს შავი ფიქრი და გულში დარდი,  
ყოველ წამისად მანადგურებს სწრაფი სვლა ჟამთა  
ყოველი წუთი მახსლოვებს საფლავის კართან...”  
(პაუზა)

**მსახიობი** — ვიცი, ფიქრობთ, რომ ვაგიფი ერთ ერს  
ეკუთვნის, ისევე როგორც კაცობრიობის სხვა ტიტანები —  
ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, გოეთე. მწარედ სცდებით. ყვე-  
ლა ისინი ეკუთვნიან ზენაციონალთა კასტას და იმიტომაც  
არიან ასე დიდები!

**ხმა** — შენ, რა, გლობალისტი ხარ?!

**მსახიობი** — დიახ, ასეთი გაგებით მეც გლობალისტი  
ვარ, რამეთუ ვალიარებ საკაცობრიო იდეალებს. მათ შორის,  
კომუნისტურსაც და რელიგიურსაც, რამეთუ მე ვარ მსახუ-

რი მელოპომენასი, მან კი ამიკრძალა ადამიანები დავყო ერე-  
ბად, რასებად, ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრებად. მან მიბრ-  
ძანა, ვემსახურო ყველას თანაბრად, და მე მისი ბრძანების  
საუკუნო მონამორჩილი ვარ.

**ხმა** — (ირონიით) ჰო, ჰო, ნამდვილი რევოლუციონერი ხარ.

**მსახიობი** — სხვათა შორის, უნდა მოგახსენო, რომ ყვე-  
ლა მუზა სისხლისღვრის სასტიკი წინააღმდეგია, ხოლო  
უსისხლო რევოლუციისა — უპირობო მომხრე. მეც ასე,  
უსისხლო რევოლუციის მომხრე ვარ. ისტორია უნდა იცოდე.  
სად გაგონილა განვითარება რევოლუციის გარეშე?

**ხმა** — ნუ ღელავ, ისტორიას შენზე უკეთ ვიცნობ და უნ-  
და მოგახსენო, რომ ყველა უბედურების სათავეები თქვენ  
ხართ, ფანტაზიორები, უტოპისტები და ფუჭი მეოცნებენი.

**მსახიობი** — ჰო, როგორ არა. ყველა კეთილშობილურ  
მისწრაფებას უტოპია უწოდებს შენნაირმა უტვინოებმა და  
უგულოებმა. უტოპია კი იდეალია, სხვა არაფერი, რომლის-  
კენ სწრაფვაც უნდა იყოს კაცობრიობის ერთადერთი მიზანი.

4.

**ხმა** — მოეშვი სულელურ იდეებს, გვიჯობს საქმეზე ვი-  
ლაპარაკოთ. გინდა თუ არა, რომ მილიონერი გახდე?

**მსახიობი** — ეგ სად, საიქიოში?

**ხმა** — არა, სააქაოში.

**მსახიობი** — ა-ა-ა... მივხვდი, ქრთამს ხომ არ მთავა-  
ზობთ? დაასახელეთ რაოდენობა.

**ხმა** — შენ თვითონ დაასახელე.

**მსახიობი** — ოცი მილიონი დოლარი! ხელს გაძლევთ?

**ხმა** — იყავი რეალისტი, დაასახელე რეალური ციფრი.

**მსახიობი** — სულელო, ასეთი ციფრი ბუნებაში არ არსე-  
ბობს..

**ხმა** — დავიჯერო, უბრალოდ ერთი მილიონი არ გეყოფა?

**მსახიობი** — მეყოფა კიდევ და თავზეც გადამივა. ამ  
თანხით ახალ თეატრს შევქმნი, ზოგიერთი უტვინო ბიზნეს-  
მენისგან განსხვავებით ამ ფულს მოვახმარ კაცობრიობის  
გაკეთილშობილებას და არა უაზრო გართობას.

**ხმა** — გამოდის, შევთანხმდით?

**მსახიობი** — არა, არ გამოდის. სამშობლოს მაინც არ ვუ-  
ღალატებ, მთელი მსოფლიოს სიმდიდრეც რომ შემომთავა-  
ზოთ.

**ხმა** — შენი ხელით გათხრი საკუთარ სამარეს.

**მსახიობი** — ჩვენი ვაჭრობა ძალიან ჩამოგავს დილოგს  
ანტონიოსა და შეილოკს შორის შექსპირის „ვენეციელი ვაჭ-  
რიდან“:

„სენიორ ანტონიო, ბევრჯერ და ხშირად, ფეხქვეშ მთე-  
ლავდით რიალტოზე ჩემსავე ფულის და ჩემსავე პროცენტე-  
ბის გამო.

მე ამას ვპასუხობდი მხრების აჩეჩვით და სულგრძელო-  
ბით, მოთმინება ხომ ნიშანია ჩვენი მოდგმისა. ქოფაკ  
ძალს მიწოდებდით, თან ცოფიანსა, ჩემს ებრაულ ხიფ-  
თანზე მაფურთხებდით. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემსავე  
ვამრავლებდი. ეს ასე იყო. მაგრამ ახლა, ვხედავ, მე თქვენ  
დაგჭირდით, ჩემთან მოდიხართ და მეუბნებით: „ფული  
გვჭირდება, შეილოკ“.

ამას თქვენა მთხოვთ, თქვენ, ვინც სახეში მაფურთხებდა,  
პანდურისკვრით მაძეგებდა როგორც ძალს მანანწალას  
ჩემსავე დახლიდან.

მამ ფული დაგჭირდათ?

რა გიპასუხობთ?! ნუთუ არ მაქვს უფლება გკითხოთ:

„როდის აქეთაა ძალღებს აქვთ ფული? როგორ შეუძლია  
ქოფაკს გასესხოთ სამი ათასი დუკატი?“

თუ იქნებ ქედი კვლავაც მოვიხარო და მონურის ტონით,  
სუნთქვაშეკრულმა თავმდაბლურად წავილულულულო:

„სენიორ, ამ ოთხშაბათს მაფურთხებდით, ამა და ამ დღეს პანდური ამომარტყით, მერე ქოფაკი მიწოდეთ. და ასეთი ალერსის სანაცვლოდ, ვალდებული ვარ რომ გასესხოთ სა-მი ათასი“.

**ხმა** — გეყოფა ყბედობა. გირჩენია მიიღო ჩვენი პირობა.

**მსახიობი** — უკეთ ვიცი, რა მიჩვენია. არა მჭირდება თქვენი მილიონები. ჯოჯოხეთური ცოდვის ჩამდენი, ვეღარ ჩაიბარებს მრევლის აღსარებას. ბუნებაში არ არსებობს სამშობლოს ლალატზე მძიმე ცოდვა. გავიწყდებათ ვის ელაპარაკებით, დიდ მსახიობს, ვინც სამაგალითო უნდა გახდეს მომავალი თაობებისთვის. ჩემი მოკვლით შანსს გამოიმჩნევენ. ჩემს ძეგლს დადგამენ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას. ამქვეყნად არაფერია სამშობლოს ერთგულებაზე ძვირფასი.

**ხმა** — კარგად დაფიქრდი, რა მოელის შენს შვილებს. ჩვენ დროში არაფერია უმამობაზე უარესი. უშენოდ ვერც კარიერას გაიკეთებენ და ვერც სხვების მეტოქეობას გაუძლებენ. უშენოდ უზადრუკი ცხოვრება ექნებათ.

**მსახიობი** — არაფერი მსგავსიც კი. ყოველთვის იამაყებენ გმირი მამით. მათ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას ყველა გამოიჩინებს. მათაც ეცოდინებათ და თაობებს გადასცემენ, რომ არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ვალის მოხდა სამშობლოს წინაშე. სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ განვიხილავთ სიკვდილ-სიცოცხლის ურთულეს საკითხებს, ჩემი და შენი თანამემამულენი ბრძოლის ველზე ილუპებინან. ისლა დამრჩენია გავიმეორო ურიელ აკოსტას სიტყვები: „მამინ, როცა თქვენ მძიმე გზას გადინართ, ქარსა და ავდარში, მტვერსა და გვალვაში, მე მწვანედ მობიბინე ბალახზე წამოვწვე სადმე, ხის ჩეროში? არა, უნდა ვიტანჯო! ტანჯულებთან ყოფნა მინდა. თქვენ შეგიძლიათ შემაჩვენოთ: მე ხომ ებრაელი ვარ.“ ასეთია ჩემი პასუხი.

5.

**ხმა** — გავიწყდება, რომ ხაფანგში ხარ. ჩვენ გაგივრცელებთ ხმას ყველგან, რადიოსა და ტელევიზიაში, სოციალურ ქსელებსა თუ პრესაში, რომ შენ უარყავი შენი ქვეყნის პოლიტიკური პოზიცია და მიგაჩნია, რომ ჩვენი ომი სამართლიანია.

**მსახიობი** — საინტერესოა, ამას როგორ გააკეთებთ ჩემი თანხმობის გარეშე?

**ხმა** — სულ ადვილად. განვაცხადებთ, რომ შენ თანახმა ხარ, ითანამშრომლო ჩვენთან.

**მსახიობი** — მერედა, მაგ მონაჭორს ვინ დაიჯერებს? ვინ მოუსმენს თქვენს ცილისწამებას, თუკი არ დამინახავენ მე და რეაგონებენ ჩემს ხმას.

**ხმა** — ნუ ღელავ, მაგ პრობლემის დაძლევა ძალიან იოლია. სხვადასხვა არხიდან, მათ შორის სოციალური ქსელებიდან ჩვენ ამოვკრებთ შენ გამოსვლებს, შენ მიერ შესრულებულ როლებს კინოში და ტელეფილმებში, დავამონტაჟებთ და... დამიჯერე, არჩევანი არ გაქვს, გირჩევთ, დაუყონებლივ მიიღო ჩვენი წინადადებები.

**მსახიობი** — ამაზე გიპასუხებთ ოტელოს სიტყვებით: „მაგრამ თუკი შენ ცილი დასწამე, თუკი თავშესაქცევად მანამ ასე — აღარ ილოცო, მოაშთე გულში თუკი რამ სიკეთე გაგაჩნია, ყველა ჯოჯოხეთური ბოროტება იტვირთე სულში, დაე დედამინა გაოგნდეს შენ საქმეთა შემხედვარე და ცამ იტიროს. — მორჩა, დამთავრდა, შენს სულში წარსაწყმედელი აღარაფერი დარჩა.“

**ხმა** — როგორც ვატყობ, გამოუსწორებელი ტუტუცი ხარ. არ გინდა და თავში ქვაც გიხლია. შენს რეპუტაციას სამუდამოდ გამოემშვიდობე. შეგეძლო ამის კომპენსაცია, თუკი შეთავაზებულ ფულს აიღებდი. არ გინდა ფული? მიიღებ ტყვიას.

**მსახიობი** — ფული და ფული! სულ ეს გაკერიათ პირზე, თქვე საცოდავებო. ის კი არ გესმით, რომ ფული უკვე თვითმიზნად გექცათ. ფული თქვენთვის აბსტრაქტული ფასეულობაა და არა საშუალება, აღასრულო ღვთის ნება. მე ფული იმისთვის მჭირდება, რომ ჩემი ნიჭი კაცობრიობას მოვახმარო, თქვენ კი იმისთვის, რომ ფუფუნებაში იცხოვროთ და თავი გაართოთ. კაზინო და ნარკოტიკებია თქვენი სასჯელი, და გზაც იქით გქონიათ. ჩემგან შებრალებას ნუ ელოდებით. თქვენ ხართ გარბავონები. ყველაზე უკეთ მოლიერმა დახატა თქვენი პორტრეტი: „ო, ჩემი საწყალი ფულები! მე დამაშორეს, გამყარეს თქვენთან. ხოლო როცა თქვენ აღარ მყავხართ, მთლიანად დავკარგე ჩემი საყრდენი, ჩემი მალამო, ჩემი სიხარული. ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა, ჩემს ცხოვრებას აზრი აღარა აქვს. უთქვენოდ სიცოცხლეს სიცოცხლე არ ჰქვია. მორჩა, დამთავრდა, მეტი აღარ შემიძლია. მე ვკვდები, მე უკვე მოკვდი, მე უკვე დამარხული ვარ. არავინ არის, ვინც მკვდრეთით აღმადგენს, ვინც ფულს დამბრუნებს ან მეტყვის, ახლა ვის ხელშია ჩემი ფულები?“

**ხმა** — შენ ფულის მანიაკებს დასცინი, მაგრამ თუ იცი, რომ არსებობენ ომის მანიაკები? ომი მათი სიცოცხლის წყაროა, ომი მათი სტიქიაა. გახდეს გენერალი — აი, რა არის მათი ცხოვრების მთავარი მიზანი. მათთან შედარებით ფულის მანიაკები უცოდველ კრავებად გამოიყურებიან.

**მსახიობი** — ვიცი, ვიცი, ასეთებს არაერთხელ შევხვედრივარ. აქ გასაკვირი არაფერია. ისინი იარსებებენ, ვიდრე მათზე მოთხოვნა იარსებებს. ხოლო როცა კაცობრიობა გააცნობიერებს ომის აბსურდულობას, მათი გამოყენება შესაძლებელი გახდება სპორტის ექსტრემალურ სახეობებში. მეცნიერულ ენაზე ამას მოთხოვნილების სუბლიმაცია ჰქვია.

**ხმა** — იმ სადისტებს რაღა ეშველებათ, ვისთვისაც კაცისკვლა ყველაზე დიდი სიამოვნებაა?

**მსახიობი** — ასეთ ადამიანებს უნდა უმკურნალო, და თუ მკურნალობამ არ გასჭრა, მათი იზოლაცია აუცილებელია. ამ გახსენებაზე, იქნებ შენც ერთ-ერთი იმათგანი ხარ? ო, მომკალი, მომკალი, ძვირფასო, დასტკბი მკვლევლობით, მზად ვარ მოვკვდე, ოღონდ კი ტკობა მოგანიჭო!

**ხმა** — იმაიმუნე, იმაიმუნე. სახრჩობელაზე ტოკვას რომ დაიწყებ, აი ეგ იქნება ნამდვილი კლოუნადა.

**მსახიობი** — რომელ სახრჩობელაზე?! თქვენ რა, დახვრეტას არ მიპირებთ?!

**ხმა** — არავითარ შემთხვევაში, შენ ეს ვერ დაიმსახურე. იკონიალებ თოკზე, როგორც უკანასკნელი მანანწალა და ყაჩაღი.

**მსახიობი** — ამის უფლება არ გაქვთ! ეს საერთაშორისო კონვენციის კიდეე ერთი დარღვევა იქნება. მე სამხედრო ტყვე ვარ და უნდა დავიხვრიტო, როგორც ეს სამხედრო პირს შეეფერება.

**ხმა** — რაო? სამხედრო ტყვეო? ჩვენ გაგაფორმებთ როგორც მაროდორს, როგორც მიცვალებული ჯარისკაცების მძარცველს და ქურდბაცაცას. ესეც შენი კონვენცია, ყველაფერი კანონის ფარგლებში...

**მსახიობი** — და კვლავ ურიელ აკოსტას მოვიშველიებ: „დე-სანტოს, ჰო, ჩემო დემონო! მე მწამს თქვენი ღმერთი — მე გალიარებ შენ, ღვთაებაე ადონო, შენ, რომელიც ფეხით სრეს მტრებს როგორც თიხას, სუნთქავ ცეცხლით და შურს იძიებს უკანმოუხედავად! ჩემი სული ასეთივე გახლებული ღვთაებაა — და დღეიდან ვემსახურები შურისძიების ღვთაებას!“

**ხმა** — რა შურისძიებას, ხელფეხშეკრულო?! ზიხარ გალიაში როგორც საცოდავი ნრუნუნა და ნუნუნებ გაბმით.

**მსახიობი** — წაკითხული თუ გაქვს ლეონიდ ანდრეევის „ცხოვრება ადამიანისა“? იქ მთავარი გმირი სახელწოდებით

ადამიანი ამბობს ასეთ სიტყვებს: „კარგად დააკვირდი, ჩვენ წინაშე ქედს იხრიან, ჩვენ შესახებ ჩურჩულებენ, ჩვენ თითოთი საჩვენებლები ვართ. აი, ვილაც საპატივცემულო მოხუცი აცრემლდა და ჩაილაპარაკა: ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს!“ აი, რას ფიქრობთ თქვენ ჩემ შესახებ და აღიარეთ, ნუ მოგერიდებათ!“

**ხმა** — მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ რას ვფიქრობთ. თამაშის წესები მოითხოვს მტრის განადგურებას, სულ ერთია, პაიკი იქნება თუ დედოფალი. გაგივრცელებთ შავ პიარს, წარმოგაჩენთ სამშობლოს მოღალატედ. ხაზი გადაესმის შენ წარსულს და ანმყოს, რაც შეეხება მომავალს... შენნაირებს მომავალი არ გააჩნიათ. ამიტომ გირჩევთ, მიიღო ჩვენი წინადადება, სახელიც გადაირჩინო და სიცოცხლაც.

**მსახიობი** — ჰო, ასეა, თანხმობით მე გადავარჩენ ჩემს სიცოცხლეს, მაგრამ სახელს — ნურას უკაცრავად. თუ წავალ ჩემიანების წინააღმდეგ, სამუდამოდ დავიმკვიდრებ სულმდებლის სახელს. გეთანხმებით, როგორ არა, ვიდემონტაჟითაც იგივე მოხდება, მაგრამ თქვენ, დიას თქვენ მაინც ხომ გეცოდინებათ, რომ მე ღირსეულად აღვასრულე ჩემი ვალი სამშობლოს წინაშე. და ეს მახარებს! მე თქვენ გაბარებთ ანგარიშს.

**ხმა** — შენ რომ ჭკვიანი ყოფილიყავი, თავიდანვე არ გაყოფდი თავს ამ წაგებულ თამაშში. განა ძნელი იყო იმის მიხვედრა, რომ პოლიტიკური ძალა ჩვენს მხარესაა?

**მსახიობი** — მე მსახიობი ვარ და არა პოლიტიკოსი. არ ვიცოდი და არც ახლა ვიცი, ძალა ვის მხარესაა. ვიცოდი და ახლაც ვიცი, რომ ჩემი გასაკეთებელი მე უნდა გავაკეთო და ეს წმიდათაწმინდა ვალად მიმაჩნია. დარწმუნებული ვარ, შენც ასე ფიქრობ. უბრალოდ თავს იკატუნებ ჩემი მოსყიდვის მიზნით.

**ხმა** — შენი მოსყიდვა კი არა, ომის მალე დამთავრება გვინდა, სულელო. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ძალა ჩვენ მხარესაა, ყველა ტაშს გვიკრავს და აღფრთოვანებულია ჩვენით.

**მსახიობი** — კი, კი, რა თქმა უნდა! ახლა თქვენ შეგიძლიათ გაიმეოროთ გაბლენძილი ლოპახინის სიტყვები ჩეხოვის „ალუბლის ბალიდან“: „რა ამბავია, რა ხდება? დე მუსიკის ხმა მკაფიოდ ისმოდა! ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მე მინდა! ახალი მემამულე მობრძანდება, ალუბლის ბალის მეპატრონე! ყველაფერი შემიძლია ვიყიდო.“

**ხმა** — შენი უაზრო ქირქილი კიდევ ერთხელ ადასტურებს შენ რეგვენობას. მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რა განსხვავებაა ჩვენს შორის. მთელი მსოფლიო ტაშს გვიკრავს, შენ კი იცინე, ვიდრე არ მოგწყინდება.

**მსახიობი** — აი, სწორედ ეგ არის თქვენი მთავარი მიზანი, მსოფლიოში საკუთარი რეიტინგის ამაღლება. რა მნიშვნელობა აქვს, რომ ამ განზრახვას ერის საუკეთესო შვილები ეწირებიან. სამაგიეროდ შეგიძლიათ ამა-

ყად გაიმეოროთ ბობჩინსკის სიტყვები გოგოლის „რევიზორიდან“: „უმორჩილესად გთხოვთ, როცა პეტერბურგში ჩახვალთ, გადაეცით სხვადასხვა დიდებულებს, სენატორს და ადმირალს, რომ აი, თქვენო ბრწყინვალეზავ, ან უმაღლესობავ, ცხოვრობს ამა და ამ ქალაქში პეტრე ივანეს ძე ბობჩინსკი. სიტყვასიტყვით ასე გადაეცით, პეტრე ივანეს ძე ბობჩინსკი...“ რეგვენს მე მეძახი, იმას კი ვერ ხვდები, რა აბსურდულ თამაშში ხარ ჩათრეული. შენ ირგვლივ არსებულ სიტუაციას მოუხდება ლერმას სიტყვები შილერის „დონ კარლოსიდან“: „საშიშროება გემუქრებათ... ჩქარა გაშორდით აქაურობას! ყოველწუთიერად მოსალოდნელია თქვენი შეპყრობა, ყოველწუთიერად. ფარულად მოვედი, რომ გაგაფრთხილოთ. გაიქცით, რაღას უცდით!“

**ხმა** — ეგ სიტყვები შენზეა ზედგამოჭრილი. სიამოვნებით გაიქცეოდი, გასაქცევი რომ გქონდეს. და რაკი თავი წინასწარმეტყველად მოგაქვს, მე პირადად გაგაკრავ ჯვარზე. ოღონდ ნამდვილზე კი არა, ვირტუალურზე. ხოლო როცა შენი გვარის ხსენებაც სირცხვილად ჩაითვლება, თავად შექმნი მონოლოგებს ცხოვრების უკუღმართობაზე. შენი შთამომავლები გვარს გამოიცვლიან და გადაიქცევი ერის სირცხვილად. შენი მუღუღე სამუდამოდ დაგივინცებს და არავის მისცემს ნებას, ახსენონ შენი სახელი.

**მსახიობი** — აი აქ კი მწარედ ცდები! ვინ-ვინ და ჩემი ცოლი არასოდეს დაიჯერებს, რომ სამშობლოს ვუღალატე. ჩვენ არამართო სხეულები, სულებიც შევავრთეთ, და შესანიშნავად იცის, ახლა რასაც განვიცდი. და აღსასრულის ჟამს მსურს მივმართო დონ კარლოსის სიტყვებით: „მიყვარხარ სიგიჟემდე, მენალელები სიკვდილზე მეტად, იმედის ნაპერკკის გარეშე. ამ გზას მივყავარ შემლილობამდე ან ეშაფოტამდე!“

**ხმა** — ბედნიერი კაცი ყოფილხარ, მეორე ნახევარი გიპოვნია.

**მსახიობი** — მეორე არა, პირველი ნახევარი.

**ხმა** — მეორეა როგორ თმობ ასეთ ბედნიერებას?! მეორე ნახევრის პოვნა ხომ საკვირველი იშვიათობაა.

**მსახიობი** — დიას, საკვირველი იშვიათობა. და იცი, რა მითხრა დამშვიდობების ჟამს, როცა ომში მისტუმრებდა: თუკი ვერ დაბრუნდები, ჩემი ერთადერთი ოცნება იქნება, მალე მოვკვდე და კვლავ შეგიერთდეთ.

**ხმა** — თუ ასეა, ცოლი მაინც შეიბრალებ, თუკი თავი არ გებრალება.

**მსახიობი** — და ჩემდა მოულოდნელად, გამოთხოვებისას ცრემლმორეულმა მომმართა ლიუბოვ ანდრეევანას სიტყვებით „ალუბლის ბალიდან“: „ო, ჩემო სანუკვარო, ჩემო უნახესო, მშვენიერო ბალო! ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სინორჩევ, ჩემო ბედნიერებავ, მშვიდობით!.. მშვიდობით!..“

**ხმა** — და შენ შეგიძლია ასე შეუბრალებლად, სამუდამოდ დაშორდე საყვარელ არსებას?! თუკი კაცი გქვია, არ გირჩევნია ნახვიდე ემიგრაციაში, თან ნაილო შენი მილიონი. იქ შეურთდე ოჯახს და იცხოვრო დალხინებით? ჰო, მართლა, დამაგინყდა შენთვის მეთქვა, ჩვენ გვაქვს კარგი კავშირები ჰოლივუდთან. შეგიძლია სამუშაო გაგიჩაღიროთ. რა იცი, იქნებ ჰოლივუდის ვარსკვლავიც გახდე. იმათ დააინტერესებთ შენი ბიოგრაფიის კაცი. ყველაფერი, რასაც მე მეუბნები, შეგიძლია უთხრა მსოფლიოს. პატარა საქმეა? შენი განდგომა შეგიძლია გაამართლო ათასი არგუმენტით, რომ ნარკოტიკთა ზემოქმედების ქვეშ იყავი, რომ ვერ გაუძელი არაადამიანურ წნეხს და ასე შემდეგ. ნუ გეშინია, ფანტაზია არ გაკლია და ჩემზე უკეთ იცი, თავი როგორ იმართლო. თუკი ამ წინადადებაზეც უარს იტყვი, იცოდე,



მხატვარი ინა ქლიძე

დაგვხვდეთ დაუყოვნებლივ. მერე კი გამოვაქვეყნებთ შენს მოწოდებას თანამემამულეებისადმი იმის თაობაზე, რომ წინააღმდეგობის განევას აზრი არა აქვს.

**მსახიობი** — მე მზად ვარ მოვკვდე.

**ხმა** — გზაც იქითკენ გქონია. მოემზადე. რამდენიმე წუთში მოგაკითხავენ.

**მსახიობი** — რა უნდა იყოს იმაზე ძვირფასი, წარსდგე უფლის წინაშე უმნიშვნელო სინდისით. შეგიძლია შემისრულო უკანასკნელი თხოვნა?

**ხმა** — სად წავალ, კაცნი ვართ.

**მსახიობი** — მინდა მოგასმენინო, როგორ ვკითხულობ შეილოკის მონოლოგს?

შეილოკს ეკითხებიან, რად უნდა კილოგრამი ხორცი, რომელიც ანტონიოს სხეულიდან უნდა ააჭრას. ამაზე ის პასუხობს: „ანკესზე გამომადგება თევზების მისატყუებლად! დე ნურავინ გაძლება მისით — სამაგიეროდ იგი გააძღობს ჩემს შურისძიებას. მუდამ დამცინოდა, საქმეში ხელს მიშლიდა, სულ ცოტა ნახევარი მილიონი დუკატი დამაკარგინა. ჩემი ზარალი სიხარულს ჰგვრიდა, ჩემს მოგებას ცინიზმით პასუხობდა, ჩემს მოდგმას აბუჩად იგდებდა, მეგობრებს მტრებად მიქცევდა, მტრებს კიდევ უფრო ახელებდა. და მერე რატომ? იმიტომ რომ ებრაელი ვარ! განა ებრაელს კი არა აქვს თვალები, არ აქვს ხელები, ყველა გრძობები, მისწრაფებანი, ვნებათაღელვანი? განა იმავე საკვებით არ იკვებება, განა იმავე იარაღით არ იჭრება? განა ისევე არ ავადმყოფობს და განა იმავე წამლით არ იკურნება? განა ისევე არ სცივა და სცხელა როგორც ქრისტიანს? თუ გვიჩხვლიტეთ, ჩვენ არ დაგვედინება სისხლი? თუ გვიღიტიანეთ, განა ჩვენ არ გაგვეცინება? თუ მოგვწამლავთ, განა ჩვენ არ მოვკვდებით? ხოლო როცა ჩვენ შეურაცხვეყოფენ, განა ჩვენ არ უნდა ვიძიოთ შური? თუკი ყველაფერში მსგავსებაა, ამაში რატომ უნდა იყოს განსხვავება? ებრაელმა რომ ქრისტიანი შეურაცხეს, რა იქნება მისი პასუხი? რა თქმა უნდა, შურისძიება. ხოლო თუ ქრისტიანმა შეურაცხყო ებრაელი, რა უნდა იყოს მისი პასუხი ქრისტიანის წაბაძვით? რა თქმა უნდა, შურისძიება. თქვენ მე ბოროტებას მასწავლიდით. და აღვასრულებ. და თუკი თქვენს დარიგებაზე უკეთ არ აღვასრულო, ცუდად იქნება ჩემი საქმე.“

**ხმა** — ისეთი გატაცებით კითხულობ, გეტყობა მოგწონს შეილოკის საქციელი.

**მსახიობი** — ადამიანი ისე არ უნდა გაამწარო, ადამიანური სახე დააკარგინო. ამაზეა ეს პიესა და შექსპირის სწორედ ამის თქმა სურდა.

**ხმა** — შენ რა პაციფისტი ხარ, სიკვდილის წინაც კი შურისძიებაზე ფიქრობ.

**მსახიობი** — რას იზამ, ვალიარებ, რომ ეგ გრძობა სიკვდილის შიშს მიმსუბუქებს. არადა, გახსოვდეს, საკვირველი მანქანების წყალობით, შურისგება ყველა ავისმქმნელის ხვედრია. და ის შენთანაც მოვა, რადგან გატაცებით მონანილებობ ამ უაზრო თამაშში.

**ხმა** — რა არის უაზრობა, შე იდიოტო, საკუთარი ტერიტორიის დაცვა?!

**მსახიობი** — რომელი საკუთარი ტერიტორიის, შე კრეტინო? რუკაზე საღებავით რომ არის შემოსაზღვრული? ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეს მხოლოდ ვირტუალური საკუთრებაა, წმინდა წყლის აბსტრაქციაა და არ სჭირდება არავის, გარდა იმ ადამიანებისა, ვინც ამაყობს, რომ ასეთი დიდი ტერიტორიის მფლობელია. და შენც ერთი იმათგანი ხარ.

**ხმა** — რა აბსტრაქციაზეა ლაპარაკი, თუკი მე ვიცავ ჩემ კონკრეტულ ტერიტორიას?!

**მსახიობი** — მაგასაც ვერ ხვდები, რომ შენი კონკრეტული ტერიტორია ის არის, სადაც ცხოვრობ, შენი ბინა ან შენი

კარ-მიდამო. სხვა დანარჩენი — აბსტრაქციაა. მაგრამ არ მიკვირს. ყველაფერი ინსტინქტის ბრალია, რომლის უპირობო ტყვეობაში იმყოფები.

**ხმა** — ინსტინქტი რა შუაშია? სულ გააფრინე?

**მსახიობი** — შენში, ისევე როგორც ყველა ცოცხალ არსებაში ჩადებულია ინსტინქტი, გაიფართოო საარსებო ტერიტორია.

**ხმა** — ჩემში კი და შენში — არა?!

**მსახიობი** — ჩემშიც, მაგრამ მე ვიცი ამის შესახებ, შენ კი — არა.

**ხმა** — შენი დედა ვატირე, თუ ასეთი ჭკვიანი ხარ, ხელში იარაღი რამ აგალებინა?

**მსახიობი** — ბოლმამ და კაცურმა ვალმა.

**ხმა** — ჰოდა აქედან ის გამოდის, რომ შენ იმყოფები ემოციების ტყვეობაში. არარაობავ!

**მსახიობი** — სამართლიან კრიტიკას ვლებულობ.

**ხმა** — ოჰ, ერთი მაცემინა შენი თავი და რას არ გავიღებდი სანაცვლოდ.

**მსახიობი** — მერედა მცემე, ვინ გიშლის? ისე ლაპარაკობ, თითქოს შენ უიარაღოდ იბრძოდი, ცარიელი ხელებით.

**ხმა** — ერთადერთი ვაჟი მომიკალით და ფიქრობ ამას ვინმეს ვაპატიებ? რა ვიცი, იქნებ სწორედ შენ ხარ ის ადამიანი, ვინც ჩემი შვილი მინას შეაჭამა.

**მსახიობი** — აბა, აბა, ასეთები არ იყოს. ყველამ მშვენიერად იცის, რომ მე გასროლაც ვერ მოვასწარი, პირველივე დღეს გულწასული დავეცი. რომ არა ჩემ წინ მდგომი ჩემივე თანამებრძოლი, რა გადამარჩინდა. საწყალს ყუმბარის ყველა ნამსხვრევი ტანში გაეჩხირა, მე კი შემთხვევით გადავრჩი, მაგრამ აფეთქების ხმამ და ჩემ წინ მომხდარმა კოშმარმა გრძობა დამაკარგინა. მე სხვა რამე მაკვირვებს, როგორ დართე ნება შენს ერთადერთ ვაჟს, საომრად წასულიყო?

**ხმა** — ჰო, აბა, მე მკითხა ნება. ის კი არადა, ცოლი მუხლებში ჩაუფარდა, ნუ დამლუპავო, მაგრამ არაფერმა გასჭრა.

**მსახიობი** — მეც შემხვდრია ასეთი წერაატანები.

**ხმა** — (პაუზის შემდეგ) ერთი ეს მითხარი, ფილოსოფოსო, იქნებ ისიც იცი, როგორ უნდა ვიხსნათ კაცობრიობა ამ გაუთავებელი ნაციონალური შუღლისაგან?

**მსახიობი** — გეტყვი, მაგრამ ამასაც უტოპიად ჩამითვლი.

**ხმა** — შენ სულელი ნუ გგონივარ. უტოპიას შენზე არანაკლებ ცვემ პატივს. ამოღერდე, თუ სათქმელი მართლა გაგაქვს.

**მსახიობი** — უნდა აიკრძალოს ერთი და იმავე ეროვნების პირთა ქორწინება.

**ხმა** — და ამას სერიოზულად ამბობ?

**მსახიობი** — სავსებით სერიოზულად. რამ შეარიგა მონტეგები და კაპულეტები? რომეოს და ჯულიეტას სიყვარულმა.

**ხმა** — სხვათა შორის, ორივე იტალიელი იყო.

**მსახიობი** — ნამდვილად, მაგრამ ერთმანეთისადმი უკიდურესად მტრულად განწყობილი ორი გვარის წარმომადგენლები. სწორედ ამ ორთა ტრაგიკულმა სიყვარულმა შეარიგა ეს ორი მტრული გვარი. მტრობას ყველგან ერთი ფერი აქვს — შავი..

**ხმა** — არ დაგავინყდეს, რომ რომეო და ჯულიეტა დაილუბნენ.

**მსახიობი** — ეს შექსპირმა გამოიგონა იმიტომ, რომ მტრობის საზიზღრობა კარგად წარმოეჩინა.

**ხმა** — კი მაგრამ, რას უპირებ მილიარდნახევრიან ჩინეთს? შენ გინდა მთელი მსოფლიო გააჩინელო?

**მსახიობი** — ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ რატომ იწყებ ჩინეთით? დავაქორწინოთ, შევაუღლოთ ინდოელები და პაკისტანელები, სომხები და აზერბაიჯანელები,

ქურთები და თურქები, სერბები და ბოსნიელები. სხვათა შორის, არც ჩინელებს აწყენდა ტიპეტელებთან ქორწინება. ერთი სიტყვით, ყველა მტრულად განწყობილი ერებით დავინწყით და შემდგომ საქმე გვიჩვენებს ამ იდეის გაგრძელების გზებსა და პერსპექტივებს.

**ხმა** — როგორ უნდა იცხოვრონ ერთჭერქვეშ ცოლ-ქმარმა, თუკი ერთმანეთის ენა არ ეცოდინებათ?

**მსახიობი** — სხვათა შორის, ცოლ-ქმრული განხეთქილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი ხან ცოლის და ხანაც ქმრის უაზრო და უადგილო ტლიკინია. მათ შორის, ერთმანეთის შეურაცხყოფის განზრახვითაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შერეული ქორწინებანი ჩვეულებრივზე გაცილებით მყარია თუნდაც იმ მარტივ მიზეზთა გამო, რომ ორივე ერის წარმომადგენელი ცდილობს მეუღლეს უჩვენოს საკუთარი არა მხოლოდ პიროვნული, არამედ ეროვნული ღირსებებიც.

**ხმა** — საბრალო მეოცნებე ხარ და ასეთად მოკვდები. მაგრამ ასეთი სწრაფი სიკვდილისთვის ნამდვილად არ მემეტები.

**მსახიობი** — არც მე მემეტები წარმოგიდგინო იმ ჯალათად, რომელიც ის ბოლო ადამიანია, ვისაც ასეთ მნიშვნელოვან თემებზე ვესაუბრები სიკვდილის წინ.

6.

**ხმა** — მე შემონახული მაქვს ტყვეების გაცვლის ვარიანტიც. არაერთი ჩვენიანი იმყოფება შენ დღეში.

**მსახიობი** — რა თქმა უნდა თანახმა ვარ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გავიცვლები ჩემსავით ღირსეულ პიროვნებაზე და არა ვინმე სადისტზე, მკვლელსა და ტერორისტზე.

**ხმა** — აჰა, ისევ პირობას გვიყენებ, არა?

**მსახიობი** — სწორად გაიგე. აბა რა აზრი აქვს ჩემთვის სიცოცხლის შენარჩუნებას, თუკი სანაცვლოდ ბრძოლის ველს დაუბრუნდება ჩემი ქვეყნის დაუძინებელი მტერი.

**ხმა** — ჰო, კარგი, ნუ ღელავ, ვისზეც გაცვლას გიპირებთ, შენსავით გულუბრყვილო, უტვინო და მეოცნებეა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შენზე ბევრად უფრო ახალგაზრდაა და ბევრი რამ ეპატიება.

**მსახიობი** — ვინ არის, რა პროფესიის კაცია?

**ხმა** — მუსიკოსი. სულ ახლახან დაამთავრა პარიზის კონსერვატორია. კომპოზიტორი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

**მსახიობი** — თქვენ სულ გაეფიქრეთ? ახლა ახალგაზრდა კომპოზიტორებიც მიგყავთ საომრად? მალე ქალებზეც გადახვალ. და კვლავ მახსენდება ლოპახინი „აღუბლის ბაღიდან“: „ეი, მუსიკოსებო, დაუკარო, მსურს მოგისმინოთ. ყველა მოდით იმის სანახავად, ერთობლივ ლოპახინი ცულს როგორ დაუშენს აღუბლის ბაღს, როგორ განერთხებიან მინას ასწლოვანი ხეები!“

**ხმა** — ნუ მაიმუნობ. ისიც შენსავით მოხალისეა. თუკი ვინმეს სურვილი აქვს იომოს, წინ ვერავინ აღუდგება. ჩემი შვილის მაგალითიც საკმარისია.

**მსახიობი** — მაგას კი მართალს ამბობ. ახლა გულწრფელად მითხარი, საიდან იცნობ თეატრს ასე დეტალურად?

**ხმა** — გეტყვი, დასამალი რაა. ვიდრე სპეცსამსახურის აგენტი გავხდებოდი, სამსახიობო ფაკულტეტზე ვსწავლობდი და თან თეატრშიც ვმუშაობდი სცენის მუშად.

**მსახიობი** — სწავლა რატომ შეწყვიტე, რა ეშმაკი შეგიჩინდა?!

**ხმა** — ერთი გოგონა შემეყვარდა ძალიან გაჭირვებული ოჯახიდან. დავექორწინდი, შვილიც გვეყოლა. მატერიალურად ძალიან გაგვიჭირდა. სწორედ ამ დროს შემომთავაზეს სპეცაგენტობა მაღალი ანაზღაურებით. და მეც დავთანხმდი. ჭაობმა კი ჩათრევა იცის.

**მსახიობი** — გამრავლების ინსტინქტმა უარი გათქმევიანა შენს დანიშნულებაზე ცხოვრებაში, ამაზე უარესი რა უნდა იყოს?

**ხმა** — გამრავლების ინსტინქტი აქ რა შუაშია?!

**მსახიობი** — შენ არ ამბობ, გოგონა შემეყვარდაო?

**ხმა** — სიყვარული სხვაა და გამრავლების ინსტინქტი — სხვა.

**მსახიობი** — არა მხოლოდ სიყვარულს, სექსის ნებისმიერ გამოვლინებას გამრავლების ინსტინქტი უდევს საფუძვლად. ეს მეცნიერულად დამტკიცებულია.

**ხმა** — შესაძლებელია. მაგრამ მაინც მიჭირს, ისეთი ამაღლებული გრძნობა, როგორიც სიყვარულია, გამრავლების ინსტინქტამდე დავიყვანო.

**მსახიობი** — საფუძველი ეგ არის და ამ ფაქტს ვერსად ნაუხვალ. ეგ რომ გცოდნოდა, ასე ადვილად არ დასთმობდი საყვარელ პროფესიას.

**ხმა** — ახლა უკვე გვიანაა ამაზე ლაპარაკი. ახლა მე ჩემი ქვეყნის სამსახურში ვდგავარ და ჩემს მოვალეობას პირნათლად ვასრულებ.

**მსახიობი** — არავინაა იმაზე საბრალო, ვიდრე ის ადამიანი, ვინაც დათმო თავისი ნამდვილი მონოდება.

**ხმა** — ეს ნუთია მაცნობეს, რომ თქვენი მხარე სიხარულით დათანხმდა შენს გაცვლას კომპოზიტორზე. ვილოცავ, ფილოსოფოსო. სულ მალე მოხდება შენი ექსტრადირება. გადაეცი მოკითხვა მეღპოშენსა.

**მსახიობი** — აუცილებლად გადავცემ და დაგემშვიდობები არა რომელიმე თეატრალური გმირის, არამედ ჩემივე სიტყვებით: ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც ახარებთ სიცოცხლე და ეს სიხარული სხვებისთვისაც ემეტებათ, არასოდეს იომებენ. ომები მოგონილია ავადმყოფური პატივმოყვარეობით შეპყრობილი ადამიანების მიერ. მე და შენ ყოველთვის ვიპოვით საერთო ენას, ყოველთვის მივაგნებთ ორივესთვის ხელსაყრელ კომპრომისს. მაგრამ მეც, შენც და ჩვენი მსგავსი ათასები და ზოგჯერ მილიონებიც, ჩათრეულნი ვართ ამ ბინძურ თამაშებში. და ხშირად ღირსების ვალად მიგვაჩნია, მივიყვანოთ ბოლომდე. თუკი დააპირებ დაუბრუნდე თეატრს, გახსოვდეს, რომ გყავს ადამიანი, ვინც დაგეხმარება ამოხვიდე სიბნელის ორმოდან. და შენც ჩემსავით გახდები მეღპოშენას მსახური, უკეთესი რა უნდა იყოს?

**ხმა** — მადლობის მეტი რა მეთქმის. მაგრამ ჯერ კიდევ არავინ უწყის, ეს ომი როდის დამთავრდება.

**მსახიობი** — ჩემთვის და შენთვის უკვე დამთავრდა, მეღპოშენას მსახურო! მე ვდებ იარაღს და შენც იმავეს გირჩევ.

**ხმა** — კეთილი, ოღონდ ეს ყველაფერი ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

**მსახიობი** — მაგაზე არ იღელვო. გემშვიდობები ჟიულის სიტყვებით კორნელის „ჰორაციუსიდან“: „საბრალო კამილ! განგვიცხადა ცამ ამასწინათ, თუ რა დასასრულს გიმზადებდა მუხთალი ბედი. მაგრამ უმაღლავს საიდუმლოს ნახევარს იმათ, ვისაც უნარი გააჩნია ნათელი ხედვის. მან მომავალი ქორწინება თითქოს გახარა, დაგპირდა, ძვირფას სატრფოსთან რომ მარად იქნები. მაგრამ უცბად თუ მოკვდებოდი, არ თქვა, დაფარა, და ჰა, აღსრულდა გულთმისანი მოგვის სიტყვები: „ხვალეიდან სახეს შეიცვლიან ალბა და რომი, გისმინათ ზეცამ, დაიძინეთ მშვიდად და წყნარად, ვერ დაგაპირებთ ვერასოდეს შფოთი და ომი, ერთად იქნებით საყვარელი მიჯნურნი მარად!“

*(კარი ჭრიალით იღება. მსახიობი ჩქარი ნაბიჯით მიემართება გასასვლელისკენ. გასვლის წინ „ხმას“ ხელს დაუქნევს.)*

ფარდა



ზაალ ებანოიძის გამოჩენა ჟურნალის ფურცლებზე ინტერესს იწვევს. ახლაც. სხვა დროსაც. ერთი, იმიტომ, რომ თავის თაობას წარმოადგენს; მეორე, თვითორტიკულია, ლექსს მკაცრად არჩევს. სასხვათაშორისო პუბლიკაციები არ უყვარს. რადგან აქვეყნებს, ესე იგი, აქვს სათქმელი.

არის მის ლექსებში რაღაც მოუხელთებელი. ერთი შეხედვით, ყველაფერი უბრალო და გასაგებია, მაგრამ ალაგ-ალაგ ისეთ სიღრმეებს წაანყდები, როგორც შეიძლება მხოლოდ გამოცდილ ოსტატთან შეგხვდეს.

გამოცდილებას, რა თქმა უნდა, ტალანტიც ახლავს. სმენა, ლაკონიზმი, სიტყვის ეკონომია, გამოხატვის ინტენსივობა და ექსპრესია — თანდაყოლილი თვისებებია. თუ გაქვს, გაქვს. თუ არა და პრაქტიკით ამას ვერ შეიძენ. პრაქტიკას მხოლოდ ის შეუძლია, რომ გამოკვეთოს და დახვეწოს ეს თვისებები.

აქ ხედავთ სიტყვას, როგორც კომუნეციაციურ საშუალებას. მაგალითად, ნეიტრალურ სივრცეში გამოჩნდება „მა“, „ყანჩა“, „კლდე“, „უდაბნო“, „სვეტი“, „თოვლი“ და თითოეული მათგანი მარტო ინფორმაციის ან სემანტიკის ველს კი არ აწესრიგებს, არამედ ურთიერთობას ამყარებს მკითხველთან, თითქოს განაახლებს, ამძაფრებს, ამჭიდროებს, აუშუალოებს ამ კავშირს. ამავე დროს, სიტყვა შეიძლება გამოვიდეს სახელდებითი წინადადების როლში და აზრი მარტომ, თავის თავში დარჩენილმა შექმნას, ჩამოაყალიბოს, გააფორმოს.

საგანი და შინაარსი ერთად არის, ერთ მხატვრულ კონტექსტშია მოქცეული.

გემოვნება და აკადემიური ხაზი — ეთიკურ-ზნეობრივი ფასეულობების ეკვივალენტი.

მას არ უყვარს ავტობიოგრაფიული ელემენტების გამოყენება, რაც უთუოდ გააუფასურებდა ლექსს. სუბიექტური ემოციების ნაცვლად ობიექტურ განცდებს ვადმოსცემს. შუამავლის როლი ურჩევნია, მკითხველსა და იდეას შორის მეკავშირის ფუნქციის შესრულება. ამით საშუალება ეძლევა, შეამციროს ღიაობის ხარისხი, შეინიღბოს, არ იყოს ბოლომდე საცნაური.

„მაგრამ რადგანც პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანა“ (აკაკი).

### ზაალ ებანოიძე

### პოეზია

თვალეები — ჭალების შემყურე,  
ყურები — ნიავის ნანას  
ხელები — ეკუთვნის ბედურებს —  
დაჯდომის უფლებით თანაც.

ქარი ქრის. ლერწამი არ ტოკავს.  
მდორდება ჰაერში ყანჩა.  
„მარტო ხარ! მარტო ხარ!“

მარტო ხარ! —  
ვილაცა ყვირის და არ ჩანს.

ფშანები, ფშანები კუთავენ  
და სივრცეს ბანგავენ მოთქმით;  
მონყდება ასეთ დროს რუსთაველს  
ცრემლი და... სამყაროს ჰყოფნის.

### უსხეულო სიმართლე

„ქარის გადმონერას ვეპირები,“  
შიშით ეღირები კალამს;  
„მომეცი ამდაგვარი შეპირების,  
უფალო, შესრულების ძალა“.

სმენა ღალატობსო ვერ ამბობენ  
(ჰოდა, დანარჩენი შენ იცი);  
„ნიავეს, ნიავეს შევავაროვებ  
და ხელში ბალღებით შევიზრდი.“

ასე იახლოვებ ქარებამდე  
გზებს და საცალფეხო ბილიკებს,  
კაცი, დანისპირზე გარებამდე,  
გულს რო იმაგრებ და ქილიკობ,

მჩატედ, რა თქმა უნდა... შრიალიდან,  
რამე შრიალიდან აერთებ,  
ბგერებს — თანაც ისე მიამიტად —  
ლამის ყურისგდებით გავერთო.

თვალწინ მოცახცახე მოლი არის,  
ტბორებს მიზეზ-მიზეზ მოიძევ,  
ლამის — ანტიკვარულ როიალის  
როლიც ფეხაკრეფით მოიწევს.

ბნელში სმენა უფრო ფაქიზდება  
და თან წარმოსახვაც იმატებს,  
სარკმლის მიწებთან რომ ატირდება  
ქარი — უსხეულო სიმართლე.

ნარზე დანოლილი აყურადებ  
(შენდა გამეტებულ დროიდან):  
ქარი „იმ“ გულიდან „ამ“ გულამდე  
რავებს მიიტანს და მოიტანს.

ამბავს თვალის ნამი ესხურება  
(ნამზე ხელი უნდა მოვიტოოთ),  
ტექსტის ამდაგვარი შესრულება  
რამდენ ღამისტეხვას მოთხოვს.

ალბათ, გადმონერაც ამას ჰქვია  
(მეტი სიახლოვე რა ვიცი):  
შენ რომ ჟრუანტელი დაგახვია  
და მეც შენთან ერთად განვიცდი.

### თვალგახელილი სიზმარი

სიტყვა. მუსიკა. ფერი.  
ფერი. მუსიკა. სიტყვა.  
ამ დროს რო გული მღერის —  
განცდის გარეშე ვინ თქვას.

დრო თავის ნებით მიდის,  
თუ ჩვენს გამო და ჩვენით,  
მიაქვს — რაიმე მინდი,  
რჩება — რაიმე ძღვენი.

თვალსაწიერი! რა სჩანს,  
რო გამოვისხათ ფრთები:  
ყანჩა! ყანჩა და ყანჩა!  
მთები! მთები და მთები!

უდაბნო! მერე — სვეტი!  
კლდე! კლდეზე ხათრად — თოვლი!  
უნდა დაგვესხას რეტი  
ჩვენ ერთმანეთის პოვნით.

„მზად ვარ!“ — არ გითქვამს, მესმის  
(გაიფიქრე და გაგთქვი):  
„ალმოცენებას ფესვის  
ინვეს სიკვდილი მარცვლის“.

„კარგ მთქმელს — გამგონეც კარგი“ —  
მორცხვად გიხედნეს ყური:  
ხო გემომნება წარბი,  
ხო გეთანხმება გული.

აღარ იკმარა სივრცემ  
განზომილება სამი  
და დროს — „მეოთხეს“ იცმევს  
და თავს იმჩატებს ამით.

და თვლემს შენი და ჩემი  
მომადლებული მღვიმე;  
თუმცა ხანდახან ხემი  
მიანც აფხიზლებს სიმებს:

სიტყვაში, როგორც სახლში,  
შედის ასეთ დროს ბგერა  
და თვალგახელილ ბავშვის  
სიზმრის ბრმეებით გვეჯერა.

### ილამება კაფია

ფრთხილად ვეთამაშებით  
სიტყვით აზრის ამჩატებას:  
— იჭახჭახებს შაშვები,  
— ვიდრე ქარი არ ჩადგება.

— ჭიანჭველას მწკრივები,  
— სტრიქონები ქართულები;

მივალთ კმაყოფილები, —  
საუბარში გართულები.

— მთები ჩამოთოვლილი,  
— საჩეჩელი! — დაგასწარი;  
— ეზო, კარგად მოვლილი,  
— პირისახე ლამაზმანის.

და ნიავიც რქენია,  
როცა კარვად გადანათლე  
(იჭვი არ გამჩენია —  
იმთავითვე გავამართლე).

თმიან გულ — მკერდს ვადარებ  
როცა ახოს, ჩალით აშლილს:  
— ჭალას — მართლა გადამრევ —  
ვიოლინოს შალითაში.

გახსნა მომესურვება,  
მხარზე ხატრად მიხუტება:  
მინდვრები რო ხუნდება,  
მიდამო რო იხუტება.

დუმილს ყური ათხოვე  
და კარგახანს გაუმკლავდი;  
რო ვიცოდე, რას გთხოვენ  
ეს ნუთები — დავუკრავდი!

ილამბება კაფია  
თუ სურვილი ორთავესი:  
— მაღლა ნისლის ქაფია,  
— დაბლა ფშანის მოთქმა მესმის.

### „ზამთრის მაჭარი“

ზამთრის ცრიატი ამინდია და თქორავს,  
ყელზე დეკემბერს შეწყვეტილი აქვს ლილი;  
ტირის შიშველი, ბია ტირის და ბჟოლა  
და ჭურისთავზე ტოკავს ღარიბი ჩრდილი.

გამოერევა ჭალარასავით თმაში  
წვიმას ხანდახან თეთრი ფანტელი გალა  
და სურნელება კეცზე შემწვარი შაშხის —  
„ზამთრის მაჭარის“ წავა კარიდან კარად.

### სამის სათქმელი

ვიდრე ამოიტყვის, ღანვზე ახატია  
(მზერით შეისწარი ელამური):  
„ჩვენი ასპარეზი მაინც ქალაღია,  
თეთრი ფანტაზიის მეღნით შენამული.“

წვიმამ დაასველა რიკულები,  
უკვე რახანია, გულში ქარი სახლობს;  
ჭარბი სიჯიუტით იყურები —  
რასაც გიკარნახებს — თვალთ დანახო:

„ვარდზე ლოკოკინის ლორწოს მიაგავდა,  
თუ ზოლს მიაგავდა ჩიტის ფრთაზე“  
(ფრთხილად აახლოვებს სურათს ნიაღვართან —  
დუჟმოდებული რომ მიდის გზაზე).

წვიმით შეფერილი ხმები გამოისმის,  
ხატრად ხოშკაკალაც ნაუშაშუბებებს.  
„მორჩა, ტყვეობიდან თავს ვერ გამოვიხსნით“ —  
თუკი მიაკითხავ — ასე განუგებებს.

საქმე საზიარო წარსულია  
(მეც ხომ გაჩენიდან ბედი მეჩემება).  
ნეტა, ავსულები ახლაც გარს უვლიან  
ცეცხლს თუ გალენჩებულ თვალებს ეჩვენება.

ერთის კი არა და, სამის სათქმელია,  
„ხანმა უნდობარმა“ შუქს რო მოაროდა;  
ამ დროს შეგახსენა თავი გამთენიამ  
და მეც ამოვზიდე ტანი კოშმარიდან.

### ოზა

#### გურამ ჩხეიძეს

გვირგვინი საბუკიაა,  
მთისძირი — მკლავის გაშლა;  
ყოველი კარი ღიაა —  
სტუმრის მოლოდინს — ვაშა!

ლალიძე, კახიძე, სულში რო ალვიძებს  
მუსიკას — სხეული მითრთის;  
ლამაზი ოდები, მთები და კორდები —  
რამე — სინამდვილე და რამე — მითი.

ედიშერ ყიფიანი და ნოდარ ჩხეიძე,  
ვჩრდები... ჩამოთვლას მეტს ველარ შევიძლებ  
და ბოდიშს მოვუხდი ამ სოფლის მკვიდრებს

და სოფელს — დიდ-დიდი კაცებით მდიდრებს.

და მზერას ხალვათად მოვავლებ გარემოს, —  
ვის სიზმრებს ანუხებთ, თიბათვის ქარებო?!

ცოდვია ლუხუტა... ზაფხული თუ ხუთავს  
იმერეთს — მილევიტ კვნესის;  
არსებობს ნუგეშიც! — ნიავი ცუღლუტა  
შეუხსნის ღილებს და — გრძელდება ლექსი:

ისე შრიალებს წნორები —  
იფიქრებ — „ვეამბორები“.

ისე ღვარღვარებს მაყვალი —  
იტყვი, ღირსია თაყვანის.

ისე ანთია ძახველი —  
მზერას მოითბობ მნახველი.

ისე ღუზღუზებს იელი —  
სიცოცხლით ხარ ბედნიერი.

ისეთი გასახედია,  
ხელს გასაფრენად გაშლი;  
შორს კავკასიის ქედია —  
თეთრი კბილები ცაში.

გამექცა, თვალი გამექცა,  
თვალმა გორები თვალა;



თენებოურის მჩატე ცა  
გვალვას გვპირდება ხვალაც.

ჩრდილი დამეცა ქორისა,  
მზერით კარდაკარ ვმწყემსე,  
„ჰაუ-ჰაუ“ რო მოისმა  
მჭედლიძეების სერზე.

სოფლის წყაროსთან დამსხდარან,  
სოფლის კაცები ლხინად:  
გახსნა სიმღერამ „ფანჯარა“ —  
„შენს გულში ვპოვე ბინა“.

გულს გული გაეხმიაან,  
ჭიქა ზედაშის შემდეგ  
და ხმები — მე რომ მეამა  
საგზლად დამყვება დღემდე.  
კუპროულს ღელე ჩამოდის,  
მაჭრის ფერივით ბაცი;  
ყოველი კარ-მიდამოთი  
თავს მოინონებ კაცი.

ზვარს ზვარი მოკიდებია  
და ყანას ასდევს ყანა;  
წინ, სანიერზე მთებია —  
ბინდში რო ისევ ჩანან.

ჩადასალიერდა ცა დასალიერთან,  
სხივიც გადატყდა და მორჩა:  
ეს შემოლაშობა გვირგვინად მიერთვა  
და ხონჩად მიერთვა ობჩას.

### ფხვამიძე დუმილის დაყურადება

ჩქამი ჩქამს თავისით გაეცა  
და ათვლა ხელახლა იწყება;  
მუხლები წაგართვა დამრეცმა  
და ციდან მზის გამოსიცხებამ.

ფოთლების ლაქლაქა ჩურჩული  
და ღელის ჭარტალი გამშვილებს;  
ტყეს უნდა წაკითხვა მუნჯური  
და წარბი აზიდე სამშვილდედ.

ჭალების მომწვანო წალოდან,  
ყანების ფეხადგმულ სითბოდან  
ფეხმძიმე დუმილი წვალობდა  
და ყურის დაგდებას ითხოვდა.

### მინის არომატი

წყალი ჩამდინარობს და ჭალა ტბორდება  
და ცეცხლი ღუღლუღებს თავისით;  
და ეს ყველაფერი სმენაში გროვდება,  
მზერაში გროვდება და განვიცდით.

ფრინველი ლაპარაკობს, ხე მღერის  
და მოლი ოქროს შუქს გამოსცემს:  
ეს ნიშნავს — სამყარო ბებერი  
თავისთავს, თავისთავს ამონმებს.

მინის არომატი ფოთლების სუნია —  
ჭკნობა რო მთავრდება და ლპობა ეპარებათ:  
და ვიდრე არსებობს, მანამდე დუნია,  
მანამდე დუნია თავივით გვეყვარება.

### ზაფხული. მოცალა მონაკვეთი

*გურამ მყავანაძეს*

გადავლილია უკვე „მეორე თოხი“,  
წვიმს სამი დღეა, თვლემს ვარციხე და როხი.

ღალღის ძახილი ჩივილად აღარ ისმის,  
სველი ყანები დაფარულია ნისლით.

სამხრობისაკენ დაცურებული დღეა,  
შორს — წინაველი და აჯამეთის ტყეა.

ქლიავის ფერი საბაგინეთო სივრცეს  
მეტ სიმსუბუქეს და სინატიფეს მისცემს.

ყურში ბანურის ჩიფჩიფი ხმიანდება,  
ხარ არხეინად — არც რამე გვიანდება.

თავშესაქცევად განიცდი ამგვარ წამებს  
და ფეხაკრეფით გაიხლოვდება ღამე.

ჩაკარგულია მდორე ქარების ყბაში,  
წვიმის ხმაური — დავინწყებული მარში.

### კატა-პოეტის გახსენება

*(ე. თ. ა. ჰოფმანიდან)*

როცა კატა ვნებინად ეფიცება  
მზეს და ანდა ლანდს დასდევს და ერთობა:  
ფიქრი ისეთ ბალნარებში შეგიძლება —  
დაბრუნება დიდხანს აღარ გეთმობა.

გაგონდება ამ დროს ბრძენი კატა-მური —  
ლექის ფანი და ნატიფი ოსტატი:  
პოეტების, ბარეორის გახდა შური,  
ისე მჩატედ დაანონა დროს თათი.

### ბავრი, ბავრი რამე...

*ი.ქ.-ს*

მღვრიე ქაოსიდან გამოირჩა,  
ტანი რიბი-რაბოდ ამოსწია:  
ბედის მოზიარე გამოგიჩნდა,  
ვინ თქვას — „შელავათით გამოცდიან“.

მავანს წამოცდება — „მე მოგივლი“,  
„მშველელს“ იჭვის თვალთა აყურადებს;  
ლონემიხდილობით შეპყრობილი,  
მაინც რო ახერხებს — გაგულადდეს.

ამ დღეს თვალთვალში გაუყარეთ,  
ფიქრიც საზიაროთ შეაჯამეთ,  
მერე აუტანელ საწუხარებს  
გული ნაწილ-ნაწილ შეაჭამეთ.

ხელის განვდენაზე გაიკიდებს  
სიტყვას — სხვა სიტყვა რო დაანოს:  
„ტანჯვას სულ ფეხებზე დაიკიდებ  
კაცი — გულით თუ ხარ მამაციო?“

თავის ამდაგვარი შეგონება  
ბნელში შემთვრალივით დაატარებს,  
იტყვის: „შუქის შუქთან შეკონება,  
თუ გსურს — ძალაც უნდა დაატანო“.

როცა მოურეველ ნუხილიდან  
დასჯილს აღარავინ გაიმედებს,  
ამ დროს მოგესმება — „თუკი გინდა,  
თავსაც — მიბრძანე და — გავიმეტებ“.

მჩატე ირონიით აიგორებს  
მძიმე, ტარტაროზულ სინამდვილეს;  
ძილში რა იმედი გაიგონა,  
ცხადში წამებას რო იადვილებს.

ლანდზე ჩამოსხნილი სხეულია,  
სულში — მოჭიფიფივე ბელურებით,  
ბევრი, ბევრი რამე შეუძლია,  
შენ თუ შორიახლო ეგულები.

### ვალდეჟულება

უპირველესი — ჭამა,  
უპირველესი — სექსი ;  
ორთავე ერთად — დრამა,  
ხოლო მათ შორის — ლექსი.

დასაბამიდან მართებს  
ლექსს მორიგება მათი,  
ამიტომ ადევს მჩატედ  
მხარზე ორთავეს თათი.

### ფრაგმენტების კიბე №7

1  
რამე მომხიბლავი ფრაზის  
ამოჩემება — მოტივი,  
თანდათან იტვირთება აზრით  
და თვალწინ მიმოდის ტოტივით.

2  
ზღვარზე თამაში... მალა ღმერთია,  
ძირს კაცია და მოდგმა მოკვდავთა:  
იმედი ძილშიც რომ წაერთმიათ —  
ცხადში აქამდე მოთქმა მომკლავდა.

3  
ბალღის ღულღუნი გალობაა, —  
აკვნის წარსულია — უნოტო;  
ვიკმაროთ! — რამხელა წყალობაა —  
სამყაროს უფრო მეტს ნუ მოვთხოვთ!

4  
ცირცელის საყურედან ასხლტება  
სხივი და იმედად გეშუქება,  
და სითბოც წვეთ-წვეთობით ჯამდება  
და დამფრთხალ პირსახის ფერს უხდება.

5  
ბინდი მონითალო — ვარაყი,  
სოფლის საყელოს რო შევინს,  
თვალში ჩაიტოვე — არა ღირს,  
ფუნჯის მიკარება შენი.

6  
სახლი. მწვანე მოლი მოვლილი  
(თვალის სამშვენიისი — ამო):  
დნება გაზაფხულის თოვლივით  
სევდა გარდასულის გამო.

7  
გაელმებული თვალებით,  
პირ-სახის დანალმულ აივანზე,  
მიიხედ-მოიხედე და ჩაები  
ბრძოლაში თუ მორცხვად გაინაზე.

8  
იქნება ეშმაკი აგიძლოლა  
ბედმა და წინდანინ დაგსაჯა:  
სანუთრო ცოდვა-მადლის არის ბრძოლა —  
მე — არა, ეს ბედმა განსაჯა.

9  
ორჯერ ყვირან მამლები ღამე,  
ჩიტებიც ორჯერ კანრავენ დუმილს;  
სხვა რა ჩარაა — უძილო წამებს  
სულ მარცვალ-მარცვალ აგროვებს გული.

10  
ფიქრმორეული ჩათვლემა,  
თვალმორეული ფიქრი;  
რა ვქნათ — ხანდახან საქმე გვაქვს  
თურმე ორთავეს იქით.

11  
ეს დღეც დასიზმრებულ მღვრიე ცის  
ცხადში გაგრძელებას მიაგავს;  
და შენც მორჩილებით მიეცი  
თავი მოტორტმანე ნიაღვარს.

12  
მოღუშული, სევდიანი სიზმრის  
კვალზე მოდის ასეთივე კაბადონი:  
გახსენება... გახსენების ნიჭი...  
ის გულდიდა... ის გოროზი ქალბატონი...

13  
რაოდენ პირნასი და გონჯი ვარ,  
როცა შენ გულაყრილი მიმზერ,  
და მაინც ვერ იტან მომჩივან  
ბგერების ასხლეტას სიმზე.

14  
მოთენთილა ბუნება თუ სატრფო მოთენთილა —  
ტანშემოდარცული ხვევნი და აღერსით;  
ვილაცა ამშვიდებს — „რამდენხანს მოგეთმინა,  
რამდენხანს დაგემალა ხანძარი თვალეში“...

15  
ხსოვნაში წეროების წალიკია —  
დამწყდარი სტრიქონების თარეში:  
„ზაალი“, „ზალიკო“, „ზალიკია“ —  
სამი დრო ილექება თვალეში.

16  
მგლის ძუძუთი გაზრდილი ბიჭი აგეკვიცია,  
როცა რომი ახსენეს და თავს ნება დართე:  
პერსევერაციათა ამ სამგზავრო ხმადით  
მოიძიე არგანი და გსურს ფეხზე დადგე.

17  
თუ გინდა, გადარჩე — გაასწარი! —  
თავისი უღმობელოების ჩალაბულა,  
მკერდში რომ მაცდურად განაბულა —  
ხანძარს ამოისვრის სადაც არის.

18  
სიცვიე — საკუთარი სინყნარის  
და სიცხე — საკუთარი ხმაურის:  
თვალეები დამძიმდება ცის ნამით,  
სხეულს რო ჟრუანტელი დაუვლის.

19  
ლანდები, ლანდები სხეულდება  
და ასე გრძელდება სინამდვილე:  
სიცოცხლეს — ამ დამლელ ჩვეულებას —  
დროდადრო სიზმრები გვიადვილებს.

20  
თითქოდა რალაცა ჰპოვე მაშინ,  
თუ შენც დაილაღე და დაოსდი,  
ამ ფსევდო ცოდნათა გროვებაში  
და ინტელექტუალურ ქაოსში.

21  
მე ვარ საპატიმროც და პატიმარიც მე ვარ  
7\*10 წელია ჩემში ვზივარ ჩემი თავით  
შევაყვარე პირბომა ლამეს ფეხზე თვლემა  
და მისივე თანხმობით ბოლოს ცოლად შევირთავი.

ელგუჯა თავბერიძე

# მუშტრის თვალით ნაკითხული ნოველა

ჩინელი მწერლის **მო იენის** არამარტო ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ (7 მარტი, 2014 წელი) დაბეჭდილი ნოველა — „**თეთრი ძაღლი და საქანელა**“ — ნავიკითხე მუშტრის თვალთ, ამ ორი-ოდე წლის წინათ, ნობელის პრემიის მიღებისთანავე, საგანგებოდ გავეცანი მის რამდენიმე თხზულებას. კარგი მწერალია, კარგი, მაგრამ ვაი დედა, რა ნავიკითხეო, ვერ იტყვი.

ვეთანხმები როსტომ ჩხეიძის მიერ არაერთხელ ნათქვამსა და დაწერილს — სამწუხაროდ, ნობელის პრემიის მისაღებად თხზულების მარტო მხატვრულობა არაა საკმარისი, თორემ ქართველებს რამდენიმე ნობელიანტი მაინც გვეყოლებოდაო. მო იენის შემოქმედებაში თვალში მოგხვდებათ ის, რაც ხშირად მხატვრულ ტექსტზე მეტად აინტერესებთ ყველაზე ფულიანი პრემიის მიმნიჭებლებს. ეს „რაც“ კი ისაა, რომ იგი დაუნდობლად კიცხავს, კილაგს თანადროულ ჩინურ სინამდვილეს, კულტურული რევოლუციის ხანას, როცა საუკუნეებიდან მომდინარე უშველებელი თეთრი ძაღლის ჯიშიც კი გადაგვარდა. სხეულის რომელიც ნაწილში მაინც გამოერეოდა სხვა ჯიშისთვის დამახასიათებელი ნიშანი, ჯიშთა შემთხვევით შეჯვარებას რომ გაამჟღავნებდა. ჩინური სინამდვილეც, თეთრუა ძაღლივით, შემთხვევით თეორიებს შეჯვარებული გამოიყურებოდა. ცდილობდნენ ერთმანეთისთვის მოერგოთ ერთმანეთს მიუსადაგებელი, რომელთა შეუთავსებლობა სადაც მაინც გამოტყვერებოდა იმ თეთრი ძაღლივით (შორეულკაეშნიანი და რალაცის მამხილებელი გამოხედვა რომ ჰქონდა), თეთრის მაგიერ შავი თათები გამოყვებოდა და ამით გაამხელდა, წმინდა სისხლისა რომ არ იყო.

ნოველის მთავარი პერსონაჟი ნუანი ჩვიდმეტისა, მთხრობელი ცხრამეტისა, ძაღლი კიდევ ოთხი თვისა იყო, ნიფანგჯინ-ის — ჩინეთის გამათავისუფლებელი სახალხო არმია — ჩვენის სოფლის ხიდზე რომ გადმოვიდაო, გვეუბნება მო იენი და ნაცნობი მხატვრული ხერხებით აღწერს ჩვენთვისაც არც ისე შორეული წარსულის მსგავს სინამდვილეს. ხიდზე გადასვლისას სოფლის სკოლას ხიდის ბურჯთან ჭილოფის კარავი გაუმართავს, სადაც დაქანცული არმიელებისათვის წყალს ადულებდნენ. მოსწავლეებისგან ბრიგადე-

ბი შეუქმნიათ, რომლებიც გონგებსა და დოლებს უბრაზუნებდნენ და არმიელთა საარაკო გმირობაზე მღეროდნენ.

ხიდზე გადასვლისას მანქანათა ნაწილი მდინარეში ჩავარდნილა, ზოგში ჯამ-ჭურჭელი ყოფილა და დამსხვრეულა, წყალზე ზეთის გუბები ტივტივებდნენ თურმე. სამხედროები არ ჩერდებოდნენ, გზას განაგრძობდნენ. სკოლის ლატაკებისა და საშუალო ფენის წარმომადგენელ ბიძია კო-ს, მეტსახელად კო-ნაყავილარს, ჯარის უფროსობა ხელს ართმევდა, მერე ხელი სკოლის რევოლუციური კომიტეტის უფროსისთვის, ლიუსთვისაც ჩამოურთმევიათ, რომელსაც მოსწავლეთათვის უთქვამს, იმღერეთო. მათ უკითხავთ, რა ვიმღეროთო. — როს თქვენ გიხილეთ უფრო მშობლიური გახდით ჩვენთვის — იმღერეთო. მოსწავლეებიც მღეროდნენ — სიტყვა ვერ იტყვის, ვერც ენა გამოთქვამს კომპარტიის სიკეთესაო, და ასე შემდეგ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ნაცნობი სიტუაციაა, არაერთხელ რომ დაუხატავთ სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს. ამაზე კარგად და ამაზე უარესადაც დაუხატავთ უაზრო რევოლუციონარივით გატაცებულ ხალხთა ყოფიერება. მო იენს თავისი ტკივა, სიყალბესა და ფუყე პატრიოტიზმში ჩაკარგული ხალხის შენჯღღრევა სწაღია.

„თეთრი ძაღლი და საქანელას“ პერსონაჟი ცხრამეტი წლისა იყო, მშობლიური სოფელი რომ დატოვა და სასწავლებლად წავიდა. სწავლა დაასრულა, სასწავლებელში პედაგოგად დატოვეს, მალე დოცენტად დაინიშნა და დაინიშნა. ამა-სობაში ათი წელი მიიღია და მშობლიური მხარის, ლამაზმანებით რომ იყო განთქმული, მონახულება გადაწყვიტა:

„ჩემი მშობლიური მხარე ლამაზმანებით განთქმულია. აქაურები ყოველ ისტორიულ დინასტიაში იყვნენ საიმპერატორო სასახლისათვის შერჩეულნი. ახლაც არიან დედაქალაქში, კინოში რომ თამაშობენ. რამდენიმე ასეთი მეც მინახავს და ვითყვოდი, არცერთი დიდი არაფერია, ამას (ნუანზეა ლაპარაკი) ვერ აჭარბებენ ჭეშმარიტი მშვენიერებით. თვალი რომ არ გამოთხროდა, ჩვენში რომ იტყვიან, სახე რომ არ დალენოდა, ვინ იცის, დიდი მსახიობიც გამოსულიყო. ათიოდე წლის წინათ ყვავილის ყლორტივით ტანკენარი გახლდათ, თვალეები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა“.

ასეთი იყო ნუანი საზარელ ამბამდე, ლამაზი, ტანკენარი, მთხრობელი სიაოკუს — მამიდიკოს ეძახდა, უყვარდათ ერთმანეთი. ნუანს უფრო მეთაური ცაი უყვარდა, ვიდრე ეს, ერთად იზრდებოდნენ — საქანელაზე ასვლა სთხოვა და ისე გააქანა, რომ ზაგირი განყდა, ნუანი და თეთრუა თხრილში ჩავარდნენ. გოგონას ეკალი მარჯვენა თვალში შეესო, ცალთვალად იქცა ერთ დროს ულამაზესი. სიყვარულშიც არ გაუ-

მართლა — მეთაური ცაი არ გამოჩნდა, მეგობარი სასწავლებლად წავიდა, დამახინჯებული გოგონა იძულებული გახდა ყრუ-მუნჯს მითხოვებოდა, რომელთანაც სამი ტყუპი ყრუ-მუნჯი გააჩინა.

ნოველაში ათი წლის წინანდელი და ათი წლის მანძილზე მომხდარი ამბები განიჭვრიტება. მთხრობელი ნუანის ოჯახის მონახულებას რომ გადაწყვეტს, მერვე ბიძია (ხომ კარგია, ბიძიათა დანომვრა?!) ეტყვის:

„კარგი ერთი რა! ეგრე გამოდის, სწავლა-განათლება ბევრი ვერაფერი ჭკუის მასწავლებელია. რა ხეირი მოაქვს, გარდა იმისა, რომ იტყვიან „ჭირსა და უბედურებას გადაეყრებო“. კაცი ან მთლად გაგიყდება, ან კიდევ პატარას ჭკუიდან გადავა. ნეტავ რას მიეთრევი იმის სახლში, მის ოჯახში რა დაგკარგვია? ბრმა-თვალგამოთხრილი, ყრუ და მუნჯი. არ გეშინია, მთელი ჩვენი სოფელი მასხრად რომ აგიგდებს? ხომ იცი, ამქარი ამქარსაო. შენ ღირსებას ნუ დაკარგავ!“

მაინც მოინახულებს ცალთვალა ნუანისა და მისი ყრუ-მუნჯი ქმარ-შვილის ოჯახს. ყრუმუნჯობისა და თვალდამრეტილობის აქცენტირებით გვეუბნება მო იენი ნოველის მთავარ სათქმელს, აქ ცალთვალა ოდენ ცალთვალა არაა, არც ყრუმუნჯია მარტო ყრუ-მუნჯი. ისინი სინამდვილის ადგებები — რად უნდა ხედავდე სრულყოფილად, მაშინ, როცა რასაც დაინახავ, იმას ვერასდროს გაამყდვენებ, რად უნდა გესმოდეს, თუ ვაგონილს ვერ იტყვი, ლაპარაკიც რა-ღა ბედენაა, თუ დანახულ-მოსმენილზე არაფრის თქმა შეგიძლია.

ნოველის მცირე ანოტაციაში წერია: მო იენი ფსევდონიმია და ქართულად სიტყვა-სიტყვით — არ ილაპარაკო, ნუ იტყვის ნიშნავსო. თხზულების დედაბორიც ესაა, მზერას, სმენას, საუბარს არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს, იმ საზოგადოებისათვის თვალდამრეტილობა და ყრუმუნჯობაა მთავარი. ამიტომაც ნუანის — ყრუმუნჯის ცოლისა და სამი ყრუმუნჯი ვაჟის დედის — ოცნება ბუნებრივი — ჰყავდეს შვილი, რომელიც კიდევ დაინახავს, კიდევ მოისმენს, კიდევ გაამყდვენებს ნანახ-მოსმენილს. ადამიანურზე ადამიანური სურვილია — თვალის უჭრიდეს, ყურშიც ესმოდეს, ლაპარაკობდეს...

„თეთრი ძალი და საქანელა“ ორ მთარგმნელს — **ლიუ-ყანდარელ კუანგვენსა და რუსუდან ქუთათელაძეს** ჩინურიდან გადმოუღლიათ ქართულად. სასიამოვნოა, თარგმანში იგრძნობა ჩინური სინამდვილის კარგი ცოდნა და მერე იქაური ყოფის რეალიებით მშვენივრად გადმოქართულებული, სიტუაციებიც ძალდაუტანებელი, ბუნებრივი ქართული ენითაა დახატული. აი, ერთი მაგალითი, თანაც საფინალო ფრაზები თხზულებისა:

„მართალი მითხარი, ახლა რომ გამოგყვე, წამიყვანდი?“ — (ამას უკვე დასახიჩრებული და სამშვილიანი ნუანი ეუბნება მთხრობელს).

რომ დავინახე მისი შეშლილი სახე, გული ამიჩუყდა. ვთქვი: „რა თქმა უნდა, წაგიყვანდი, უეჭველად“

„ყოჩაღ... მაგრამ შენც უნდა გამოიგო... მე შეემშინდებოდა, რომ თავს მოგაბეზრებდი, შეგზიზღდებოდა ჩემი ჩადგმული თვალი. მაგრამ ახლა დედათა რიგის დრო ზუსტად მომმნიფებია... მე მხოლოდ ერთი ენაადგმული შვილი მინდა... თუ თანახმა ხარ — გადამარჩინე. თუ არადა — მომკალი. ვიცი, მესმის, ათასი საბაბი გაქვს, ნურაფერს მეტყვი, იყურე...“

იმედიანია ფინალი, სავარაუდოდ, გაჩნდება ენაადგმული, თვალისჩინიანი, მომსმენი და გამგები შვილი, რაც სიმბოლურად ნოველის სინამდვილის დამსხვრევის ტოლფასია.

კიდევ ბევრ რამეზე შეიძლებოდა გვეთქვა — მო იენს დუხჭირი ყოფა, შემზარავი ამბავი მარტივი, დასამახსოვრებელი შტრიხებით აქვს დახატული — შეუძლებელია კაოლიანის (სიმინდისნაირი მცენარის) ზვინნამოკიდებულ ნუანი დაგვიწყდეს, ყრუ-მუნჯი ქმარი არ ჩაგრჩეს ხსოვნაში...

კარგია, ძალიან კარგი.

ნობელიანტი მწერლების თხზულებას მუშტრის თვალით ვკითხულობ-მეთქი, ამით დავინყე. მო იენზე დიდი მწერლები არც ისე ცოტა გვყავს ქართველებს, მაგრამ რას ვიზამთ, ამ პრემიას მარტო მხატვრული დონისათვის არ იძლევიან.

მო იენი კარგი მწერალია, კარგად წერს...

## რაც ასაკს არ ემორჩილება

„ჩვენი მწერლობის“ 2011 წლის 22 ივლისის ნომერში მეცნიერი და მთარგმნელი **პაატა ჩხეიძე** გვთხოვს: ყველამ გულში დავუდასტუროთ და დღეიდან ვიცოდეთ, რომ **დავით წერეთლი** დიონისი ენოდოს ქართული პოეზიის უფლისწულის სახელი იმ წვლილისათვის, რაც მას ქართული პოეზიისა და ენის განვითარებაში შეუტანია.

დავით წერეთლის პოეტურ კრებულს „**ორიონი**“ **როსტომ ჩხეიძე** ნიკოლოზ ბარათაშვილისა ადარებსო.

ამ წერილის ხელახლა გადაკითხვის შემდეგ ჩნდება სურვილი, ისე, რომ ავტორის წლოვანება არ გაუმხილო, შენც ნაუკითხო სტუდენტებს „ჩვენი მწერლობის“ 2014 წლის 4 აპრილის ნომერში დაბეჭდილი ლექსი **„უძილობა, ტფილისური მოტივები“** და ესაუბრო გრძნობის იმ სიხალასეზე, ასაკს რომ არ ემორჩილება.

მე კი დავით წერეთლის ამ ლექსს შევადარებდი ოთარ ჩხეიძის სიცოცხლის ბოლოს დაწერილ რომანებს, ყველას რომ აოცებს ახალგაზრდული შემართებით, როცა სიტყვა ისევე ემორჩილება ავტორს, როგორც წლების წინათ, ახალგაზრდობისას. ამას არაერთი კრიტიკოსი აღნიშნავს.

დავით წერეთლის შესახებ ისე კარგად წერს პაატა ჩხეიძე, მე მხოლოდ მის სიტყვებს თუ გავიმეორებ: „პოეზია ენის ნიაღბი არსებობს და არსობს. ქართული ლექსი ქართული ენის ზღვაში უნდა ლივლივებდეს, მასში უნდა ყვინთავდეს“.

ეს თითქოსდა აღმოსავლურ ჰანგზე დაწერილი ლექსიც ქართული ენის ზღვაში ლივლივებს:

**ამბრისა კილტნი, მოლთა ფერანი,  
სიბრძნის იათული, სულთქმით მღერანი,  
რტოზე იადონი, ველზე ჯერანი,  
შენთვის დამიღვრია ცრემლთა ღვარები.**

ან მარტო ეს ერთი სიტყვა რად ღირს — „შემოფრთაჭრელა“.

გეთანხმებით, ბატონო პაატა, რომ „დავით წერეთლის ლექსში ყველა სიტყვა თავის ადგილას ზის, იგი იცნობს ყველა მეტრს, ყოველ ჰანგს და ოსტატის შერეული ხელით მოიხელთებს, მოიმარჯვებს, მოითანიებს, როგორც პოეზიის ნამდვილი მეტრი“. შეიძლება ეს ლექსი მაშინ არც იყო დაწერილი (შეიძლება ძველი ლექსია და ნაკითხულიც გქონდათ, მე ხომ არ ვიცი, მე ვიცი მხოლოდ ის, რომ როსტომ ჩხეიძე ერიდება სადმე დაბეჭდილის ხელახლა დაბეჭდვას თავის ჟურნალში), თქვენი შეფასება კი ასე ზუსტად ესადაგება.

გრძნობები გრძნობებად, სიყვარული სიყვარულად და ბოლოს მაინც გვიმხელს დავით წერეთლი, რატომ არ ეკარება რული — **„გურჯის ქვეყანა მიველად უპყრია იბლისს“**, ეს არის, რაც **„მაძალეს მუსტაზადების წერას“**.

იმაშიც დაგეთანხმებით, რომ დავით წერეთლი დიონისი ენოდოს ქართული პოეზიის უფლისწულის სახელი და მხოლოდ გულში კი არ დაგიდასტურებთ, „ჩვენი მწერლობის“ მრავალრიცხოვან მკითხველებს ხმამაღლა ვეტყვი: „ღირსია, ღირსია, ღირსია!!!“

მარინა გიგაშვილი-ცერცვაძე

მარიო ვარგას ლიოსას ბოლო რომანი „კელტის ოცნება“ საფრანგეთში 2011 წლის სექტემბერს გამოჩნდა. როჟე კასემანის გმირი (1864-1916), სამართლიანობას მონყურებული ბრიტანელი დიპლომატი, ევროპას ამხელს კოლონიზაციაში, რაც ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობაზე აისახება. ადამიანმა, ერთდროულად პატიოსანმა და ბურჟუაზიულ მოცულმა, ევროპაში სახელი გაითქვა კონგოსა და პერუში ბელგიისა და ბრიტანეთის უხამს ქმედებათა მხილებით, რის გამოც მოგვიანებით დასაჯეს, როგორც ინგლისის მოღალატე. მისი ანტიკოლონიზატორული პოლიტიკა უბიძგებდა ირლანდიას ნაციონალიზმისკენ და პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიასთან კავშირის შესაკერებლად. საერთოდ ვარგას ლიოსას როჟე კასემანი ტიპური გმირია, რომელიც მოღვაწეობას იწყებს ამაღლებით და ამთავრებს დაცემით. პარიზში მწერალმა ჩვენთან ერთად გაიხსენა მებრძოლი გმირი, ამბიციური და სანიმუშო, უკანასკნელი ავატარი აბსულუტის მაძიებელთათვის.

ალექს ბროკასი

# მარიო ვარგას ლიოსა — ოსრობის ოსტატი

— კასემანი ბრიტანული იმპერიის სახელმწიფო მოხელეა, მიუხედავად ამისა ილაშქრებს კოლონიზაციის წინააღმდეგ. დაბადებით პროტესტანტი იცავს კათოლიკური ირლანდიის თავისუფლებას. ნუთუ ეს არის ცხოველმყოფელი წინააღმდეგობა, რაც მას ასერიგად საინტერესოს ხდის?

— როდესაც კასემანი პირველად წავიდა აფრიკაში, სურდა გაყოლოდა დიდ ინგლისელ მკვლევართა გზას, განსაკუთრებით შთაგონებული იყო სტენლით. სჯეროდა მისი ლეგენდისა. აფრიკაში მან თვალნათლივ იხილა კოლონიზაციის საშინელი შედეგები, რამაც უბიძგა დაენერა „წყვილის გულში“. ეს არ ყოფილა დოკუმენტებზე აგებული, მაგრამ სვამდა კითხვას — „როგორ შეიძლება ერთდროულად იყო პრობრიტანელი და დაუპირისპირდე ბელგიას იმის გამო, რასაც სჩადის კონგოში?“ მეორე წინააღმდეგობა — კასემანი დაიბადა ულსტერში, ანგლიკანურ ოჯახში და ეამაყება, რომ ეკუთვნის იმპერიას. მაგრამ ირლანდია იყო ინგლისის კოლონია და იქ ხალხს არ ექცეოდნენ ისეთივე სისასტიკით, როგორც კონგოში. ასე რომ, კასემანი შეიცვალა, ცხადია ძნელი გახლდათ მისთვის, უარი თქვა ოჯახზე, კულტურასა და ტრადიციებზე. იგი გახდა ირლანდიის ნაციონალიზმისთვის მებრძოლი, იმუშავა რადიკალურ მოძრაობებთან, მონაწილეობდა ირლანდიის შეიარაღებულ აჯანყებაში და, როცა მიხვდა, წარუმატებლობის შემთხვევაში ორგანიზატორები მოითხოვენ ჩემს დასჯასო, გადამწყვიტა შეჩერება.

— კასემანი იღუპება თავისი იდეალიზმით, როგორც „პანტალეონი და მნახველები“ მაჭანკალი ლეიტენანტი, „დეიდა ხულიას“ პედრო კამაჩო და „სამოთხის“ გოგენი. როდესაც იყენებთ რეალურ პერსონაჟს, მას ისეთივე ნაკვთები აქვს, როგორც თქვენს წარმოსახვაში?

— მომწონს პერსონაჟები, რომლებიც ბედავენ მიმართულების საწინააღმდეგოდ სვლას და ყოველთვის მზად არიან ნებისმიერი რისკისათვის. კასემანი ძალიან მამაცი გახლდათ, ეცადა ევროპაში შეეცვალა რეალური იმ დროს, როცა ევროპა თვითონ იყო კოლონიზატორი. მონაწილეობდა იმ დროის ევროპის ყველა გადამწყვეტილებაში, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ეხებოდა. და მაინც გახდა ინდოელთა დიდი დამცველი და ევროპის დიდი კრიტიკოსი. ვფიქრობ, იგი წარმოადგენს ლიბერალური დასავლეთის ყველაზე პოზიტიურ და შესანიშნავ კულტურას.

— მართლაც ბევრი საერთოა კასემანის რეალურ ცხოვრებასა და თქვენს წარმოსახვას შორის. თქვენი ნამშობი ირლანდიის შეიარაღებულ აჯანყებაზე გვახსენებს საბოლოო ბრძოლას „ომში სამყაროს დასასრულს“, როცა ბრაზილიელთა ჯარმა გაანადგურა წინასწარმეტყველის ფაქანსტერი.

— რათქმაუნდა, ირლანდიელთა აჯანყება, კანუდოს ამბოხებისა არ იყოს, მესიანისტური მოძრაობა გახლდათ, ხელ-

მძღვანელობდნენ რელიგიური ფანატიკოსები. ირლანდიელთა უმრავლესობა იბრძოდა ავტონომიისთვის, ხოლო დამოუკიდებლობისთვის — ძალზე ცოტა. ხელმძღვანელები ფიქრობდნენ, რომ ერთი მსხვერპლით, სისხლით თავისუფლება გახდებოდა უფრო პოპულარული, როგორც ქრისტიანობა.

— სკვპტიკურად უყურებთ ამ აჯანყებას. ამბობენ, რომ იზიარებთ ჯორჯ ბერნარდ შოუს აზრს: ყველა ნაციონალიზმი მოიცავს ობსკურანტიზმის რაღაც ნაწილს. ამასთან, ჩანს, რომ ამ მოძრაობამ გაცდუნათ თავისი უიმედო მგზნებარებით...

— რეალურად რთულია არ მოიხიბლო ამ ხალხის სიმამაცით, ერთსულოვნებით, ისინი იყვნენ მეამბოხენი, მაგრამ ჯერ — პოეტები და პროზაიკოსები. ეს იყო ინტელექტუალთა შეიარაღებული აჯანყება. მათ სურდათ ირლანდიური ენისა და ლიტერატურის გადარჩენა, მაგრამ კასემანისთვის ეს გახლდათ ერთ-ერთი დიდი იმედგაცრუება და წინააღმდეგობა, მან არ იცოდა კელტური, ესპანურად ლაპარაკობდა.

— კელტის ოცნებამ მიიღო სოფისტური სახე. იზიარებთ დაკავებული კასემანის პოზიციას თავისი არსებობისთვის მიენიჭებინა პანორამული ხედი. მოგონებებიდან, ოცნებებიდან იწყებთ პატარა ექსპედიციას მის წარსულში და ამთავრებთ მთელი მისი ცხოვრების მოყოლებით.

— მიწოდდა მეჩვენებინა მთელი ეს ისტორია, თუ მიყვებით ქრონოლოგიურად, არ შევხვდებით მხოლოდ როჟე კასემანს, სხვა მონაწილეებშიც არიან. მოვძებნე სტრუქტურა, სადაც შეიძლება მივყვე ამ უწყვეტ რეალობას, ასეთ წინააღმდეგობრივსა და მრავალფეროვანს. წიგნის პირველი ვერსია იყო ლაბირინთი. თანდათანობით აღმოვაჩინე, რომ საჭიროა ანწყოს დაცვა, ცხოვრების ბოლო ნუთებისა, რომელიც თავს მოუყრის დაკარგულ წლებს. ყოველთვის ვცდილობდი მენახა ისეთი სტრუქტურა, რომელიც თვითონ ისტორიასაც ათავისუფლებს. რაც თავიდან ძნელი იყო, მაგრამ თანდათან გაადვილდა.

— ყველა თქვენი რომანი გამოირჩევა ორიგინალური სტრუქტურით. „დედინაცვლის ქებაში“ თითოეული თავის ზემოთ — ილუსტრაციები, „დეიდა ჟულიაში“ — ჩამატებული ქრონიკები. იდეალური სტრუქტურის ძიება თქვენთვის აბსოლუტური ძიებაა?

— გააჩნია ამბავს, ზოგჯერ თვითონ ამბავი გვკარნახობს სტრუქტურას. ხშირად მიწვევს ძიება, რაც ძალიან მართობს. თუ ის გაქვს, ამბავი უფრო დამაჯერებელია, და თუ არა, მკითხველს გაშორებს. რომანი წარმატებულია, როცა მკითხველი შთაგონებულია მისით. ეს დაკავშირებულია სტრუქტურასთან და რათქმაუნდა ენასთან.

— როგორც „პანტალეონში“, სადაც სიტყვებს ცვლით მოქმედებით. ბევრ ენობრივ ექსპერიმენტს ატარებთ, მაგრამ ეს არ აბრკოლებს მკითხველს.

— ჩემთვის ცდა ფუნდამენტურია, მაგრამ არასდროს ვცდილობ ცდისათვის. გამიგია, რომ გრიესათვის — წარმოგიდგენიათ? — წარატივის ფორმა წინ უსწრებს ამბავს. „ექვიანობაში ვფიქრობდი მომეყოლა ამბავი დაწყებული არაფრიდან, ხოლო შემდეგ ამბავი, რომელიც შეეფერება ამ აბსტრაქტულ იდეას.“ ჩემთვის ეს წარმოუდგენელია, არასდროს შემძქლო წარმომედგინა ჯერ ცარიელი ფორმა და შემდეგ მომეძებნა იდეის შესაფერი ამბავი. ვფიქრობ, ეს წარმოუდგენელია მწერალთა უმრავლესობისთვისაც.

მარიო ვარგას ლიოსა დაიბადა 1936 წლის 28 მარტს, პერუს ქალაქ არეკიპაში, ბავშვობა გაატარა ბოლივიაში. 1944 წელს გადავიდა ლიმაში და შევიდა „კოლეჯიო ლა სალის“ კათოლიკურ სკოლაში, 1950 წელს ჩაირიცხა ლიმას სამხედრო აკადემიაში, იმავდროულად მუშაობდა კორექტორად და კინოსა და ლიტერატურის კრიტიკოსად. იყო პერუს სტუდენტური კომუნისტური პარტიის წევრი. 1959 წელს გამოიცა მისი პირველი კრებული „გუბერნატორები“. ამავე წელს საცხოვრებლად გადადის პარიზში, სადაც მუშაობს ჟურნალისტად და ესპანური ენის მასწავლებლად. 1975 წელს დაბრუნდა ლიმაში და აირჩიეს პერუს აკადემიის წევრად. 1980 წელს მიიღო პრიზი საუკეთესო უცხოური ნიგნისთვის „დეიდა ხულია და მოკალმე“ (1977). 1981 წელს გამოვიდა ნიგნი „ომი სამყაროს დასასრულს“. 1991 წელს იყო კანდიდატი პერუს საპრეზიდენტო არჩევნებში და ლიდერი კოალიცია **Frente Democrático**. დამარცხდა ალბერტო ფუჯიმორის წინააღმდეგ. 2000 წელს გამოვიდა „ვაცის დღესასწაული“. 2007 წელს მონაწილეობდა პარტია „პროგრესული ესპანეთის“ ჩამოყალიბებაში. 1993 წელს გახდა ესპანეთის მოქალაქე. 2010 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ფორმულირებით: „სტრუქტურათა ძალის კარტოგრაფია და პირად წინააღმდეგობათა მკვეთრი გამოვლენა, მისი ამბოხება და დაცემა“.

სტეფან მიმო

ბორჟეს ულისე

## მსოფლიოს მეფე

## „ლიტერატურა სინათლეა“

თითოეული მოთხრობისთვის დამახასიათებელი ფორმის შექმნით მწერალმა შემოქმედმა თავისი მახვილგონიერება მოსინჯა ყველა ჟანრში, ყველა ქვეყანაში, სოციალურ სფეროსა და ცხოვრების ყველა ასაკში.

უკვე 50 წელია, რაც მისი პირველი რომანი გამოვიდა „ქალაქი და ძაღლები“ (ბარსელონა, 1962), რომელმაც მოიპოვა ესპანური კრიტიკის ჯილდო და 2010 წელს ნობელის პრემია ლიტერატურაში. ნიგნი ესპანური ენის სამეფო აკადემიამ გამოსცა და გვაცნობს 26 წლის პერუელი რომანისტის გამოჩენას ლიტერატურულ ასპარეზზე. 2012 წლის გაზაფხულზე მადრიდში გამოსულ მის ბოლო ესეისაც „ცივილიზაციის სანახაობა“ მსგავსი აჟიოტაჟი მოყვა. პოლემიკა, რომელიც პრესაში გამოიწვია იბერიულმა და იბერო-ამერიკულმა საკითხებმა, შეეხო მნიშვნელოვან და მგრძობიარე თემებს, რაც იერძნობა ლიტერატურაშიც. როგორც მწერალმა, ლიტერატურამაც შეიძლება დაკარგოს თავისი არსი. მარიოს ვარგას ლიოსა ვერ ეგუება, როცა ლიტერატურა საკუთარი კანონის გარდა ემორჩილება სხვა კანონსაც. იგი ყველაფერს სწირავს ლიტერატურას, რომელიც წინ უძღოდა მის პოლიტიკურ კარიერას და 1990 წელს პერუში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. როგორც ბალზაკთან, ფლობერსა და ჰიუგოსთან, ნამდვილ ნიგნის ადამიანებთან, მასთანაც ლიტერატურა და ცხოვრება ერთმანეთში ირევა. საზოგადოებრივი სანახაობის შემოქმედი ამჟღავნებს ამაოებას, რაც ემუქრება ნამდვილ კულტურულ ღირებულებებს. ცხადია, ნუხილითა და იმედგაცრუებითაა გამსჭვალული მისი ესეი „ცივილიზაციის სანახაობა“. იგი მიყვება იმ ნიგნების გზას, რომლებიც მუდამ თავანწყვტილნი არიან: „ფლობერი და „მადამ ბოვარი“ (1975), ან „ახალგაზრდა მწერლის წერილები“ (1997). ლიოსა იწყებს ფლობერის სკოლით, რილკე, რომელსაც შემოჰყავს ახალგაზრდა პოეტი თავის შემოქმედებაში და ტოვებს უთანასწორო გარემოში. მისი გავლენა ხიზლავს და აღაგზნებს. ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლიან ჩვეულებრივ ცხოვრებას, სულის ერთი შეხებვით ითრევს შემოქმედებაში. მაგალითად, ჰომეროსი, „ათას ერთი ღამე“, შექსპირი და XX საუკუნის ამერიკული შედეგები. შემოქმედს ამბიციია აიძულებს წეროს და მსოფლიოს გააგებინოს თავისი გადაწყვეტილება. სიყვარულს (სიტყვა, რომლითაც მთავგონებულება ვარგას ლიოსა) არ თანხმდება, თუ ლიტერატურას არაფერი შეუძლია სიკვდილის წინააღმდეგ და ვერ შეძლებს უფრო ჰუმანური ცივილიზაციის მოდელირებას, სიყვარულს სთავაზობს რევანშს სიცოცხლეზე.

საზოგადოება ორად გაიყო, როდესაც ავტორმა თავისი წარმატების პირველწყაროდ „დეიდა ხულია და მოკალმე“ (1977) დაასახელა. რომანში მოქმედება ხდება მშობლიური პერუს შუაგულში, აჭრელეზულ სოციალურ ფენებში. იუმორი, სიმსუბუქე და საოცარი ლინგვისტური შესაძლებლობანი ფერს უცვლის ჩვეულებრივ ცხოვრებას და მკითხველს ამოგზაურებს ათას ერთიმეორეზე ზღაპრულ ცხოვრებაში. დროდადრო იხდი ყოველდღიურ მანტიას, მოზღვავებული ალტაცება გიღებს ბედნიერების კარს. მწერალი გვევლინება ილუზიებით მოვაჭრედ. იმავე გზით, როგორც რომანში, შემოქმედი ყველა სფეროში (თეატრი, ესეი, გაზეთი, ლიტერატურა და მხატვრული კრიტიკა) უპირისპირდება მთელ მსოფლიოს. სამხრეთ ამერიკა, 1950 წელი — პერუ არის გენერალ ორდიას დიქტატურის ქვეშ „საუბარი ტაძარში“ (1969), ბრაზილიის ომი სამყაროს დასასრულს (1981) და დომინიკელთა რესპუბლიკა („ვაცის დღესასწაული“, 2000), მაგრამ აუცილებელია დიალოგი ევროპასა და პერუს შორის, ფლოტა ტრისტანსა და მისი შვილიშვილის გოგენის ერთმანეთთან დაკავშირებით („სამოთხე“ — ცოტა მოგვიანებით 2003) და ბოლო ორი რომანი: „საძაგელი გოგოს ოინები და ხრიკები“ (2006) და „კელტის ოცნება“ (2010), სადაც მსოფლიო გაერთიანდა. ნაწარმოების სიმდიდრე ასევე ცხოვრების ყველა ეტაპი დაწყებული ყრმობიდან, სიმწიფესა და სიბერემდე, ყველა მდგომარეობა — სამოქალაქო თუ სამხედრო, ყველა სქესისა და კონტინენტის მთლიანი ცხოვრების სახე მოუთმენლობებსა და წინააღმდეგობებში. რომანის ფორმა იმორჩილებს თითოეულ ვითარებას. მარიო ვარგას ლიოსა თავისი მკითხველის ერთგული, ახალი პრომეთე თუ ულისე, სიამოვნებით უერთდება მისთვის სანდო მონაწილეებს, რადგანაც სამყარო ვერაგობითა და ლალატიითა სავსე. როგორც პოემის ავტორი, მაგრამ პოეტი, რომელიც გვასწავლის ბორჟეს მაგალითებით, აკვირდება და აცოცხლებს ინტრიგის ბადეში გახვეულ მარიონეტებს. მარიო — ლათინოამერიკელი ბალზაკი, მაგრამ ასევე სერვანტესისა და სარაინდო რომანთა მოთხრობელი მარლოსა და ჰემინგუეის იერით, რაბლე — გადაჭარბებული პოეტური განწყობით. 1967 წლის კონფერენციისთვის მის მიერ შერჩეული სათაური ისევე აქტუალურია „ლიტერატურა სინათლეა“.



მარიო ვარგას ლიოსა

ფრანგულიდან თარგმნა  
იან ჯაჰანსიან

ესმა მანია

# ეგვიპტური ესეები

დრო აღმოსავლურად

— ქართულ რეალობაში ჭილზე შესრულებული უძველესი ხელნაწერი X საუკუნითაა დათარიღებული — რეპლიკა იყო ჩვენი მხრიდან.

— X საუკუნე — ჩვენი ნელთალრიცხვით თუ ჩვენს ნელთალრიცხვამდე — დაზუსტება სცადა პროფესორმა.

ათასწლეულები, როგორც აღმოსავლური კულტურის ქრონომეტრაჟი, მათივე საზოგადოებრივი სისტემის მოდელი და ფორმატია. ეს შეგრძნება ლაიტმოტივით გასდევს თანამედროვე ეგვიპტურ ყოფას. წარმოუდგენლად დიდი დროითი ინერციებითაა გადაფარული ანმყოფი და, დიდი ალბათობით, მომავალიც. ანმყოფი გაგება აქ პირობითია, ახლო აღმოსავლეთი ქრონოლოგიურ დროში კი არ ანაწილებს ისტორიას, არამედ დასაბამიდან აღსასრულამდე ყოველდღიურად ათამაშებს. სიმბოლური ანმყოფი ნიშნულად გვეჩვენა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი — კაიროში აეროპორტისკენ მომავალ გზაზე მრავალსართულიანი შენობის თავზე დიდი ტაბლოა, რომელიც ყოველწამიერად აახლებს დედაქალაქში მცხოვრებთა რიცხვს 26-დან 27-მილიონამდე. სწორედ ერთი მაჩვენებელიდან მეორეზე გადასვლის დროა სიმბოლური ეგვიპტური ანმყოფი, რომლის ამოსავალი წერტილიც ერთი ადამიანის დედაქალაქში მყოფობა-არმყოფობაა. მეორე მხარეც აქვს ამ ანმყოფს, კარდინალურად განსხვავებული მხარე — პოლიტიკურ შეხლა-შემოხლაში ერთ დღეში გარდაცვლილი ასობით მოქალაქე, ისლამური კულტურის ლამის თვალწინ აფეთქებული მუზეუმიც, ჟესტების ენით პროვოცირებული მძლავრი კონფრონტაციებიც და ამ კონფრონტაციაში ნებისმიერი ადამიანის მისდა უნებურად ჩაბმის მაღალი რისკიც...

აქ წარმოუდგენლად ხანგრძლივი დროითი ინერციებითაა გადაფარული ანმყოფი, თუმცა მაინც აქვს თავისი ხასიათი, ნიშნული, ბუნება, მაჩვენებელი, რადგან ცოცხალი ადამიანია ანმყოფი საზოგადოება...

## კადნიერი ეგვიპტური არქეოლოგია

როცა სორბონის უნივერსიტეტის — წარმოშობით ბულგარელი — პროფესორმა 13 წლის წინათ საქარაში ძველეგვიპტური სამეფოს მეექვსე დინასტიის მეორე ფარაონის ძიებაში აღმოჩენილი მისი ქურუმის სამარხის იატაკზე უნესრიგად ამოღებული სილა ხელით მოასწორა, ამ მოძრაობაში თვალნათლივ დავინახეთ, როგორი მსუბუქიც იყო მისთვის ეს უმძიმესი 13 წელი და კიდევ რამდენ დროს დაუთმობდა ეგვიპტურ გათხრებს.

სრული უდაბნო, მცხუნვარე მზე, სითეთრემდე მისული ნათელი ჯოსერის მასტაბებიანი პირამიდის მახლობლად კაბოსან ეგვიპტელთა თანხლებით ფრანგული არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაო გარემო იყო. შედეგები დიდი ჰქონდათ. თუმცა იქ, სადაც გადასახედები და საზომები განსხვავებულია, ვერ ვიტყვით, დიდი ეთქმოდა თუ არა ამ შედეგს — რამდენიმე დარბაზს, ამოხსნილ დეკორატიულ, ფერწერულ და იეროგლიფურ პროგრამებს, ამის საფუძველზე რეკონსტრუირებულ ძველეგვიპტურ საგებს ქურუმთა ლალატზე, ფარაონთა წყევლაზე, ქალების როლზე... ვერ ვიტყვით, ეგვიპტური გადასახედით დიდი ეთქმოდა თუ არა ამ შედეგს — არქეოლოგის გაყვითლებულ კანზე და მგზნებარე თვლებში ალბეჭდილ მომწუსხველ ვენებას, გამაოგნებელ ალღოს, არანორმალურ უსიცოცხლობაში არანორმალური სიცოცხლისუნარიანობის ძიებას რომ ამართლებდა, ალღოს, 5 ათასწლეულზე მეტს რომ ერეოდა... ეს ალ-

ლო სულაც არ უპირისპირდებოდა თანამედროვე არქეოლოგიის ორგანიზაციულ-მენეჯმენტურ სისტემას, სათანამგზავრო გადაღებებიდან, ნაბურღი მასალის მონაცემებიდან თუ არაერთი სხვა საშუალებიდან მოპოვებული სადაზვერვო მასალით საკვლევ ობიექტთა ლოკალიზაციას რომ ამარტივებს.

რბილი ჯავრისი ეჭირა ერთ-ერთ არქეოლოგს, ფრთხილი მოძრაობებით ჩვენ თვალწინ არღვევდა ათასწლეულთა ქრონოლოგიურ ბარიერს და უკვე 20-ზე მეტ მუშის ამატებდა ახალაღმოჩენილსაც. აღმოჩენის სიხარულით გონდაბინდულებს დროდადრო გულში გაგვკრავდა მეცნიერთა თვალსაზრისით არაკორექტული კითხვა: რამდენად ეთიკურია არქეოლოგია? წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისი ეთიკურ რაკურსს, ბუნებრივია, ჯაბნინდა, მაგრამ ეს „არქეოლოგიური გამარჯვება“ პირობითი იყო, ათას წინააღმდეგობას აჩენდა თითოეული ჩვენგანის საფიქრალში და, როგორც უდაბნოს ქვიშა და ზედმეტი ნათელი — მხედველობას, ეს აზრი გვიბუნდოვანებდა სიხარულს, ვბრუნდებოდით და ადრე ნაკითხული ერთი ფრაზა მასხენდებოდა: „არქეოლოგია ისეთივე უტყუარია ისტორიაში, როგორც ქირურგია მედიცინაში. შედეგი ყოველთვის ნაღვლია. ან შევლის, ან — არა! ილუზიების გამაფანტველია არქეოლოგია“ (ლევან ღვინჯილია).

ქარის მოძრაობას აყოლილ უდაბნოს ქვიშას მიჰქონდა ფარაონების წყევლა, ასი ათასობით ქურუმისა და მონის ძალისხმევა, მილიონობით ადამიანის შთაგონება და ყველაზე დიდი მისტიკა — შეენახათ, გაესაიდუმლოებინათ, გადაემაღლათ... მხოლოდ ფერს, ფორმას, ზომასა და იდეას ვერ ერეოდა დრო...

იღვა ასე ნაყოფიერ უდაბნოში ფრანგული არქეოლოგიური ექსპედიციის ბულგარელი ხელმძღვანელი, ხელში ეჭირა კადნიერი დოკუმენტი — საველე დღიური, ერთი გადასახედით — ასე ცოდვიანი და, მეორე გადასახედით — ასე გამართლებული, ასე წარმატებული...

დღეს თანამედროვე ეგვიპტეში ივსება თითქმის 2000 ასეთი საველე დღიური, 2000 არქეოლოგიური ექსპედიციის მემკვიდრე.

## რაც გადარჩა

სწორედ ფერს, ფორმას, ზომასა და იდეას ვერ ერევა დრო... ეს ის არის, ეგვიპტური წარსულისგან რაც გადარჩა. ეგვიპტური საოცრებაა ისიც, რომ გადავსებული განძთსაცავთა, უმდიდრესი ღია ისტორიული მუზეუმების ფონზე მაინც გვინევს თქმა: „ის, რაც გადარჩა“... ათეულობით დინასტიის ფარაონთა სამარხებიდან მხოლოდ ერთი ფარაონის გაუძარცვავი სამარხი — ბედის ირონია! გენიალობა მონუმენტურ არქიტექტურაშიც და დეტალშიც ძველეგვიპტური ხელწერა... დღესაც თვალში კვიელავს 3500-ზე მეტი წლის ფერწერის ფერადოვნება, განსაკუთრებით ყვითლისა და ცისფრის კომბინაცია. ჯოსერის მასტაბებიანი პირამიდა, გიზის პირამიდები, სამარხების შეცვლილი კულტურა — მეფეთა ველის 62 სამარხი, საკულტო ნაგებობები — კარნაკისა და ლუქსორის ტაძრები, ხაჩეფსუტის ტაძარი — გამაოგნებელი ძველეგვიპტური არტეფაქტები!

სიცოცხლე, როგორც სამზადისი გარდაცვალებისთვის, სამყაროს, ადამიანის განცდა ასეთ ზომებში, მოცულობებში, ასეთ დინამიკასა და ასეთ უძრაობაში, ასეთ კომპოზიციებსა და ასეთ ინდივიდუალობაში, ასეთ იეროგლიფურ პროგრამებში, ამდენი და ასე ორგანიზებული სათქმელი, ამდენი საფიქრალი, ამდენი საიდუმლო, ასეთი განყენებულობა და ასეთი პრაქტიკულობა, ასეთი ერთგულება და ლალატიც, ამდენი ოსტატი, ამდენი მონა, ამდენი საჭრეთელი და ქვის სამტვრევი, ამდენი საღებავი, ამდენი გრანიტი, ამდენი მარმარილო, ასეთი დახვეწილი და ასეთი არასტანდარტული ფორმები, მათდა უნებურად რომ გასცემს სამეფო დინასტიათა ვნებებს, ასეთი სინატიფიც და ასეთი პომპეზურობაც, ასეთი თადარიგი და მარადიულობის ასე განცდა და არაერთი ხარვეზი, ადამიანური ხარვეზი, მათ სამყაროსთან სიახლოვეს რომ გაგრძობინებს.

სწორედ ფერს, ფორმას, ზომასა და იდეას ვერ ერევა დრო...  
ორი მომენტი ყველაზე საინტერესო — ათასწლეულთა წინათ ამ  
ძველების არსებობის პირველი დღეები და XX საუკუნის დასაწყის-  
ში ბევრი მათგანის ხელახალი აღმოჩენის პირველი წუთები.

ერთი რამ არის ყველაზე სასიფათო და ამაფორიაქებელი  
— ათეულობით მძიმე სამხედრო ტექნიკა ეგვიპტის მუზეუმის  
ეზოში და საჯარისო ქვედანაყოფი, არადა, სულ ახლახან აღ-  
ვნიშნეთ, დრო ვერ ერევა...

**მთავარი**

კაიროს ნაციონალურ სამხედრო მუზეუმში ჩვენი ყუ-  
რადღება ერთმა ოჯახმა მიიქცია — დედამ ორი მოზრდილი ბი-  
ჭითა და ერთი ჩვილით, თითქმის ახალშობილით ხელში. იმ  
დღეს სამხედრო მუზეუმის მთელი არსი დედამ ახსნა, გულ-  
მოდგინდა რომ ათვალერებინებდა შვილებს თითოეულ ვიტ-  
რინას, თითოეულ ექსპონატს, უყვებოდა მგზნებარე ემოციე-  
ბით. ბავშვების თვალში რაღაც იღვენებოდა, ილექებოდა,  
ჩვენ თვალწინ იცვლებოდნენ. ალბათ მამა აღარ ჰყავდათ, არ  
ჰყავდათ ომის გამო, რადგან ასე აღქმა მხოლოდ ომში მამადა-  
კარგულ ოჯახებს შეუძლიათ და ასე ადრე მხოლოდ მამადა-  
კარგული ოჯახების შვილებს ავაჟკაცებენ. იმ მდიდარი და  
არაჩვეულებრივი ექსპოზიციით გამორჩეულ სამხედრო მუზე-  
უმში ჩვენთვის ტუტენჰაიმონის საბრძოლო ეტლზეც ძვირფასი  
იყო ეს ოჯახი და თანამედროვე საავიაციო საშუალებებზეც.

**საჩოთირო და მისაჩქმალი**

არაბულად მოსაუბრე პროფესორმა ლექცია ამ ფრაზით და-  
იწყო: „თქვენი მოსვლით მზიანი დღე გაუთენდა ეგვიპტეს“. თარ-  
ჯიმის მიერ ნათქვამი ამ სიტყვების დეკორატიულმა ელფერმა  
ამ ფრაზის ავტორისეულობაში დაგვაქვია. დასმულ შეკითხვაზე  
პროფესორმა ხაზგასმით დაადასტურა ნათარჯმის სისწორე...  
იმ დღეების მანძილზე მან პირველმა ახსენა არასახარბიელო სა-  
კითხი — მამელუქთა სამსაუკუნოვანი სამხედრო ელიტა ეგვიპ-  
ტეში და ამ წრეებში ქართველთა დომინანტური როლი.

ვინ გაგვიჩერებდა უზარმაზარ სასაფლაოსთან, გაკვრით  
რომ ვიცოდით, მამელუქთა საფლავებიაო. ყველა ერსა აქვს რა-  
ღაც მისაჩქმალი, დასამალი... ვინ გაგვიჩერებდა, მითუმეტეს, მა-  
შინ, როცა გეზი მუჰამედ ალის ციტადელისკენ გვქონდა აღებუ-  
ლი, იმ მუჰამედ ალის ციტადელისკენ, მამელუქთა მთელ სამხედ-  
რო ელიტას ერთ მშვიდობიან დარბაზობაზე რომ მოულო ბოლო.

სასაფლაომ, წამით რომ ჩაუქროლა ჩვენმა ტრანსპორტმა  
და უიმედოდ შეტრიალებული სხეულები შეგვარჩინა, ჯერ  
დაგვადუმდა, შემდეგ კი ათას ფრაგმენტად აათამაშა ჩვენს გო-  
ნებაში გლოვით განამებული ქართული პასტორალური სიუ-  
ჟეტები გურიის, სამეგრელოს, მესხეთის... ლანდშაფტებიდან.

წამით ჩავუარეთ უზარმაზარ სასაფლაოს, გაკვრით რომ  
ვიცოდით, მამელუქთა საფლავებიაო. არც ღირდა კითხვის  
დასმა, ვინ გაგვცემდა პასუხს, ყველა სახელმწიფოს აქვს რა-  
ღაც საჩოთირო და მისაჩქმალი.

გავიკვირდა, ამ საკითხს რომ შეეხო პროფესორი და თარჯიმ-  
ნის პროფესიული პატიოსნებაც სწორედ ამიტომ შევაძინეთ.

**ალუზიები ეგვიპტურ კულტურაზე**

„აღმოსავლეთი“ ჰქვია, მაგრამ მზის ჩასვლის ქვეყანაა. დაი-  
სის უიშვიათესად შთამაგონებელი პეიზაჟები, განსაკუთრებით  
ნილოსის პირას, შენდაუნებურად განგანყობს ასეთი ფიქრისკენ:  
თანამედროვე ეგვიპტური კულტურა არ არის ეკლექტი-  
კური, ის არ არის კულტურათა ხელოვნური, მექანიკური ნა-


ზავი, თუმცა არც სინთე-  
ზური კულტურაა, წინააღ-  
მდეგობათა გარეშე რომ  
აღიქმებოდეს... აქ თითქოს  
ყველაფერი ცალ-ცალკეა,  
ყველაფერს რადიკალუ-  
რად განსხვავებული ფორ-  
მა და წინააღმდეგობრივი  
შინაარსებიც კი აქვს, მაგ-  
რამ მაინც ერთიანია. რაც  
გამაოგნებელია, ამ ერთი-  
ანობაში შერწყმის, შეერთე-  
ბის, გადაბმის ადგილები  
მკაფიოდ ჩანს. მკაფიოდ  
ჩანს მომიჯნავე კულტუ-  
რათა შეკავშირების ნაბ-  
ლანდიც და ნაგვირისტა-  
ლიც, სიმყიფეც და სიმყა-  
რეც, ძალდატანებაც და ნე-  
ბაყოფლობითობაც. ახალი  
განზომილების ამ კულტუ-  
რის შრეებად დაყოფაცაა  
შესაძლებელი, მაგრამ, სა-  
გულისხმოა, რომ არცერთი  
დანაყოფი სეგმენტი იმაზე  
უკეთესი, იმაზე საინტერე-  
სო ვერ იქნება, ვიდრე ერ-  
თიანობაში... ეგვიპტური კულტურა, თუ შეიძლება ასე ითქვას,  
ანალიტიკური კულტურაა. ანალიტიკურია ეგვიპტური იდენ-  
ტიკობის არსიც. ძველეგვიპტური დინასტიები, ბერძნულ-რომა-  
ული, ისლამური კულტურები, ერთი მხრივ, და მეორე შტოდან  
— ძველეგვიპტურ-ბერძნულ-რომაული კულტურის მემკვიდ-  
რე, ისლამის ყოფითი (და არა რელიგიური) კულტურის წიაღში  
მცხოვრები მონიფიზიტური ქრისტიანობის აღმსარებელი  
კოპტები უნიკალურ ეთნოტიპს ქმნიან, თუმცა „ეთნოტიპი“  
არცთუ უნაკლო შესატყვისია იმ ცნობიერი სახელმწიფოებრი-  
ვი აზროვნებისა, ცნება „ეგვიპტელს“ რომ ქმნის.

ისტორიაში ბევრი რამაა კორექტული, მეტიც, პარადოქსუ-  
ლად კორექტული, ვთქვათ, ტოპონიმ „ეგვიპტის“ დღემდე არსე-  
ბობა, რაც ამ სახელმწიფოს შორიდან მაყურებელ არაერთ ადა-  
მიანს უჩენს კითხვას ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ  
თვითაღქმასა და თვითიდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.

**ცნება „ეგვიპტელი“**

მამა საუდის არაბეთიდან, დედა სირიიდან, შვილი — ეგ-  
ვიპტელი.

მამა ალჟირელი, დედა თურქი, შვილი — ეგვიპტელი.  
უცნაური ხიბლი აქვს ცნებას „ეგვიპტელი“. გამონაკლი-  
სის გარეშე, ერთმნიშვნელოვნად გპასუხობენ მათ ვინაობას-  
თან დაკავშირებულ შეკითხვაზე. მკაფიო თვითაღქმა აქვს  
არა მხოლოდ ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლე-  
ობას, არამედ იქ გვიან დამკვიდრებულებსაც, სხვა ეთნიკურ  
ჯგუფს მიაკუთვნებულ მოქალაქეებსაც. ეგვიპტელობა, რო-  
გორც ისტორიული პრიორიტეტი, ბუნებრივია, ვერ თავსდება  
ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებში, ამიტომაც ეგ-  
ვიპტის ისტორიას დღეს არაერთი დაინტერესებული სახელმ-  
წიფო იკვლევს (ამის დასტურია არაეგვიპტურ არქეოლოგიურ  
ექსპედიციათა სიმრავლე ეგვიპტის ტერიტორიაზე). ძველეგ-  
ვიპტურ სამეფოთა კანონმემკვიდრეები დღეს არაბულენო-  
ვანი მოქალაქენი არიან, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა მათ  
იდენტობას ენა და რელიგია ვერ განსაზღვრავს. მათ იდენ-  
ტიკობას ქმნის წარსული, რომელიც, გარე ფაქტორთა ზემოქმე-



რამზეს მეორე მეუღლესთან



დებით, ერთ მშვენიერ დღეს მოისპო. ხელოვნურად მომსპარი წარსული, ხელოვნურად გარდაქმნილი რეალობანი ყოველთვის ნაღმავს და აგუბებს ენერგიას. დღეს არაბთა ეგვიპტელობა შეთქმულებას უფრო ჰგავს, კეთილმოხილ შეთქმულებას წარსულის სასარგებლოდ. ბოლოს და ბოლოს ხომ არსებობს გენეტიკური იდენტობაც. ახალი ფასეულობანი, ახალი სისხლი, განახლებული გენეტიკა, წარსულისგან შორს წასული ეს შინაგანი კონფლიქტები ქმნის ალბათ თანამედროვე პოლიტიკურ კონფრონტაციებსაც. ეს ის განსაზღვრული ისტორიული ენერგიაა, ასეთი უნდობლობით, ასეთი რადიკალიზმით რომ იჩენს თავს საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

რაც უნდა ვიმსჯელოთ, ცნება „ეგვიპტელი“ დღეს არც ეთნიკური ფენომენია, არც გეოგრაფიული მოვლენა, შეთქმულებას უფრო ჰგავს, შეთქმულებას ისტორიული კანონმემკვიდრეობისთვის!

ყველა ერს აქვს, თუ ნიჰილისტურად ვიტყვით, დიდი წარსულის მემკვიდრედ გახდომის კომპლექსი, სინამდვილეში ეს ადამიანური სისუსტე კი არა, ფესვების შეგრძნებაა. „სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია როგორც ერსა“ — ისმის ომახიანი შეძახილი ჩვენი ტრანსპორტიდან და ეგვიპტის დედაქალაქში ნამღერი ეს ფრაზა გულის სიღრმეში ცოტა უხერხულობას გვიქმნის... მაგრამ ეს ქართული სათქმელია, ქართული ისტორიიდან მომდინარე სათქმელი!

**ეგვიპტური ყოფა**

მძიმე პირველი წუთები — მტვრისფერი გარემო, მოუნწერი-გებლობა, თითქოს ამ მეორეხარისხოვანი პრობლემებისთვის ვერ მოუცლიათო. ათეულობით მილიონი ადამიანის სიხარული, საზრუნავი, დარდი და წუხილი... შესამოსლის ფერთა სიმუქეც... გზები — მუდმივად გადატვირთული, დუნე წინსვლა, არადა, წინ გაღწევის ველური ჟინი და ამ აჩქარების მძიმე შედეგები... — ეს პირველი შთაბეჭდილებებია, შთაბეჭდილებები, ვიდრე შეგიყვარდება. ამ შეყვარებას კი არც დრო სჭირდება, არც რამე საგანგებო მოვლენა. ეს კანონზომიერია ეგვიპტეში. ჩასვლიდან მესამე დღეს გაკვირვებული ეკითხები საკუთარ თავს, რა იყო ის, რამაც ასე განგზიბა პირველ დღეს და რა მოხდა გუშინ, რომ ასეთი შთაგონებული ხარ დღეს. ეს ეგვიპტური საიდუმლოებაა, რომელიც ასე სასურველად გიქცევს ეგვიპტური ქუჩების ურბანულ აურზაურს, მტვრისფერს იმ ლაჟვარდისფრად მოგაჩვენებს, 3 ათასწლეულის შემდეგაც ცისფრად რომ ელვარებს ფარაონთა სამარხებში. მტვრის ნაწილაკებით გაჯერებული ჰაერიც კი ასე მსუბუქია, ზომიერია აღმოსავლური გასტრონომიის სიმსუყვეც და ნუგარის სიტკბოც... მომაჯადოებელია ოაზისების ეგზოტიკური ხილის სურნელება და სიუსვე, მზემოსხმულივით მწიფე ფორთოხლის ხეები, თავბრუდამხვევია ტანურა — ისლამური რიტუალური ცეკვა, მომწუსხველია ეგვიპტელთა გამოხედვა, ქუთუთოსა და ქუთუთოს შორის დარჩენილ დაუფარავ თვალთა ცეცხლი, გარემოსგან საბოლოოდ გამოიზნული ბადეაფარებული თვალბეჭეტი, მათი კეთილგანწყობა, მარგინალური ხასიათები...

თუმცა დღეს გაორებულია პოლიტიკური ეგვიპტე, გაორებულია იქ ჩასულითა ბედიც. ბენის ხიდია ფუფუნებამდე მისულ სტუმართმოყვარეობასა და აგრესიულ სტუმართმოძულეობას შორის. ეს უკანასკნელი პირწმინდად პოლიტიკური მოვლენაა, რამაც ბოლო სამი წლის განმავლობაში 15 მილიონი ეგვიპტელი დატოვა უმუშევრად.

როცა შენი სახელის არაბულ ძირებს მოიძიებენ, ბოლომდე გაუცნობიერებელი საერთო გენეტიკური და ლინგვისტური ასოციაციები გირევეს თავგზას. თურმე არაფერს ჩაუვლია უკვალოდ, უამრავი არაბული სიტყვაა დღეს ქართულ ლექსიკაში ისე ბუნებრივად დამკვიდრებული, რომ გიჭირს უცხო წარმომავლობისად მათი აღქმა, არადა, ქვეცნობიერიდან მახვილივით ინვერება სიტყვები: „ჯიზა“, „ხარაჯა“, თბილისის 4

საუკუნე... მაინც რამდენ წინააღმდეგობას იტევს თანამედროვე სამყარო და, საკვირველია, ამ ურთიერთგამომრიცხავს, კონფლიქტურს როგორ სძენს უფრო მეტ ხიბლს...

**„Grand“... საქმი**

დგება დრო, რომელიც კი არ ქმნის, ინახავს და ეს ქმნაზე არანაკლები ღვაწლია. შენახვა ეგვიპტის სახელმწიფოს ისტორიულ-კულტურული არსია, უმთავრესი ფუნქციაა. დღეს ამ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი ახალ ფაზაშია გადასული. ეს ის ფაზაა, რომელიც განძისაცავებსა და კვლევით ცენტრებს ერთ მთავარ ეპითეტს უმატებს: „Grand“... ეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ახალი განზომილებაა, ახალი მეთოდოლოგია, ახალი სტრუქტურირება, მოვლის, კონსერვაციის, რესტავრაციის, ექსპონირების ახალი საშუალებანია... Grand ეგვიპტურ მუზეუმს ლამის ეზოში აქვს გიზის პირამიდები. ვიდრე ამ მუზეუმისთვის ათასობით კვადრატულ მეტრს ათვისებდნენ, საგულდაგულთ არქეოლოგიური გათხრები აწარმოეს, დღეს კი არტეფაქტების მაღალპროფესიული რესტავრაციის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია ალექსანდრიის ბიბლიოთეკის შემდეგ.

დღეს ამ დიდი ლაბორატორიის ხუთ სარესტავრაციო რგოლში უჯრედის დონეზე, ბოჭკოს დონეზე უახლდება სიცოცხლე ძველი სამეფოს პირველი დინასტიის ერთ-ერთი ფარაონის ხის ხომალდს, ტუტანჰამონის სელის მოოქრულ ტახტს, მის საბრძოლო ისრებს, რამზეს II-ს სარკოფაგის ქვისგან ნაკვეთ განანდიოზულ ნიმუშებს, პაპირუსთა უმდიდრეს კოლექციას... ადამიანური ნაშუქების ლაბორატორიას, ანთროპოლოგიური კვლევის არაერთ სირთულესთან ერთად, ბიოეთიკურ სირთულეებთანაც უნევს გამკლავება.

დგება დრო, როცა შენახვა ქმნაზე არანაკლები ღვაწლია!

**პარადოქსები**

იმ აღმოსავლურ ალიაქოთში, იმ ფერთა და გემოთა სიმსუყვეში, იმ ამღვრულ მზისფერში, ძველეგვიპტური კულტურის დაუძლეველ ინერციაში, ისლამური ყოფის მძლავრ ფესვებში მაინც ყველგან იგრძნობოდა ეგვიპტეში გახიზნული უმწიფე მწინდა ოჯახის — ყრმა იესოს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მართალი იოსების იქ ნამყოფობა. ამ კეთილ და მაღალმოსილ სიტბოს გასაოცარი ერთიანობით აღიარებდა ყველა.

იმ დღეს კაიროს მოსახლეობის აღმრიცხველ ტაბლოს 20 ადამიანი მოაკლდა, საქართველოში ვბრუნდებოდით არაერთ საკითხზე შეცვლილი ვადასახედებით, შეცვლილი წარმოდგენებით, რეალობად ქცეული მითებთანაც და გამოთვლები რეალობებითაც, გადაფასებულიც ბევრი რამ გვექონდა და დაფასებულიც, საფიქრალად მოგყვებოდა პარადოქსული ალტერნატივები — რა იყო უფრო შთაბეჭდავი — გიზის პირამიდები თუ არაბულ ენაზე დანერვილი ოთხთავები, ერთ ვიტრინაში მოთავსებული 175 ექსპონატი თუ მთელი დარბაზი ერთი კოპტური ხელნაწერისთვის, ტუტანჰამონის შვიდი სარკოფაგი თუ მეორე ფიგურა რამზეს II-ს ქანდაკებაზე — მუხლებამდე ძლივს მინვდენილი მეულე ბენტანატი, ფაიუმის ფერწერა თუ ამონ რას ყოველწლიური ნათელი ეშნათონის ქანდაკებაზე, კოპტური ჯვრის დეტალად ქცეული ანხი თუ წმიდა გიორგის ჯაჭვადადებული მუსლიმი...

შემთხვევით არაფერი ხდება — კოპტურ მუზეუმში ჩვენი ვიზიტი პროგრამით 1 თებერვალს დაემთხვა. ერთ-ერთ დარბაზში წმიდა მაკარი მეგვიპტელის ფერწერული ხატი ესვენა. სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ფუძემდებლის სახემ განსაკუთრებული სიხარულით აგვავსო. აღმოსავლური ცხოვრების რიტმზე გადართულებს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გამოგვჩა: 1 თებერვალი, წმიდა მაკარი მეგვიპტელის ხატთან ჩვენი მიახლების დღე, მისი ხსენების დღე იყო...

მერაბ კალანდაძე

# და ვალს ამასა გიხდით ისე, როგორც რიგია

(საყვარელი მასწავლებლის კოტე ანთაძის გახსენება)

ერთ ცნობილ მოაზროვნეს უთქვამს: „მოგონებები ის ერთადერთი საშუალებაა, საიდანაც არ შეიძლება ჩვენ გამოძევებული ვიქნათ“. ჩემი მასწავლებლის, პროფესორ კოტე ანთაძის გახსენება ამ საშუალების ერთი ტკბილი მოსაგონებელი კუთხეა. მოგონებას ყოველთვის თან ახლავს სიხარული და გულისტკივილი. სიხარული იმიტომ, რომ იხსენებ მის გვერდით გატარებულ წლებს, ერთგვარად წარსულში გადავარდები; და გულისტკივილი იმიტომ, რომ დღეს ის შენ გვერდით არაა. ამ სიცარიელის ამოვსება კი ძნელია. ჩემ თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა. რა უსამართლობა არ მინახავს. უკანონობა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა თითქმის ცხოვრების ნორმად იქცა. უდიდესი ძალისხმევით ფასად მიჯდებოდა თავის დაცვა და საკუთარი ღირსების გადარჩენა. ამ ცოდვის ორომტრიალში კარგი ადამიანებიც ბევრი შემხვედრია. აბა რა გადაამარჩენდა ისეთ მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია კოტე ანთაძე.

ადამიანის დაკარგვა მწვავე ტკივილია. განსაკუთრებით ახლობლის: მშობლის, ნათესავის, მეგობრის, ხელმძღვანელის. იმ უამრავ დანაკლისს შორის, რომელმაც ძალიან მატკინა გული, განსაკუთრებით გამოვყოფდი ორს. 1994 წლის 25 აგვისტოს შუადღეზე გარდაიცვალა დედა. 2006 წლის 26 ივნისს დილით გარდაიცვალა ჩემი საყვარელი მასწავლებელი და მეცნიერ-ხელმძღვანელი კოტე ანთაძე. დედა დიდხანია ავადმყოფობდა, უკურნებელი სენი სჭირდა და ამ ფაქტს ასე იყო თუ ისე შეგუებულები ვიყავით. თუმცა როგორი შესაგუებელია. ბ-ნი კოტე უეცრად გარდაიცვალა — გულის შეტევით. ვიცოდით, რომ გული ანუხებდა და ასეთ უეცარ დასასრულს, ცხადია, არ გამოგვიცხდებოდა. მისი უეცარი გარდაცვალებით გამონვეული ელდა იმდენად ძლიერი იყო, რომ რამდენიმე კვირა დამჭირდა, რათა გონზე მოვსულიყავი.

საყვარელი მასწავლებლის დაკარგვა მშობლის დაკარგვის ტოლფასი ყოფილა. ვისაც ეს განუცდია, დამეთანხმება. ბ-ნი კოტე მისი მოწაფეებისათვის მამასავით იყო. ეს არცაა გასაკვირი. მას უყვარდა თქმა: „მე ორი ოჯახი მყავს — ერთი სახლში, მეორე კი კათედრაში“. მის მოწაფეებს ისეთი სიყვარულით გვეკიდებოდა, როგორც საკუთარ შვილებს. მნიშვნელოვანწილად ამით იყო გამოწვეული ის უდიდესი პატივისცემა, რომლითაც სარგებლობდა თავის მოწაფეებს შორის. არ უყვარდა ვინმეს გამოჩენვა. არ ჰყავდა ფავორიტები. ეს მისი პლუსი გახლდათ. მხოლოდ ბ-ნი ალექსანდრე ნამორაძის ქალიშვილს, ნინოს ეპყრობოდა მონივნებითა და პატივისცემით. ამით ის პატივს მიაგებდა თავის მასწავლებელს, პროფესორ ალექსანდრე ნამორაძეს. ჩვენ ეს ყველას კარგად გვესმოდა. ქ-ნი ნინოსადმი დამოკიდებულება სანიმუშო იყო. ახლა მე ვცდილობ მოვიქცე დაახლოებით ისევე მისი ქალიშვილის, თამარიკოს, მიმართ და ამით გამოვხატო პატივისცემა ჩემი საყვარელი მასწავლებლისადმი. ნეტავი თუ გამომდის? ეს კარგი ტრადიცია დღესაც გრძელდება და მის მთავარ სულისჩამდგმელად პროფესორი კოტე ანთაძე გვევლინება.

არაერთხელ აღმინიშნავს, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით, რომ ჩემი მეცნიერული ინტერესების განსაზღვრაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ორ პიროვნებას, გივი კილურაძესა და კოტე ანთაძეს. პირველმა განსაზღვრა ჩემი დანიტერესება დასავლეთ ევროპის ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით. ამ მეცნიერულ ინტერესთა რეალიზება კი მოხდა ბ-ნი კოტეს ხელმძღვანელობით. მას სამ ათწლეულ წელზე მეტხანს ვიცნობდი. ეს არ ყოფილა ია-ვარდებით მოუფინილი გზა, არ იყო მხოლოდ წარმატებები, იყო გაუცხოება დამორჩილება და ამით გამოწვეული გულისტკივილი. აქ ხაზი მინდა გავუსვა ბ-ნი კოტეს კიდევ ერთ თვისებას. მიუხედავად და-

შორებისა, მას ჩემზე ხელი არ ჩაუქნევია, გული არ აუყრია, არადა ბევრი შეიძლებოდა მოქცეულიყო ასე, ჩვენს ირგვლივ ამის მაგალითები საკმაოდ მრავლადაა. ის შორიდან მაკვირდებოდა და, როდესაც საჭიროდ დაინახა ჩემი დაბრუნება, ეს გააკეთა კიდევ. ბევრი ფიქრობდა, თითქოს მე მისი ფავორიტი ვიყავი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. ის მე ყველაზე მკაცრად მექცეოდა. ჩვენი ურთიერთობა საკმაოდ რთული იყო და ვიდრე მის გუნდში საბოლოოდ დავიმკვიდრებდი ადგილს, ძნელი გზის გავლა მომიხდა.

ბ-ნი კოტე რთული პიროვნება გახლდა და მისი გულის მოგება ადვილი საქმე არ ყოფილა. ბედნიერად მივიჩნევ თავს, რომ მოვახერხე ეს, თუმცა ამისათვის, როგორც აღვნიშნე, საკმაოდ ძალისხმევა დამჭირდა. არც ჩვენი, მისი მოწაფეების გულის მოგება იყო ადვილი საქმე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბ-ნმა კოტემ შესანიშნავად მოახერხა ეს თავისი უზარმაზარი ერთგულებით პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, ჰუმანურობით, უშუალოებით. მისი პიროვნული ხიბლი ძალზე დიდი იყო. წლების განმავლობაში ეს ურთიერთობა გასცდა მასწავლებლისა და მოწაფეს შორის ჩვეულებრივი ურთიერთობის ფარგლებს და გულწრფელ, უანგარო, მეგობრობაში გადაიზარდა. მე მეთამაყება ეს.

ის არ ყოფილა ჩვეულებრივი მეცნიერ-ხელმძღვანელი, უფრო მეტი იყო. თავის მოწაფეებს გვერდში გვედგა არამარტო სამეცნიერო და საუნივერსიტეტო პრობლემების, არამედ ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული, ოჯახური საკითხების გადაჭრაში. ამიტომაც გვიყვარდა ასე ძალიან.

პირველად გავიცანი 1973 წლის ზამთარში. მაშინ მესამე კურსზე ვიყავი. საუნივერსიტეტო კონფერენციაზე მიხდოდა გამეტანა თემა მოლიერზე. კათედრამ ხელმძღვანელად დოცენტი კოტე ანთაძე გამოიყო. ყოველ შაბათს ვხვდებოდით ერთმანეთს. ეს იყო მეტად საინტერესო შეხვედრები. იგი ძალიან კარგი მოსაუბრე გახლდათ. ჩემთვის ყოველი ასეთი შეხვედრა ერთი წიგნის წაკითხვის ტოლფასი იყო. მან შემირჩია სადიპლომო ნაშრომის თემა: მილერი, როგორც ისტორიკოსი. შემდგომ გავაგრძელე ამ პრობლემაზე მუშაობა და დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ამით, ფაქტობრივად, მოვუხადე ხარკი ახალგაზრდულ გატაცებას დასავლეთ ევროპის ისტორიის პრობლემებით. რომანტიკული ლტოლვა ერთი იყო და რეალობა სულ სხვა. ის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. აქედან სწორი დასკვნა გამოვიტანეთ. ეს ძალიან დამეხმარა, როგორც სადოქტორო დისერტაციის პრობლემატიკის შერჩევაში, ისე საერთოდ მთელ მუშაობაში. ეს იმით გამოიხატა, რომ ახლა შევეცადეთ ამ ინტერესისათვის ქართული კონტექსტი მოგვეძებნა. ეს უკვე რეალისტული და პრაგმატული იყო. ასე დავეშვი ზეციდან მიწაზე.

ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა ბ-ნი კოტეზე, როგორც ლექტორზე, მასწავლებელზე. მეოთხე კურსზე მასწავლიდა ახალი ისტორიის მეორე პერიოდს (1870-1918). ასე უწოდებდნენ მაშინ ამ საგანს. ეს იყო მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთი. სამრეწველო გადატრიალება დასრულდა. ჩამოყალიბდა ინდუსტრიული საზოგადოება. მასსოვს, ლექციები ტარდებოდა მეორე კორპუსში, 240-ე აუდიტორიაში, პარასკევს, ორს რომ ოცი წუთი უკლდა. ეს იყო ერთ-ერთი საინტერესო ლექცია, რომელიც უნივერსიტეტში მომისმენია. მიუხედავად იმისა, რომ ენას უკიდებდა, იგი იყო შესანიშნავი ლექტორი, საინტერესო მთხრობელი და ორატორი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცოდა ფაქტობრივი მასალა და მრავალ საინტერესო ეპიზოდსა და დეტალზე მიაპყრობდა ჩვენ ყურადღებას. სტუდენტები სულგანაბული უსმენდნენ ლექტორს. იმ გადასახედი-

დან მე მეჩვენებოდა, რომ ის იყო შესანიშნავი ფაქტოლოგი, ემპირიკოსი, ისტორიკოსი. რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ხელეწიფებოდა ანალიზი და შემდგომ ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. მოგვიანებით მივხვდი, თუ რაში იყო საქმე. რატომ იკავებდა თავს ანალიზისაგან. თურმე იმიტომ, რომ სალექციო კურსი მაქსიმალურად განეტივრთა მარქსიზმისაგან, თუმცა იძულებული იყო განეხილა მთელი რიგი ისეთი თემები, რომელიც მნიშვნელოვნად არ მიიჩნდა და არც შეიტანდა ლექციების კურსში, თუ არა იმჟამინდელი პოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარება (მუშათა მოძრაობა და სხვა).

80-იან წლებში მუშაობა დავიწყე ჯერ უცხო ენების ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 90-იანი წლების დასაწყისში დავბრუნდი უნივერსიტეტში, ჯერ შუა საუკუნეების, ხოლო შემდეგ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე, რომელსაც სათავეში ედგა პროფ. კოტე ანთაძე, შემდგომი წლები ჩემი საქმიანობის ყველაზე ნაყოფიერი ხანა აღმოჩნდა და ამაში „ლომის წილი“ სწორედ მას მიუძღვის. ასეთ აქტიურობას მძლავრი სტიმული მისცა ორმა გარემოებამ: უნივერსიტეტში დაბრუნებამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მონოპოლიის, დიქტატის ხანა დასრულდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ქართულ ისტორიოგრაფიას შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა.

ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ჩემი დაბრუნების მთავარი ინიციატორი, ცხადია, კოტე ანთაძე გახლდათ. ამას აკეთებდა თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მეთოდურად. ჯერ იყო და ჩამართო ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების განხილვის პროცესში. ეს ჩემთვის გამოცხადებული დიდი ნდობა იყო.

ალექსანდრე ნამორადის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით დავენერე სტატია ღვანლმოსილი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მან მხარი დაუჭირა ჩემ ინიციატივას, ნაიკითხა სტატია და დამეხმარა მის გამოქვეყნებაში. აბა რას წარმოვიდგენდი თუ ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი ჩემი სადოქტორო დისერტაციისა.

ამის შემდეგ მასთან და პროფესორ კარლო მეშველიანთან ერთად დავენერე ნაშრომი მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციაზე, სადაც უარყოფილი იქნა მსოფლიოს ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია. ასე განახლდა ჩვენი თანამშრომლობა, რომელიც მისი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

მან შემირჩია თემა სადოქტორო დისერტაციისათვის. „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. ეს იყო ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი და მიზნად ისახავდა საქართველოში ამ დარგის ფუძემდებლების ნიკოლოზ დუბროვსკის, გრიგოლ ნათაძის და ალექსანდრე ნამორადის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლას. რა თქმა უნდა, ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. ის ითვალისწინებდა ჩემს დანტერესებას ისტორიოგრაფიის საკითხებით და კიდევ ერთხელ მიაგებდა პატივს თავის მასწავლებელს ალ. ნამორაძეს. მას დიდხანია სურდა ბ-ნი ალექსანდრეზე წიგნის დაწერა და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. ასეთი მომენტი დადგა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამ ჩანაფიქრისათვის ფრთების შესხმა ბედმა მე მარგუნა, რა თქმა უნდა, მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით.

აქ უნდა გავიხსენო ერთი ფაქტი, რომელიც ამ მონოგრაფიის გამოცემასთან იყო დაკავშირებული. მასში ძალიან კარგად ჩანს არამარტო მისი პროფესიონალიზმი, არამედ ადამიანური ბუნება. ბ-ნი კოტე ბრძანდებოდა არ მხოლოდ კარგი პროფესიონალი, არამედ ძალზე კეთილშობილი პიროვნება, კარგი ადამიანი. ჭეშმარიტი ინტელიგენტი. ასეთი ადამიანები დღეს ძალიან ცოტანი არიან. მათ მოფრთხილება სჭირდებათ. როდის ვისწავლით მათ დაფასებას. „თუ ერთი თავის შვილებს ღირსეულად აფასებს, მე ეს განთიადის დასაწყისად მიიჩნია“ — აცხადებდა ვაჟა-ფშაველა. იმხანად მატერიალურად ძალიან მიჭირდა ანკი როდის მილხინ-

და, არადა წიგნის გამოცემას თანხა ესაჭიროებოდა, რომ არა ბ-ნი კოტეს თანადგომა, წიგნი შეიძლება ძალზე დაგვიანებით გამოსულიყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ დისერტაციის დაცვა გაჭიანურდებოდა. იგი მომეხმარა გრანტის მოპოვებაში. შეთავსებით მაშინვე კიდევ რამდენიმე ადგილას სამსახური და ამ ფულს ვინახავდით წიგნის გამოცემისთვის. ეს იყო ძალზე ცოტა. გრანტის თანხას დროულად ვერ გვირიცხავდნენ. წიგნის გამოსვლა კი გვიანდებოდა. მან მომცა 600 დოლარი და წიგნი გამოვიდა. ამ თანადგომას დავიწყება არ უნერია და განა მარტო ამას? ყველა არ მოიქცეოდა ასე. შემდგომ ბ-ნმა კოტემ ჩამართო სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესში. ამან ცოტა გააუმჯობესა ჩემი მატერიალური ყოფა. მე დაუყოვნებლივ დავუბრუნე ვალი. ის ცივ უარზე იდგა. ეს მარტო შენ კი არა, ბ-ნი ალექსანდრეც გავუკეთეთ. ძლივს დავითანხმე. ასეთი იყო არამარტო ჩემთან ურთიერთობაში, არამედ სხვა მონაფებთანაც. პირველ ყოვლისა იგი გახლდათ კარგი ადამიანი, კარგი მეცნიერი, კარგი ლექტორი, კარგი ხელმძღვანელი, კარგი რედაქტორი, კარგი კათედრის გამგე, კარგი უფროსი მეგობარი.

თუ მე შევძელი ისტორიულ მეცნიერებაში საკუთარი გზა მომეძებნა, ეს პირველ ყოვლისა კოტე ანთაძის დამსახურებად მიმაჩნია. როგორც აღვნიშნე, მან შემირჩია თემა სადოქტორო დისერტაციისათვის. შემდგომ გავაგრძელე ამ პრობლემის დამუშავება და კვლევის არეალი შესამჩნევად გავაფართოვე: დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი დროის ისტორიის და ისტორიოგრაფიის და ისტორიის თეორიულ საკითხთა შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს გახლავთ რთული და საინტერესო თემა. მის ყურადღების ცენტრში იდგა აქტუალური პრობლემა — მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის დროს. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასება წარმოადგენს მეტად რთულ და სათუთ თემას. ვარდისფერებში მისი წარმოჩენა, რომელიც დომინირებდა საბჭოთა ხანაში და მარქსისტული ისტორიოგრაფიის ხოტბას წარმოადგენდა, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ეს სწორი არ იქნება. დღევანდელი გადასახედიდან მათი განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. საჭიროა საშუალებო ხაზი გამოვძებნოთ. რა თქმა უნდა, ეს არაა ადვილი. წყალს ბავშვი არ გადავყალოთ. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. ამავე დროს შევეცადეთ შეგვესო ის „თეთრი ლაქები“, რომელიც წინა პერიოდში არსებობდა. პირველ რიგში გვულისხმობ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებს, რომელიც საბჭოთა ეპოქაში სრულიად მივინწყებულა იქნა. გადავდგით პირველი ნაბიჯები ამ სახელმძღვანელოების რეანიმაციის საქმეში. მან დამაყენა სწორ გზაზე და ამის დავიწყების უფლება არ მაქვს. უმაღლური ვერ ვიქნები.

რადგან სიტყვა გვერდში დგომაზე ჩამოვარდა, ამიტომ გავაგრძელებ ამ თემაზე საუბარს. არავინ ასეთი გვერდში დგომა არ იცოდა, როგორც მან, ამისათვის საჭირო იყო, რომ მართალი ყოფილიყავი. ასეთ შემთხვევაში კბილებით დაგვიცავდა; მაგრამ თუ დამნაშავე იყავი მისგან დანდობას ნუ ელოდა. ის იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ადამიანი. 90-იან წლებში ყოველმხრივ მიცავდა ყალბთანადი სტუდენტებისაგან და თუ მე კარგი ლექტორის იმიჯი შევიქმნიე, ეს ბ-ნი კოტეს თანადგომით იყო გამოწვეული. მრავალი უსიამოვნება გადავვიტანია ერთად. ამ უსამართლობის პიკს, კულმინაციას, ცხადია, წარმოადგენდა 1999 წლის 30 ივნისს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩევნებში ჩემი გაშაგება. და სადოქტორო დისერტაციის ჩაგდებას მცდელობა.

დავინყოთ პირველით. 15 ხმა მივიღე, 14 წინააღმდეგი იყო. ვერ გავედი. ეს ნიშნავდა უნივერსიტეტიდან გაგდებას. როდესაც ბ-ნი კოტე აუდიტორიიდან გამოვიდა, ისეთი სახე ჰქონდა, ფერი

არ ედო. ამდენის მნახველი კაცი ნაშლილი იყო. ყველაფერს მივხვდი. დავა ეხებოდა ერთ უდავო საკითხს. უნივერსიტეტში სწავლა უნდა იყოს თუ არა. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ უნივერსიტეტში სწავლა უნდა იყოს და სტუდენტს რალაცა დონეზე ცოდნა უნდა მოსთხოვო. ოპონენტები, რომელთა მთავარი ტონის მიმცემი არქეოლოგიის კათედრის დოცენტი ამფისა წერეთელი ბრძანდებოდა, ამტკიცებდნენ საპირისპიროს — უნივერსიტეტში შეიძლება იყოს პროტექცია და კორუპცია, თუმცა ამის ხმაძალა თქმას ვერ ბედავდნენ. მრავლისმეტყველია, რომ საბჭოს სხდომაზე, ჩემს წინააღმდეგ არავინ გამოსულა, შენიშვნა არავის მოუცია, პირიქით, ყველამ ერთხმად აღნიშნა, ვიცნობთო, და 14 შავი ხმა ჩამიყარეს. აბა იმას ხომ არ იტყოდნენ, პროტექციას გაურბის, და ამიტომ ვაშავებთო. მათ კანონი არ დაურღვევიათ, მაგრამ ასეთი ნაბიჯი უზნეობა იყო. თუ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ, უნდა ეთქვათ და დასაბუთებულ პასუხს მიიღებდნენ. ეს იცოდნენ და ხელს არ აძლევდათ. ეს ნაბიჯი ყველამ გაკიცხა. მორალური გამარჯვება ჩემს მხარეზე იყო. ბ-ნი კოტეს გვერდში დგომა რომ არა, ამ გამარჯვების მოპოვება, ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა. მან ფაკულტეტის დეკანთან, მერაბ ვაჩნაძესთან ერთად ზუსტი ინფორმაცია მიანოდეს რექტორს, როინ მეტრეველს. რამდენიმე დღეში ჩემ ადგილზე აღმადგინეს. „სამართალმა პური ჭამა“. ჩემს ოპონენტებს კი უკვე მერამდენედ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ეს იყო კარგად მოფიქრებული მზაკვრული გეგმის ერთი ნაწილი. მას ჰქონდა მეორე ნაწილიც. ეს გეგმა მიზნად ისახავდა ჩემი როგორც ლექტორისა და მეცნიერის განადგურებას, დასამარებას, და თუ ეს გეგმა ვერ განხორციელდა, ამაში დიდი წვლილი სწორედ ბ-ნი კოტეს მიუძღვის. ამის დაზიანება უმადურობა იქნებოდა.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის მთავარ მოწინააღმდეგედ, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, პროფესორი ედუარდ კოდუა მოგვევლინა. მოულოდნელად, იმიტომ ვამბობთ, რომ ბ-ნი ედუარდს შორიდან ვიცნობდი და ნორმალური ურთიერთობა მქონდა. ჩემს დისერტაციამდე და ჩემი დისერტაციის შემდეგაც მრავალი სუსტი დისერტაცია დაცულა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ედ. კოდუას ხმა არ ამოუღია, ხოლო ჩვენ, კოტე ანთაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა, ამის გამო დავტოვეთ სამეცნიერო საბჭო და ბევრი უსიამოვნო წუთების გადატანა მოგვიხდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთელი ათი თვე ვერც ედუარდ კოდუა და ვერც იმან ვინც მის ზურგს უკან იდგა, ერთ სუსტ დისერტაციაზე ერთი უარყოფითი რეცენზია ვერ დანერგეს. ბოლოს როდესაც ედუარდ კოდუას მოთხოვეს წარმოედგინა უარყოფითი რეცენზია, მიხვდა, რომ სკანდალი მნიფებოდა და უკან დაიხია. მასთან საკამათოდ მზად ვიყავით. რამდენჯერმე შევეთავაზეთ ამის საჯაროდ გაკეთება, დაცვაზე, პრესაში, მაგრამ მან ამას თავი აარიდა და სხვა გზა აირჩია. იმედოვნებდა, რომ როგორც სწავლულ ექსპერტთა საბჭოს კომისიის თავჯდომარის მოადგილე, თავისას გაიტანდა. ეს თანამდებობის ბოროტად გამოყენება ხომ არაა? ბ-ნი კოტეს მტრებს უნდოდათ ჩემი დისერტაციის ჩაგდებათ გაეშავებინათ ბ-ნი კოტე, როგორც მეცნიერ-კონსულტანტი და დაემტკიცებინათ, რომ ის არ ვარგოდა როგორც ხელმძღვანელი. ბ-ნი კოტესთვის ანგარიშის გასასწორებლად ამკარად არახელსაყრელი მომენტი აირჩიეს და პირწმინდა მარცხი იწვინეს. უნებლიეთ მახსენდება დიდი ესპანელი მწერლის მიგელ სერვანტესის სიტყვები: „სხვის გასაკრეჭად ნასულნი, თვითონ აღმოჩნდნენ გაკრეჭილები“. მე მომენტი საძიებელი ხარისხი, ხოლო ჩემი ოპონენტები კიდევ

ერთხელ ხელმოცარულები დარჩნენ. ბ-ნი კოტესთან ერთად მე კიდევ ერთხელ გავიმარჯვე. აი ასეთი იყო იგი. გაჭირვებაში არასდროს მიგატოვებდა, სიმართლეს აუცილებლად დაიცავდა. თავისი კათედრის წევრებს ტყუილუბრალოდ არავის დააჩაგვრინებდა. ეს მისი როგორც კათედრის გამგის ღირსება იყო. მავანის წინასწარმეტყველება, რომ ის არ ივარგებდა კათედრის გამგედ, არ გამართლდა, ამ ადამიანებს, ბოლმა ახრჩობდათ. ბ-ნი კოტეს დროს კათედრა საათის აწყობილი მექანიზმით მუშაობდა. ეს იყო ისტორიის ფაკულტეტზე ერთ-ერთი საუკეთესო კათედრა. ეს არ მოსწონდა ბევრს და მას გააფულისებულები „სერპანტირუმს“ ეძახდნენ. ეს ჩვენი მთავარი ოპონენტის ამფისა წერეთლის ტერმინია. ის გამწარებული იყო ჩვენზე იმიტომ, რომ პროტექციას ვერ ახერხებდა. ბ-ნი კოტეს დროს თითოეულ ჩვენგანს ებარა თავისი სფერო და წყნარად მუშაობდა.



კოტე ანთაძე (მხატვარი კარლო ფაჩულია)

ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს სფეროები ისე იყო განაწილებული, რომ ფაქტობრივად კათედრის შიგნით კონფლიქტი გამორიცხებული იყო. თითქმის მეოთხედი საუკუნე უნარიანად ხელმძღვანელობდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრას. ეს კარგი ტრადიცია გაგრძელდა მომდევნო კათედრის გამგის, დოცენტ გივი ბოლოთაშვილის დროსაც. ვითარება მკვეთრად შეიცვალა 2006 წელს, როდესაც დღის წესრიგში დადგა რეფორმის საკითხი, ვილაცები შეეცადნენ ესარგებლათ ამით და მღვრიე წყალში თევზი დაეჭირათ. კათედრაზე არსებული ძალთა ბალანსი დაირღვა. ვილაცებს გაუჩნდათ უადგილო ამბიციები და სხვისი სფეროს დაპატრონება მოინადინეს. ცხადია, ამას კონფლიქტი მოყვა და ამან ბ-ნი კოტეს ძალიან ატკინა გული.

ალბათ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელობა, რედაქტორობა, მისი სტიქია გახლდათ და ზოგჯერ შეიძლება ეს ხდებოდა მისი როგორც მკვლევარი ისტორიკოსის საზიანოდაც. ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი მეცნიერული მემკვიდრეობის განხილვისას.

რაში მდგომარეობდა კოტე ანთაძის, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელის, რედაქტორის, კონსულტანტის ხილბო? ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს იგი იყო მკაცრი, მაგრამ სინამდვილეში ეს მთლად ასე როდი გახლდათ. რა თქმა უნდა, იყო მომთხროფი, მაგრამ სამართლიანი და ობიექტური. მას სწორად ესმოდა ჩვენი ინტერესები და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ იოლი გზით სიარულის სასიკეთოს არაფერს მოიტანდა. იოლი გზით სიარულის მოტრფიალებს ახლოსაც არ გააჭაჭანებდა. შრომისმოყვარეობა და კვალიფიცირებულობა უყვარდა და გვერდით დაგიდგებოდა. ბევრს მოსწონდა ეს. ზოგიერთები უკმაყოფილო იყვნენ. მათი გზებიც იყრებოდა. საინტერესოა, რომ მათ ყველაზე უფრო ღირებულის შექმნა მაშინ მოახერხეს, როდესაც ბ-ნი კოტეს ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. შემდგომ სადოქტორო დისერტაციაზე დაიცვეს, თითქოს რალაც წინგებები გამოსცეს, მაგრამ ღირებული ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ იგი არ ყოფილა ხელმძღვანელი დიქტატორი. ასეთები ბევრი არიან. ძალად არ გახვევდა თავის აზრს. თანასწორუფლებიან პარტნიორობას გთავაზობდა. ანგარიშს უწევდა შენს მოსაზრებას. იყო ტოლერანტი, ეგუებოდა განსხვავებულ აზრს. თავის გარშემო შემოქმედებით ატმოსფეროს ქმნიდა. მასთან მეცნიერული მუშაობა ძნელიც გახლდათ და სასიამოვნოც. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნებოდა, რომ მისი ხელმძღვანელობით წარმოდგენილი დი-

სერტაციები ყოველთვის წარმატებას აღწევდა, თუმცა მო-  
შურნე და მოწინააღმდეგე ბევრი ჰყავდა და ისინი ძალისხმე-  
ვას არ იშურებდნენ რათა ხელი შეეშალათ მისთვის. ბ-ნი კოტე  
ანთაძეს ჰქონდა უნარი, მიეწოდებინა ახალი, საინტერესო  
იდეები, რომელიც თვისებრივად აუმჯობესებდა მეცნიერულ  
გამოკვლევის ხარისხს. არსებითად ეს ახალი ხედვები ით-  
ვალისწინებდა მარქსისტული შტამებისა და სტერეოტიპთა  
დაძლევას. ის თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სა-  
თავეში ჩაუდგა მძლავრ ანტიისტალინურ ფრთას. მისი ერთ-  
ერთი მთავარი დამსახურება ისტორიული მეცნიერების წინა-  
შე, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობდა.

უზარმაზარი ერუდიცია, ანალიტიკური აზროვნება შესა-  
ნიშნავად იყო შეხამებული ისტორიის პოპულარიზატორის  
მისიასთან. მას ძალიან კარგად ხელეწიფებოდა ურთულეს  
მეცნიერულ პრობლემათა მარტივად, სადად, პოპულარულ  
ენაზე გადმოცემა. მისი ეს უნარი ყველაზე უფრო რელიეფურ  
რად წარმოჩნდა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვა-  
ნელოთა შექმნის პროცესში. ეს მისი — როგორც ისტორიკო-  
სის და ხელმძღვანელის — კიდევ ერთი ღირსება იყო.

ჩვენი ჩანაფიქრის ერთი ნაწილის რეალიზება შეეძლებოდა. ის  
იყო ჩემი რვა წიგნის რედაქტორი. მეორე ნაწილის განხორციე-  
ლება მისი უეცარი გარდაცვალების გამო ვეღარ მოვასწარი.  
ახლა ამ საქმის კეთება უიმისოდ მიხდება. ვგრძნობ, რომ მაკ-  
ლია მისი კრიტიკული თვალი, ჭკვიანური აზრი, ანალიტიკური  
გონება, ახალი იდეები, მაგრამ რას იზამ, სხვა გზა არ არის.

ბ-ნი კოტე განონასწორებული პიროვნება ბრძანდებოდა და  
შეძლო საკუთარი ემოციების მართვა, მაგრამ ყოველთვის  
როდი მოთოკავ თავს. ეტყობა, სწორედ ასე მოხდა, როდესაც  
გამოჩენილი ქართველი მსახიობის და თეატრალური მოღვა-  
ნის აკაკი ხორავას ჩანაწერები წაიკითხა („ცისკარი“, 21. 2005),  
მემუარული ჟანრი რომ ყოველთვის ინვესტს შესიტყვების სურ-  
ვილს, ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. იმავე გაზეთ-  
ში („ცისკარი“, 25. 2006) დაიბეჭდა კოტე ანთაძის საპასუხო  
წერილი „ხორავამ ისტორიის მოტყუება სცადა“. ამას მოყვა  
კიდევ ერთი საპასუხო წერილი, რომელიც მისი უეცარი გარ-  
დაცვალების შემდეგ გამოვიდა. არ გამოვიცხავთ, რომ ის  
ამაზეც იყო გათვლილი. იგი ხომ პასუხს ვეღარ ვასცემდა. კა-  
მათისა და პოლემიკის წინააღმდეგი არავინაა. არც შეცდომი-  
საგან გახლავთ ვინმე დაზღვეული. შეიძლება ბ-ნი კოტე რაღა-  
ცაში შეცდა და თქვენ მართალი ბრძანდებოდეთ. ბ-ნი კოტე  
სკრუპულოზური მკვლევარი იყო, თუმცა ეს სულაც არ ნიშ-  
ნავს, რომ მის ნაწერებში საკამათო არაფერია. უნაკლო წიგნი  
ბუნებაში არ არსებობს. ჩვენ არ ვაპირებთ ამ დავაში ჩავერი-  
ოთ, რადგან ეს ამკარად სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარ-  
გლებს. მე თეატრმცოდნე არ ვახლავართ, ისტორიკოსი ვარ.  
ამას, ალბათ ყველაზე უკეთ თავით ბ-ნი კოტე გააკეთებდა. აქ  
ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორ გარემოებაზე. მემუარე-  
ბი საინტერესო ისტორიული წყაროა და მოითხოვს კრიტიკულ  
მიდგომას. მხოლოდ ასეთი კრიტიკული გაცხრილვის შემდეგ  
ხდება, მნიშვნელოვანი და გადაიქცევა სანდო ისტორიულ წყა-  
როდ. ეს იცის ყველა დამწყებმა ისტორიკოსმა. ეს წყაროთმ-  
ცოდნეობის ანბანია. ამ თვალსაზრისით, ცხადია, აკაკი ხორა-  
ვას ჩანაწერები გამოწაკლისი არ ვახლავთ. ის კრიტიკულ შეს-  
წავლას საჭიროებს. აკაკი ხორავას წარსულის საკუთარი ვერ-  
სია გააჩნია. კოტე ანთაძეს ასევე აქვს წარსულის თავისი ხედ-  
ვა. ამიტომ მათ შორის პაექრობა ჩვეულებრივი ამბავია. მეო-  
რე. კითხვებს ბადებს აკაკი ხორავას ჩანაფიქრი თუ რატომ უნ-  
და გამოქვეყნებულიყო მისი ჩანაწერები ოცდაათი წლის შემ-  
დეგ, როდესაც ამ ამბების მონაწილეთაგან ცოცხალი არავინ  
იქნებოდა. მას ფაქტობრივად პასუხს ვეღარავინ ვასცემდა.  
მისი მონაყოლის შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელი იქ-  
ნებოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროისათვის ჩანაწერე-  
ბის გამოქვეყნებას? ამ თემაზე საუბარს, ალბათ, აქ დავამთავ-  
რებდი, რომ არა ერთი გარემოება.

ეს არის საპასუხო წერილის ტონი, ფორმა. ყური მომჭრა და  
გული მატკინა ბ-ნი კოტეს — როგორც ისტორიკოსისადმი —  
თქვენმა ირონიულმა დამოკიდებულებამ. ამით, ჩემი აზრით,  
შეურაცხყოფა მიაყენეთ მას. მე შევეცდები დავიცვა ჩემი მას-  
წავლელის ღირსება. ვინ მოგცათ თქვენ, თეატრმცოდნეს,  
ამის კომპეტენცია? თეატრმცოდნეობაში ყველაფერი დალა-  
გებული გაქვთ და ახლა ისტორიულ მეცნიერებაში აპირებთ  
ამის გაკეთებას? გულწრფელად გმადლობთ დახმარებისათ-  
ვის. ბ-ნი კოტეზე, როგორც ისტორიკოსზე, მაღალი აზრის  
ბრძანდებოდნენ როგორც ქართველი, ისე რუსი ისტორიკოსე-  
ბი. პირველად მას ყურადღება მიაქცია ცნობილმა ქართველმა  
ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ, რომლის ხელმძღვანელობი-  
თაც მან ჯერ კიდევ მერვე კლასში დაამუშავა თემა. ეს იყო რუ-  
სი დიპლომატების ტოლოჩანოვისა და იველიევის ცნობები ქუ-  
თაისის შესახებ. უნივერსიტეტში სწავლისას მან თავისი მუყა-  
ითობით მიიპყრო ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ალექ-  
სანდრე ნამორადის ყურადღება, რომლის რეკომენდაციის შე-  
დეგად დატოვებული იქნა ასპირანტურაში, ხოლო მისი ხელმ-  
ძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტა-  
ცია. მის მეცნიერულ გამოკვლევებს მაღალ შეფასებებს აძ-  
ლევდნენ ცნობილი ქართველი და რუსი ისტორიკოსები: გიორ-  
გი ტივაძე, გივი კილურაძე, ვარლამ დონაძე, ირაკლი ანთელა-  
ვა, ვახტანგ ჯაბუკილი, ზაქარია შველიძე, გიორგი გველესიან-  
ი, ვალერიან მაჭარაძე, შოთა ლომსაძე, მამია დუმბაძე, ალ-  
ბერტ მანფრედი. მას ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნო-  
ბილ რუს ისტორიკოსებთან: ბორის პორშნევეთან, ანატოლი  
ადოსთან, ალექსანდრე დუნაევსკისთან, დავით დავიდიოვიჩ-  
თან, ევგენი იაზუკოვთან, გენადი კუჩერენკოსთან. ჩვენ, მის მო-  
წაყვებს, ხშირად გვაზავნიდა მათთან კონსულტაციებზე. გა-  
ნა ისინი არაკომპეტენტურ ისტორიკოსთან თანამშრომლობდ-  
ნენ? ის, რომ ბ-ნი კოტე ვაიისტორიკოსი არ ყოფილა, დამეთან-  
ხმებიან უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც არა-  
ერთხელ გამოსულან სიტყვით მის საიუბილეო საღამოებზე:  
მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ნანა ხაზარაძე, ნო-  
დარ ლომოური, გურამ ყორანაშვილი, გიორგი ციციშვილი, გუ-  
რამ მანჯგალაძე. ვის დაუჯეროთ, თქვენ, თეატრმცოდნეს,  
თუ საქვეყნოდ ცნობილი ისტორიკოსებს? დარწმუნებული ვარ,  
უეცრად რომ არ გარდაცვლილიყო, საპასუხო წერილს აუცი-  
ლებლად დაწერდა. ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა, მაგ-  
რამ ეჭვიც კი არ გვეპარება, რომ ვაითეატრმცოდნეს არ გინო-  
დებდათ. ამგვარი მკვეთრი განცხადება უტაქტოდ ჟღერს და  
ნამდვილად არ ამშვენებს თქვენს სტატუსს.

მისი პორტრეტი სრულყოფილი რომ იყოს, აუცილებლად  
უნდა გავუსვათ ხაზი ბ-ნი კოტეს დიდ პატრიოტიზმს. მას  
მრავალჯერ გულისტკივილით უთქვამს: „აბა რას ვიფიქრებდი,  
თუ საქართველოს დამოუკიდებლობას მოვესწრებოდი და  
ასეთ დღეში ჩავცვივდებოდი“. აქ ყველაფერთან ერთად  
სოციალურ პრობლემებს, პირველ რიგში, დუხჭირ მატერია-  
ლურ ყოფას გულისხმობდა. მას დამოუკიდებელი საქართვე-  
ლო მხოლოდ გაბრწყინებული წარმოდგინა და ძალიან გა-  
ნიცდიდა, როდესაც შეჭირვებულს ხედავდა.

იგი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ქვეყანაში მიმ-  
დინარე პროცესებს, განსაკუთრებით კი განათლების რეფორ-  
მას. ეს მისი კიდევ ერთი გულისტკივილი იყო. ბევრჯერ უთქ-  
ვამს ჩემთვის: „ივანე ჯავახიშვილის სახელით ახლა უნივერსი-  
ტეტიდად მისი საქმე უნდათ გააძევიონ“. ბევრი რამე არ მოს-  
წონდა, ზოგიერთი, ალბათ, მოეწონებოდა, მაგრამ ამას ვერ  
მოესწრო. მაშინ კი დამაფიქრებელი ძალიან ბევრი რამ იყო.

მე მის ხსოვნას არასოდეს დავივინყებ და კარგად შევინა-  
ხავ ჩემი მოგონებების სკივრში.

ბ-ნი კოტეზე მოგონებას დავასრულებდი კორდელიას სიტყ-  
ვებით შექსპირის „მეფე ლირიდან: „მე თქვენ მიყვარხართ ისე,  
როგორც ვალად მდევს... და ვალს ამასა გიხდით ისე, როგორც  
რიგია, პატივისცემით, სიყვარულით, მორჩილებით“.

იოსებ ჭუმბურიძე

იმ ჟამის მისტიკა

ავტორი დასაწყისში იმ მითს იხსენებს, ჩინგიზ აითმათოვის ცნობილი რომანის საყრდენ მოტივად რომ ქცეულა.

ეს მანქურთის მითია. მითი იმის შესახებ, თუ როგორ აკარგვიანდნენ ფესვებს, რათა პატრონის ნებისმიერი ბრძანება უსიტყვოდ შეესრულებინა — საკუთარი დედაც კი მოეკლა.

ამ შემზარავი მითის გახსენებას არანაკლებ შემადრწუნებელი ქართული სინამდვილე მოსდევს:

„დღეს თბილისს, ჩვენს მრავალტანჯულ დედაქალაქს, „ალაზნის“ ტიპის სარაკეტო დანადგარები აზანზარებს — ეს ქართველი მანქურთები ესვრიან საკუთარ ხალხს, თავის ფესვებს თხრიან, თავის სისხლს ღვრიან“...

ეს მამუკა ნიკლაურის ჩანაწერებია („ცამეტი სისხლიანი მთვარე“, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2014) — 1991-1992 წლების მატინე, „მწერლის გულზე გადავლილი მძაფრი მოვლენების ქრონიკა — ასახული ატკივებული გულით და დანახული აცრემლებული თვალებით“...

ეს სიმართლესავით სასტიკი წიგნია, ტრაგიზმით გაჟღერებული.

მტერს არ ვუსურვებდი ამ წიგნში ცუდად მოხვედრას.

არადა, მტერი კი არა, რამდენი ჩვენი ცნობილი მოღვაწეა სწორედ ამგვარად წარმოდგენილი.

ჩანაწერები სწორედ ასეთი უნდა იყოს: მართალი და ტკივილიანი.

კითხულობ ზოგ-ზოგთა ჩანაწერებს და ვერ ხვდები, დღიურს რატომ წერდა, რა ტკიოდა, რა აღელვებდა, რას უპირისპირდებოდა...

სიმართლესა და ტკივილს ამ წიგნში პუბლიცისტური ოსტატობაც ემატება.

ჩანაწერები ზოგს იოლი ჟანრი ჰგონია.

არადა, პირიქითაა: სწორედ ყველაფერი ერთ აბზაცში უნდა ჩაატო. აი, მაგალითად, ასე:

„ოცდაჩვიდმეტის სუსხი იგრძნობა: „მუხრან მაჭავარიანს, ნოდარ წულეისკირსა და გურამ პეტრიაშვილს უნდა ეყოთ ვაჟკაცობა და უნდა აღიარონ თავისი შეცდომები“, — „ვაჟკაცურად“ აცხადებს თენგიზ ბუაჩიძე“.

ან:

„შუბლის ძარღვი წყდება და წყდება, სათადარიგო ძარღვები კი არ იძოვება. წუხელ რჩეულიშვილი გამოვიდა ტელევიზიით და თქვა: ეროვნულ ხელისუფლებას იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც „ჩვენმა ხელისუფლებამ“ გააკეთა ამ ერთ თვეშიო“...

ეს მაშინ, როცა ქვეყანაში ერთიმეორეზე უფრო ტრაგიკული ამბები ხდება და:

„საშინელი წამებით მოკლეს ცნობილი ჟურნალისტის, გაზეთ „იბერია-სპექტრის“ რედაქტორის ირაკლი გოცირიძის ვაჟი. როგორც იცოხონებთან, იგი ხეზე მიუბამთ, უწამებით და ისე მოუკლავთ“...

ეს მწერლის ჩანაწერებია. პოეტის ჩანაწერები. აქ ტრაგიზმი გზაფარავს, მაგრამ ოსტატობა ალგაფართოვანებს:

„მამ ასე, — შევარდნაძის ჟამის მისტიკა — თავი დაუბრუნდა სხეულს. საქართველოს მეხუთე კოლონას (ფსევდონიმი: „ოპოზიცია“) თავი ჩამოუვიდა, რომელიც აქამდე სხვაგან იყო და იქიდან ხელმძღვანელობდა სხეულს. მას რუსული კარიერა არ დაუსრულებია — უბრალოდ, ახლა საქართველოში იმსახურებს“...

ეს მართლა ჟამი იყო, ჟამიანობა!

ამ ჟამიდან ჯერაც ვერ გამოვსულვართ...

P.S. ამ მართალი და სასტიკი წიგნით აღფრთოვანება ერთ ახლობელს გაუუზიარე. კი მაგრამ მისი შვილი რომ „ნაციონალისტურად“ იქცეოდეს, მაშინვე დაიჭირებოდა და დაიღუპებოდა!

ნალ მანქურთებთან“ იდგა და დღესაც იმ რეჟიმის გამართლებას ცდილობს?! — მკითხა მან. ეს მართლაც ლოგიკური და ტკივილიანი კითხვაა, მაგრამ მამა-შვილობაში ვერ ჩავერევი — ეს აკრძალული ზონაა!

ტყემალი, ნაბლი, ნიყვი და... აკადემია

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემია იღებს პასუხისმგებლობას, რომ ქვეყანაში ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას ჩაატარებს და 20-30 წლით წინ წაწვეს საქართველოს. ამაზე შემოიძლია, დღესვე მოვანერო ხელი“.

ეს აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვეციანიის ინტერვიუდანაა.

მაინც რით აპირებს პრეზიდენტი ქართული ეკონომიკის აღორძინებას? — ზემო იმერეთის ტყეებში ველურ პირობებში მოკრეფილი ტყემლით, მისი აზრით, „ეს უკვე სტრატეგიული ნედლეულია. ტყემლისგან შეიძლება გაკეთდეს მურაბა, ჯემი, გამოიხადოს არაყი“; ასევე, „ზემო იმერეთში მოდის ნიყვი. 2 ცალი მოზრდილი ნიყვი რომ აიღო, ქილაში ჩადო და დააკონსერვო, 10 დოლარი ეღირება, იმიტომ, რომ ნიყვში არსებული ცილა ყველაზე უფრო სასარგებლო ცილაა“.

ეს კიდევ ყველაფერი არ არის.

„ავიღოთ თუნდაც ნაბლი, რომელიც იმერეთში დიდი რაოდენობით მოდის. ნაბლი რომ გააშრო და დაფქვა, მისგან მიღებულ ფქვილში ერთი მესამედი ცილაა, რომელიც ნებისმიერ საკვებში შეიძლება დაამატო“.

ყოველივე ამის შემდეგ, დამაჯერებლად გამოიყურება ინტერვიუს დასკვნითი ნაწილი:

„მეცნიერებათა აკადემიის გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე წინა მთავრობას მიაჩნდა და ჩვენ ვეცდებით, დავარწმუნოთ ახალი ხელისუფლება, რომ მეცნიერებათა აკადემია მეტ ყურადღებას იმსახურებს“.

P.S. აკადემიის პრეზიდენტის ნათქვამს დამაჯერებლობა კიდევ უფრო შეემატება, თუ დავძენთ, რომ შევარდნაძის მთავრობაში ის სოფლის მეურნეობის მინისტრი ბრძანდებოდა. თუმცა იქვე ეს ლოგიკური კითხვაც დაიბადება: იმ დროს თუ მოდიოდა ზემო იმერეთის ტყეებში, ველურ პირობებში, ტყემალი, ნიყვი, ნაბლი?..

...და ისევ გალაკტიონი

უკვე მეორედ დავიტუქსე... გალაკტიონის გამო:

პირველად — როცა პოეტთა მეფეს პოეტთა ქილერი უწოდეს და ესეც დაუმატეს, ჩვენმა თაობამ, გალაკტიონის მხრებზე რომ შედგა, უფრო შორს გაიხედაო.

მაშინ ბუნებრივად ვიკითხე: თუ ასეა, გვითხარით, რა დაინახეთ-მეთქი და გალაკტიონის სტრიქონიც გავისხენე: „მე ვხედავ სიზმრებს არათქვენურს“.

რადგან დანახული არაფერი ჰქონდათ, კითხვას ლანძღვით უპასუხეს.

მეორედ — სულ ახლახან დანერეს, ქართული ლირიკის ყველა სიახლე, მანამდელიც და მერმინდელიც, გალაკტიონს აკვიდეთო.

ამჯერადაც ბუნებრივად ვიკითხე, მერმინდელ სიახლეებში რას გულისხმობთ-მეთქი.

ეს მართლა გულწრფელად მაინტერესებდა.

პასუხის ნაცვლად — ისევ ლანძღვა! რა აღარ უწოდეს ჩემს უწყინარ შენიშვნას, რა ეპითეტები არ დახვავდა: „აგრესიულ-ფეტიშისტური ნამოძახილი“, „გაცეცხლებული“ და მისთანანი.

რაც მთავარია, ეს ყოველივე მთელს ქართულ კრიტიკაზე განზოგადდა, ანუ მისი მოღვაწეობის ერთ მხარეზე, თურმე გალაკტიონის გაფეტიშებას რომ ემსახურება.

გაფეტიშებას ვინ ჩივის, თურმე ასეთი დაძახილიც ისმის: „გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ, როგორ შეიძლება, ქართულ ენაზე ლექსი დაინეროს?“

„გსმენიათ ასეთი დაძახილი?“

მე არასოდეს მსმენია.

გალაკტიონის შემდეგ დაწერეს თავიანთი შედეგები ანამ, მურმანმა, მუხრანმა, ოთარ ჭილაძემ...

და თურმე ამგვარ აზრებს ძირითადად ის ლიტერატორები ამრავლებენ და ამკვიდრებენ, „თავს რომ პოეტებად იმზადებდნენ და სტრიქონის საშუალოდ გამართვაც ვერ ისწავლეს“.

ნეტავ აქ ვინ იგულისხმება?

როსტომ ჩხეიძემ ცხრაასგვერდიანი წიგნი მიუძღვნა გალაკტიონს და გაფეტიშებისა ამ ვეება ნაშრომსაც არაფერი სცხია; ამას ვერც ვახტანგ ჯავახიძის „უცნობზე“ ვიტყვი და ვერც თეიმურაზ დოიაშვილის ბრწყინვალე გამოკვლევებზე.

თვითონ ნოდარ ტაბიძეც კი, ვისაც გალაკტიონის გაფეტიშება ყველაზე მეტად მიეტყვებოდა, მუდამ იმას იმეორებს, რომ გენიოსის ცხოვრებას ახსნა სჭირდება და არა შელამაზება...

მაშინ ვინ იგულისხმება?

ეს არ გვითხრეს, სამაგიეროდ, მრავალმნიშვნელოვნად მიგვანიშნეს, ალტაცებული ჭყლოპინი ჩვენ სადღაც სიყმანვილეში დავტოვეთ. აქ უთუოდ ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ გალაკტიონის გენიით მონუსხულები აღარ არიან და კარგა ხანია საკუთარ სილიადეს ელაციცებიან...

**P.S.** ნამდვილად გვაქვს იმის მაგალითები, შესანიშნავმა ლიტერატორებმა (მთარგმნელებმა, კრიტიკოსებმა...) თავიანთი პოეტური შემოქმედება მოგვიანებით რომ გავაცნეს. არაერთხელ გულწრფელად მინატრია: ნეტავ ამ ძვირფას პიროვნებებს თავიანთი ლექსებიც „სადღაც სიყმანვილეში“ დაეტოვებინათ. სხვათა შორის, როსტომ ჩხეიძისგანაც მახსოვს საჯაროდ გამოთქმული ასეთი ნატვრა...

მურმან ჯგუბურია

# ცოტა რამ დეირა მანანაზე

ანუ

„ამ ამბავის წერაში კიდეც დამათინდა“

ნოდარ დუმბაძის მონაყოლი:

„მე და ცხონებული ბებიაჩემი ვზივართ გზის პირას, მომცრო გორაკზე, დაბლა, ლენტეხით ხვეულ ბილიკზე მიდის მხარზე თოხგადებული ჩვენი წყალგაღმა მეზობელი. მიესალმნენ ერთმანეთს ბებრები. როგორა ხართო, იმან, იკითხა. ცუდად, ნენა, ცუდად, ძალიან ცუდად ვართო, ამან, ანუ ბებიაჩემმა. ასე რატომ უპასუხე-მეთქი, შევეკითხე ბებიას. კაცი გავახარეო, მითხრა, აწი მთელი დღე კარგ გუნებაზე იქნებაო.“

ამ მოკლე სიტყვა-პასუხში სიგრძე-სივანით იკითხება მთელი ჩვენი ყოფიერების ავან-ჩავანი: როგორი კეთილები ვართ და როგორი ქრისტიანები. როგორი არაკეთილები და არაქრისტიანები, გულლიად რომ ვთქვათ.

სიკეთით სავსეა „ხაზარულას“ ავტორის მთელი შემოქმედება.

რა მალაპარაკებს?

ჩვენი საყვარელი მწერლის ქალიშვილმა, ქალბატონმა მანანა დუმბაძემ მისახსოვრა თავისი მორიგი წიგნი („ავლანეთი „ბარონის“ ჭუჭრუტანიდან“), რაც სავსეა დუმბაძისეული იუმორით, სიკეთითა და თანალობით, პატიოსნებითა და ქრისტიანობით.

და, რაც მთავარია, დუმბაძისეული მწყაზარი ქართულით, რასაც შეიძლება აქედანვე ვუნოდეთ მანანასეული ქართული, სადა, უბრალოდ ნათელი, მთის წყაროსავით სუფთა და კრიალა.

ახლა ამ ესეის სათაურის ამბავი გავარკვიოთ და შევუდგეთ კითხვას.

„მანანა, პუშტუზე, მადლობას ნიშნავს. დეირა მანანა. დიდ მადლობას. როცა დეირა მანანას მეძახიან „რ“-ს არბილებენ და თითქმის დეიდა მანანა გამოდის“ (მ. დუმბაძე).

ამ წიგნის ავტორი „ერთ-ერთი საერთაშორისო პროექტის კომუნიკაციის დირექტორი“ იმყოფება ქაბულის ერთ-ერთ სასტუმროში, „ბარონი“ რომ ეწოდება და წერს წიგნს, რასაც ჩვენ ვკითხულობთ.

ავტორი აღწერს იმ სასტუმროში მცხოვრებ სხვა და სხვა რჯულის (ეროვნულის) ადამიანებს, თანამშრომლებს, სასტუმროს მოსამსახურეებს, ქალებსა და კაცებს, სტუმრებსა და მასპინძლებს (ავლანელ მძღოლსა და უცხოელ სნაიპერს).

„მასწავლიან, რა უნდა გავაკეთოთ იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს ესროლეს და გარდაიცვალა, რომელ ლილაკს უნდა დავაჭირო ხელი, როგორ მოვიქცეთ, თუ მანქანა ააფეთქეს...“

აი, ძვირფასო მკითხველო, სად დურთა თავი, ნებსით თუ უნებლიეთ, ქართველმა ქალბატონმა.

შემინგუისეული ფათერაკები გავონდება ამ წიგნს რომ კითხულობ.

შემინგუეი კაცი იყო და იარაღის მცოდნე, მაგრამ ქართველი მანდილოსანი რამ შეაგულიანა და რატომ გადადო თავი ასერიგად? ამას თავად ავტორი პასუხობს ამ ესეის ბოლოში, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვთქვათ.

რამ?

უსახსრობამ, ალბათ. ავლანეთში მოსამსახურე უცხოელ პერსონალს საქართველოსთან შედარებით გაცილებით მეტი ჯამაგირი რომ აქვს დანიშნული?

არ ვიცი.

და მაინც: ქალიშვილს ნოდარ დუმბაძისა, რომლის წიგნებიც თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი მთელს მსოფლიოში, თავის სარჩენი სხვაგან საძებარი რატომ უნდა ჰქონდეს? არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავად ქალბატონი მანანა გახლავთ არაერთი წიგნის ავტორი. თანაც, ავლანეთი ისეთივე გაჭირვებული ქვეყანაა, როგორც არის ჩვენი საქართველო. ანუ, აქ შეიძლება ითქვას, გაჭირვებული გაჭირვებულს აეკიდაო. მაგრამ არ ითქმის, რადგან ამ წიგნის ავტორს არა ავლანეთი, არამედ ავლანეთში გამაგრებული უცხო სახელმწიფო არჩენს.

აი, რას გვეუბნება მსგავს ვითარებაზე ამ წიგნის ავტორის თანამშრომელი, ერთი ავლანელი ქალბატონი, მინა:

„ავლანეთის ომებით მთელმა მსოფლიომ მოიგო და მარტო ჩვენ წავაგეთ: კომუნიზმი დაინგრა, გერმანია გაქრთიანდა, პაკისტანი აშენდა, ჩვენ კი, ხალხი დაგვეხოცა და ქვეყანა თავზე დაგვეხობ“.

ავლანეთი პატარა ქვეყანაა, რიცხოვნებით ჩვენზე მეტი, ბედი კი თითქმის ერთნაირი გვარგუნა მამა-ზეციერმა. გამუდმებით თავს ესხმიან, გამუდმებით ანიოკებენ, მაგრამ ეგაა, რომ ბოლომდე მაინც ვერ ანადგურებენ.

უშიში, ვითა უხორცო, ავლანელებზეა ზედგამოჭრილი.

ბენ ლადენის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა ამერიკას ასეთი სიტყვით მიმართა: თქვენ ხორციელობაზე ზრუნავთ, სიცოცხლეს დაჰფოფინებთ, ჩვენთვის სულიერებაა მთავარი. ამიტომ, ჩვენ როცა ვკვდებით, არა ვკვდებით. ჩვენი მორევა არ იქნება.

მაგრამ მივხედოთ ჩვენს პრიმიტიულ სათქმელს.

ავლანეთი ნარკოტიკის დედა-ბუდეა.

ნარკოტიკი გამდიდრების უებარი წყაროა.

ავლანეთი კი შიმშილით სულს ღაფავს.

სამაგალითოდ: კონგო უმდიდრესი ქვეყანაა, მაგრამ თავად კონგოელები ღატაკები არიან. ანუ, რაც გააჩნიათ, სხვისია. სხვებს მიაქვთ და სხვები მიირთმევენ.

ჩვენ?

ჩვენ რა გვაქვს ისეთი, რა გავაჩნია, რომ არ გვასვენებენ? ნავთობი, გაზი და ნარკოტიკი ჩვენ არ მოგვეპოვება. და კიდევ კარგი, რომ არ მოგვეპოვება. მაგრამ, ხომ მართებული იქ-

ნება აქ რომ ვიკითხოთ: თუკი ასეა, რატომ არ გვეშვებოდა, რატომ გვებრძვიან?

ამაზე კარგი დაფიქრება გვმართებს.

ბესიკ ხარანაული წერს, რომ საქართველო კარგი დერეფანია, ანუ გზა, და ამიტომ არ გვეშვებოდა, რაც ყურადსაღებია. ცხადია.

ახლა ესეც ვიკითხოთ, თუკი ჩვენ და ავღანელებს მსგავსი ბედი (უბედურება) გვანათესავებს, ქართველ ჯარისკაცებს რა ჯანდაბა აომებთ ავღანეთის მიწაზე?

ამ ჯანდაბას კი, როგორც ყველამ ვიცით, თავისი, ნამდვილი სახელი გააჩნია და რუსთაველის სამშობლოში, რუსთაველის პატრონ ქართველებს ასწავლიან წერა-კითხვას, ზნეობასა და მორალის გაკვეთილებს უკითხავენ. დავით აღმაშენებლის სამშობლოში წვრილიან ჯარისკაცებს, კახელ მევენახეს ასწავლიან, როგორ უნდა მოუაროს საკუთარ მეურნეობას და მისთანანი და მისთანანი.

არადა, თითქმის თავისუფლები ვართ. თითქოს, ვითომ თავისუფლები.

„ძალს რომ გაასეირნებენ ხოლმე ქალაქგარეთ და თავდავინყვებით დარბის უმისამართოდ, ისეა ახლა ჩემი საქმე“ (მანანა დუმბაძე).

შენი, ესე იგი, ჩვენიც. ყველა ქართველის საქმე. რაც შენახარ, ისაა შენი ნათესავი და შენი ერი, შენი სამშობლო.

ამ წიგნს რომ ვკითხულობდი, თავი მეზრალეობდა, რატომ იყოს ასე ჩახედული ჩვენს ზარდამცემ ყოფიერებაში, ანუ საქვეყნო ავანჩავანში ქართველი მანდილოსანი.

„რუსეთის სოციალისტური წყობილების დამხობის შემდეგ ავღანეთში (ვიგულისხმობ, საქართველოშიც) მოჯახედების (ვიგულისხმობ სააკაშვილის) რეჟიმი დამყარდა და როგორც ხდება ხოლმე ყველა „თავმოყვარე“ ქვეყანაში, დაიწყო შიდა ომები“ (მანანა დუმბაძე).

ან კიდევ:

„ადრე ქაბული მწვანეში ჩაფლული ქალაქი ყოფილა, ფესვ-მაგარი, ასწლოვანი ფოთლოვანი ხეებით დამშვენებული. ამ გაუთავებელი ომების წყალობით ავღანეთის სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის მსგავსად დიდი რბევისა და განადგურების გადატანა მცენარეებსაც, ხეებსაც მოუწიათ. რაც დაბომბვას გადაურჩა, იმას უმოწყალოდ ჩრიდნენ, რადგან ქუჩის ბრძოლების დროს ხეს ამოფარებული მტერი ტყვიამფრქვევზე საშიში ყოფილა“ (მანანა დუმბაძე).

ანალოგი:

შამილი რომ დარწმუნდა, მარტო ადამიანებს რომ არ ერჩოდნენ რუსი იმპერიალისტები, არამედ, თავად ბუნებასაც, ბერი იფიქრა და მომხედურთან დაზავება არჩია.

მაგრამ მივეყვით წიგნს.

„ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, ერთ პუნქტს მივაღწიეთ“ (მ.დ.).

ასე ბუნებრივად ჩართავს ხოლმე თავის ნაწერში ავტორი საყვარელ გამონათქვამებს.

ხატოვანი სიტყვა-თქმანით არის სავსე ეს წიგნი. ალბათ მანანამ თედო სახოკიას დიდებული წიგნი ანიდან ჰოემდე იცის. „ანდრეი, მგონი, არყის ჭიქასთან ერთად დაიბადა“.


„აი, საშა კი, რომელიც თხემით ტერფამდე გერმანელი მეგონა და არის კიდევ...“

ეს დონ-კიხოტისეული სიტყვის მოსაბრუნია: „უნდა მეთქვა-მეთქი და გითხარი კიდევ“.

„კაცი ფულიანად ისე გაუჩინარდა, ვითარცა თვითმფრინავის ნაკვალევი ცის კაბადონზე...“

„სულ წავედი ხელიდან, ცოტაც და მიშასავით დავიწყებ: „უჩემოდ საქართველო (ავღანეთი) განწირულია-თქო“. მართალია, ეს მიშას არ უთქვამს, სანდრამ თქვა, მაგრამ მიშას ნამეცადინარი არ არის?..“

„ჩემთვის ვზივარ და ვაკვირდები. როგორც კი რაიმე საექვოს შევამჩნევ, თქვენზე ახლობელს ვის ვეტყვი!..“



ეს კი ლექსია, ტანკა, გინდა — ხოკკუ, რაც გინდა დაარქვი:

**იცინოდა მძლოლი,  
იცინოდა ტაქსების დისპეტჩერი,  
იცინოდნენ ცაზე ვარსკვლავები  
და ყველა ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავით...**

ესეც:

**„ლამე ისე ლამაზად ბარდნის,  
თავი ანდერსენის ზღაპარში მგონია“.  
„თალიბანების არ მეშინია,  
პირიქით,  
მეცოდნებიან კიდევ ამ გამყინვარებაში,  
მთებში რომ მგლებივით დაძრწიან...“**

„ეჰ, ნამდვილი მწერალი რომ ვიყო, დღიურების ამ ნაწილს, როგორც ეკადრება, ისე აღვწერდი...“

ასე გვეუბნება ამ სიტყვების პატრონი:

„რაც უფრო ღრმად ჩაყვინთავ, მით უფრო სუფთაა წყალი...“

გამოსცუროს საქართველომ თავისი ხუთმილიონიანი კიდობნით ნაპირზე. იცურაონ დიდმა თევზებმა ოკეანეში მეორედ მოსვლამდე, ჩვენ შავ ზღვაში ვიჭყუმპალაოთ...“

„რა სისულელეებს ვწერ...“ (მ.დ.).

ამ დასკვნის პატრონმა იცის საკუთარი თავის ფასი.

მაგრამ როგორები არიან თავად ავღანელები?

„ამათ გამძლეობას საზღვარი არა აქვს. ამათი მოთმინების ფიალა ნამდვილად უძიროა, ამათ სევდას ბოლო არ უჩანს, არც გლოვას. და არც გულზვიადობას. ამათი სიამაყე მოუთოკავია...“

ამგვარია მათი მოკლე ბიოგრაფია.

„აქ ომი და მშვიდობა ორივე ომს ნიშნავს“ (მ.დ.).

როგორი გამონათქვამია და რანაირი გულისთვალითაა აღქმული!

ამ მოკლე ფრაზამ ერთი ჩემი ლექსი მომაგონა, რასაც ნამეტანი პრეტენზიული სათაური „ომი და მშვიდობა“ ახლავს:

**თავისუფალი კაცი არის მშვიდობის მდომი,  
მაგრამ მონისთვის მისწრება, გახსოვდეს ომი.  
ამგვარად მითხრა ჩემმა გლეხმა და მახსოვს დღემდე  
მაღალი ღმერთი იყოს ქვეყნად ორივეს შემწე!**

აქ არ მინდა მკითხველს ერთხელ კიდევ განვაცდევინო ის ჯოჯოხეთი, რაც გამოიარა ამ წიგნის ავტორმა. მაგრამ მე ვინ!

ვინც ეს განიცადა, რა დაავიწყებს:

„თბილისში დავბრუნდი. ავღანეთის ამბებს ტელევიზიით ვიგებ და გული მისკდება, ეს სად ვყოფილვარ, რას ვარ გადარჩენილი, რას ვფიქრობდი, იქ რომ მივედი? რატომ? რისი გულისთვის? ვისი გულისთვის?..“

მაგრამ, მოდით, ერთხელაც გავილიმოთ და მოვრჩეთ:

„შვიდ საათზე დაპატიჟებული ჩემი სტუმრები, ზუსტად ავღანური პუნქტუალობით მოვიდნენ, — ცხრა საათს წამი არ გადაცდენია“.

ახლა ხომ სრულიად ზედმეტი იქნება ამ ჩანაწერს რომ კომენტარი მივადევნოთ, და მაინც: ნახეთ, რა მოკლედ და ამომწურავად არის გამოხატული ავღანელების ზნე-ხასიათი და ყოფიერება, ფიქრიანი სიფრთხილე, რაც გამონვეულია სამშობლოს მდგომარეობით, რაზედაც მიგვანიშნა მწერალმა ამ წიგნის დასაწყისშივე, როცა ასხენა „ავღანელი მძლოლი და უცხოელი სნაიპერი“.

ხომ არა ვარ ნამყოფი ავღანეთში, მაგრამ წიგნი რომ წავიკითხე, მომეჩვენა, რომ ვიყავი.

დიდი მადლობა, დეირა მანანა!

**P.S.** ძვირფასო მკითხველო, თუკი ეს წიგნი ხელში ჩაგივარდა, უცილობლად გადი ბოლომდე, გადაშალე 263-ე გვერდი და ნაიკითხე წიგნის „ეპილოგი“, რაც გაცილებით იმაზე მეტს გეტყვის, ვიდრე ეს ჩემი წერილი გეუბნება.



თამილა მაკარიძე

# ამ თაობას შეხსენება უნდა — არის ჯანსუღ ჩარკვიანი!

ვერ ვიტყვი უკეთ, ვიდრე ელგუჯა მალრადი ბრძანებს ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაზე. ვერც მის პიროვნულ, მოქალაქეობრივ თვისებებზე შევძლებ უფრო მეტი ვთქვა: თანაგრძობა, გვერდში დგომა — ჭირის დროს, ტკივილის გაზიარება, ახლობლის იარების მოშუშება — ეს თვისებები პოეტის პიროვნული თვისებებია, სხვისი მიღწევები — ახარებს; უანგარო და უშურველია. ეს იმიტომ, რომ სამშობლოს და თავისი ხალხის წინაშე — ვალმობილია; კაცი — კეთილზინიანი, უბოროტო და უბრალო“.

ეს არის ჯანსუღი. მაგრამ დღეს, კომპიუტერის ხანაში, ეჭვი მეპარება, რომ ახალგაზრდებმა ეკრანზე მისი ლექსები გამოიხმონ, არადა — როგორ სჭირდებათ სწორედ მათ, ყმანვილებს და მოზრდილებს, ბატონი ჯანსუღის მონოდედაქცეული სტროფები:

**თავისუფლება ისე არ მოდის,  
თავისუფლება ლომთა ხვედრია.**

ჩვენ თაობას კი, რომელიც დაბნეულია ცხოვრების სიძნელეებითა და გაურკვევლობით — მიინდა შევასხენო — პოეტი(!) ჯანსუღ ჩარკვიანი, ამოგვენკო მისი ლექსებიდან სტროფები და მკითხველს მოვავლო — როგორ შეიძლება უყვარდეს თბილისი პოეტს:

**მე შენს ბოლნისზე მეტი ხნისა ვარ  
და შენი სული ხელთა მჭერია,  
შენი მთისა ვარ,  
შენი ღვთისა ვარ  
და შენი მიწის შესაჭმელი ვარ...**

ხან წყნეთიდან გადმოხედავს, ხან ოქროყანიდან, რადგანაც „სულს ვერ არიდებს“, ლილოსთანაც დგას, მეტეხის მხარის გამგრძელებელიც არის, „ფუძეს უთბობს“ სოღანლულთან და თელეთთან, მაგრამ არ შექმნილა იმ სიყვარულის გამომხატველი სიტყვა, რითაც პოეტი თბილისს უნდა მოეფეროს და ლექსს ასე ამთავრებს:

**ვარ შენს უღელში შებმული კარი  
და გრივალეში ქედმოუხრელი.**

ბატონი ჯანსუღის ლექსების ერთ ნაწილს „მზის დასავალი“ ჰქვია. მე არ მეგულება მზისადმი სიყვარულის ასეთი გამჟღავნება სხვაგან, თუ არ გაღმერთებული მზის მადიდებელთა შორის. მაგრამ, აქ პოეტის ლექსებში — მზე თანადგომაა, წინაპარია, განწყობილება; სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილია, მისი ცხოვრების მონილე და მოთამაშეა.

**მზეო, ჩემო წინაპარო,  
იბერიის ტომისა ხარ,  
ბნელში უნდა ილამპარო,  
ფაფრიანი ლომისა ხარ.**

**დილით გამომცხვარო პურო,  
დედაჩემის თონისა ხარ;  
საქართველოს ნათლის ფარო,  
მამაჩემის თორისა ხარ.**

პოეტისთვის გალობანიც ციდან მოდის, მზის მადლია ამაში გარეული:

**მზის გალობანი, რომელ არს ცათა,  
თაყვანისცემა ზეციურ განძთა.**

მკითხველს ალბათ გაუკვირდება, ლექსის ასე ხვავიანად დემონსტრაცია, მაგრამ ისე გიტაცებს კითხვისას, რომ გენანება ისიც არ გადმონერო, კიდევ ერთი ტაეპი, კიდევ, და ამით, არა მგონია, მკითხველი უკმაყოფილო დარჩეს. ისევე მზეს:

**ხან რომ ღრუბელს მოიფარებ,  
გლოვისა და წყრომისა ხარ;  
ჩემი დილამშვიდობის და  
ჩემი მწუხრის ომისა ხარ.**

**ფერდობზე რომ გამოჩნდები,  
მოგოვმანე გნოლისა ხარ.  
არაგვზე რომ დაბრძანდები,  
დამსხვრეული ბროლისა ხარ.**

ბატონი ჯანსუღი თემას კი არ სდევს ერთგულად, მშრალად, არამედ ხატებით, ფერადი სურათებით გვანვდის სასურველ სათქმელს.

აბა, წარმოიდგინეთ — არაგვზე მუხლებდამსხვრეული მზის სხივების ციმციმი — დამსხვრეულ ბროლს არ დაემგვანება? იონჯას თუ გაერია, გვირილების მოლად გადააქცევს, მწვანეში ყვითელ გულს გაურევს. როგორი ნაცნობი სურათებია ეს ქართველისთვის, მაგრამ ვერ ვიტყვით ისე, როგორც ბატონი ჯანსუღი. ეს სხვა ხედვაა და სხვა აზროვნება — ფსიქიატრები ხატებით აზროვნებას ვუნდობთ. არ არის ცუდი.

ბატონი ჯანსუღის ლექსები სევდანარევი სიხარულია, სურვილებიც, წარსულის მოგონებანიც. ფაქიზი, მისთვის მტკივნეული სევდა, რომელსაც თავს არ ახვევს მკითხველს, არ აწუხებს. პირიქით, ისეთი მხატვრული ხერხებით გადმოგვცემს, შეუძლებელია ხელმეორედ გადაკითხვა არ მოგიხდეს.

აქვს პოეტს ლექსი „ლამაზი სიკვდილი“ — ჩემთვის გამორჩეული, არა იმიტომ, რომ ჩემს განწყობილებას ეხმაურება. არა, ეს საუცხოოდ მოქარგული სამყაროა, მისი მოხატული სამშობლოა, სადაც სიკვდილიც კი იოლია. ამ ლექსშია თუ არის მოულოდნელი, უეცარი და საოცრად ხატოვანი სურათები:

**როცა დაიწყებს წყარო საუბარს,  
მზეს რომ მისწვდება ირმის ბლავილი.  
შემოასკდება როცა ალუბალს  
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი (!!!).**

**როცა კვირტები აფეთქდებიან,  
მთებს გადიფრენენ ფრთების ტკაცუნით,  
როცა ირმები დაფეთდებიან,  
მზეს შეხედავენ რქებში ჩანურვილს...**

*(„ლამაზი სიკვდილი“)*

ამ ლექსის განსაკუთრებული ხიბლი ისაა, რომ შვიდი ტაეპი ეძღვნება, უ.ს. შესავალია იმ პროლოგისა, როგორ „მოკვდება ლამაზად“. ამიტომ მკითხველს ერთი ძალიან ლამაზი ტაეპით დავტვირთავ:

**როცა მზე მინდვრებს კალთებს დაუცლის  
საგვირილოდ და საენქლოდა,  
ირემი ირემს ბალახს გაუნვდის  
და რქას მიურტყამს სადღეგრძელოდა...**

არა, როგორ არ მინახავს ირემების რქების მირტყმა და ჭიდილი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ჩემი თანამემამულე პოეტი ამას სადღეგრძელოს რიტუალად გამოიყენებდა.

აფერუმ, ბატონო ჯანსუღ! დღეგრძელოდა.

მაგრამ არ შეიძლება არ ვთქვა, რომ ამ ლექსის დასასრული მაინც განუმეორებელია, ამაღლებული, ისეთი, როგორ სიკვდილსაც ყველა ღირსეული მამულიშვილი ინატრებდა:

**გავდიადდები,  
გავსულდიდდები  
და ავენთები მამულს კელაპტრად.**

**დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,  
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,  
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,  
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.**

ასე ლამაზად სიკვდილის უფლება — მხოლოდ მამულისთვის კელაპტრად ანთებულ ადამიანს აქვს (ჯვარი სწერიან ოთხივე კუთხივ, ბატონ ჯანსუღს).

ისე თვით სიკვდილი არ აშინებს პოეტს, მხოლოდ ვილაცასთან განშორება უჭირს.

**მე მიჭირს  
შენთან განშორება,  
თორემ სიკვდილი?  
სიკვდილი რაა...  
სულის გაყრა  
ცოდვილ სხეულთან.**

სიკვდილი მისთვის, ვაჟასი არ იყოს, სიცოცხლით ფასობს. მშვიდად ეგებება მას. როგორც ამბობს:

**უნდა გქონდეს შეგნება,  
აქეთ სახლიც ხომ არ გქონდა,  
საკუთარი არ გქონდა.  
იქეთ, იქეთ საკუთარი  
მყუდრო სახლი გექნება.**

მაგრამ დარდით მიდის პოეტი მაინც:

**სამშობლოს დარდის ამარა  
მიდიხარ წუთისოფლიდან.**

დანაშაულია, ჩვენს ქვეყანაში „ქართული ლიტერატურის“ სახელმძღვანელოში ბატონი ჯანსუღის ლექსები უზვად არ ისწავლებოდა, ხოლო ის ფრთიანი ფრაზები, რომლებიც ქართული სულის, ეროვნული ღირსების მატარებელია, აფორიზმებად უნდა მიეწოდოს ახალგაზრდობას, მოსწავლეებს — მათი გვარ-ჯიშის, წარსულისა და მოვალეობის შესახებ ეხებოდა.

პოეტის სულში ქარი თუ არა, ნიავი მაინც უნდა იყოს. უნდა ფორიატობდეს, შფოთავდეს, აბა ისე არ დაინერება ეს სტრიქონები.

**მარტი გამოგვეცალა,  
მშვენიერი მარტი,  
მარტი — მარტო — პოეტის,  
მარტი — მარტო — მხატვრის.**



ჯანსუღ ჩარკვიანი

თავისებური ხალხია პოეტები, მხატვრები, შემოქმედის ნიჭით დაჯილდოებულები. გამორჩეული გემოვნება და ხედვა აქვთ და ასე აღიქვამენ გაზაფხულის პირველ თვეს „გიჟ მარტსა“. პოეტს ხიბლავს ეს ცვალებადი ხასიათი, და მაინც, მზე მისთვის სიკეთე და სილამაზეა.

**ირინოლა — მზის სხივი.**

ან კიდევ დასავლეთის წითელი რკალი.

**მზის დაბრძანების პოემას წერდა  
(„კვლავ ანანურთან“)**

ისევ

**გრანადის ახლოს  
და მზესთან (!) ახლოს  
მას ედგა სახლი  
პატარა სახლი  
(„გარსია ლორკა“)**

ხატოვანი სიტყვა-თქმანი და ფრთიანი ფრაზები დიდ პოეტთა ან პიროვნებათა შემოქმედებიდან წამოვიდა და დადიან ახლა ხალხში თავისით, უავტოროდ.

**საქართველოვ,  
შენ ვინ მოგცა  
შვილი დასაკარგავი.**

ეს სიტყვები, 15 წლის ირინე სხირტლაძეს ეძღვნება, რომელიც სამამულო ომში — პოლონეთში დაიღუპა.

წინათქმული ფრთიანი ფრაზა ბევრმა იცის, მაგრამ შეიძლება არც ავტორი იცოდეს და არც მიზეზი ამ ლექსის შექმნისა. პოეტი, თან ბატონ ჯანსუღის გულით, ვერ შეძლებდა 15 წლის ქართველი გოგოს მსოფლიო ომში დაღუპვას არ შეეწუხებინა და ითხოვს:

**მართლა მჯილისხელა თუ ხარ,  
შენი მჯილის ჭირიმე,  
რად არ წუხხარ,  
რად არ წუხხარ,  
რად არ წუხხარ ირინეს.**

სიყვარულის, მოფერების პოეტია, თუმცა რქენა და რისხვაც თავის დროზე იცის. როგორ ეფერება ქუთაისს:

ვდებ ამანათში და სულს გიგზავნი,  
სულს ანუ ჩემი სიცოცხლის წყაროს.

და შემდეგ:

შენი დღეც ჩქარობს, ჩემი დღეც ფიცხობს,  
ნავიდნენ, რა ვქნათ, ნუ დაგვაცლიან:  
ძვირფასო, მე რომ ქუთაისის ვიცნობ,  
ის მართო ჩემი ქუთაისია.

(„ლექსი, რომელიც ჩემს ქუთაისს გაუფგზავნე“)

ბალახი, ხე, ბუჩქი მისი ქვეყნისა — სხვაა, არ ჰგავს სხვა ქვეყნისას. რასაკვირველია — უკეთესი. აბა, არაგვს რა შევდრება, დუნაი?

არაგვი, როცა მოზღავის  
მე ღმერთის რისხვა მგონია.  
ცრემლები დასდის მწარენი,  
მოაგრილებს როს ჭალებს,  
რას ამბობ, სხვა მდინარენი  
ფეხებსაც რომ ვერ მოსჭამენ!..

როგორი მუდმივი და მტკივნეული თემაა — დედაენა, ენა, რომელსაც დედის სახელი ჰქვია, ერთია დედასავით. როგორ გაამწესა და თავისი ადგილი მიუჩინა მას ბატონმა ჯანსულმა ლექსში „დედაენა“:

ერთი დედა, ერთი მამა,  
როგორც ერთი ღმერთია,  
ორი ენა გველისაა,  
კაცის ენა ერთია.  
სამშობლოც ხომ ერთი არის,  
მისი ენაც ერთია,  
ქვეყნად კაცი არ არსებობს,  
ენა რომ წაერთმიათ.  
ღმერთის ნებით წასასვლელი,  
ღმერთის ნებით მოსული,  
ერთადერთი იმ ენის ხარ,  
რა ენაზეც ლოცულობ!

ღალღალი ისმინეთ პოეტის, წრფელი და ალალის:

ღმერთო, ღმერთო, შენ შემატე  
ივერიას სიმალლეო.

და დაპირებაც თან ახლავს:

მტერი უნდა გადავდენო  
ისე, როგორც ნახირი,  
მუხლზე მიზის საქართველო,  
საქართველო დაღლილი.

ფრთიან ფრაზასაც ვერ შეკადრებ, ისეთი სიმტკიცე და დაჯერებაა ამ სიტყვებში:

მთავარი მაინც მამული არის,  
განსაცვიფრებლად არის მთავარი.

იმიტომ, რომ ქვეყნის მსახურება, მამულის სიყვარული ჯანსულ ჩარკვიანის შემოქმედების ის ძირითადი, უცვლელი და მთავარი თემაა, რომელიც ასე გამორჩეულს და განსხვავებულს ხდის მის პოეზიას.

შენგან გათენებულ ცას,  
შენგან აღელვებულ ზღვას,

არა თაყვანი ვსცე სხვას,  
არცა ვმსახურებდე სხვას.

დაბოლოს:

ვეფხის უძვირფასეს ტყავს,  
თითზე ჩამოსათვლელ ცხრას,  
არა თაყვანი ვსცე სხვას,  
არცა ვმსახურებდე სხვას.

ეს ლექსი, რომელსაც „ერთის პირობით ჰქვია“ ძალიან პოპულარულია ერში, ბერში, ახალგაზრდებში, ძველებში.

ვითომ განსხვავებულია თავისი მხატვრული ღირებულებით? არა! ამჯერად ამ ლექსმა თითოეული ადამიანის სათქმელი და ჩანაფიქრი თქვა, ყველას სურვილი ამოთქვა და ერთმა ადვილად გაითავისა ეს ლექსი:

მწყურვალისათვის  
მიმატანიე წყალი,  
მევალისათვის  
მიმატანიე ვალი.  
გზაბნეულისთვის  
მასწავლებინე გზები  
შეუნამლავი  
შემანამვლიე ზვრები.

მე, ქალს, ხანშიშესულს — დამინახავს მოუვლელი, ხარდანგამოცლილი, შეუნამლავი ვენახი და გული დამწყვეტია, მომსურვებია მონამვლაც და ვენახის ხარდანზე დამაგრებაც. ამიტომაც უცნაურ ქალს მეძახიან. ვიყო უცნაური, აწი აღარაფერი მეშველება, მაგრამ რომ მანუხებს ის, რაც ჯანსულს — ეს მიხარია.

მომამკებინე  
სხვაგან დამარხული ძმები,  
ამ ჩემს მამულში  
დამამარხვინე ძვლები,  
მათქმევიე, ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,  
მერე წამოვალ,  
წამოვალ, საცა გინდა.

ეს მონოდებაა!

ასე ვალნახადი ვინატრებდი მეც სიკვდილს. სხვებიც დამეთანხმებიან ალბათ.

ცალკე საუბრის თემაა ის ლექსები, რომლებსაც ბატონი ჯანსული თავის მეუღლეს — ირმას — უძღვნის.

ზნეკეთილი, გვრიტივით მოლულუნე, საოცარი მეუღლე და დედა — ირმა რომ გამორჩეული იყო ყოველთვის ჩვენს თაობაში — ეს ერთია. მაგრამ ამ სინაზეს, ამდენ გრძნობას როგორ ატანს გარეგნულად ასეთი ვაჟკაცური იერის კაცი იმ ლექსებში, რომლებსაც ირმას უძღვნის — გასაკვირია.

მე თუ მომკლავს,  
შენზე ფიქრი მომკლავს,  
ღმერთმა ნუ ქნას,  
რომ ეს ფიქრი ჩაქრეს,  
სიყვარული უფრო მთვარეს მოჰგავს,  
გიყურებს და ირონიას გაფრქვევს.

ამდენ ტკივილს ნეტავ როგორ უძლებ,  
გამოგხედე და აღარა ჩანდი:  
მზეს გავხედე დასავლეთით უცებ,  
ჩადის, მაგრამ — რა ლამაზად ჩადის.

ბატონ ჯანსუღს რომ მზის ჩასვლა უფრო მოსწონს ფერთა მრავალფეროვნებისა და ცის ზღაპრული შეფერადების გამო — ეს ვიცი. ამასწინათ მზის ჩასვლის ოდა მოვისმინე მისგან. გამიხარდა — მეც მზის ჩასვლის ფერები უფრო მხიბლავს. მაინც სასიამოვნოა, დიდი პოეტის აზრს რომ ემთხვევა შენი.

და უცებ ნუხილი მასზე, რომ:

**ნუხელ მესიზმრა  
თოფს ესროდნენ  
მომღერალ ბუღბუღს.**

პოეტი სიმართლის დაუღალავი მაძიებელია. ეს ჩანს ყოველ მეორე ლექსში:

**სად დაგვეკარგა სიტყვა მართლისა,  
ვის დავუჯერეთ, ვინ მტერ და პირშავს,  
დღეს რა ვქნათ, თორემ  
დედა ქართველისა,  
უნინ მამულსა უზრდიდა შვილსა.**

პოეტს არ გამორჩენია არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, „კაი ყმა“, ნაბრძოლი და დაღლილი ციხე-კოშკი, პიროვნებანი, ჭეშმარიტი და ნაღდი. ყველას გამოეხმაურა ლექსებით. ქალბატონ მედეა ჯაფარიძის სილამაზესაც შეეხმინა ძალიან სენტემენტალური ლექსით „სევდიანი სინათლე“.

**ძველი ეშხის მოლანდებას,  
ყვავილები მიათვეს,  
გზა მიეცით,  
მობრძანდება  
სევდიანი სინათლე!**

კორპორაციული ერთგულების და პატივისცემის გარდა დიდი მოწინება და სიყვარული იღვრება ქალბატონ ნაზი კილასონიასადმი მიძღვნილ ლექსში:

**შენი სიმდიდრე  
სათნობაა,  
იყო მუხისა  
ნათელი გადგა  
დღით და ღამით  
მთვარის თუ მზისა.**

სიყვარულს და პატივისცემას თავგანწირვა შვენის:

**რომ შემძლებოდა  
შენს წილ სიკვდილს  
მოვიპარავდი.**

თუ არჩევანზეა და მე მცირედი მაინც მომეკითხება პოეზიაში, გამორჩეულად მომწონს ძალიან ლირიკული, თბილი, სინანულითა და დაკარგვის განცდით დაწერილი ლექსი, რომელიც 13 წლის პოკას ეძღვნება. აქ არაფერ შუაშია ჩემი სიყვარული ძაღლებისადმი. როგორ უნდა იცოდე ერთგულების ფასი, რომ ასეთი ლექსი უძღვნა მას, ვინც 13 წელი გიერთგულა (მერე რა, რომ ძაღლია).

**ჩვენ ორთავეს გაყოფილი ლუკმა გვაქვს  
ორთავენი ვყავთ და ვებრძვით სიბნელეს,  
ვეფერებით ჩვენ-ჩვენ ძაღლურ სიბერეს.**

**ჩემი ყეფა არის უფრო ძაღლური,  
შენი უფრო სუსტია და ბაღლური.**

**ვიღრინები, როგორც შენ იღრინები,  
ვართ ორთავე ერთობ გადაღლილები.**

თუ ერთობაა — ერთობა იყოს, თუ სიყვარულია, მაშინ:

**მე ჩემს სიკვდილს  
უფრო გულით დავხვდები,  
რომ მოვკვდები,  
სულში თუ მომაკვდები.**

არის ქართულ ლიტერატურაში ამის მაგალითები.

ზევით დედაენის ქებათაქება მოგახსენეთ პოეტისგან თქმული. ქართული სიტყვის ოდაა ლექსი, რომელსაც ახლა შეგახსენებთ:

**ქართულო სიტყვავე,  
შუქმფინარო,  
სევდის უღელო,  
მე შენს დაუღლელ ერთგულებას  
უნდა ვუმღერო.**

**ვინ გაგაშიშვლა,  
ხანჯალივით,  
სიტყვავე ქართულო,  
ვინ ამოგანო  
გულისგულში  
მზით ჩახლართულო.**

სწორედ ამ ლექსში ნათლად გამოჩნდა, როგორი ერთნაირი ერთგულებით ემსახურნენ ერთმანეთს, სიტყვა პოეტს და პოეტი — ქართულ სიტყვას:

**შენ ხარ ვენახი,  
ზემივით მშვენიერი ხარ,  
ჩემი მიწა ხარ,  
ჩემი ცა ხარ,  
ჩემი ერი ხარ.**

გულს გაგმირავს, ისეა ნათქვამი:

**მონა ვარ შენი,  
შენი ბგერის სამსახურში ვარ.**

რა არის ქართული სიტყვა საქართველოს გარეშე. რა დიადი, სათქმელად — საფრთხილო, საგრძნობლად — ტკბილი და ახლო... რა მსუბუქად, თამამ-თამაშით, თან გულიანად ეფერება თავის ქვეყანას პოეტი:

**ჩემი კლდე-ღრე,  
ჩემი ახო,  
ჩემი მიწის ყამირი,  
ჩემი ირმის საბალახო,  
ჩემი მინდვრის ყვავილი.**

**ჩემი პური, ჩემი ღვინო,  
ჩემი ზღვა და მთა-ველი,  
ჩემი ლექსის სალილინო  
მიწა ორი მტკაველი.**

სულ მისია, რაც ჩამოთვალა. ორი მტკაველია, მაგრამ — მისია.

**ცა ფირუზი სანათლოს  
სიზმრებში რომ შემაფრენს,**

**მოკლედ, ჩემი საქართველო  
მირჩევნია ყველაფერს.**

დაბოლოს პოეტის გამახვილებული ხედვაა, წინათ-გრძნობა თუ წინასწარმეტყველება. აბა, რითი ავხსნათ ეს სიტყვები:

**ვაითუ ადგეს ქართველი გლეხი  
და სოფელს ზურგში ჩასცეს მახვილი.**

ჩემს წინ კახელი გლეხი იჯდა. თავდახრილი, თვალებით იატაკს მისჩერებოდა, მუხლებზე ნაჯაფარი ხელები უმოდრაოდ ეწყო. მე ფსიქიატრი ვარ და დანვრილებით ვითხოვ ჩემთან მოსვლის მიზეზს. ქალიშვილი მიაჩნობს: „ექიმო, მთავრობამ რომ გამოაცხადა, ვენახი გაკაფეთ და 3000 ლარს მოგცემთო, გამწარებულმა მამაჩემმა თქვა: „არც სასუქის ყიდვა შემიძლია, არც შესანამლისა, აბა, რა ვქნაო!“ ჰოდა გაკაფა. და კიდევ გახდა ავად. ტახტიდან არა დგება, საჭმელს არა ჭამს, არ ლაპარაკობს, ბალები აღარ ახარებს. კენესის და ოხრაეს“.

ჩემთვის ცხადი გახდა კახელი გლეხის ვარამი: შვილი მოკლა თავისი ხელით. ასეც მოიხრა: „შვილივით ნაზარდი ვაზი ფულში გავცვალეო. ჩემი ხელით მოვკალი, გავკაფეო. ახლა არა მძინავს, თუ ჩამთვლემს, მესიზმრება ჩემი მოკლული ვაზის კენესა და ტირილი. ვერ მომისვენია. მე რა მიშველის ექიმო?“

ახდა ბატონი ჯანსულის წინასწარმეტყველება. ჩასცა მახვილი გლეხმა სოფელს:

ვინ უფრო დამნაშავეა — ნამქებებელი თუ შემსრულებელი? ღმერთმა განსაჯოს. მე კი ამ გლეხის უღონოდ დანყობილი ნაჯაფი ხელები ვერ ამომიღია თვალებიდან.

ბატონო ჯანსულ! პოეტებს საშველი გაქვთ. ლექსად ამოთქვამთ და თქმა ხომ სულის ამოთქმაა. ეს კი შვებაა. ბატონ ჯანსულთან შეხმიანება და ქართველი მკითხველისათვის კიდევ ერთხელ შეხსენება — არის ქვეყნის სიყვარულში, მოძმეთა ერთგულებაში, ქართული სიტყვის ტრფიალში დაღლილი პოეტი — ჯანსუკი ჩარკვიანი, რომელსაც წამოსცდა:

**ვგრძნობ, დამებედა სხვა ბედი,  
ვატყობ, სხეულში მზე შთება,  
ვაიმე, მგონი დავბერდი,  
აღარაფერი მეშლება.**

გემულებათ, ბატონო ჯანსულ, სიბერე ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით!

**თამილას**  
ცისაკენ ანაფრენი,  
ლექსი ინათებს მზე-მზე,  
მე მსგავსი არაფერი  
არ ნამიკითხავს ჩემზე.  
  
შენი სიტყვა მაქვს გულში  
და ვებრძვი მტრისა გესლებს,  
თამილას სიყვარულში  
კვლავ ავაყვავებ ლექსებს.  
  
*შენი ჯანსული  
2014 წლის 31 მარტი*

სოსო სიგუა

**უცხო ქალაქი**

**სულ სხვა გემები მოცურავენ,  
სულ სხვა გემები.**

ასე იწყება გუჩა კვარაცხელიას ერთი ლექსი და ეს იმ სიახლის პაროლია, რომელიც გვაუწყებდა მორიგ ფერისცვალებას.

განახლებას კი მკითხველი ძნელად ეგუება. ის უფრო ენდობა მას, ვინც ოსტატურად გაიაზრებს ნაცნობ თემებსა და სახეებს, ვიდრე ნოვაციების ავტორს.

გუჩა კვარაცხელია, როგორც პოეტი — ერუდიტი, კარგად გრძნობდა არჩეული გზის სიმძიმეს. მაგრამ ტაშსა და ტრიბუნას მაინც ერჩია, რომ მიჰყოლოდა თავის გულისხმას, ემზირა მომავლისაკენ, რომელიც უფრო დანისლულია, ვიდრე წარსული:

**ღვთიშობელო, დედოფალო,  
ხმელი გაგვინედლე, ნედლი გაგვიმაგრე,  
აიკიდე გუდით ობოლი ქალაქი  
და ამ ღამიდან სხვა ღამეში გადაიტანე!  
ღვთიშობელო!...**

\* \* \*

გუჩა კვარაცხელიას პოეზია სამი განსხვავებული ხედვის სინთეზია — ეს არის ლინგვისტის, პოეტისა და მხატვრის მიერ დანახული სამყარო. მათგან მთავარი პოეტური მგრძობელობაა, რომელიც სიტყვაში ეძებს მისტიკურ ჰარმონიას და მას ხან სტრიქონებად, ხანაც — ფერებად და ხაზებად ანაწილებს. მაგრამ მისი გზა არ ყოფილა იოლი და მუდამ აღმავალი. ისიც ზიგზაგებისაგან შედგებოდა. იყო განდგომა და ხელის ჩაქნევა, მეტი პრაქტიკა და ნაკლები ოცნება.

როგორც ჩანს, იყო რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, რაც აფერხებდა გუჩა კვარაცხელიას სახელის დამკვიდრებას, მისი პოეზიის პოპულარობას ლიტერატორთა წრეში:

იგი ხუთი შვილის დედა და ეს ბუნებრივად მოითხოვდა პოეტური ლელვისაგან განრიდებას. ამასთან ერთად ადრევე გაიტაცა მეცნიერულმა კვლევამ, რაც ასევე ანელებს პოეტურ აქტივობას. შემდეგ იყო პროფესორი, დეპუტატი, მინისტრი, ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი. ამ ყოველივეს კი სჭირდებოდა შინაგანი ენერჯის შესაბამისი მიმართულებით კონცენტრირება, რაც ასევე შორს არის პოეზიისაკენ. პოეზია კი მოითხოვს თვითგამეტებას, თვითშენიშვნას. მაგრამ იყო კიდევ ერთი და შეიძლება ითქვას — გადამწყვეტი ფაქტორი: პოეტი ქალი თავს არიდებდა სამწერლო ორომტრიალს, შიდაკულისურ დაპირისპირებას, ხმაურსა და აურზაურს, ლოზუნგებსა და პრეტენზიებს. მაგრამ სწორედ ასეთი ლელვა იყო მათი სახელების რეკლამირება, რადგან ყალბი და წარმავალი მუდამ ერთმანეთში ირეოდა.

მიუხედავად ამისა, მან შექმნა ღირსეული პოეზია, რომლის ათვისებას და დაფასებას სჭირდება წარმომქმნელის ესთეტიკის მიღება — ავანგარდისტული ტენდენციების გააზრება და გაზიარება.

როგორც პოეტი, იგი ჩრდილში იდგა და არ უცდია თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა გამოეყენებინა საკუთარი სიტყვის პროპაგანდისათვის ან ლექსში აქტუალური, მომგებიანი თემები შემოეტანა. იგი წერდა თავისი განცდების, ჭკრეტის დღიურს, საკუთარი ცნობიერების მოძრაობის ფსიქოგრამას ადგენდა.

ასეთ ლექსებს ჰყავს მკითხველთა და დამფასებელთა ვიწრო წრე, რომელიც სცნობს ახალ ესთეტიკას, გამოხატულს ასეთი სიტყვებით:

**შევიდა მწყობრად წვრილი წვიმა  
სიმწვანედაკარგულ ფოთლებში  
და ალტის ოთხ სიმზე გაკრულმა  
მწუხარე სიმღერამ  
ჟურჟოლვასავით დაუარა საღამოს.**

ეს იყო სამსახური წმინდა პოეზიისადმი, იმის ხილვა, რაც სულს დააჩნდა და არა იმის ასახვა, რაც ირგვლივ ტრიალებდა. ამიტომ არ არის მისი მზერა გარეთ მიმართული, არამედ შინაგანი ლელვის გამოტანა, ამ ლელვის გაცნობიერება, ამოხსნა საგანსიტყვებით, სიტყვა-სიმბოლოებით:

**ზღვის უფოთლო სიმწვანიდან  
ამოდოდა ჩვენი ზიარი დრო,  
შენს ბინდიან მზერას ამძიმებდა.  
ხეთა ვედრება მოჰქონდათ ქარებს  
და ალყაში აქცევდნენ ბედნიერების უძრაობას.**

გარემომცველ საგნებს თავისთავადი მნიშვნელობა არც გააჩნიათ. ისინი ღირებულებას და სიმკვეთრეს იძენენ აზრისა და გრძნობის გამოსავლენად, აფორმებენ ფიქრების მდინარეებს. ეს ლექსებზე უფრო ნათლად ჩანს ასოციაციური კომპოზიციის პოემებში (მაგ., „უფრო მაღალი ცა“, „მგზავრო, მავალო“).

ამდენად არის გუჩა კვარაცხელიას მხატვრული სიტყვა ცნობიერების პოეზია, რომელიც თავისი არსით უპირისპირდება ტრადიციებს, უპირისპირდება სალექსო ფორმებს, რაც დამკვიდრდა და გაბატონდა, უარყოფს სასიმღერო ჰანგებსა და დრამატულ მოტივებს ანუ ყოფიერების პოეზიას, რომელსაც შეეჩვია და შეეხარდა მასის მზერა, გული და გონი:

**ნუხელ წყვდიადი ღამე იყო.  
ჭოკის ხიდზე ჭინკა დახტოდა,  
იქნებ სულაც სხვა ავსული,  
კომერციული ფილმის ტოპოსიდან.  
მარტო მკვდრებს არ ეშინიათ სიკვდილის.  
შიშის ქვევრს ძირს ვერავინ გამოაცლის.**

ამიტომ არის გუჩა კვარაცხელიას პოეზია ავანგარდისტული ბუნებისა. მისთვის მახლობელია სიმონ ჩიქოვანისა და ოთარ ჭილაძის ტრადიციები, ხოლო განმსაზღვრელი — ჭვრეტა, განსჯა, ანალიზი, ფიქრი, თავისუფალი ლექსი.

ასეთი პოეზია ფართოდ გავრცელდა 60-70-იან წლებში. ამ დროს ყალიბდებოდა გუჩა კვარაცხელიას მსოფლალქმა და მიმართებათა სისტემა. ეს კი მას აყენებს ბესიკ ხარანაულისა და ლია სტურუას გვერდით, რომელთა ვერლიბრი განახლების სიმბოლოდ მიიღო ახალმა თაობამ და ამ პერიოდში დომინანტად აქცია.

უარი ეთქვა რითმას, მეტრსა და სტროფს:

**როცა დრო ჯერ კიდევ არ არსებობდა,  
ანუ სხვაგან იყო და ჩვენთვის არ ეცალა,  
არაფრის დათვლა არ გვჭირდებოდა,  
ანუ ყველაფერი უთვალავი გვექონდა.  
ადამმა ვაშლი რომ გაკბინა,  
ამისთვის კი არ დასჯილა,  
ნუთი გემოთი რომ დააფიქსირა,  
იმან დაგვლუპა.**

ამასთან ერთად უკუგდებულ იქნა კლასიკური ლექსის არსი — მეტაფორული პათეტიკა, წარსულის რომანტიკა და მელოდიკა.

**ნუ დაყნოსავ ყაყაჩორას,  
დამიჯერე,  
დაგათრობს და გაგაბრუებს,  
დამიჯერე.**

ამბობს პოეტი ერთ ლექსში.

ეს ყაყაჩორა შეიძლება იმ პოეტურ-რი სიტყვის მეტაფორადაც მივიღოთ, რომელიც ხმაურობდა სუფრაზე, ტრიბუნაზე, დარბაზებში და მასას იტაცებდა. ეს მაშინ, როცა იგი არჩევდა ფიქრსა და განსჯას, ფიქრების ფიქსირებას, უჩინარი დეტალების აღქმასა და დაკვირვებას, უარყოფდა ტრიბუნის ან გამართობის როლს. ეს ნიშნავდა ჩვენს პოეზიაში მოძალებულ ორი საპირისპირო ნაკადის დაძლევისას. ერთი მხრივ ეს არის ირონიულ-პაროდული ლირიკა, რომელიც ახალ თაობამ ბილწსიტყვაობაში გადაზარდა, მეორე მხრივ — პათეტიკა და ისტორიზმი, რაზეც დგას კლასიკა და მოდერნიზმი.

ქართული პოეზია ყოველთვის შთანთქმული იყო ისტორიზმის მიერ. წარსულის ლანდები, გმირები, ტოპონიმები, მშობლიური არქაიკა ნაციონალობას იცავდა, რუსულ აგრესიას აკავებდა და თავისუფლების მონატრებას შეიცავდა. ასეთი სიტყვა გათვლილი იყო მასობრივ პოპულარობაზე.

გუჩა კვარაცხელია აქაც მჭვრეტელია, არა მეხოტბე და პანეგირიკოსი, როგორც, ვთქვათ, შოთა ნიშნინიძე:

**მიდიოდა ქარი, უცნობ საფლავთა დამტირებელი,  
მოდიოდა წვიმა, მიწამდე ვერ აწვდენდა.  
იყო და წავიდა წინაპარი.  
ზღვიდან მოსული მინაში ჩავიდა.**

იგი ჩრდილებისა და ნიუანსების პოეტიცა, რომელსაც ჭავლის ციმციმი უფრო იზიდავს, ვიდრე ზღვის მქუხარება:

**ჩვენი სიტყვები ჩასახლდებიან  
თქვენს ხმებში,  
რომ მოგიტხრონ,  
როგორ გავედით მეხუთე მხარეს  
და დავცინეთ ნაცრადქცევის შიშს;  
გასწავლიან ფოთლის მორცხვობას,  
რტოების როკვას  
მენუეტის მოკლე ნაბიჯით,  
თავის დაკვრით და რევერანსებით.**

როცა ჩვენც ჩავსახლდებით ამ სტრიქონებში, ვიგრძნობთ დეტალებს და გავითავისებთ სახეებს, როცა ვივინყებთ ტრადიციის ინერციას, — მაშინ ასეთი პოეზია აღმოჩნდება ჩვენი მეგზური, ჩვენი ფიქრების გაგრძელება:

**სუყველაფერი ისე ვერ იქნება,  
როგორც ჩვენ გვინდოდა.  
ჩვენი ცხოვრება — ტაეპები ეტაპებად.  
ტაეპებში, როგორც თიხის ჭურჭელზე —  
სიუყეტური ნახატები, მსუბუქი ტერფი,  
მოჩვენებითი მუდმივობა და თვითირონია,  
ლოთური ლირიზმი, ოცნება მანგოს ველებზე.**

ცნობიერების პოეზიას სჭირდება შესაბამისი ლექსიკა, განსხვავებული ლირიკული განწყობილებისა და სასიმღერო ჰანგებისაგან. იგი აფართოებს ხედვის არეს და უხმობს ცნებებს, ტერმინებს, უცხო სიტყვებს. ეს სიტყვები ადრე მკითხველს სამეცნიერო ლიტერატურაში ეგულებოდა. მაგრამ თანდათან ჩვენი ურბანული ყოფის სიგნალებად იქცნენ: „მეუბნები, მომავალი დემაგოგი და პოპულისტი „კავშირებითი



გუჩა კვარაცხელია

კილოს“ დიდი არსენალით გვიტყვის, „მკვიდრი მოსახლის შიშ-ნარევი სიფრთხილით თვალს ვადევნებ ისტორიის ავანგარდულ დამონტაჟებას“.

ამ სიტყვებს ვანყდებით პრესის ფურცლებზე, ტელეკრანიდან, წიგნებიდან გადმოდიან, მათ ვისმენთ ყოველდღე. ეს არის ჩვენი ურბანული ყოფიერება, რომლითაც იჟღივება ესთეტიკური აზრიც და ასე შეერევა ტრადიციულ ესთეტიკულ პოეტურ მეტყველებას ურბანული ცხოვრების ატრიბუტებით. მათი დამორჩილება ძნელია — ისინი აღძრავენ ინტელექტუალურ ასოციაციებს, მაგრამ ნაკლებად ეხმიანებიან სულს. მომავლის ხედვა კი მათ გარეშე შეუძლებელია. წინსვლის პროცესში რაღაცას ვკარგავთ, რაღაცას ვიძენთ.

პოეტი ახერხებს ამ რღვევა-შექმნის პროცესში ძველ მგრძობელობას შესძინოს ახალი სამოსელი, ახალი ფერი და სხივი: „ზღვაში სძინავთ წყალმცენარეებს, იღვიძებენ და კარგავენ სიზმრებს. იღვიძებენ ქარებიც და ელეგანტურფრაკიან ლამეს ქირქილით ქირდავენ“, „იყრება თუთა და ეხვევა თუთას ფუტკარი“, „ცოცხლები ტყუიან, დაიმონმეთ მკვდრები, იმათ არ ლალატობთ მუხსიერება, როგორც დილის გაზეთების მოჭიკჭიკე ასოებს“, „გადავიწყებულ დღეთა სურნელი მოაქვს ამ ღამეს, რომლის ვრცელ ველზე სძინავთ მეომრებს და სიზმარი, ყველასთვის ერთი, შუბლიდან შუბლზე გადადის ცოცვით“, „ბალახში სადღაც ჩავერდა პანტა და პეპელა წამოაფრინა“.

ასეთი სტრიქონების ემოცია ჰგავს არა ქალაქის ალს, რომელიც სწრაფად აენთება და ქრება, არამედ — ბუხარში მთვლემარე ნალვერდალს, რომელსაც სულის შებერვა სჭირდება.

როგორც ვთქვით, გუნა კვარაცხელია ფიქრისა და განსჯის პოეტი, რომელსაც არ ხიბლავს აქტუალური თემების პოეტიზება. იგი ეძებს იმას, რაც უცვლელია, რაც მუდმივია, რაც აკავშირებს ადამიანებს და არ თიშავს. მაგრამ ცხოვრება მაინც იჭრება წარმოსახვებში და ჰერმეტიკულ ლექსებშიც გაკრთება ქართული რეალობის მწარე გამოძახილი: „თენდება, თენდება და არასოდეს აღარ გათენდა“; „ხეში მატლიც ტირის ჩვენსაირთა ცოდეით“, „უაზროდ მოჩანს გზა, რომელზეც არ გაგვივლია“...

შესაბამისად — პოეტის ემოციაც ინტელექტუალურია, რომელიც უეცრად არ გადმოგედება და სრულიად აღიქვამს ნელ-ნელა, თანდათან, როცა გაითავისებ მის ესთეტიკასა და პოეტიკას, მკვეთრად განსხვავებულს ტრადიციისაგან.

როგორც პოეტი შენიშნავს, რითმიანი ლექსი უმწიფობის შენიღბვის კარგი საშუალებაა. ფორმალური ნიშნებისაგან განძარცვულ ვერლიბრს რჩება აქცენტირებული რიტმიკა (რომლის სრულყოფამ შვა მეტრი, სტროფი და რითმა) და აზრობრივი დინამიკა, რაც სახეთა ასოციაციურ მდინარეებს კომპოზიციას უძებნის. ვერლიბრის ავტორი ჰგავს იარაღაყრილ მეომარს, რომელმაც შიშველი ხელებით სასწაული უნდა მოახდინოს. გუნა კვარაცხელიას უწერია რამდენიმე რითმიანი ლექსიც, მაგრამ იგი წლების მანძილზე ვერლიბრს ერთგული დარჩა.

მკითხველისათვის ეს მდინარეების საპირისპიროდ წასვლას ნიშნავდა.

ფიქრის ენა კი შეიძლება იყოს ბუნდოვანი ან ხორკლიანი. იგი მეტწილად განტვირთულია სინამდვილის მეტაფორული აღქმისაგან, რაც რეალობის გარდაქმნაა. ასეთი მეტყველება კი უახლოვდება პროზას, სადაც ყურადღებას იქცევს არა ეფექტური, უეცარი, მოულოდნელი სახეები, არამედ — სიტუაციური ლირიზმი, აზრისა და გრძნობის ნელი და თანდათანობითი გამოკვეთა.

გუნა კვარაცხელიას პოეზია ამგვარ პირობითობას ეფუძნება, რომლის ეფექტი ხაზგასმული, ნაცნობი ეფექტების არქონაა. აქ ემოციას გამოსცემს ჭვრეტა და მოვლენის გააზრების პროცესი, ფიქრებში ჩაძირული ფაქტის თუ საგნის გამოტანა. ეს კიდევ უფრო რელიეფურად ჩანს ლირიკულ ფრაგმენტებში. ისინი სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგება. მათში პოეტი გვაძლევს შედეგს, დასკვნას, რომლის წვდომის პროცესს აგვირგვინებს ლექსებსა და პოემებში:

„სიზმრებს იმ ენაზე ვნახულობთ თურმე, ყველასათვის ერთი რომ იყო, ვიდრე გოდოლი დაინგრეოდა“, „ატატებული შვილით ხელში, სოფლის პირისპირ, მიდის დედა — მარადიული მარტოხელა“.

გუნა კვარაცხელია ლინგვისტია, მაგრამ ენა არ განაგებს მის ფიქრთა მდინარეებს, ენა არ ამოქმედებს, ენა არ ფლობს მას. იგი ფლობს ენას და მიიჩნევს აღმოქმნის, გამოხატვის საშუალებად. შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ ლინგვისტია, ვინც შლის სიტყვის შრეებს და უმორჩილებს გონებას. აქაც ვლინდება განსხვავებული ხედვა, განსხვავება იმ პოეტებისაგან, რომელნიც წერენ სტიქის კარნახით და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტელექტუალურ გააზრებას, აზრისა და გრძნობის რაციონალურ გადანაწილებას. მისთვის უფრო მისაღებია პარნასელების პრინციპი, რომლებიც მოითხოვდნენ ემოციების დაოკებას, გრძნობების მოზომილ ხარჯვას, მათ ინტელექტუალიზებას.

ავანგარდისტებმა ეს იდეა უკიდურესობამდე მიიყვანეს და მთლიანად გონების დიქტატს მიენდნენ ან მოახდინეს აზროვნების გართულება და სტილიზება, როცა ტექსტში შემოდის არა მხოლოდ პროზაული ნაკადი, მეცნიერული ცნებები ან მათემატიკური ფორმულები, არამედ ყოფიერების აბსურდული ხედვაც, ნიჰილიზმი და ცინიზმი. ასეთი პოზიცია ჩვენი ავტორისათვის მიუღებელია. იგი არჩევს იმ ზომიერებას, რაც ავსებს სულიერებას და მკითხველს აჩვენებს ფიქრსა და ოცნებას, უბრუნებს დაკარგულ ესთეტიკურ განცდას.

\*\*\*

გუნა კვარაცხელიამ ლექსების ერთ-ერთ ნიგნს დაარქვა „ქალაქი ქალაქში“. ამ რეალურ ქალაქში, რომელშიც იგი ცხოვრობს, თავისი ოცნების ქალაქი შეიტანა, უცხო და უჩვეულო, როგორც „მცენარე სურნელოვანი, საკმევლად მოვლენილი“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელა გოჩიაშვილის საღამო გაიმართა.

ლონისძიებებს უძღვებოდნენ სტუდენტები: თონა მებრეველი, სალომე უსტარაშვილი და თორნიკე კვიციანი, რომლებმაც შესანიშნავად წარუდგინეს პოეტის შემოქმედება დამსწრე საზოგადოებას.

ქალბატონი ელა ჩვეული უშუალოდ გამოირჩეოდა და ახალგაზრდებთან ერთად კითხულობდა ლექსებს საკუთარი შემოქმედებიდან.

**თამარ პარბაქაძემ** (ფილოლოგი, პროფესორი) აღნიშნა: „ორი ათეული წელი გასულა თითქმის, რაც მე ელა გავიცანი... მაშინ, 90-იან წლებში, წარმოუდგენელი იყო პოეტს ისე ალაღმართლად აღეწერა ცხოვრების სინამდვილე, როგორც ელა გოჩიაშვილი აღწერს. ელას პოეზიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სათქმელს, რომელიც ძალზე ტკივილიანია. დღეს იშვიათია პოეტი, რომელიც მსგავსი ტკივილისთვის გამიტებს თავს. ეს უდავოდ სიბრძნის

დარგის პოეზიაა. მიხარია, რომ ელას სახით საქართველოს დიდი პოეტი ჰყავს“.

**ირაკლი კაკაბაძე** (პოეტი): „საქართველომ ჯერ კიდევ არ იცის, რა დიდი პოეტი ჰყავს ელა გოჩიაშვილის სახით; რაც არის ელას ლექსი ის არის მისი ცხოვრებაც; რაც მთავარია ის არ არის ყალბი, მისი ყოველი სიტყვა მართალია, გულწრფელია... ჩვენ ბედნიერი უნდა ვიყოთ, რომ მისი თანამედროვენი ვართ“.

პოეტს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: **ზვიად რატიანი** (პოეტი), **თინათინ ბოლქვაძე** (ფილოლოგი), **არქიმანდრიტი ადამ ახალაძე**; საღამოს თავისებური ხიბლი შესძინა **ირინა ბაირამაშვილის** და **ზაზა ღვინიაშვილის** მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

დასასრულ **ზურაბ გაიპარაშვილმა** (ოსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორი) მადლობა გადაუხადა ახალგაზრდებს ელას პოეზიის ამაღლებებლად წარმოჩენისთვის.

**თაქ კაკაბაძე**

სიზმრების დარგის პოეზია

ემზარ კვიციანი

# სიმონ ჩიქოვანი

პოეტის ცხოვრება, ჩვეულებრივ, მჭიდროდ არის გადაჯაჭვული მის შემოქმედებასთან და, ამდენად, სურათი რომ უფრო სრული გამოვიდეს, საჭირო გახდება ძირითადი ბიოგრაფიული ფაქტების მოხმობა.

სიმონ ჩიქოვანი დაიბადა 1903 წლის 9 იანვარს სოფელ ნაესაკოვოში, დღევანდელი მარტვილის რაიონში. მამამისი ივანე ჩიქოვანი განათლებული ადამიანი იყო, ძალიან უყვარდა ლიტერატურა, პოეზია (ეს თვით პოეტის ლექსებიდანაც ჩანს), მიწერ-მოწერა ჰქონია „თამარიანის“ ავტორ სიმონ გუგუნიანთან.

ყმაწვილობისას ივანე ცხენიდან ჩამოვარდა, დახეიბრდა, რის გამოც განათლების მისაღებად ვეღარ გააგზავნეს. წარმოსადგვი ვაჟკაცი საოჯახო მეურნეობას უძღვებოდა და, ამასთანავე, იმხანად იშვიათ ხელობას, მიმინოების დაგეშვას მისდევდა.

სიმონის დედა, უაღრესად სათნო ადამიანი ეფროსინე ნოდია მშობიარობას გადაჰყვა. პატარა სიმონს მზრუნველობას არ აკლებდა, ძველ ქართულ ტრადიციებზე ზრდიდა დიდება ეზე — „ბებიას მშვიდი და მნივნობარი“.

სიმონ ჩიქოვანი თავის ერთ ლექსში ამბობს — მამამისს უნდოდა, იგი სამთო ინჟინერი გამოსულიყო, რისთვისაც ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიბარა. აღსანიშნავია, რომ მას გერმანულ ენას ნიკო ლორთქიფანიძე ასწავლიდა. აქ შეიძინა სიჭაბუქის მეგობრები — დავით გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ ჩაჩავა, ბესო ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი და სხვები, რომლებთან ერთადაც გიმნაზიის ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა.

1918 წელს პოეტს თავს დაატყდა ახალი უბედურება, გარდაიცვალა ივანე ჩიქოვანი. ოჯახს დიდი გასაჭირი დაადგა, მაგრამ დედინაცვალმა, ძალზე გულისხმიერმა ქალბატონმა სინდუსტიმ სამავალითო კეთილშობილება გამოიჩინა, ყველაფერი იღონა, რათა სიმონს განათლების დამთავრება შესძლებოდა.

ახალგაზრდა პოეტმა მწვავედ განიცადა 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, სხვა მოხალისეებთან ერთად უნდოდა ჩაბმულიყო საომარ მოქმედებაში, მაგრამ ვინაიდან ბრძოლა თითქმის წაგებული იყო, სარდლობამ ისინი ფრონტზე აღარ გაგზავნა; უკანდახეულ ჯართან ერთად, ახალგაზრდები ქუთაისში დაბრუნდნენ, რაც სიმონ ჩიქოვანს მთელი ცხოვრება სანანებლად დარჩა, ზოგიერთ გვიანდელ ლექსში („ეს წინაპრის თუ ჩემი მარცხია“) ეს განწყობილება გულსიტყვილით გამოხატა.

1922 წელს სიმონ ჩიქოვანი თბილისში ჩამოვიდა, უნივერსიტეტში სწავლა რომ გაეგრძელებინა. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1924 წელს. იმხანადვე თავის ქუთაისელ და თბილისელ მეგობრებთან ერთად შექმნა ფუტურისტული ჯგუფი „მემარცხენეობა“, რომლის წევრები იყვნენ ნიკოლოზ შენგელაია, კირილე ზდანევიჩი, ჟანგო ლოლობერიძე, ბენო გორდეზიანი, პალიკო ნოზაძე, ირაკლი გამრეკელი. 1924 წელსვე გამოვიდა მათი პირველი ლიტერატურული ჟურნალი „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“. ამას მოჰყვა აღმანახი „ლიტერატურა და სხვა“ (1919-1925), ჟურნალი „მემარცხენეობა“ (1927-1928).

ქართველი ფუტურისტები თავიანთი მრწამსით და სულისკვეთებით ახლოს იდგნენ მაიაკოვსკის თაოსნობით გაერთიანებულ „ლექსებთან“; იტალიელი ფუტურისტებისგან გადმოიღეს ტექნიკის კულტი, ფრანგი დადაისტებისგან შეითვისეს სიტყვათწყობის ალოგიზმი, კუბიზმისგან — საგანთა ახლებური აღქმა.

1924 წელი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ სიმონ ჩიქოვანმა ახალდაარსებულ ჟურნალ „მნათობში“ განყოფილების გამ-

გედ დაიწყო მუშაობა. იმთავითვე უყვარდა თეატრი და ოცინა წლებში ისა და მისი მეგობრები დაუახლოვდნენ კოტე მარჯანიშვილს. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი სიმონ ჩიქოვანის გულითად მეგობრობას უმანგი ჩხეიძესა და ვერიკო ანჯაფარიძესთან.

1927 წლის ერთმა მოვლენამ განსაზღვრა სიმონ ჩიქოვანის პირადი ცხოვრება და მომავალი, გაიცნო საბედო — იშვიათი გარეგნობისა და მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ქალიშვილი მარიკა ელიავა, ვინც ნახვისთანავე შეუყვარდა და შვიდი წლის გამუდმებული ტრფიალის შემდეგ ცოლად შეირთო. მარიკას მამა და ძმა ზურაბი 1937 წლის უმაგალითო რეპრესიებს ემსხვერპლნენ და ზურაბის ერთადერთი ვაჟი ნიკოლოზი ცოლ-ქმარმა იშვილა, ღირსეულ, დიდად განათლებულ პიროვნებად აღზარდეს.

მართალია, ოცდაათიანი წლების სულისშემუთავი იდეოლოგიური წნეხი სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებასაც დაეტყო, მაგრამ ამავე დროს მის პოეზიაში აშკარად შეიგრძნობა სასიკეთო ძვრაც — ფერწერული ხატებისკენ სწრაფვა და თვალწინა ჩარჩოვების დასტატება.

1934 წლიდან სიმონ ჩიქოვანი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მუდმივი წევრი ხდება, ხოლო 1947-1951 წლებში ამავე კავშირის თავმჯდომარეა.

1942 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, სიმონ ჩიქოვანი რამდენჯერმე გაგზავნეს მოქმედ არმიასში, სადაც იგი გამოჩენილ მხედართმთავარს, გენერალ კონსტანტინე ლესელიძეს დაუახლოვდა; ომის თემაზე დაწერა არაერთი მნიშვნელოვანი ლექსი, მაგრამ ზოგიერთი ამ ლექსებიდან არ პასუხობდა იმხანად დადგენილ ჩარჩოებს და მხოლოდ მოგვიანებით, პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

1947 წელს ომისდროინდელი ლირიკისა და პოემისათვის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ სიმონ ჩიქოვანს მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია.

1954-1960 წლებში სიმონ ჩიქოვანი რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“, რისი მეოხებითაც გონივრულად, ჩვეული ტაქტით წარმართავდა მთელ მაშინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას, ხელს უწყობდა შესაფერის ატმოსფეროს დამკვიდრებას. ამასთანავე ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ სემინარს, რითაც დიდი ამაგი დასდო ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს, თავდაუზოგავად ზრუნავდა მათი გამოვლენის დახვეწასა და დაოსტატებაზე.

1963 წელს ჩვენმა საზოგადოებამ საზეიმოდ აღნიშნა პოეტის დაბადების სამოცი წლისთავი, მაგრამ ამ დროისათვის მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად იყო შერყეული, რასაც დავამატა გლავოკომა და სიბრმავე. ასეთ მდგომარეობაში მყოფიც განაგრძობდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას — დაამთავრა პოემა ნიკოლოზ ბარათაშვილზე — „განჯის დღიური“, დაწერა ლექსების ციკლი „შემოდგომის დღეები აჭარაში“. საკავშირო პრესაში გამოაქვეყნა ძალზე მნიშვნელოვანი პოლემიკური წერილები. ასეთ ინტენსიურ საქმიანობას იგი ნამდვილად ვერ შესძლებდა, მხარში რომ არ ამოსდგომოდა ფანატიკურად ერთგული ცხოვრების მეგობარი მარიკა ელიავა, ვინც ბევრ რამეს უკითხავდა მზერადაშრეტილ პოეტს.

1966 წლის მარტში სიმონ ჩიქოვანმა დაწერა მშვენიერი, ავი წინათგრძნობით გამსჭვალული უკანასკნელი ლექსი „არ მშორდება ჭირვეული მარტი“ და ერთი თვის მერე, 24 აპრილს გარდაიცვალა. მძიმედ დაავადებულ ქალბატონ მარიკასაც დიდხანს აღარ უცოცხლია, 1968 წლის აგვისტოში დაასრულა მინიერი არსებობა. ანდერძად დაიბარა, ჩემი ფერფლი სიმონის საფლავის მიწას შეურიეთო. მარიკას და სიმონის მემკვიდრემ ნიკამ, ოჯახის უახლოესმა ნათესავებმა ეს სურვილი შეუსრულეს.

სიმონ ჩიქოვანს თავისი ცხოვრების მანძილზე ახლო მეგობრობა ჰქონდა სხვადასხვა ეროვნების არაერთ გამოჩენილ პოეტთან, რითაც დიდად არგო მშობლიურ მწერლობას. ცალ-



კე ნიგნის დანერა შეიძლება ბორის პასტერნაკთან, ნიკოლოზ ზაბოლოცკისთან, მიკოლა ბაჟანთან, პავლე ანტოკოლსკისთან და სხვებთან მისი ხანგრძლივი ძმური ურთიერთობის გამო. სამოციანი წლების რუსი პოეტებიდან სიმონ ჩიქოვანის მიმართ დიდ სიყვარულს ამჟღავნებდნენ ბელა ახმადულინა და ანდრეი ვოზნესენსკი და ამან მათ შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა.

არაა დასავინყებელი ერთი ნაკლებად ცნობილი გარემოე-ბაც. ტრაგიკული ბედისა და მძლავრი ტალანტის დიდი რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი (მას საქართველოსთან მხოლოდ დაბადება და სიყვანვილის წლები როდი აკავშირებდა), ვინც სიცოცხლის მიწურულს სულიერად მეტისმეტად აფორიაქებული იყო (ბოლო ხანებში გამოვლენილმა საარქივო მასალებმა ცხადყო, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები მას საზღვარგარეთ გასვლის ვიზას აღარ აძლევდნენ), თბილისში ბოლო ჩამოსვლისას, 1927 წელს, მეტისმეტად დაეჭვებული, განდობია სიმონ ჩიქოვანს — არ ვიცი, ყველაფერი ეს, რაც ჩვენს გარშემო ხდება, საჭიროა თუ არაო. ამას იგი, ათასნაირი შხამით მოწამლული და საბჭოეთიდან გადასახვეწნად გამზადებული, ბევრ ვინმესთან არ იტყოდა. ეტყობა, სიმონ ჩიქოვანის მომხიბლავ, შინაგანად მართალ პიროვნებაში გაცნობისთანავე დაინახა თანამგრძობი და თანამოაზრე, გული გადაუხსნა.

\*\*\*

ლიტერატურის მკვლევარებს არაერთხელ გამოუთქვამთ ამგვარი თვალსაზრისი — პოეტი იმ საუკეთესოთი უნდა შეაფასო, რაც მან დატოვა. ასეთი მიდგომა უთუოდ გამართლებულია სიმონ ჩიქოვანის რთული, ბევრ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი და არათანაბარი შემოქმედების მიმართ, რასაც ქარტეზილებით სავსე ბოზოქარმა ეპოქამაც თავისი დალი დაასვა.

პირველი ლექსი, სადაც სიმონ ჩიქოვანმა რამდენადმე სრულად გამოავლინა თავისი სახე და შესაძლებლობანი, ეს არის მისი შეყვარებულის და შემდგომში ცხოვრების უერთგულესი მეგობრის მარიკა ელიავასადმი მიძღვნილი „მგზავრის სიმღერა“ (1927). პოეტი მატარებლით მიდის მოსკოვს და მძაფრად განიცდის დაშორებას სატრფოსთან, რომელიც ჯერ კიდევ ბოლომდე არ თანაუგრძობს მას. ლექსში, ალბათ თვალთა განივი ჭრილის გამო, ერთგან ნათქვამია ქალის მონგოლურ იერზე:

**შენს სათნო სახეს, სახეს ჭკვიანურს,  
ვინ შეურია მონგოლის სისხლი.**

ეს მინიშნება პირველსავე სტროფში საგანგებოდაა შემზადებული — შორი გზა, დამქანცველი მანძილი უბიძგებს წარმოსახვას, ვაგონები წარმოიდგინოს მონღოლებად, რადგან მატარებელს სამშობლოდან მიჰყავს პოეტი და ალბათ ქვეშეცნეულად ახსენდება ავბედითი დრო, როცა მის წინაპრებს „ოქროს ურდოში“ უწევდათ ჩასვლა (მოგვიანებით ეს თემა სიმონ ჩიქოვანმა ოსტატურად განავითარა, რაზედაც საგანგებოდ ვიტყვი). ხსენებული სტროფი კი, რომელსაც რეფრენის როლიც ეკისრება, ასე გამოიყურება:

**მომგონებისარ, მომგონებია  
ლერწმად რხეული შენი სხეული.  
ეს ვაგონებიც მონგოლებია  
და სად მიყვავარ შენი რჩეული.**

ლექსის ფინალში პოეტის მღელვარება ზღვარს აღწევს; მგზავრობა დასასრულს უახლოვდება. მშობლიური მთები აღარ ელანდება, მაგრამ შეყვარებულის სახე კვლავ თვალწინ უდგას და მისგან იგი მეტ სითბოს ითხოვს. აქ სტრიქონებს

პროზაული ჟღერადობა აქვს, მაგრამ ეს უფრო დამაჯერებელს და უშუალოს ხდის ინტონაციას. სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებული ასეთი პროზაიზმები სიმონ ჩიქოვანს, როგორც თავად აღნიშნავდა, შეგნებულად შეჰქონდა ლექსში, რაც მისი ერთ-ერთი მარჯვე ხერხი გახდა. ლამის სიჩუმეში გახშიანებული პოეტის მჭახე შეძახილი სათაყვანო არსებობადმი, ამავე დროს ფარულ, უწყინარ საყვედურადაც გაისმის:

**ალბათ ვიქნები სადგურში დროზე.  
ჩაქრნენ ლამეში ჩრდილი მთებისა.  
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?  
გამხადე ღირსი ყურადღებისა.**

დაახლოებით ამავე ხანებშია დანერილი ისევ მარიკა ელიავასადმი მიმართული ორი ლექსი („პირველი მიძღვნა“, „მეორე მიძღვნა“). პირველში უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება გამოხატული — „შორით ტრფობა, შორით დაგვა“ და ერთგვარი თვითგვემაც იგრძნობა („შენს ტრფობას მერჩია, მარილი მეჭამა...“), მაგრამ ბოლო, მესამე სტროფი ნათელს ხდის, რამდენად უბინოა პოეტის სიყვარული:

**ეს გული ხომ შენკენ ქარივით ილტვოდა,  
არ მსურდა სინმინდის შელახვაც.  
მე შენი ტრფიალი მინდოდა  
და შენი ბავშვობის შენახვაც.**

„მეორე მიძღვნა“ უფრო ლალი და თამამია. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მისი სატრფო ბავშვი აღარაა. ვეება ტროპიკულ ყვავილთან არის შედარებული ქალწულის ტანი და იქვე შემთხვევით როდია ნახსენები დიდი ფრანგი მხატვარი პოლ გოგენი, ვისი სურათებიც გამოკვეთილი დეკორატიულობით, მცხუნვარე, ეგზოტიკური ფერებით გამოირჩევა. კუნძულ ტაიტიზე ნლობით მყოფი და იქ მომუშავე უცნაური მხატვრის მოხმობა პოეტს იმისთვისაც დაჭირდა, რათა ეჩვენებინა, ესოდენ სასურველი არსების გულის მონადირება რა განუზომლად ძნელია. აზრის სიმწყობრე და სადა, ბუნებრივი მეტყველება რომ არ დაირღვეს, სათქმელიც ცხადი გახდეს, უმჯობესი იქნება, ეს მცირე მოცულობის ლექსი მთლიანად მოვიტანოთ:

**თვრამეტი წელი და დასრულდა ბავშვის ასაკი:  
ტანი ყვავილი, დახატული თითქოს გოგენის.  
მე, როგორც ქისას, დავატარებ გრძნობას გასაკვირს  
და არვიც იცის, რა ფიქრი და ეშხი მოგველის!  
მსურს, მოვიდე და სიყვარულით მოგვაულერსო,  
ეგებ ამ გრძნობას სიჩუმეში შენაც მოელი.  
მაგრამ რა გიყო,  
შენ მძიმე ხარ ჩემი ლექსით  
და ამავე დროს  
ტაიტივით მიუნვდომელი.**

თუ რამდენად ახლობელი და ორგანული გახლდათ სიმონ ჩიქოვანის პიროვნებისა და მსოფლჭვრეტისათვის მხატვრობა, საამისო მაგალითების დაძებნა უხვად შეიძლება. განსაკუთრებით ესადაგებოდა მის ხედვასა და ტემპერამენტს მარკ შაგალის შემოქმედება, ვისმა გენიალურმა ტილომაც („მე და სოფელი“) მძლავრი ბიძგი მისცა სიმონ ჩიქოვანს, ოციან წლებში დაენერა მრავალმხრივ საყურადღებო ლექსი „ქალაქში მაგონდება ჩემი სოფელი“. ურბანისტული ხედების სიჭარბის შემდეგ, ბუნებრივი იყო, პოეტს სოფლური იდილია, პატრიარქალური ყოფა მონატრებოდა და სწორედ აქ იჩენს თავს შაგალის ხსენებული სურათის მკვეთრი ხაზები, მეტაფორულობა, ცალკეულ დეტალთა ფართო პლანით ჩვენება:

**მიახლოვდება სურათით ჩემი სოფელი, აფრინდებიან ვაშლის ხიდან ქრელი ჩიტები, რტოზე მარტია ჩამომჯდარა ჩემი მხმოებელი და დედაჩემი ძროხას წველის გრძელი თითებით.**

ასეთ შეხედულებას კიდევ უფრო განამტკიცებს 1927 წელსვე დაწერილი ამავე ლექსის ვარიანტი (სათაური თითქმის იგივეა: „სოფელი მაგონდება ქალაქში“), სადაც პირდაპირაა ნათქვამი:

**მე მეჩვენება, რომ ოთახთან მოდის სოფელი, გაპობილ სახით მივეკვრები, როგორც შავალი.**

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში გამორჩეული ადგილი უკავია კახეთის შემოდგომის თვალისმომჭრელ სილამაზეს (ამაზე შემდგომაც მოგვინებს თქმა), მოსავლის აღების ბარაქას, როცა ირგვლივ ფერების ენით აუნერელი სიმდიდრეა. ლექსში „შემოდგომის დილა კახეთში“ პოეტი ფლამანდრიელი ოსტატების მხარდამხარ, ახსენებს სეზანსა და ფიროსმანს. ეს დანყვილება ყოველმხრივ გამართლებულია. ფიროსმანისა და სეზანის მოხმობა უმთავრესად იმას ისახავს მიზნად, რომ სიტყვაში გაცოცხლდეს ორი გენიალური მხატვრის ნატურ-მორტები, ჩაუმქრალი, ხასხასა ფერები, რითაც მიღწეულია არაჩვეულებრივი საგნობრივი სიცხადე და ამით კახურ შემოდგომას სხვა მადლი და ნათელი ეფინება. ორი უდიდესი ოსტატის გვერდიგვერდ დაყენება, მათი მხატვრული პრინციპების თავისებურება, სამყაროს მათეული ქვეყნება სიმონ ჩიქოვანის წარმოსახვაში მყარად რომ იჯდა, ამას მსგავსი ხასიათისა და ტონალობის სხვა ლექსიც მოწმობს:

**და ამეხილვის ხილთა ქებაში ფიროსმანის და სეზანის თვალი.**

პოეზიისა და მხატვრობის საყოველთაოდ ცნობილ სიახლოვეს როცა აღნიშნავდა, დენი დიდრო წერდა: „პოეტს თავისი პალიტრა აქვს, რომელსაც იგი ისევე ფლობს, როგორც მხატვარი თავის ფერებს, ნიუანსებს, ტონებს. პოეტს თავისი ფუნჯი და ოსტატობა აქვს... ენაში იგი ყველანაირ ელფერს ეძებს; ისლა დარჩენია, მხოლოდ შეუმცდარად შეარჩიოს ისინი. მას აქვს თავისი შუქ-ჩრდილი, ნყარო და წესები, რომლებიც მისსავე სულის სიღრმეშია მოთავსებული“ (Дени Дидро, Салоны, том второй, М., 1989, стр. 151).

სიმონ ჩიქოვანს სწორედ ოსტატის თანდაყოლილი ალლო, უტყუარი გეში კარნახობდა, რა და როგორ შეერჩია, რათა ლექსის სტრიქონებში მოქცეული სიტყვებისგან ფერთა ელვარება დამდგარიყო.

დღევანდელი გადასახედიდან მაინცდამაინც მიმზიდველად ვერ გამოიყურება ლექსების მოზრდილი ციკლი სვანეთზე და ეს განაპირობა პოეტის ყალბმა პათოსმა, განზრახვამ იმისა, რომ სვანურ გარემოს, იქაურ ახალგაზრდობას კომკავშირული სული შთაბეროს; ურჩევს მათ ძველი, პატრიარქალური ყოფის შეცვლას („ან ვინ დაამყნის კოშკზე კომუნისმს თუ საძირკველი არ გამოსცვალეთ“). სასურველ ზემოქმედებას ვერ ახდენს ომანხანი მონოდებაც: „რობინ-ზონებო, კლდეთა კუნძულზე, სოციალისტურად იბრძოლეთ მთებში“. სვანეთში ყოფნისას პოეტს თვალში მოსვლია ახალგაზრდა, გათხოვილი, მიმზიდველი, ეშხიანი ქალი — ივდითი; კიდევაც უშურველად ამკობს მის მოხდენილ გარეგნობას („ირემი ხარ თუ უშგულის შველი“, „ნაბლისფერი ხარ და ფეხშიშველი“), მაგრამ ივდითის სახეს როგორღაც აუფერულებს დუნე, უგერგილო თხრობა. ამ ვეება ლექსში („უშგული“) რამდენიმე სტროფი თუ მოიძებნება, სიმონ ჩიქოვანის ტალანტის შესაფერისი და ამის მაგალითებიც აქვე შეიძლება ამოვინეროთ:

თითქოს წინ მხარა ყინვის ვერძია, დათვი თუ მივა მხარასთან ახლოს, მთაში წერაქვით ყინულს ებრძვიან და წრიაპებით იპყრობენ მალლობს.

...  
**მთების კრებული გალობას იტყვის, ჩაწყვება ენგურს მხარას დიდება, ფერდში დაჭრილი ახტება ჯიხვი და კლდეზე რქებით დაეკიდება.**

ფშავში მოგზაურობის დღიურებად აღიქმება სამ ნაწილად ჩაფიქრებული „ვაჟა-ფშაველას ბილიკებზე“, სადაც პოეტს გამოცოლი ახლავს და მთიელთა თქმულებებს უყვება, ხალხური ბალადების გმირებს აცნობს. წინასწარ უნდა ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანი ორივე სახის რეამარცვლიან შაირში, დაბალმიც და მაღალმიც, ჯვარედინ რითმას იყენებს, რაც ბორკავს ლექსს, ხელოვნურობის ბეჭედს ასვამს, სილალეს უკარგავს. ერთი, პირველივე სტროფის მოტანაც იკმარებს იმის დასტურად, რომ რითმებით ასეთი ორმაგი დატვირთვა ხელს უშლის სტრიქონთა თავისუფალ მდინარებას, ბოჭავს ლექსის სუნთქვას:

**მთაზე ასული ვაკედან დილით დიხჩოზე გადაველ. კიდევ შორს არის აქედან ფშაურ არავის სათავე.**

უკეთესად არც ორწყალთან გადაყრილი ნაქეიფარი ფშაველის მეტყველება ჟღერს, მეორე ნაწილში რომ წარმოგვიდგენს პოეტი:

**მოლობილს შიგნით ცხორი არს, აგრე მოვემწყვდით კლდეებს შუა, შორს ჩამორეკეს ზარი და არავგზე შუქი დაეშვა.**

ბუნების ლამაზ, დასამახსოვრებელ სურათებს გადავიგვიშლის ხევესურთა ყოფის ამსახველი ლექსი „შემოღამება ხახმატში“, სადაც ყუდია ალუდაური და სამი ღვთისოა გამოყვანილი. პოეტი ცდილობს, მათი საუბარი აღადგინოს. ამათგან ყუდია ბარში წასვლასა და შოფრობის დაუფლებაზე ოცნებობს. როცა მას თვის ტომები შეეკამათებინ, ხახმატში შოფერს რა ესაქმებაო, იგი პასუხობს, რომ ხევესურეთში გამოიყვანენ სამანქანო გზას.

ამ ლექსში არის ერთი ძალზე მიმზიდველი სტროფი, რომელშიც აშკარად იგრძნობა მომავალი სიმონ ჩიქოვანი, პოეტური მეტყველების ქვეშარითი ოსტატი, ვისაც ზუსტი, ხატოვანი შედარების მიგნება ემარჯვება:

**მწუხრის ჩრდილები მთებზე მიდიან, სტოვებენ მდელოს, იცვლება ფერი. მწვერვალს მზის სხივი კენტად ჰკიდია, როგორც ისრიდან მომტყდარი წვერი.**

ამ ჩქარებულად მოძრავი, დინამიური სტროფების წამკითხველს გჯერა — უთუოდ ასეთი იქნებოდა პოეტის თვალთ დანახული ხახმატი — „გმირთა ძველი ბუდე“.

ეპიური სიდიხის ფრიად საჭირო უნარს ავლენს სიმონ ჩიქოვანი დიდ, პოემასავით გაშლილ ლექსში „ხევესურული ძროხა“, სადაც თავიდან აღწერილია, როგორ ანიოკებდნენ შამილისდროინდელი ქისტები ხევესურთა სოფელს (ფინალის-კენი კი სულ სხვა მდგომარეობაა, ახალი, მშვიდი ცხოვრებაა დამკვიდრებული), მერე კი ნათქვამია, ტანმორჩილი ხევესურული ძროხა რამდენად ბარაქიანია და უხვად იძლევა რძეს, ერბო-კარაქს, მაგრამ ეს ლექსი ბოლომდე მაინც ვერ ამართლებს თავის სიდიდეს.

წერტილი კი კარგად არის მოძებნილი, ბოლო სტრიქონები კრავს, ამთლიანებს და სასურველ ელფერს აძლევს რამდენადმე გაჭიანურებულ თხრობას:

**კლდეზე დადგება ლამაზი ძროხა და დაამშვენებს ბუნების სურათს.**

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ჰეგელს სილამაზის მშვენიერების ერთ-ერთ გამოვლინებად ფერდობზე შეფენილი საქონელი მიაჩნდა.

საერთო შთაბეჭდილებას დიდად ვერ ცვლის ამავე ციკლის დარჩენილი ორი ლექსი („რომკელი ძილა“, „ხევსური ცხენზე“), რომელთაგანაც შეიძლება ამოვიწეროთ საყურადღებო, სახიერი და მიმზიდველი სტრიქონები („ჯვრებით შემკული ქვისფერი კაბა მოიშორე და დაკიდე ცალკე...“ „უბელო ცხენზე შერუჯულ კლდიდან მიჰქრის და ხრამში ჰქრება ხევსური“), მაგრამ თავიდან ბოლომდე მოვლილი და დახვეწილი არც ეს ლექსებია. ამგვარი განცდა ხშირად გვიჩნდება სიმონ ჩიქოვანის პოეზიის კითხვისას. ამ იოლად შესამჩნევ ნაკლს პოეტი თავისებურ გამართლებას უძებნის და საამისოდ მეუღლის ერთ გამონათქვამს იშველიებს:

„დღეს მითხრა მარიკამ — ლექსი რაც უნდა კარგი დაწერილი იყოს თუ მას შინაგანი საიდუმლოება არა აქვს, არ მომწონსო... ეს მას არსად ნაუკითხავს. თვითონ წამოსცდა. ძლიერ მომწონსო. „შინაგანი საიდუმლოება“ არის პოეტურობა. „შინაგანი საიდუმლოება“ აქვს ჩემს პოეზიას. მე მას ყოველგვარ დეფექტებს ვაპატიებ“ (სიმონ ჩიქოვანი, მწიფობისთვეში ჩასული მზე, 2012).

ეს უკვე გამოკვეთილი პოზიციაა. სიმონ ჩიქოვანს საჯარო გამოსვლების დროსაც ბევრჯერ უთქვამს — ლექსს ხორკლი უნდა დაჰყვებოდეს, სტრიქონების ზედმეტად გაშალაშინება, გაპრიალება პოეზიას კლავს, სინედლეს ართმევს.

ამ თვალსაზრისის დადასტურება პოეტის სხვა ჩანაწერი, სადაც იგი უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს გადამეტებული ოსტატობის მიმართ:

„გარეგნული ვირტუოზობის დევნამ ქართულ პოეზიას სულიერი სიმდიდრე დაუკარგა“.

ზოგადად ეს სწორია, მაგრამ უკიდურესი ყველაფერი საზიანოა. სიმონ ჩიქოვანის ლექსებში ხორკლი, არცთუ იშვიათად ზომამდე მტრია, რაც მის მიერ მოწონებულ „შინაგან საიდუმლოებას“ ვნებს, ჩრდილს აყენებს. ამის დამადასტურებელი მაგალითების საგანგებოდ ძებნას აღარ შევუდგებით, საჭიროების შემთხვევაში, გზადაგზა მოვიტანთ.

საყოველთაოდ არის ცნობილი (ეს ზემოთაც აღვნიშნეთ), რომ გასული საუკუნის ოციან წლებში სიმონ ჩიქოვანი მიეკუთვნებოდა ახალგაზრდა პოეტთა ფუტურისტულ დაჯგუფებას, რომელსაც მისმა წევრებმა „მემარცხენეობა“ უწოდეს. „ზაუმი-სა“ და „ორკესტრული ლექსალობის“ მიმართ პოეტმა თავისებური მსხვერპლი გაიღო, ზედმეტ ყურადღებას უთმობდა სიტყვის ბგერით აღნაგობას, უღერადობას. ამ პერიოდს თავად „სიყმანვილის ბორძიკად“ იხსენიებდა. იმის აღნიშვნაც გვმართებს — სიმონ ჩიქოვანი არასოდეს მონყევტია ქართული მწერლობის ეროვნულ ფესვებს და ეს სისხლისმიერი კავშირი, „მემარცხენეობასთან“ ჩამოცილების შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა.

პოეტის ოჯახის ახლობლებისგან გამიგია — მას ძალიან სწყინდა, როცა ვილაც-ვილაცები ირონიულად გაუსხენებდნენ ფუტურისტულ წარსულს, ქლიკობას იწყებდნენ ამის თაობაზე. იმ დროს მას მყარად ჩამოყალიბებული შეხედულება ჰქონდა პოეტურ ხელოვნებაზე, გამოსახვის ხერხების სპეციფიკაზე, რითაც იგი ხილულ სამყაროს აღიქვამდა და სათქმელს ცოცხალ, მოძრავ სურათებად კრავდა.

სიმონ ჩიქოვანს ადრეული წლებიდანვე ჰყავდა შერჩეული თავისი წრე, სასურველი გარემო. თვითონვე აქვს ერთგან ნათქვამი, რომ ახალგაზრდობისას იგი მხატვრებთან და მსახიობებთან უფრო მეგობრობდა, ვიდრე პოეტებთან. თეატრის განსა-

კუთრებული სიყვარული ჰქონდა და ეს, უპირველეს ყოვლისა, უშანგი ჩხეიძესთან და ვერიკო ანჯაფარიძესთან უწყვეტ მეგობრობაში გამოჩნდა; ორივესადმი აქვს მიძღვნილი ლექსები. თავდაპირველად ზოგ რამეს ვიტყვი უშანგი ჩხეიძეზე დაწერილ პირველ, უფრო მოზრდილ ლექსზე (1933), რომელსაც ბოლოში ერთვის მრავლის მიმანიშნებელი რემარკა — „თეატრზე ფიქრით“.

სიმონ ჩიქოვანის ეს ლექსი, როგორც არაერთი სხვა, ვერ არის თავიდან ბოლომდე გამართული, დახვეწილი, მაგრამ მასში უხვადაა ძალზე მძაფრი, ღრმა აზრის დამტევი სტრიქონები. ლექსის ადრესატს პოეტი მიიჩნევს თანამებრძოლად, მღელვარე ბედის მოზიარედ, ოღონდ მათ სხვადასხვა სარბიელზე უწევთ ყოფნა:

**მეხვდით ერთმანეთს ამ დიდ საქმეში ნილაბების და ლექსის მსახური.**

შექსპირის უკვდავი ტრაგედიის ურთულეს ტექსტთან შერკინებულ მეგობარს სიმონ ჩიქოვანი შეასხენებს, თუ რაოდენ ძნელი და საპატიო მისის შესრულება ხვდათ მათ ნილაბ:

**ჩვენ დაგვევალა არა მარტივი მხატვრულ ფერებით, დროის მხილება: შენ არტისტულად გაშლილ მანტიით, მე პოეზიის ქარტეზილებთან.**

აქ ყველაფერი მოძრაობაში, დინამიკაშია წარმოდგენილი. წინამდებარე ლექსში თავს იჩენს სიმონ ჩიქოვანის კიდევ ერთი არსებითი თვისება — ხელშესახები კონკრეტულობისაკენ მიდრეკილება, როდესაც ესწრაფვის, რომ სრულიად არამატერიალურ მოვლენას (აღტაცებულ მაყურებელთა ხანგრძლივი ოვაცია) პლასტიკური გამოხატულება (პიესის მოქმედი პირის წამოსასხამი) მოუძებნოს. სწორედ ასე ხდება, როცა იგი მსახიობს ერთ-ერთი მთავარი როლის ტრაუმფის გამო მგზნებარედ მიმართავს:

**სცენის მიღმიდან გამოგვყავა ტაში და როგორც პლაშჩი მოგდევს ურიელს.**

სიმონ ჩიქოვანმა იცოდა, ხალიბურ ფოლადივით რომ ზრიალებდა უშანგი ჩხეიძის მაგიური ხმა; ალბათ ახალგაზრდობაშივე, სანამ რადიოში ჩაინერდნენ, ნაუკითხა მეგობარმა გენიალური ხალხური ბალადა, თორემ ამავე ლექსში ვერ ეტყოდა „იჭექე, როგორც ბალადა ვეფხვის და შეჯახება მდინარეების“. მანამდე მოხმობილია პარალელი ევროპის, კერძოდ, გერმანიის თეატრალური ბატალიებიდან, სადაც ავტორის განსწავლულობა ჩანს, მაგრამ ეს ცოტა მოუხეშავად, პუბლიცისტური ტონალობით არის მოწვედილი:

**ჩვენებრ ებრძოდა ჰამბურგს ლესინგი, გერმანულ სულის აღდგენის მიზნით.**

აქვეა დახატული რამდენადმე ბოჰემური, მეგობრული ვახშამი (ადვილი წარმოსადგენია, როგორი პაექრობა გაიმართებოდა და რა ცუცხლოვანი სადღეგრძელოები წარმოიქმებოდა), რომელსაც მოსდევს თუმც მისახვედრი, მაგრამ მაინც ჩახლართული სტრიქონები, ყურს რომ ეხამუშება:

**გარიჟრაჟის უამს ჩხუბით, სიცილით, ვიშლებოდით და ვადგენდით გეგმებს, სუნი ნივრის და შემწვარ წიწილის — შენ დასძლიე და ნილაბი შექმენ.**

ღრმა განცდით, მტკივნეულად არის ნაჩვენები გენიალური მსახიობის პირადი ტრაგედია — სცენიდან მისი ნაადრევი და სამუდამო ჩამოშორება, მაგრამ აქაც ბოლომდე ვერ არის

შენარჩუნებული ოსტატობა, ესოდენ საჭირო ნაჭედობა, ფრაზათა ჰარმონიული სიმწყობრე:

**ხარ დაჩეხული ქართ ურთხმელი და დაშეებული შტოებით ქვემოთ.**

ამჟამად — პირველ სტრიქონს მთლად მოხდენილად ვერ ებმის მომდევნო. ასეთი დაუდევრობის თავიდან აცილება სიმონ ჩიქოვანისთანა ნიჭის პოეტს, ცხადია შეეძლო, ცოტა მეტი რომ ეზრუნა ლექსის ტექნიკურად დახვეწაზე.

საუკეთესო ბიოგრაფიული რომანების დიდად ნაყოფიერმა ავტორმა როსტომ ჩხეიძემ ახლახან გამოაქვეყნა ბრწყინვალე მცირე მონოგრაფია უშანგი ჩხეიძის უკიდურესად დრამატულ, ტრაგიკულად დასრულებულ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე („გადამწვარი მზე“, 2013), სადაც გამოამჟღავნა დიდი მსახიობის სულის ფარული შრეების წვდომის გასაოცარი უნარი.

როსტომ ჩხეიძე საგანგებოდ განიხილავს სიმონ ჩიქოვანის ამ ლექსს და ნათელს ფენს ერთი შეხედვით პარადოქსულ გამონათქვამებს. მონოგრაფიის ავტორი ლექსის ადრინდელ, უფრო ფასეულ ვარიანტს აკვირდება და ამავე დროს საკვებით მართალია, როცა მიგვანიშნებს, რომ სტრიქონი — „მე შენ გინოდებ სცენის ჯადოქარს“ (ასეთი რამ საშუალო ნიჭის ჟურნალისტსაც შეეძლო დაენერა) კონკრეტულობას მოკლებულია, არ გამოდგება უშანგი ჩხეიძის მძლავრი ტალანტის წარმოსაჩენად. ამიტომაც პოეტის გუმანმა იგრძნო, მეგობრის მიერ ვირტუოზულად შესრულებული როლები უნდა გაეხსენებინა და გაჩნდა მიმართვა, სადაც განზრახ არის დარღვეული სალექსო საზომი, რითაც საჭირო აქცენტი ერთიორად ძლიერდება: „ძმალე ჰამლეტ, ბრძენო ყვარყვარე, ბავშვო ურიელ!“

ამ სტრიქონს მოსდევს მონოგრაფიის ავტორის გაკვირვება, რაც უფრო მოულოდნელობით აღძრულ პირველ ეფექტს ნააგავს: „ეს რა გამოგნებელ შესიტყვებებში მოქცეულა უშანგი ჩხეიძის როლები და მათგან გამოწვეული შთაბეჭდილებანი.“

ჰამლეტი ძმად რომ ესახება პოეტს, ჯერ ესეც მოულოდნელია, მაგრამ ურიელის სიბავშვე და სულაც ყვარყვარეს ბრძენობა??“ („გადამწვარი მზე“, გვ. 50).

თანდათან ცხადი ხდება, რომ ეს პარადოქსულობა ზედაპირული, მოჩვენებითია და ამ თავის ბოლოს, სხვა რამეებთან ერთად, ნაჩვენებია, რომ ნაცარქექიად, მკვეთრად სატირულ პერსონაჟად ჩაფიქრებულ ყვარყვარეს სახეს უშანგი ჩხეიძემ მომხიბლავი ლირიზმი და სხვანაირი სიღრმე შესძინა. იგი თავის ერთ-ერთ საუკეთესო როლად აქცია.

კოტე მარჯანიშვილის (იგი მისივე აღზრდილმა მსახიობებმა თეატრიდან განდევნეს) შემოქმედარ ალღოს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან სანდრო ჟორჟოლიანის ავადმყოფობის გამო ყვარყვარეს როლი პრემიერის წინააღმდეგ სწორედ უშანგი ჩხეიძეს მიანდო და მანაც წარმოუდგენელი, ფანტასტიკური ძალისხმევა გამოიჩინა — ყვარყვარეს უბერებელი ნიღაბი ერთ დღეღამეში მოიგო.

ყვარყვარეს მერე მარჯანიშვილს გადანყვეტილი ჰქონდა უშანგი ჩხეიძე დონ კიხოტის როლში ეთამაშებინა და რომ არა უძვირფასესი მსახიობის უეცარი სულიერად გატეხვა, ვინ იცის, მაყურებელი რა სასწაულის მომსწრე გახდებოდა.

თუ როგორ ფანატურად უყვარდა სიმონ ჩიქოვანს თეატრი სიცოცხლის ბოლომდე, ამის მეტყველ მაგალითად გა-

მოდგება ჩვენი დიდად ნიჭიერი მსახიობისა და მწერლის გოგი ხარაბაძის ცოცხალი მოგონება მისი ძალზე მიმზიდველი დოკუმენტური მოთხრობიდან „სახლი რუსთაველზე“:

„რუსთაველის თეატრი სახელმწიფო იყო სახელმწიფოში. იქ ყოფნა, თამაში დიდ რამეს ნიშნავდა...“

სხვა ძალა ჰქონდა, სხვა დაფასება...“

„მეფე ლირს“ სერგო ზაქარიაძე თამაშობდა. გენერალურ რეპეტიციავზე დარბაზში მხოლოდ ერთი კაცი იჯდა, სიმონ ჩიქოვანი.

— კი მაგრამ, ბატონო სერგო, ბატონი სიმონი ხომ სულ ვერ ხედავს, — დაიწყო მორიდებულად.

— რა დაგემართა, კაცო შენ! ხო ესმის! ჰოდა, მაგას რო ესმის, სხვის ხედვაზე მეტია ეგ.

მეორე დღეს საგრიმოროში თავის სარკეზე ფურცელი გააკრა, რომელზეც სიმონ ჩიქოვანის შენიშვნები იყო ჩამონერილი („ლიტერატურული საქართველო“, 6 დეკემბერი, 2013).

რამდენი რამის მოქმელია ეს ამაღლებული ეპიზოდი. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ სერგო ზაქარიაძეს უშანგი ჩხეიძე მსახიობის იდეალად მიაჩნდა, აღმერთებდა და ამ მოთხრობის ავტორმა კარგად იცის მათი უგულითადესი მეგობრობის ამბავი.

ერთ წყებას სიმონ ჩიქოვანის ადრინდელი, ექსპერიმენტული ხასიათის ლექსებისა აერთიანებს ცალკე ციკლი „ორკესტრული ლექსალობა“. აქ, ალაგ-ალაგ, უკიდურესობამდე მიყვანილი ბგერწერული ფეიერვერკები. პოეტი ჭარბად იყენებს მისთვის მშობლიურ მეგრულ ლექსიკას, რითაც ამ თავისებურ ცდებს ეგზოტიკური ელფერი ეძლევა. ასეთებია: „ქარბორია“, „მეკამეჩეების ურმული“, „სიდუ“ (ნაწილობრივ), „ცირა“, „სანაპირო სიმღერა „ხაბო“... პოეტი გარკვეულ განწყობილებას კი ქმნის, მაგრამ სტრიქონთა დიდ ნაწილში რაიმე მწყობრი აზრის, შინაარსის ძებნა არ იქნებოდა გამართლებული, ყოველივე ეს თანმიმდევრულ, ლოგიკურ მეტყველებას არ ემორჩილება. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნამოსროლილია ცალკეული, გამოკვეთილად ჟღერადი სიტყვები და მათ შორის კავშირის დამყარებაზე ავტორი ნაკლებად ზრუნავს. ისე ჩანს, რომ პოეტმა მისებურად მოიკლა ახალგაზრდული ჟინი, როცა თანხმობით უცნაურად დაწვევით უბოლო სიტყვების ტევრში ლაღად განავარდღობს უფლება მისცა თავს. მოგვიანებით ცდილობდა სურათი ხმასთან შეეხამებინა, მაგრამ უპირატესად იგი მაინც ფერწერული მეტაფორების ოსტატად დარჩა, რაც ლიტერატურათმცოდნეებს ალუნიშნავი არ დარჩენიათ.

„ორკესტრული ლექსალობიდან“ არტისტიზმითა და სიტყვის მაგიური ფლობით გამოირჩევა ვერიკო ანჯაფარაძისადმი მიძღვნილი „ცირა“, სადაც ადრესატის ყმანვილქალობის გარემოა დახატული. შორეულად ისმის მეგრული სიმღერის მელოდია; „ბადისა“ და „ბაიდების“, „მდინარის პირას ცხენების“ სხენება კოლხურ ყოფას აცოცხლებს (ვისაც მოუსმენია, ეხსომება, როგორი გულშიჩამწვდომი ლირიზმითა და ღრმა განცდით კითხულობს თავად ვერიკო ანჯაფარაძე ამ ლექსს). მიმზიდველი გარეგნობის კოლხ გოგონად, ცირად წარმოდგენილი გამოჩენილი მსახიობის გამომეტყველება, იერსახე მარჯვედ წარმოჩნდება, როცა ნახსენებია „წარბი“ და ამას მოსდევს მასთან მიბმული, ძალზე ექსპრესიული სიტყვა „წარბენილი“.

პოეტი მთლიანადაა მიხდობილი სიტყვების მუსიკას, გამძაფრებული გუმანით არჩევს ყოველ მათგანს და ჩვენც სხვა არაფერ-



სიმონ ჩიქოვანი

რი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ასევე განსჯის გარეშე მივინ-  
დოთ თავანწყვეტილ სტრიქონთა ნებაზე მიშვებულ ჭენებას:

**ბადე ბაიდებს,  
ბუდე ბაიდებს.  
ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს.  
აიდა-ბაიდებს, აილო ბაიდებს.  
ცირა ციბა. ცირა წარბი.  
ცირა ნაბლი. წარბენილი  
ცაკუთხური. ცაკუთხედი. ხიდბოგირი.  
ოდელიოდო ბუდე.  
ოდელიოდო ცა.  
მდინარის პირას ცხენების მოცდა.  
ცირა შინდი.  
შორს ბაილით გადაფრინდი.  
უდე ბუდე.  
უდევეს ბადე  
და ბაიდებს  
ობადები აბადია.**

ამ შესავალი ნაწყვეტის მოხმობაც საკმარისია ვირნმუ-  
ნოთ, რომ სიმონ ჩიქოვანი საუცხოოდ ფლობდა ფონეტიკუ-  
რად მონათესავე სიტყვების ერთმანეთზე გადაბმის ხელოვ-  
ნებას. „ცირას“ სიცოცხლისუნარიანობაზე, ცხოველმყოფო-  
ბაზე მეტყველებს ისიც, რომ მან სასურველი გამოძახილი  
ჰპოვა დავით წერეთლის ერთ-ერთ უმშვენიერეს ლექსში  
„ვარიაციები სიმონ ჩიქოვანის თემაზე: ცირა“, ოღონდ აქ ბუ-  
რუსი, ბუნდოვანება ნაკლებია და რითმათა წყვილებიც უფრო  
კლასიკურ ჩარჩოშია ჩაჯენილი. თვით ლექსსაც უკვე სვანუ-  
რი იერი დაჰკრავს (სამეგრელო და სვანეთი ხომ ისედაც  
ესაზღვრებიან ერთმანეთს), რაც არავითარ შეუთავსებლო-  
ბას არ ქმნის. „ცირასთან“ მეტი კავშირი ამ ლექსის შუა ნა-  
წილს აქვს და ჩვენც მის მოტანას დავერდებით:

**აილო ბაიდებს,  
ილმოდი ალვილთა პირას.  
აილო ბაიდებს,  
გიშრებით,  
შავრების რემით.  
ეს დილა ცივია,  
ცრემლილა კიაფობს, ცირა,  
ცრემლილა კიაფობს,  
ვისია, შენი თუ ჩემი?**  
*(დავით წერეთლი, ორიონი, 2012)*

სხვანაირად, ასეთ შემთხვევებს „პოეტების მეგობრულ  
გადაძახილსაც“ უწოდებენ და პოეზიის უკვდავებას ისიც გა-  
ნაპირობებს, რომ დროით დაშორებულ ეპოქებს შორის კავში-  
რი არ წყდება.

ამის შემდეგ უფრო ბუნებრივი იქნება მივადგეთ სიმონ ჩი-  
ქოვანის იმ პოეტურ ქმნილებებს, მშობლიური კუთხის პეიზა-  
ჟებითა და თავისებური ყოფით რომ არის შთაგონებული.  
ფერწერული სახეების სიუხვით გამოირჩევა დიდი, სამ ნაწი-  
ლად დაყოფილი და კომპოზიციურად მარჯვედ შეკრული  
ლექსი „სამეგრელოს საღამოები“, სადაც გაცოცხლებულია  
პოეტისთვის ყრმობიდანვე ნაცნობი დაუვინყარი სანახები.  
მშვენიერია პირველივე სტროფი, რომელშიც მზის ჩასვლის  
ულამაზესი, თვალისმომჭრელ ფერებად აელვარებული სუ-  
რათია დახატული:

**ზღვაზე მზე დადგა, როგორც ირემი,  
ალანდა რქები მოლურჯო ბროლში,  
ალვები, როგორც ტურფა ცირები,  
დაისს ელიან სამეგრელოში.**

ორმის მეტაფორულ ნაირსახეობას პოეტი ხშირად იყენებს  
ხოლმე და აქ ცეცხლოვანი მნათობის ბორჯღალა სხივები  
ხარლალის განტოტილ რქებთანაა შედარებული. ასევე ბუნებ-  
რივი და უშუალოა უკანასკნელი სხივებით შეფერილი, ზღვა-  
ურზე ლაღად მოშრიალე ალვების ცირებთან, ტანკენარ კოლხ  
ქალიშვილებთან შედარება.

ასეთი მომხიბლავი ტროპები ხსენებულ ლექსში მრავლა-  
დაა მიმობნეული („მზე იხრება და ბუნების კარი იღება. ღე-  
ბავს ბალებს და მინდვრებს...“); სულჩადგმულ პეიზაჟებს პას-  
ტორალური პასაჟები ენაცვლება — ვხედავთ, როგორ ძაგძა-  
გებს ხის ბოგირი საქონლის გადავლისას, ხოლო მეჯოგებს  
დაგეშილი ძაღლები მისდევენ. უნებურად დაგიდგება თვალ-  
წინ გენიალური ბრეიგელის ფუნჯით წარმოსახული მდინა-  
რისპირა ნიდერლანდური სოფელი, სადაც საძოვრიდან დაბ-  
რუნებული, სახრემომარჯვებული ღონიერი მწყემსები ფერ-  
დებგანიერ, აჭრელებულ ძროხებს მიერეკებიან. აქ კი შუაგუ-  
ლი სამეგრელოა. ნაბალახარი, რძეჩამდგარი ძროხები ეზოებ-  
თან ზღვიან, მუქლურჯი კამეჩები მოტოპავენ მწვანე, ხავს-  
მოდებულ ჭაობში. შეღამების მომწუსხავი ფერებიც მწყობ-  
რად და ხელშესახებად ლაგდება გობელენივით მოქსოვილ  
ტილოზე („ბინდია მშვიდი და მოსარიდი ზღვის შეჟღალეულ  
მარმარილოზე“).

მართალია, პოეტი შიგადაშიგ ხარკს უხდის სოციალის-  
ტურ ყოფას, საკოლმეურნეო შრომის შემართებას, ალაგ-  
ალაგ სარითმო წყვილებიც მოიკოჭლებს (მინდვრებს — სხი-  
ვებს; მიდამოს — ედავოს), მაგრამ საბოლოოდ ყველაფერს  
გადასწონის სოფლად დატრიალებული ბარაქა, „აავისტოს  
დოვლათი“. ერთი რამ კია მოუწებელი, საშინლად გულდა-  
სანწყვეტი — მატარებლისგან დამფრთხალი ბატების გუნდი  
(თავისთავად მშვენიერი სურათი) ნალველის მომგვრელია, ვი-  
ნაიდან ამ ლექსში ნახსენები ოჩამჩირე (კოლხური პეიზაჟის  
განუყოფელი ნაწილი), სადაც კვილით შედის ორთქლმავა-  
ლი, ამჟამად საქართველოს სხეულიდან ბოროტი ძალის მიერ  
არის მტაცებლურად მოგლეჯილი და გაუცხოებული.

სიმონ ჩიქოვანმა ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლებიდან შემო-  
იტანა ქართულ ლექსთწყობაში თავისებური სიახლე —  
სტროფში შეგნებულად ენაცვლებიან ერთმანეთს არათანა-  
ბარმარცვლოვანი სტრიქონები და ეს არანაირ დისჰარმონიას  
არ იწვევს, პირიქით, ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს ლექსის  
მუსიკას. ასეთი გამორჩეული საზომით არის დაწერილი, მაგა-  
ლითად, წინამდებარე კოლხური ციკლის ერთი ლექსი („ნალენ-  
ჯისა“, 1931), რომელშიც გასაოცარი სიტბოთი და სიყვარული-  
თაა დახატული მეგრული ოჯახის კარ-მიდამო, ბავშვობაშივე  
გაგონილი სამკურნალო მცენარის ფოთოლიც კი სათუთად  
არის მოხსენიებული. ამ ლაღი სტრიქონების ნაკითხვისას  
უმალ გაილანდება ლურჯი ცის ფონზე ამაყად ამართული სა-  
მეგრელოს დათოვლილი მთები, სვანეთს რომ ემიჯნება:

**თავზე მადგას თოვლის ჯილა,  
ჩემი სახლი წუთისოფლის ბოლოშია.  
მაგონდება მწვანე ნალენჯისა,  
შენი ეზო, ოშოშა თუ ოშოშია.**

კოლხური ციკლის საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს  
„ნიჭარის საფერფლე“, რომელიც ავტორის სიყრმის სანუკვარ  
ოცნებებს უკავშირდება და რომელშიც იშვიათი ოსტატობით  
არის გაცოცხლებული ტკბილმოუბარი, მწიგნობარი ბებიის  
სახე. ყოველივეს წინ უძღვის მინიატურული გედის სხეულის  
მოყვანილობის თეთრი ნიჭარა, ოდესღაც ზღვის ფსკერიდან  
ამოტანილი, შემდგომ ოჯახში საფერფლედ რომ იყენებენ.  
დინჯი ინტონაცია თავიდანვე სასაუბრო კილოს ითხოვს, მაგ-  
რამ მერე და მერე, თხრობის კვალდაკვალ, პოეტის ხმას  
მლელვარება ეტყობა. შედარებები პირდაპირ არის მოხმობი-  
ლი, დამხმარე სიტყვათა გარეშე:

**მაგიდაზე დევს ნიჟარა თეთრი,  
საფერფლე, ზღვაში ნახული წინათ —  
კოლხიდელი და უყელო გედი,  
ზურგით მწოლარე და პანანინა.**

აქვე ჩამოთვლილია „ფანჯარასთან ჩრდილივით მდგარი“ გამზრდელი ბებიის ხელშეხებით სავსე („სათვალე, ლაზლი, თევზზე ხორბალი...“), რითაც იხატება უკიდურესად მოკრძალებული ამგდარი წინაპრის სახე. მოხუცი სტიქის დაწყებას, ქარის ჩადგომას უცდის, ანთებულ, მოლულუნე ბუნართან შვილიშვილს ზღაპრები და უძველესი გადმოცემები რომ მოუთხროს. სტიქიონთა შორის საცნაურია ფაქიზი, ბუნებრივი გადასვლები. ნიჟარაზე შერჩენილი ფერფლი წინასწარ მიგვანიშნებს ჩვენი მითოლოგიური გმირის ამირანის ჩამქრალ ცეცხლზე ანუ თავისუფლების დაკარგვაზე. ეს არის ჩვენი საუკუნეებში გამოტარებული სანუხარი, მონობას, ბორკილებს რომ დავაღწიოთ თავი. ამირანის თქმულების შემოქმადი ლექსს დრამატუზმს მატებს. ბებია კრიალოსანს მარცვლავს და ახლო წარსულის პოეტთა ქმნილებებს აცნობს ყმანვლს, რითაც მთელი გარდასული ეპოქა ცოცხლდება:

**ანკარუნებდა ბებია ქარვას  
ანჭრიჭინებდა სკამი სელისა.  
მოფრთხილებდნენ ლექსები წყნარად  
გუგუნავს და გურიელისა.**

ვის არ გამოუცდია — ყურზე მიდებული ნიჟარა ზღვის ტალღების დაგუბებულ, იდუმალ შრიალს გამოსცემს და პოეტიც მარჯვედ იყენებს ამ საკვირველ თვისებას; იგი დარწმუნებულია — მოლუსკის მკვრივ საფარველში ამირანის სული შფოთავს და კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული გმირის მრავალსაუკუნოვანი მღელვარება მასაც გადაეცემა:

**მაშინ ვიღებდი ნიჟარას ზღვისას,  
შიგ ამირანის სული მღეროდა.  
ყურში გუგუნე მესმოდა მისი  
და ზღვაზე ღელვა მეჩვენებოდა.**

ამირანის მოტივმა ჯანყი, სიბოხოქრე შემოიტანა ლექსში, ზღვაურის დაუდგარი სუნთქვა მოიყოლა; საფერფლეც ქცეული ნიჟარა, რომელსაც ჩვეულებრივ, ყავისფერი ლაქები დაჰყვება, უცნაურ მეტამორფოზას განიცდის, ვეფხვის სხეულზე გადაჭიმულ ზოლებად იქცევა:

**ოთახში იყო ტალღის ხმაური  
და ვეფხვის ტყავად ნიჟარა ეცვა.**

სწორედ ეს „ტალღის ხმაური“ აფეთებდა, მოსვენებას უკარგავდა მოხუცს და საფერფლე სხვენი აჰქონდა, რათა შვილიშვილისთვის ნიჟარაში გამომწყვდეული შფოთვა და გნიახ აეცილებინა.

ზამთარში, „დიდთოვლობისას“ გასცლია ბებია ცოდვილ ქვეყანას, თოვლშივე გაუჭრეს „ცივი სამარე“, მაგრამ შთამომავლის მესხიერებას შემორჩა მისგან მოსმენილი სიბრძნე, ტკბილქართული ჰანგები, რამაც ეს მრავლისმეტყველი, ღრმა აზრების დამტყვი ლექსი დაანერინა.

ციკლის პირველ ლექსში („სამეგრელოს საღამოები“) ირემად წარმოსახულ, ზღვაში ჩაკიდულ მზეს „ნიჟარის საფერფლის“ ფინალურ სტროფში განახლებული, ჭაობებდამშრალი, ნალკოტად გარდაქმნილი კოლხიდა ენაცვლება და ამით რკალი ბუნებრივად იკვრება, მთლიანდება:

**კოლხიდა დადგა დიდებით ზღვაზე,  
ბალი მოერტყა ნაპირს ოლარად**

**და დევს საფერფლე ჩემს მაგიდაზე,  
კოლხურ ქარების მოსაგონარად.**

ადვილი მისახვედრია, რომ თეთრი ნიჟარიდან ამოჭრილი და სივრცეში განფენილი, მორიალე ქარები პოეტს განახლების, მოძრაობის, თავისუფლების, სიცოცხლის სიმბოლოდ ესახება.

თბილისის თემა ორგანულად შემოდის სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში და მრავალ ლექსშია განაწილებული, ფესვგადგმული. პოეტი ყველაზე მეტად ესიყვარულება მტკვარს, ჩვენს დედა მდინარეს; მას ფეხდაფეხ მოსდევს „მესხეთის ქარი“, რომელმაც უკან მოიტოვა კლდეში გამოკვეთილი განსაცვიფრებელი ქალაქი ვარძია, ჩაუარა წუნდას ლერწმებს, მწვანე ტალღებში აირეკლა აწყურის და თმოგვის ციხეები და ბოლოს, თბილისში შემოვარდნილმა, შუაზე გააპო სატახტო ქალაქი.

ხსენებული ციკლიდან („მტკვრის ხეობაში“, „მტკვრის სანაპირო“, „გაზაფხული მტკვრის პირას“, „ნანვიმარი“, „თბილისის ღამე“, „თბილისელი მეთევზე“, „მეთევზის სტუმრობა“) არაერთი მოხდენილი ტროპის ამონერა შეიძლება. ჭეშმარიტ სიმალეს სიმონ ჩიქოვანმა მაინც ზამთრის თბილისზე დაწერილ იმ ლექსში მიაღწია („თბილისის თოვლი“, 1956), სადაც მთელი სიმძაფრით არის გამოთქმული სანუთროსთან გარდაუვალი განშორებით გამოწვეული ტრაგიზმის გრძნობა, მაგრამ აქ მოსატანი სტიქიონები ანდერძივითაც ჟღერს და, ამასთანავე, ჭეშმარიტი ლირიკისათვის დამახასიათებელი სისათუთეც არ აკლია:

**ჩემი სისხლია თოვლში ჩაღვრილი,  
მაინც თეთრია თოვლის ფიფქები.  
შენი ყელი ვარ, შენი საყვირი  
და შენი ფესვიც მალე ვიქნები.**

„თბილისის თოვლი“ როცა დაწერა, პოეტს ათი წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი და ამ ლექსის პირველსავე სტროფში (იგი ზემოთ მოხმობილ ფინალურს მუსიკალური ჟღერადობით და იდუმალი ძაფებითაც უკავშირდება), სადაც ფაფუკი ფიფქები ყვავილებთანაა შედარებული, იგრძნობა გაზაფხულის ნატვრა და მოახლოებული სიკვდილის სუნთქვა:

**თოვლში თბილისი უტურფესია,  
ყლორტზე ნაზია თოვლის ფიფქები.  
მთებზე ვარდები დამითესია,  
თუმცა მკრეფელი მე არ ვიქნები.**

ზამთრის თვალწარმტაცი, კრიალა პეიზაჟები საკმაოდ უხვადაა მიმოხეული სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში და მეტწილად სინმინდის გამოხატულებად, სოფლური გარემოს გახსენებად აღიქმება.

ამ ციკლის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში („თოვლი“) უფაქიზესად და ამავე დროს სადად არის დახატული ზამთრის ზღაპრული სილამაზე, მომხიბლაობა, როცა ერთიანად გადათეთრებული ველ-მინდვრები უსასრულო სივრცეში გასაჭრელად გისხმობს, სიცოცხლის ჟინით ვაცხებს:

**გარეთ ურიცხვი თოვლის ბენვია,  
ციდან ფრიალებს, თეთრდება ბარი.  
მეგობარივით თოვლი მენვია  
და შორს მეძახის მარხილის ზარი.**

პოეტის მახვილ მზერას იტაცებს თოვლის კრისტალების ბრწყინვა, მათი მართლაც რომ იდუმალი, სიმეტრიული აღნაგობა, ფიფქების უცნაური მსგავსება ცაში მოციალე ვარსკვლავებთან და გაოგნებული ჩერდება საყვარელი არსების ჭირხლით მოოჭვილ ფანჯარასთან, რომელშიც ბრდღვილა

სანთელს შედარებული, გაჩირაღდებული ნაძვის ხე მოჩანს. ეს მთრთოლვარე ლირიკული აღსარება, სატრფოს რაინდული მოფერების გარდა ბუნების საოცრებათა ქება, მისი მოუხელთებელი მშვენიერების ჰიმნიცაა:

**მინდოდა ფიფქი მეც შემენახა,  
ნებზე დამესვა ვარსკვლავის თარგი.  
შენთვის მომძღვანა და შენ გენახა,  
როგორ კანკალებს ბუნების ჰანგი.**

ასეთივე მშვიდი განწყობილება გამოხატული ზამთარზე დანერილ სხვა მშვენიერ ლექსში „მოლოდინი“, სადაც შენითლებული ცის მხილველი პოეტი გუმანით გრძნობს, რომ უნდა მოთოვოს და წინასწარ ძერწავს ნაირგვარ სურათებს, ფანტაზიების უხვად ცვენას რომ უნდა მოჰყვეს:

**ამაღამ თოვლი სპეტაკ ბენებდად  
ან ვარსკვლავებად დაცვივა გარეთ,  
მოქარგავს სარკმელს, მოხატავს კარებს,  
სპეტაკ ეზოში ჰაპაც გვენვევა,  
შორს მარხილები დარეკენ ზარებს,  
მოიხმობს თოვლი სუსხიან ქარებს,  
ტყეში რტოებიც დაილენება.**

ამავე ლექსში ძალუმად ისმის სათამამოდ გამოშლილი ბავშვების ყრიაშული, სუროს შესეული შაშვების ქახჭახი... პოეტს არ ავიწყდება მყუდრო ოთახის სითბოც, ნაძვის ხესთან ხატაურა კატის დინჯად ჩავლა და აქვე მშობლიური სოფლის დათოვლილი მიდამოები ახსენდება.

მომდევნო ლექსი — „ბაბუა“ — უშუალოდ თეთრწვერა წინაპარს ეძღვნება, მის დაუფინყარ პორტრეტს ხატავს ისე და ისე ზამთრის ფონზე და იგონებს მისგან ყმანვილობაში მოსმენილ უცნაურ ზღაპარს ჭინკებზე, ცხენებს გაშლილ ფაფარს რომ უნაყდენ და ახლებდნენ.

სიმონ ჩიქოვანი მძაფრად შეიგრძნობდა თავისი ცხოვრების ცალკეულ მონაკვეთებს, ხედავდა მიჯნებს, რაც ერთ პერიოდს მეორისგან განაცალკევებდა. სწორედ ეს განცდაა გადმოცემული მის ცნობილ უსათაუროში, ახალგაზრდობასთან გამოთხოვებად რომ აღიქმება და შუალედური დროის მოქნილ, ხატოვან დახასიათებას გვთავაზობს:

**არის სიყრმეს და სიმწიფეს შორის  
შესვენების და სიმორცხვის ჟამი,  
ფრთამოტეხილი შერჩება ქორი,  
ჯამში ჩაშრება სპეტაკი შხამი.**

ეს ყმანვილურ ოცნებათა მსხვრევის ასაკია; გადაყვითლებულა ნაირფერი ყვავილებით მოჩითული მდელი და ჰაერს ზამთრის სუსხი დატყობია. პოეტი ლამობს სიმორცხვის, მოდუნების პერიოდი გადალახოს — არ უნდა მოწყვეტილ ფოთოლს დაემგვანოს, ვერ იოკებს მელვარე ტემპერამენტს და ქარიშხლის სიბოროტეს მიელტვის:

**ეს ჟამი განველე, დავკარგე ფერი,  
ველი დაჭკნა და ბალშიაც მოთოვს.  
მინდა მინაზე ცხოვრება ჩემი,  
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.**

ასედაც მოხდა — ზოზინს, თავის მომბაბერებელ უმოქმედობას სიმონ ჩიქოვანის დაუდგრომელი, ნიადგა მძიბებელი სული ვერ შეურიგდებოდა; იგი სიცოცხლის ბოლომდე მებრძოლად, სიხლის დამამკვიდრებლად დარჩა და ეს არა მარტო პოეზიაში, მის ბრწყინვალე ლიტერატურულ წერილებშიც გამოვლინდა.

სიმონ ჩიქოვანი მუდამ ხაზგასმულ მონივნებასა და თაყვანისცემას ამჟღავნებდა საქართველოს გამირული ისტორიის მიმართ და წარსულისადმი ასეთი მიდგომა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, არც ისე იოლი საქმე გახლდათ.

ამგვარი ამალღებული, კეთილშობილური დამოკიდებულების გამოხატველია მისი ლექსების ძალზე ძლიერი ციკლი „წინაპრები“. სულის ამაფორიაქებელი შთაგონების ნაყოფია პირველივე მოზრდილი ლექსი „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“ უსახლოდ გამქრალი, უცნობად დარჩენილი გენიალური ხუროთმოძღვრის ქებათა-ქებად რომ გაისმის. თავიდანვე იგრძნობა უჩვეულო სიმძაფრე, დინამიურობა და სამხრეთ საქართველოს გრანდიოზული ლანდშაფტიც უეცრად გადაიშლება, ჩვენც ვხედავთ პოეტის თვალთ დახახულ „საკვირველებას“:

**გაუქმებული, ვით სახარება,  
კლდეზე ეკიდა ვარძიის კარი.  
ზე ჩანდა ფიქრი და გაქანება,  
ქვეშ — ხეობაში შეჭრილი ქარი.**

წმინდა წიგნის, „სახარების, „გაუქმებულად“ მოხსენიება ეპოქის რეალურ სურათს წარმოგვიდგენს, რაც შეუძლებელია, სიმონ ჩიქოვანისთანა დიდი კულტურისა და ღრმა განცდის, წმინდა ზნეობის პიროვნებისათვის სასიხარულო ყოფილიყოს. ასეთივე სურათი მის ერთ ადრინდელ ლექსშიც („გზა საბჭოეთში“, 1927) გვხვდება, ოღონდ იქ თვით უფლის საყდარია მორიდებულად, ნაღვლიანად წარმოსახული („მცირე მალეობზე დაბინდული ჩანს ეკლესია, გაუქმებული და ყანაში მორცხვად შეჭრილი“).

ვარძიის სწორუპოვარ ოსტატს პოეტი თანამედროვესავით ეხმიანება და აქ ამკარად იგრძნობა თაობათა უწყვეტი, სისხლისმიერი კავშირი. ამ ლექსში თვით შედარებებსაც პლასტიკური იერი აქვს, საშენი მასალის, ქვის, გამძლეობა და სიმკვრივე დაჰყვება, პოეტი ლამობს, ვარძიის შემოქმედის ტრფის ანაბეჭდები გააცოცხლოს:

**გავდა ლოდები გადმომსხდარ ტალღებს  
და ტალღებს აჩნდა ნაფხურები.**

თამარის ეპოქის ფანტასტიკური ძეგლის შემხედვარეს, თვით თამარის ფრესკის, კლდეში გამოკვეთილი ზღაპრული თაღებისა და ვარძიის მაცოცხლებელი წყაროს მხილველს, შეუძლებელი იყო არ გახსენებოდა „ვეფხისტყაოსანი“, ვის ავტორთანაც შეფარულად არის შედარებული უსახლოდ დარჩენილი ხუროთმოძღვრის ზღვარდაუდებელი, ქარიშხლისებური გენია:

**როგორც რუსთველის ერთი სტრიქონი,  
ვარძიის წყაროს კამკამი ვნახე  
და მე ვიგრძენი, შენი ციკლონი  
როგორ იღებდა დარბაზის სახეს.**

პოეტი ნუხს დიდი შემოქმედის ბედზე, ფიქრობს, როგორც მომხდარა, ეგებ შურის გამო მარჯვენა მოკვეთეს და დაბადება აწყველინეს. ნამდვილ აპოთეოზად გაისმის ლექსის ფინალი, ბედნიერად მიგნებული ბოლო წერტილი, რითაც ამ განსაცვიფრებელი ქმნილების დამტოვებელს და თავად უსახლოდ გამქრალს სამუდამო შარავანდედი ადგება:

**მძლავრი ფიქრები ქვაზე აქარგე.  
ქვაზე დაღვარე სულის ნაღველი.  
რადგან სახელი უკვე დაკარგე,  
ვარძია იყოს შენი სახელი.**

დასასრული შემდეგ ნომერში

ნინო დეკანოიძე

# „ფარშეჰანგის“ ხალისიანი შექასილი

(ჯანო ჯიქიძის  
ახალი რომანის განხილვა)

როგორც ყოველთვის, ტრადიციული რეპორტაჟის დასაწყისი; რომ უფროსად „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში მორიგი თავყრილობა გაიმართა. ამჯერად განიხილება ჯანო ჯიქიძის ახალი რომანი „ფარშეჰანგის სოლო“.

ავტორი — არადებიუტანტი პროზაიკოსი; უფრო სტაჟიანი, როგორც პროფესიონალი ექიმი-სტომატოლოგი.

უფროსი „ჩვენი მწერლობა“ თანაბარი გულისხმიერებით რომ წარმოაჩენს ნებისმიერ ავტორს, ოღონდ ღირებული ნაწარმოებებით, ეჭვს აღარ ბადებს... მერე კი თანდათანობით მნიშვნელობა სურვილიც — მკითხველთან უშუალოდ შეხვედრისა, რათა ცოცხალი და საინტერესო დიალოგი შედგეს. ალბათ, საამოც უნდა იყოს შთაბეჭდილებათა მოსმენა ნებისმიერი ავტორისათვის საკუთარ შემოქმედებაზე.

ერთი სიტყვით, ამჯერადაც თადარიგაიანად გამართული ღონისძიების საფუძველზე პროფესიული ხარისხის ნიშნით ისაუბრებენ მომხსენებელი და სიტყვით გამოსვლელნი ანუ ისინი, ვინც გულმოდგინედ ჩაიბეჭდნენ მწერლის ახალ ნაწარმოებს. და რასაკვირველია, აუდიტორიიდან ბეჯით ყურისმგებლებს საკუთარი ფიქრების გახმაურებაც მოეძალეებათ თუნდაც ტექსტის ნაუკითხავად...  
და მაინც, რა ითქვა იმდღევანდელ ღონისძიებაზე.

**როსტომ ჩხეიძე** ნარუდგენს რა აუდიტორიას სტუმარს, იტყვის მის სანაქებოდაც:

— ჯანო ჯიქიძის გარეშე წარმოუდგენელია ქართული სალიტერატურო პროცესი. ეს არის გამორჩეული, ორიგინალური ხელნაწერი მწერალი. მან უკვე გამოკვეთა თავისი მხატვრული სამყარო სტილური ძიებებით, მეტად მახვილგონივრული მიგნებებითა თუ ახლებური სიუჟეტებით; რომანს „მთვარის ყმა“ და მოთხრობების ვრცელ კრებულს „ზეგზებზე“ აგრე უკვე მოჰყვა მეტად ორიგინალური თხზულება „ფარშეჰანგის სოლო“.

ისაუბრა რა ზოგადად, დოკუმენტური პროზის ორიგინალურობაზე როგორც მთელ მსოფლიოში, ისე ჩვენთან, საქართველოში, როსტომ ჩხეიძემ დაბეჯითებით განმარტა, რომ — დიდი მნიშვნელობა აქვს ვინ წერს ამ ყაიდის თხზულებებს, ცრუ, ყალბისმქმნელი ავტორი თუ გულწრფელი, მართალი ადამიანი, თუნდაც ისეთი, როგორც არის ჯანო ჯიქიძე.

ღონისძიების თაოსანმა მიიჩნია, რომ რომანი „ფარშეჰანგის სოლო“ ეპოქას რეალისტურად წარმოსახავს. კერძოდ, საბჭოთა ჯარში სამსახურის ამბების გახსენებით ავტორმა თვალსაჩინო გახადა ახალგაზრდა კაცის სულიერი ჩამოყალიბების პროცესი მძიმე რეალობაში... აგრეთვე დასძინა: — პერსონაჟთა ვეებერთელა გაღერის მიუხედავად, რომანის მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიც კი, ვინც მხოლოდ გაიღვებენ და ქრებიან, გამახსოვრდებათ ზუსტად მოძებნილი შტრიხების მეშვეობით და ეს ყველაფერი, შთაბეჭდავად გახსენებული წარსული, წარმოგვიჩენს ჩვენს დღევანდელობას ძალიან კარგად და მომავალსაც დაგვანახებსო.

ვიდრე ძირითად მომხსენებელს სალომე კაპანაძეს შესთავაზებს გამოსვლას, სთხოვს მურმან ჯინორიას, აღიარებულ ხელოვანსა და რჩეულ დეკლამატორს, ორიოდ ფრაგმენტი წაიკითხოს რომანიდან. მითუმეტეს, ნაწარმოების კომპოზიცია — საინტერესოდ გადაწყვეტილი მრავალფე-



ჯანო ჯიქიძე და მურმან ჯინორია

როვნების მტკიცე მთლიანობა — საშუალებას იძლევა, ცალკეული თავები დამოუკიდებლად, როგორც მინიატურები, ისე იქნას აღქმული.

რასაკვირველია, სასიამოვნო დარჩა დარბაზისთვის, მოესმინათ მურმან ჯინორიას ოსტატობა. თუმცა პატივცემულმა აქტიორმა, მხოლოდ ერთი პატარა ქვეთავისთვის, სახელწოდებით „სოლო Arnica“, გაიმეტა, ალბათ, შეზღუდული დრო, მაგრამ ორიოდ ნინადადებით ისიც დაადასტურა, რომ არის ჯანო ჯიქიძის ერთგული მკითხველი...

თითქოს მოლაპარაკებულნი იყვნენ, დატოვა რა დარბაზი მურმან ჯინორიამ, მალევე მშვენიერმა **ნინო კასრაძემ** შემოაღო კარი. დაგვიანების გამო მიტევადაც ითხოვა სათნო ქალბატონმა და ბოლომდე უერთგულა ღონისძიებას, როგორც ჩინებულმა დეკლამატორმა, როგორც გულმოდგინე მსმენელმა.

ახლა კი მომხსენებლის პროფესიული გამოსვლის მოკლე ჩანაწერი გვაქვს შემოსათავაზებელი.

### სალომე კაპანაძე:

— არსებობს მოსაზრება, რომ არცერთ ჟანრში ლიტერატურა ისე არ თავისუფლდება სინამდვილისაგან, როგორც რომანში. რომანი კი არ უნდა ჰგავდეს ცხოვრებას და ბაძავდეს მას, თვითონვე უნდა იყოს „ცხოვრება“. ამიტომაც არის, რომ გლობალური პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემათა გამოძახილით განებივრებული ქართველი მკითხველი ხშირად პრეტენზიულია მეგატექსტების მხატვრული ნამდვილობის თუნდაც ფორმალური სიმართლის მიმართ. რა თქმა უნდა, ღირებულებათა პრიორიტეტი და მორალისტური კონტექსტი ლიტერატურაში არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას და ამ ფასეულობათა დეკონსტრუქციის ნებისმიერმა მცდელობამ შესაძლოა რეალური საფრთხეები შეუქმნას მას, თუმცა არის სხვა მოცემულობაც, რომელიც არანაკლებ საგანგაშოა.

აპოკალიფსური შეგრძნებებით გადაღლილი მკითხველი გაურბის ელიტარულობის მარკას, ფსევდოინტელექტუალურ სიმძიმეს, ფსევდოციტატურობას, ტექსტის მეტაფორიზაციას, „ავტორის ნილაზს“. მას მოენატრა ლალი თხრობა, დროსა და სივრცესთან შეთანხმებული ნარატივი. ჯანო ჯიქიძის რომანში „ფარშეჰანგის სოლო“ მკითხველი იპოვის ამ მონატრებულ შეგრძნებებს. ავტორი ყოველგვარი ლიტერატურული ექსპერიმენტებისა და პოზირების გარეშე აღწევს სასურველ შედეგს.

მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში, რომლის სიუჟეტიც ძირითადად ქალაქ სლავუტის საბჭოთა ჯარში ვითარდება და ზოგჯერ თანამედროვე საქართველოშიც გადმონაცვ-



ლებს, თხრობისათვის თვალის მიდევნება არ საჭიროებს განსაკუთრებულ წინაპირობებს. რომანი არ ითხოვს უზარმაზარ, გამომფიტველ სულიერ ენერჯიას მკითხველისაგან. ჯანო ჯიქიძე თვითვე გაიღებს მას ისე, რომ კითხვისას ყველა შესაძლო კომფორტს უქმნის მკითხველს და ტექსტში მონოდებული ყველა მორალისტური პოსტულატი ლაღად, ბუნებრივად გადააქვს მის ცნობიერებაში.

რომანის სივრცე და დრო ძირითადად საბჭოურია. ბოლო ფამს ლიტერატურულ მოდად ქცეული ტენდენცია — მუდმივად განაჩენი გამოუტანოს ამ ეპოქას და მასში მცხოვრებ ადამიანებს — აქ მოულოდნელ და „რისკის შემცველ“ განვითარებას ჰპოვებს. რა თქმა უნდა, 80-იან წლებს არ ახლავს ის დრამატიზმი, რომელიც სტალინის ეპოქას ახასიათებდა, მაგრამ უძრაობის ხანის მიმართ არსებობს მეტად უცნაური — საკუთარი თავის მიმართ სიბრაღის განცდა, ჩვენ ხომ იძულებულნი ვიყავით, ეს ყველაფერი მიგველო როგორც ცვლილებათა პერსპექტივას მოკლებული ფაქტი.

ჯანო ჯიქიძის რომანში უდავოდ იგრძნობა ეს განწყობა და ამიტომაც ეპოქა აქ შედარებით მეორადი მნიშვნელობისაა. პირველადი მანაც ცოცხალი ადამიანური შეგრძნებანია, რომელიც დაძლეულ საშუალებას ამ ეპოქის ესთეტიკა განიცადო და დაინახო ჰუმანისტის თვალთ. მწერლის ჩანაფიქრი, რა თქმა უნდა, უფრო შორსმომავალია და რომანის ღიმილიანი პასაჟების, გამოკვეთილი ტიპაჟის მიღმა მანაც იგრძნობა საბჭოთა ეპოქის მრუემ ანაბეჭდები. რომანის სააზროვნო სივრცეში ორგანულადაა ჩასმული თანამედროვე საქართველო თავისი „პოლიტიკოსებით, პოლიტიკანებითა და პოლიტიკინებით“, კერპთაყვანისმცემლობით, ფრუსტრაციებითა და მათ ფასეულობათა მიმართ დაუდევრობით. „ქალიქალაქის“ სიმბოლიკით, რომელშიც მწერალი „განფიქნება“, სადაც აპირებს „თავისი ნახელავით და ნაჯაფით დაღლილი, კმაყოფილი დადგეს და ღმერთივით გაიზმოროს“.

რომანის ერთ-ერთ თავში, რომელსაც ჰქვია „სოლო: თვითდასმენა“ წერს: „არიან ადამიანები, ვისაც თვითდასმენა აუცილებლად სჭირდებათ: და თუ ამის შანსი არ მიეცათ, ავად ხდებიან. ეს ყველაზე მეტად მწერლებს ეხებათ და მათი ასეთი თხზულებები მომწონს, ვიდრე კლასიკოსების. პირველ პირში მოთხრობილი მირჩევნია მესამე პირში მოთხრობილს“. შეუძლებელია არ დაეთანხმო მწერალს — თვითდასმენა გაცილებით ძნელია. ეს რომანიც „თვითდასმენა“ — ჯანო ჯიქიძის შემოქმედებითი ოსტატობისა და პასუხისმგებლობის მორიგი გამოცდა.

საანალიზოდ რთული რომანი მიმოიხილა **მაია იანტბელიძე**:

— ჯანო ჯიქიძის ეს რომანი ხშირად ნატურალიზმამდე დასული რეალისტურობით, ზოგან დოკუმენტური კადრებით რომ გაკრთება ხოლმე (რითაც კარგად ირგებს მასში ასახულ საბჭოურ რეალობას), გარეგნულად ჟურნალისტურ ქრონიკას მოგვაგონებს და გამოირჩევა მწერლისთვის დამახასიათებელი სარკაზმითა და ირონიით, რომელიც საინტერესოს ხდის თხრობას და არ ანელებს მკითხველის ინტერესს მასში მოთხრობილი მრავალგვარი ამბებისა თუ თავგადასავლებისადმი.

...თამბაქოსა — ასე ჰქვია ფანტასმაგორიულ პერსონაჟს, რომელიც ხანდახან ჩნდება რომანში, როგორც საუკეთესო მეგზური საბჭოთა ეპოქაში მოგონებებით გადანაცვლები სათვის. ესაა თამბაქოს დემონი, ქოსატყუილას ქალაქური მორფოზი. იმ დროის ლოკალში ხომ „ქოსატყუილებით იყო სავსე ქვეყანა... ახლა რო მიდი-მოდიან, თავი კიტრად მოაქვთ, ყველგან ის ქოსატყუილები პირველობდნენ: შესწრებასაც ასწრებდნენ და გამოსწრებასაც, შეძრომასაც დროულად ახერხებდნენ და გამოდრომასაც“. იმდროინდელი უტო-

პიური, მატყუარა იდეოლოგიაც ხომ ძალიან ჰგავდა თამბაქოს კვამლს, რომელიც, ილიასი არ იყო „თვალს ეფარება და მართლჭერეტას უშლის... ხშირად თვალიდან ცრემლსაც გვაყრევენებს ხოლმე“.

უფროსებსაც სჭირდებათ ზღაპარი, როგორც რეალობა, რომელშიც იბრუნებენ სიმშვიდის მომგვრელი სიბრძნის, ბავშვური სისუფთავის, მივიწყებული იდუმალების შეგრძნებას. აქ მათი გაუხეშებული სულები ისევ ოცნების რეჟიმში გადაინაცვლებენ, უიმედობას ცვლის რწმენა იმისა, რომ ყველას თუ ვერა, ზოგიერთ ნატურას მანაც განახორციელებენ და მთარგებენ უხეშ, პრაგმატულ რეალობას, რათა დახვეწონ, სრულქმნან ის. ეს ზღაპრის ის ჯადოსნობაა, რომელსაც მხოლოდ უფროსში მობინადრე ბავშვი გრძნობს და ნამდვილ პატარასავით ლმობიერი, თავისუფალი და უკვე თავისი ასაკიდან გამომდინარე, ზომიერად, „რეალისტურად“ იდეალისტი ხდება.

რომანის მთავარ გმირს, საბჭოთა ჯარის უფროს ლეიტენანტს, ექიმ-სტომატოლოგს რუს ოფიცერთა წრეში უწევს ტრიალი. ომი, როგორც არსებული თუ წარმოსახვითი რეალობა, მძაფრი იყო საბჭოეთისთვის, რომელიც ცხელ თუ ცივ ომებს აწარმოებდა მსოფლიო მასშტაბით. აღიარებული ჭეშმარიტებაა რომ ომები... მშვიდობისათვისაა ხოლმე. „ომი და მშვიდობა... უხსოვარი დროიდან დღემდე ასეთი პინგ-პონგია... საკუთარ თავთან მოიგოს ომი თუ მაგარია. მერე ეომოს სხვებს“.

რომანში კარგადაა გამოძერწილი ომსა და სისხლს მონყურებული, მშვიდობიანობაში უფუნქციოდ დარჩენილ რუს ოფიცერთა სახეები, რომლებიც, როგორც ყველა საბჭოეთის მკვიდრი, იდეოლოგიურ წნეხს განიცდიდნენ და უმომავლონი იყვნენ პარტიულობის გარეშე.

**ინგა მილორაჯაძე** კი განმარტა, რომ მწერალმა სრულიად გახსნილი, თავისუფალი „ნარატივი“ შემოგვთავაზა და შეუნიღბავად, სივრცულ ლოკალში ამოზრდილი დროის არსი ახსნა. ამნარად კი ისტორიული თვალსაზრისით, დრო და სივრცე შემოგვინახა.

არ დააყოვნა მისმა მასშტაბურმა და, შეიძლება ითქვას, თამამმა შეფასებამაც: სლავუტა, გეოგრაფიული პუნქტი ამ რომანიდან, ალუზიურად უილიამ ფოლკნერის იოკნაპატოფასაც გაგვახსენებსო...

სიტყვით გამომსვლელმა ჩვეული ორატორული ხელოვნებით მიმოიხილა ჯანო ჯიქიძის რომანის „ლამაზი პასაჟები“ და დასძინა, რომ დაინტერესებულ მკითხველს უდავოდ ესთეტიკური სიამოვნება ელოდება...

როსტომ ჩხეიძემ აუდიტორიას ნაუკითხა **მაია ჯალიაშვილი** ესეი „თვითდასმენის ვნება“, რადგან შეუძლოდ მყოფ ლიტერატურის კრიტიკოსს თვითონ ვერ მოუხერხდა სიტყვით გამოსულიყო.

ესეიში პუნქტობრივადაა დახასიათებელი მრავალპლანიანი რომანის სიუჟეტური ქარგა. სათაურის შესახებაც შთამბეჭდავი დაკვირვებაა შემოთავაზებული, მაგრამ მასალის გაუჭიანურებლად მონოდებისთვის, ამ შემთხვევაშიც შემცირებულ ვარიანტს უნდა დავჯერდეთ:

**მაია ჯალიაშვილი:**  
— ჯანო ჯიქიძისთვის მხატვრული სამყარო ერთგვარი ზერეალური სივრცეა, რომელში ხეტიალი მას ჭეშმარიტების მოსახელთებლად და საკუთარი მეს შესამეცნებელ გზად ესახება.

ამ რომანში კი ცხოვრება წარმოჩენილია, როგორც კარნავალი, რომელიც ხელს უწყობს გაქცევას საკუთარი თავისაგან. თუმცა ეს გაქცევა ჰგავს ზღაპრის გმირის ნასვლას შინიდან სამყაროს შესაცნობად. ყველა ბოლოს შინ ბრუნდება, საკუთარ თავში, ცხოვრების ტკბილ-მწარე გემონაგემი.

მერე თუ თხრობის ნიჭიც აქვს, სხვას უზიარებს შთაბეჭდილებებს. აქ გვახსენდება მისი მოთხრობიდან „ზეგზეგზე“ ციტატა: „ცოდნას შეიძენ — ცოდვას ჩაიდენ, ცოდვას ჩაიდენ — ცოდნას შეიძენ. ეს იყო ჩემი გეზი და რა თქმა უნდა, გვარიანად ვიყავი აცდენილი პირდაპირ და სწორ მიმართულებას უზენაესისკენ“.

ჩვენი ყურადღება უპირველესად მიიქცია სათაურმა „ფარშევანგის სოლო“, რომლის მნიშვნელობაც ერთგვარად განტოტვილია რომანში ჩართულ სოლოებში. თუ წინათქმასაც სოლოდ მივიჩნევთ, მაშინ 12 გამოვა, რაც სიმბოლურობას მატებს მთლიან მხატვრულ ტექსტს.

პირველ პირში თხრობა ისედაც სოლოს შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ავტორი მაინც ცალკე გამოყოფს სოლოებს, რომლებშიც თავის თვალსაზრისებს გვთავაზობს.

პირველ პირში თხრობა ამბებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს. ავტორიც თავიდანვე არწმუნებს მკითხველს, თუ აქამდე თამბაქოსა (მუზის ორიგინალური ნაირსახეობა) შთაგონებდა გამოგონილ ამბებს, ახლა უიმისოდ გადაწყვიტა თხრობის მდინარის ფონს გასვლა. რომანის კამერტონივითაა სიორენ კირკეგორის მახვილგონივრული დაკვირვება, რომელიც ეპიგრაფადაა გამოტანილი: „ადამიანი ცდილობს გართობის ან მუშაობის საშუალებით შეინარჩუნოს ბუნდოვანება საკუთარი თავის მიმართ“. ამას საინტერესოდ და ხუმრობით განავრცობს ავტორი: რომ ადამიანს კითხვები: „რა, სად, როდის, ვინ, რატომ — ყოფით დონეზე აინტერესებს. აქედან აიღებს პირველ სამს (რა, სად, როდის), მოაწყობს შეჯიბრს და გულს მოიოხებს, თითქოს ვინ და რატომ გადასაგდები იყოს. მამული, ენა, სარწმუნოება, პირადი ღირსება და კერძო საკუთრება მოქალაქისთვის აუცილებელია, მაგრამ პირველი სამი შეიძლება ყველასთვის საერთო იყოს და დანარჩენი ორი შეიძლება სულ არ გააჩნდეს! მერე რა!“

საგულისხმოა მისი დაკვირვებანი პოლიტიკასა და პოლიტიკურ ფიგურებზე.

და ეს ყოველივე კი ქმნის ფსევდოცხოვრების განცდას, ტიციან ტაბიძემ ბალაგანს რომ შეადარა: „ჩემი სამშობლო, საქართველო სხვა თეატრია, / ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატრები, / გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია...“ („ქალდევს ბალაგანი“)...

რომანში ბევრი პერსონაჟია თავიანთი ამბებითა და თავგადასავლებით.

ერთი სიტყვით, ეს რომანი ფერადოვანი ზღაპარივითაა, რომლის კითხვისას იგრძნობთ, რომ ეს ყველაფერი იყო, და დაეთანხმებით ავტორს: „ის იყო, თუ იყო!“ და მაინც: „იყო და არა იყო რა“.

მახვილი მიგნებები არც მიხეილ ანთაძის გამოსვლას ჰკლებია. თვითონაც ფრიად ორიგინალური პროზის ავტორმა ოსტატურად მიმოიხილა ჯანო ჯიქიძის ახალი რომანი:

— „ფარშევანგის სოლოს“ საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში არმიის შესახებ დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანის ანალოგიით, შესაძლოა „გუშინოდეს, დედა!“ ანდა „გული გისკდებოდეს, დედა!“ ჰქონოდა სათაურად.

ავტორის თვითმყოფად ტალანტს ჯერ კიდევ 1990 წელს გავეცანი, როდესაც აღმანახ „სათავე-

ში“, რომლის რედკოლეგიის წევრიც გახლდით, დაიბეჭდა მისი რომანი „ნეოფილე“ — ფენტეზის ჟანრის ერთ-ერთი პირველი ქართული ნიმუში. ფენტეზის ელემენტები არც „ფარშევანგის სოლოს“ აკლია, თუმცაღა რომანის მოქმედება ისეთ რეალურ (ეგებ სიურრეალურ) სივრცეს აღწერს, როგორც რუსის ჯარია.

ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს რუსის ჯარიდან ჩამოსული ჭკუიდან გადასული ბიჭები, ზოგიერთს ფსიქიატრიულში მკურნალობა რომ უწევდა, სულ ცოტა კი სიგიჟე იმით ვლინდებოდა, განუწყვეტლივ, გაუთავებლად რომ ყვებოდნენ ჯარის ამბებს; ტილები, სპირტის სმა, ლოთობა, ჩხუბი, რესტორანში გაპარვა, „ოსობი ოტდელი“, საარმიო ეროტიკა, ოფიცრის ცოლები, პროსტიტუციის სპეციფიკური სახეობა — სამხედრო საქმეებზე ნადირობა, „დედოვშჩინა“, ჩაგვრა, დევნა და დაცინვა, მექრთამეობა, ქურდობა, არმიული შიზოფრენია და ჯოჯოხეთი...

ეს მშვიდობიანობის დროს, თორემ აბა ავლანეთში ნაომრებისთვის მოგესმინათ — ეს სულ სხვა კომპარი იყო... არადა ბიჭებზე ამბობდნენ ხოლმე, ჯარში წავიდეს, კაცი დადგებაო... იმდენი მაგის მთქმელს რა ვუთხარი...

მითუმეტეს, სხვის ომსა და ჯარში წასულ ქართველებზე რომაა საუბარი. („ამისთვის ვიბრძოდით?! — რომანის მთავარი გმირის მამის შეძახილი). რა უნდა ჯიქიძეს იმ არმიიაში, სადაც ისიც ვერ გაურჩევიათ, ჯიქიძეა თუ ტაჯიკიძე... მითუფრო, რომ რუსის ჯარში პიროვნება საერთოდაც არ არსებობს და ეს შესანიშნავადაა რომანში ნაჩვენები.

ამას გარდა რომანმა ბევრ სხვაზეც დამაფიქრა: თუ როგორია რუსული მართლმადიდებლობა; თუ როგორი ნაცარქექიაა რუსის ჯარში მყოფი ქართველი; რომ პაციფიზმს იმპერიული ომი წარმოქმნის, ხოლო პატრიოტული ომის მიმართ პაციფიზმი უბრალოდ სამშობლოს ლალატია, არადა ქართველებს სჩვევიათ — თუ კარგად არ მაცხოვრებთ, იცოდეთ, სამშობლოს გავეყიდო, — ასეთი მუქარა; რომ ქართველი და რუსი ძალიან არ გვანან ერთმანეთს — („У моей жены седлообразная матка“): რომ ჰომოსექსუალიზმი არსად ისე არაა გავრცელებული, როგორც რუსეთში და რომ კარგიც და ცუდიც დღევანდლამდე, თუ რაიმე გვაქვს ევროპული, უშუალოდ ევროპიდან კი არა, ყველაფერი რუსეთის გავლით გვაქვს, რადგან ევროპასთან რუსეთმა დღემდე არ მიგვასუნინა და ვერავინ იტყვის (თუ კოლაბორაციონისტი არ არის), გარყვნილ ევროპას ერთმორწმუნე რუსეთი სჯობსო.

ავტორი ედავება თუ ემასლაათება პოლიტიკოსებს, პოლიტიკანებსა და პოლიტიკინებს, დემაგოგებს, მაკიაველებს და მაკიაჟელებს... თავის თანამემამულეებს — არასრულფასოვნების კომპლექსით (განდიდების მანიით) დაავადებულებს — ესა ვართ, ისა ვართო. არადა არც ცოდნა გვაქვს, არც სიბრძნე სხვაზე მეტი, ათი მცნების დამრღვევ ცოდვებთან შერჩევითი მიდგომა გვაქვს (მაგალითად, ქურდობას მონყალე თვალთ ვუყურებთ). ჰო, კიდევ ის ვიფიქრე რომანის კითხვისას — კაცს თუ ქალები არ უყვარს, იმას არც სამშობლო შეიძლება უყვარდეს-მეთქი, ანუ კდემამოსილი პატრიოტებისა არა მნამს. თუ ქართველებისა არ გვიკვრს, სხვაზე ბრძენ-



ნინო კასრაძე

ბი ვართ და სხვაზე მეტი ვიცი, მაშინ არც რუსისა უნდა გაგვიკვირდეს, მეცოდებით, რუსები რომ არა ხართო, ანდა გერმანელი რომ ამბობდა, ჩემი ბუნდესრასის გარდა ყველა-ნი გასაუფლები ხართო. ეს ყველაფერი ერთიდაიგივეა და ის არის, რუსები მდებრობითი სქესით რომ იტყვიან, ხოლო თუ ერთი ამ უბედურებას დროზე არ მოიშლის, მაშინ მამრობითი რომ არის რუსულში, ის დაემართება.

მომწონს მწერალი, რომელიც მიიჩნევს, რომ არც პოლიტიკოსობა, არც პოლიტიკანობა და არც პოლიტიკინობა (თუ გნებავთ — პოლიტიკინობაც) მწერლის საქმე არ არის. მეც მგონია, რომ მწერალს პოლიტიკა არ უნდება, თუ გნებავთ, ლევ ტოლსტოის თამადაობით. ძლიერ არაპროგნოზირებადი ამბავია — დღეს რომ მხსნელი და მესია გგონია ჰიტლერი, ხვალ ყაჩალი და სამშობლოს დამაქცევარი აღმოჩნდება. მომწონს მწერალი, რომელიც ხელისუფალს აკრიტიკებს (კრიტიკული რეალიზმი), ოღონდაც ფრთხილად უნდა იყოს, რომ ერთი პოლიტიკოსის კრიტიკა მეორის ჰანგზე საამებლად აყოლებულ კრიმანჭულს არ დაემსგავსოს.

ძალიან მომწონს რომანის ერთი პერსონაჟი — იმერელი „იგროკი“, თხასთან კამათლის თამაშში განაფული. ასეთები ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოსაც გაუგორებენ ყომაღს. ამიტომ რომანის ერთ-ერთ რეფერენს ქვიშის შესახებ ქართული ანდაზით შევხებია — წყალნი ნავლენ და ნამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

„ვარიაციები თემაზე: „ფარშევანგის სოლო“ — ასე დაასათაურა **ნინო ბაქანიძე** თავისი საინტერესო სიტყვა:

— ავტობიოგრაფიულ რომანში „ფარშევანგის სოლო“ (რომლის ქვესათაურიც სწორედ „ომი თუ მშვიდობა“ გახლავთ) ჯანო ჯიქიძე ამგვარ მოსაზრებას გამოთქვამს: „ეტყობა, განვითარების პარალელურად გადაგვარების მექანიზმიც ძვეს ადამიანის პიროვნებაში. თუ გონება ფხიზელია და სული — ჯანსაღი, გადაგვარების მექანიზმი გამორთულია და პიროვნება უკეთესისაკენ ვითარდება. ის არამარტო საკუთარი თავისთვის არის სასარგებლო, არამედ (მაპატიეთ, მაღალფარდოვნებისათვის) საზოგადოდ ქვეყნისათვის, გნებავთ — კაცობრიობისათვის“.

კითხულობ რომანს და უმაღლეს რწმუნდები, რომ სწორედ ამგვარ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება თვითონ ავტორი, ცნობილი ექიმი და მწერალი ჯანო ჯიქიძე. აღწერს რა პირად თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მტკივნეულ მოვლენებს, იმავდროულად მთხრობელიც არის და დამკვირვებელიც. როგორც მთხრობელი, სავსებით გულწრფელია, გახსნილია, მისივე ტერმინი რომ მოვიხმობთ, „თვითდამსმენი“. როგორც დამკვირვებელი — უკომპრომისო, პირდაპირი, ხშირად — ირონიული და თვითირონიულიც.

ავტორი გამუდმებით ძიებს პროცესშია. რწმენითა და სიმართლით აღსავსეს შეუძლია (რეალური საფრთხის მიუხედავად) გაყინული ტბა გადაიაროს. დიახ, ეს გენისარეთის ტბა ვერ იქნება, „თუმცა რწმენა გაყინული ტბის ზედაპირზე სვლის დროსაც საჭიროა“. მას შეუძლია მოშლილი ონკანის შიშინ-თახთახი ერთ ბგერაზე დაიყვანოს, ლილინ-ლილინით მეორე ხმა შეუნყოს და ამგვარად განიცადოს „ჰარმონიის მომენტი“.

საინტერესოა, რომ ნაწარმოებში მაღალსტატურად შესრულებული თერთმეტი სოლოა ჩართული, მაგრამ ვერსად შეხვდებით რომანის სათაურად გამოტანილ „ფარშევანგის სოლოს“. ტექსტში ფარშევანგი საერთოდ არ ფიგურირებს (აი, ყვავები კი დიდი რაოდენობითაა, ისიც — შალახოს ფონზე). ფარშევანგი მხოლოდ ერთხელაა გაკვრით ნახსენები ვეტექიმთან საუბრის დროს. ეს ქალბატონი სსრკ-ს ზოოპარკს ამგვანებს: „თავისუფლება უნდა იყოს ზოოპარკს გარეთ და თუ მიგნით შემოაღწია, სასიკეთოდ არ

იმოქმედებს... ყველა გალიის კარი თუ გააღე, ცხოველები ერთმანეთს დაერევიან, ფრინველები კი გაფრინდებიან... მინდოდა მეკითხა, ფარშევანგს რა ბედი ენევა-მეთქი, მაგრამ ვეტექიმი არ მისმენდა, თავისთვის ჩურჩულებდა...“ სულ ეს არის. ჩვენ კი ფარშევანგის (უფრო ზუსტად — ფარშევანგის სიმბოლოს) აღწერა-დახასიათებას თუ მაინც შევეცდებით, ვნახავთ, რომ ეს სიმბოლოც სანინაალმდეგო პოლუსებს მოიცავს საკუთარ ნიაღში: ფრინველია, მაგრამ არ ფრენს, ულამაზესია, მაგრამ ერთობ უსიამოვნო ხმა აქვს. ცხადია, დამოუკიდებლად ფრენა არც ადამიანს შეუძლია, სამაგიეროდ, ძლიერი წარმოსახვისა და გახსენება-მონატრების ძალით ადამიანი (ამ შემთხვევაში — ავტორი) ინტერნეტშიც კი ახერხებს „გუგლს“ გადაუფრინოს და ძველი, ნაცნობი ადგილები მოიხილოს. ბატონი ჯანო საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს სლაუტაში გატარებულ წლებს, იმ ტრაგიკომიკურ სიტუაციებს, რომელშიც არაერთხელ აღმოჩენილა.

ტრაგიკომიკურ სიტუაციებში კი ჩვენი ავტორი მართლაც არაერთხელ აღმოჩნდება. ორწლიან სამხედრო სამსახურში მყოფი ექიმი-მწერალი მკითხველის თვალწინ რეალურად არსებულ პერსონაჟთა მთელ არმიას ჩაატარებს.

ავტორი მხატვრულ ტექსტს იმგვარ დინამიურობასა და სიცინცხალეს ანიჭებს, რომ სოლიდური მოცულობის მიუხედავად, გენანება კიდევ კითხვის დასრულება. ამგვარი შეგარძნება, მეორე მხრივ, სწორედ მწერლის მაღალსტატობაზე მეტყველებს.

„ფარშევანგის სოლო“ მთავრდება, მაგრამ მწერლის შემოქმედებითი ძიების გზები გრძელდება. ეს გზებიც აღარაა, ეს უკვე ზეგზებია, რომელზეც რწმენითა და სიმართლით მიაბიჯებს ჯანო ჯიქიძე, ნესრიგისა და ჰარმონიის მაძიებელი მწერალი.

რასაკვირველია დაისვა შეკითხვებიც: საჯარო სკოლის ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **ლია მიქაძე** მწერალს ქობულეთურ შთაბეჭდილებებზე გაამახვილებინა ყურადღება. პასუხად მეოთხედი საუკუნის წინანდელი; ქაოსური ჟამის ცოდვა-მადლით დამძიმებული, მაგრამ მაინც რომანტიკულ-ხალისიანი ამბები გაიხსენა ჯანო ჯიქიძემ, თუმცა მორიდებულად ცნობისმოყვარე ქალბატონს ჩაეძია და მაინც გაამხელინა, რომ ჯერ წაკითხული არა ჰქონდა რომანი. სამაგიეროდ დაჰპირდა, ავტოგრაფით მიანოდებდა საჩუქრად...

აქვე გვერდს ვერ ავუვლით ბატონ **პაატა ჩიქოვანის** ისრებივით დამიზნებულ ჩამჭრელ შეკითხვებს. ლამის შეუპოვარი ოპონენტობა ხომ აიჩემა, აღმოჩნდა, რომ რომანისთვის თვლი მასაც ვერ გადავლო, რამაც ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, **თეიმურაზ სორხიშვილის** სამართლიანი გულისწყრომაც გამოიწვია... და აი, აქ უკვე სულხან-საბას ლიმილისმომგვრელი ერთ-ერთი იგავიც გაგახსენდებოდათ... ერთი სიტყვით, იმ წუთებში „რამაზანი“ მართლა არ დანყებულა, მაგრამ ღონისძიება დასასრულს მიუახლოვდა და როგორც ხდება ხოლმე უმეტესწილად, მასპინძლის მონადინებით, „მრისხანების ღველფი განიბნა“...

დაბოლოს, ჯანო ჯიქიძემ გულითადი სიტყვაც არ დაახანა:

— მადლობა ყველას აქ მობრძანებისთვის. გადაჭარბების გარეშე ჩემთვის ეს გარემო ყოველთვის და დღესაც არის მეტად სასიამოვნო. გვყავს სასურველი მასპინძელი. მითქვამს სხვა დროსაც მის გარეშე: ცოლშვილიანი რომ არ იყოს, ვიფიქრებდი ლიტერატურაზე შენირული კაცია-მეთქი.

...„ჩვენი მწერლობის“ რედაქციისა და სალონის სახით გვაქვს წიგნიერების კუნძული, სადაც ყველაფერი სანდოა ანუ არის საიმედო ხელში.

როსტომ ჩხეიძე

# მწერალი პერსონაჟის გარსში

(ნოდარ წულეისკირის  
წარაქვეული ოცნახული)

— გროზოდან ჩამოსვლისთანავე შვილმა, ირმამ წერაქვეში ამომიყვანა — აქედან იწყება ჩემი პანტივად გარდასახვა.

ამა თუ იმ ქვეყნისა და ეპოქის მწერალი არაერთხელ შერწყმია საკუთარ პერსონაჟს მხატვრულ წარმოსახვაში, თუმცა უფრო ნაკლებ — ყოფით სინამდვილეში, მაგრამ ესეც მომხდარა, განა არა, შემოქმედს წინასწარჭვრეტის წყალობით თუ ქვეშევსევად რომ უგრძობია თავისი მომავალი ბედი.

და ნოდარ წულეისკირსაც ნეტა თავიდანვე უკარნახებდა იდუმალი ხმა, ოდესმე შენს პერსონაჟად გარდასახები?

მიხეილ ჯავახიშვილს პირადი ტრაგედია გამოაქცევდა წერაქვიდან — დასა და დედას სადაც დაუხოცავდნენ, იქ სულიერ სიმშვიდეს კი არა, წონასწორობასაც ვეღარ ვპოვებდა.

ნოდარ წულეისკირს პირადი ტრაგედია გააქცევდა წერაქვეში — ეროვნულ ხელისუფლებას სადაც დაუმხოვდნენ და ქვეყნის პრეზიდენტს ჯერ განდევნიდნენ და შემდეგ სულაც სასიკვდილოდ განირავდნენ, იმ თბილისში სულიერ სიმშვიდეს კი არა, წონასწორობასაც ვეღარ ვპოვებდა.

და წერაქვი ასე მოულოდნელად აღმოჩნდებოდა მწერლის თავშესაფარი — ერთი მწერლის დამკარგავი მეორის მასპინძელი მაინც... ოღონდ ისეთი პროზაიკოსის, ვინც ამ სახელს წარსული მოღვაწეობით უფრო ატარებდა, თორემ ისე ავად შემობრუნებოდა ბედისწერა, ამიერიდან ეუღლსა და უარყოფილ ტვირთად უნდა ეზიდა დაუნერელი, მკვდრადშობილი პერსონაჟებისა და გმირების სახეები.

ჩემი მხრივ უთუოდ მოვერიდებოდი ამ ეპითეტს — მკვდრადშობილი — თვითონ რომ არ ამოთქვამდეს უღრმესი ტკივილით.

სოფლის სკოლის მასწავლებლისათვის მწერლობაც უკვე დასრულებულიყო და სიცოცხლეს 1992 წლიდან.

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ იყო, ზვიად გამსახურდია კულტურის მინისტრობას რომ შესთავაზებდა, ამას ემძიმებოდა ეს თანამდებობა და, უარს რომ მოახსენებდა, თავს ამით იმართლებდა:

— მწერალი ვარ, ჩემი საქმე მაქვს, არ შემიძლია.

და გაიცილებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი:

— გოეთე ფინანსთა მინისტრი იყო, შენ რა ისეთი მწერალი ხარ, უარს რომ მეუბნები!

ახლა კი...

— რა უნდა დამეწერა, ვისთვის უნდა დამეწერა? მათთვის, ვინც ტყვია მესროლა?

პანტივად გარდასახულიყო.

თუმცა ახლა კი არა — პანტივად ცაავა გახლდათ იმთავითვე, რაც ეს პერსონაჟი ჩაიფიქრა და „დავით აღმაშენებლის ქვა“ მისი სახის ირგვლივ აავსო სიუჟეტად. საკუთარ თავს გამოხატავდა და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შეგნებულად მოხდა ეს თუ ქვეშევსევად. თავის სულს აქსოვდა მის არსებაში, თავის ფიქრსა და განცდას უშურველად ჩუქნიდა და თავისი ბიოგრაფიული დეტალებიც სიმბოლურად გააზრებული შეჰქონდა მის თავგადასავალში.

და თურმე ცხოვრების გარეგნული წესითაც უნდა დამსგავსებოდა თავის გმირს — მართლა გამხდარიყო სოფლის მასწავლებელი და სამუდამოდ შერწყმოდა ამ კოლორიტულ პერსონაჟს, რათა მხოლოდ ასე მოეშუშებინა ის იარები, რომლებიც არ ჩანს, მაგრამ მათი გადატანა მარტოობაში თუა შესაძლებელი.

ამუშავებდა მინას საკარმიდამო ნაკვეთზე, მოჰყავდა მოსავალი და მარტო რჩებოდა წლების განმავლობაში.

— ბუნებას, მასთან შერწყმის უნარი თუ გაგაჩნია, ადამიანის გაცოცხლება ძალუძს. წელი წელს მიყვებოდა, სეზონი სეზონს, თანდათანობით მოკვდა ჩემში მწერალი, ცოცხლობდა პანტივად.

ეს არ იყო სახალისო, თამაშ-თამაშა შრომა, მართლა უნდა გარჯილიყო და ეგრძნო შრომის დამქანცველობაც და ისიც, თუ რას განიცდიდა ვაჟა-ფშაველა, მინას რომ შეებოდა — არც იმას რჩებოდა სინანულისა თუ სასონარკვეთის დრო და გამოკიდებულიყო ცისა და მიწის ამარა.

ნოდარ წულეისკირის ცნობიერებაში კი ხელშესახებად ჩნდებოდა თავისი მხარის ნოსტალგია, თავსხმა წვიმასა და სინესტემში მაინც განსაკუთრებით აფორიაქდებოდნენ ხოლმე ყრმობისა და ახალგაზრდობის მოგონებანი და თითქოს თვალნათლივ ხედავდა თავის ბავშვურ გატაცებასაც.

მაინც რას შეეძრა ყველაზე მეტად მისი გული და რას აღეცა ასერიგად, სიბერეში შესულს ერთ ყველაზე ნათელ სურათად რომ გადაშლოდა გონების მზერის წინაშე?

რას და: შაშვის ბარტყების დარაჯობას.

ვის რა საქმე გასჩენია ბავშვობაში თავისებურ თამაშად, ამას კი — ეს, ასეთი უჩვეულო და მოულოდნელი.

ახალმედილიწი და მოზრდილი ბუნებში რომ ვეღარ ეტეოდნენ და ხშირად ვარდებოდნენ იქიდან, ასეთი ბარტყი განწირული გახლდათ — ან კატას უნდა შეესანსლა, ანდა რომელიმე სხვა მტაცებლის მსხვერპლი გამხდარიყო. პატარა ნოდარი კი ამოიჩემებდა განწირული ბარტყის გადარჩენას — ნაიყვანდა შინ და ზრდიდა, უჭერდა კალიებს, აღიწერებდა და თვალს ადევნებდა, მოყოლაზე უფრო ნელ-ნელა როგორ იწყებდნენ ფრენას, ჯერ მცირე მანძილზე რომ დაფრთხილებდნენ, ვიდრე გაშლიდნენ ნახშირივით შავ, უკვე საკმაოდ მოზრდილ ფრთებს და აიჭრებოდნენ ზეცაში.

მოშინაურებულს, ცხადია, სახელიც უნდა რქმეოდა და, როგორც წესი, შოშიტას არქმევდა.

დიდი მოვლა-პატრონობისა და ზრუნვის მიუხედავად, მაინც ხშირად ეხოცებოდა?

მაგრამ რამდენიმე შოშიტას ხომ მაინც გაზრდიდა.

და ახლაც შოშიტების გაზრდის პროცესი უნდელდება გულსაც და ჰმატებდა ძალასაც და სიმხნევესაც, რათა მინას მიჯაჭვოდა ისე, როგორც ამ მიჯაჭვის წესია.

თუ რას განიცდიდა ვაჟა-ფშაველა, მინას რომ შეებოდაო... ეგაა, იმას აქეთ-იქიდან მისეოდნენ თავისი პერსონაჟები და არ აცლიდნენ გულმშვიდად გარჯას, უეცრად რომ მიჰყრიდა ცელსა თუ ბარს და კალამ-ფურცლის ასაღებად გამოეჩქარებოდა, რათა წერაში ჩაფლულს ახლა წუთისოფლის ქარის შემადრწუნებელი სისინი ეგრძნო და კვლავ მინას მივარდნოდა ჟინით ანთებული.

ნოდარ წულეისკირს აღარ ანუხებდნენ თავისი პერსონაჟები — ყოველ შემთხვევაში ისე აღარ, სამუშაო იარაღები რომ მიეყარა.

კიდევ კარგი, რაღაც ახალი ნაკადი რომ დაიძვროდა მის სულში — პანტივად გარდასახვა და ბავშვებთან ურთიერთობა სხვა სიყვარულის მარცვალს გააღვივებდა მასში.

ფურნალისტიკისათვის ეგზოტიკურ არსებად გადაიქცეოდა და ხან ვინ ჰკითხავდა და ხანაც ვინ: რატომ მიატოვეთ მწერლობა, ქალაქს რატომ გაერიდეთ?..

და ამას უკვირდა, ნეტა რატომ ჩამცივებია, ნუთუ თავისით ვერ უნდა მიხვდნენ, რომ საზოგადო მოღვაწე ნოდარ წულეისკირმა რაც შეეძლო, ყველაფერი იღონა, მწერალმაც იქამდე იშრომა, ვიდრე მიაჩნდა, ჩემი წვალბა ფუჭი არ არისო.

ტყვიის მიღების შემდეგ კი უნდა დაესრულებინა და კიდევ დაასრულებდა ცხოვრებას, რომლითაც მანამდე ცხოვრობდა, და დაიწყებდა ახალს — იპოვინდა ადგილს, სადაც საჭირო იყო.

ვისთვის უნდა დამენერა, მათთვის, ვინც ტყვია მესროლაო?... ბოლოს ხუთნი გამოვიდოდნენ იმ ეგრეთწოდებულ ბუნკერიდან: ძმები პეტრიაშვილები, მარნეულის იმდროინდელი გამგებელი, ერთი ქალბატონი და ნოდარ წულეისკირი.

— უნდა გავქცეულიყავით თბილისიდან, მაგრამ საით, არ ვიცოდით.

ცენტრალურ ქუჩებს მშვიდობიანად გაივლიდნენ, მიუახლოვდებოდნენ თბილისის გარეუბანს და... აი, იქ უკვე ტყვიები დაადევნებდნენ.

ქალი ერთ ოჯახს შეაფარებდა თავს, ესენი კი გზას გააგრძელებდნენ და ტყვიებიც თან გამოჰყვებოდათ, სიბნელეში ცეცხლის ნაპერწკლებით რომ რიალებდნენ ჰაერში.

ტყვიების ზუზუნში ქალაქის შემოგარენიც რომ გამოჩნდებოდა და დანარჩენები გადანწყვტდნენ: ეს მთა გადავიაროთო, — ნოდარ წულეისკირი განუცხადებდათ:

— უჩემოდ ნადით, მეტი აღარ შემიძლია, ჩემიანებთან შინ გავბრუნდები, მომკლავენ და მომკლან.

და კიდევ ამოეფარებოდა რალაც ნაგებობის კედელს და დაელოდებოდა ცეცხლოვანი ტყვიების ჩაწყვტვას. დიდხანს კი მოუწევდა მოცდა, მაგრამ სხვა რა უნდა ელონა... ცოტა ხანში კი შემოიღო და განწირული კვილით ვილაცის ლანდი გაივლებდა მის თვალწინ: იქ კაცები ჩაცხრილეს! ჩაცხრილესო!..

ეს გახევებული იდგებოდა და მთელ სხეულში სიმწარე დაუვლიდა იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძლოა მისი მეგობრები ჩაცხრილათ. ამასობაში კიდევ იცისკრებდა. და ეს თავისი ბინისაკენ რომ გამოსწევდა, არავის და აღარაფერს მოერიდებოდა — თუ მსროლელი გამოჩნდებოდა, ვერ ნაუვიდოდა და აღარც ანალელებდა.

და შინ კი მიალწევდა ცოცხალი, მაგრამ მიხვდებოდა, რომ აქედან გადახვეწის გარდა სხვა გზა აღარ დარჩენოდა.

და დედაქალაქსა და მწერლობას ერთად გამოეთხოვებოდა გუნებაში.

თუ რაიმეს დანერდა, წერილებს საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ტრანსპორტის მინისტრის, მარნეულის რაიონის გამგებლის, „ლია საზოგადოება-საქართველოსა“ თუ რედაქციის სახელზე, და ყველას — მართოდენ წერაქვის სკოლის გადასარჩენად და მისი ყოფის გასაუმჯობესებლად... და კიდევ რეცენზიას აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიულ რომანზე გრიგოლ რობაქიძის შესახებ — „კარდუ“, რომლის ანალიზიც პირწმინდად ლიტერატურული არ იქნებოდა და პოლიტიკურ პამფლეტსაც ამიტომ დაემგვანებოდა, მითუმეტეს, მისი შთამავლებელი გახლდათ არა იმდენად სამწერლო ინტერესი, რამდენადაც ნოსტალგია იმ მძაფრი ჭიდილით აღბეჭდილი დროისა, როდესაც ეს ორნი თავგანწირვით უპირისპირდებოდნენ იმჟამად ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს ქართული ენის სახელმწიფოებრივი უფლების გადასარჩენად.

და კიდევ ამოიზიდებოდა ხსოვნის კუნჭულიდან ტრიბუნაზე აღმართული აკაკი ბაქრაძის სახე და ის დაუფიქრებელი სიტყვები: თუ არ შეგვიძლია შევცვალოთ კრემლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქართული ენისათვის კონსტიტუციური უფლების ჩამორთმევის თაობაზე, ის მაინც შეგვიძლია, რომ უარვყოთ ეს კონსტიტუცია. ამით ჩვენ მართლები იქნებით შთამომავლების წინაშე, გავაგებიანებთ ჩვენს ხალხს, რომ ქართული მწერლობა მკვდარი არ არის და ქართულ ენას არაფრისდიდებით არ დათმობსო.

ახლაც ყურში ედგა, აკაკი ბაქრაძის ჩამოსვლას ტრიბუნიდან რამხელა ტაშისცემა მოჰყვებოდა — კინაღამ დაინგრეოდა დარბაზი. და ამ გადასახედიდან როგორ არ დაედასტურებინა კიდევ ერთხელ, რომ იმ დღეს ყველა მწერალი გრაალის მცველი იყო და კიდევ ამიტომ გადაარჩინეს გრაალი!..

იმ რეცენზიას სუსხიან იანვარში წერდა, მუხლამდე თოვლი რომ იდო და მოძრაობა თითქმის შეწყვეტილიყო. და ასეთ დროს უეცრად უნდა გამოცხადებოდა ახალგაზრდა ქალი და

მისთვის წინ დაედო ქალაღების სქელი დასტა — პირველი გვერდი თხოვნა-წერილი იყო, დანარჩენი — ხელმოწერები. ხელმომწერები ითხოვდნენ აკაკი ბაქრაძის გადასვენებას მთაწმინდაზე. და ამას სხვა რა შეიძლება გაეფიქრებინა, თუ არა: ჩემი მეგობრის მიერ გადაგებული კეთილი თესლი ნოციერ ნიადაგში ჩაფლულაო!..

და ფიქრს ფიქრი მიედევნებოდა: არ არის ყველაფერი დაკარგული, იმედი და რწმენა მართლა გადარჩენილა, მერე რა, რომ პატრიოტები სულს ლაფავენ და კოსმოპოლიტები ზეიმობენ. მოვა დრო და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამათ — მოულოდნელ სტუმარსა და სხვა ხელისმომწერთ — უნდათ. დრო მოიტანს ამას, მთავარია, შევინარჩუნოთ გამძლეობა და გადავარჩინოთ რწმენა-იმედი, სწორედ რობაქიძისეული გრაალიო.

მოგვიანო მინაწერი მხოლოდ ამ რეცენზიას არ მიედევნებოდა, სხვა თხოვნა-წერილებსაც დაერთვოდა, რაკილა გამომცემლობა „ინტელექტი“ აიძულებდა — სწორედაც აიძულებდა — „ჩანაწერების“ სერიისათვის მასაც, მწერლობას ჩამომორეზულ ნოდარ წულეისკირსაც შეემატებინა თავისი წილი თხზულება და ასე შემობრუნებულიყო სალიტერატურო ასპარეზზე.

ის დოკუმენტები არამარტო ერთი სოფლის სკოლის, არამედ მთელი იმ მხარის ყოფით ცხოვრებასაც რომ აირეკლავდა და მინაწერები ამ რეალობას კიდევ უფრო ცხადლივ წარმოსახავდა, არაერთი ნაფიქრიც გადაინაცვლებდა ფურცელზე და ასე შეიქმნებოდა არცთუ მოზრდილი, მაგრამ საკმაოდ ტევადი წიგნი „ოცი წელი წერაქვში“, როგორც მწერლის სულიერი ბიოგრაფიის დოკუმენტი და ქვეყნის ისტორიული ცხოვრების ქრონიკა — იმ მიუკერძოებლობით აღბეჭდილი, რაც მოსალოდნელი გახლდათ ნოდარ წულეისკირის დარი ღირსეული პიროვნებისაგან.

როდესაც ნაწული შევარდნაძე ესტუმრებოდა წერაქვს და თავს გამოიდებდა ამ სოფლისთვისაც და მისი სკოლისთვისაც, პირველი ლედის პატივსაცემად გამართულ სუფრას ნოდარ წულეისკირი უთამაძებდა და, მადლობას რომ მოახსენებდა სიკეთის გაღებისათვის, ვერ მოითმენდა და დასძინდა:

— ჩემს პოლიტიკურ პოზიციას სიცოცხლის ბოლომდე მაინც არ და ვერ შევიცვლი.

ამ სიტყვებზე სტუმრის ამაღ შეიმუშუნებოდა, მაგრამ შემუშუნება და შეჩქვიფება მერე უნდა გენახათ, როდესაც ქალბატონი ნაწული თამადას ასეთ პასუხს დაუბრუნებდა:

— ბატონო ნოდარ, თქვენნაირი ერთგული თანამებრძოლი ჩემს მეუღლეს ერთი მაინც რომ ჰყავდეს, მასზე აღარ ვინერვიულებდი.

რაოდენ გულსაკლავი ამონათქვამია: ერთი მაინცო...

მართლა ერთგული ადამიანი ენატრებოდა, თორემ ასეთი ფრაზები მასაც არაერთი მოესმინა, თუნდ წერაქვში ახლა უკვე ედუარდ შევარდნაძის სტუმრობისას იზა ორჯონიკიძე ძალიან რომ გამოიდებდა თავს:

— შენთვის ტყვიას შევუშვებ შუბლს.

თუმც მის მღელვარებას იქვე ჩააშოშმინებდა ჯანსუღ ჩარკვიანის მახვილი ფრაზა:

— რა ვიცი, შევარდნაძეზე ტერორისტული თავდასხმა უკვე ორჯერ განხორციელდა, მაგრამ შენ იქ არ დამინახიხარ.

ამ სტუმრობისას პრეზიდენტი თან რომ იახლებდა თბილისის თითქმის მთელ ინტელიგენციასა და დიდ დაცვას, ნოდარ წულეისკირისათვის ეს ხომ ის ადამიანები იყვნენ, ტყვია ვისაც დაეწმინა მისთვის.

სხვა შემთხვევაში გაერიდებოდა აქაურობას და მაღალ სტუმარს სათოფეზედაც არ გაეკარებოდა, თუკი ეცოდინებოდა, სიტყვის თქმის უფლებას არავინ მომცემსო, ხოლო თუ საჯაროდ გამოსვლის იმედი გაუჩნდებოდა, ისეთივე მკაცრი იქნებოდა მისი გამოსვლა ედუარდ შევარდნაძის წინაშე, როგორც სჩვეოდა და აკი ისე გაეგულისებინა იმ მწარედ მოსაგონარ 70-იან წლებში, „მონაწილის“ გადაღებისას თენგიზ აბულაძეს თვითონვე შესთავაზებდა ნოდარ წულეისკირი — ფილმი რომ არ დაბრკოლდეს, ტიტრებში ჩემს სახელს ნუ მოიხსენიებო.

არადა, „მონანიება“ მისი იმ სიუჟეტით შთაგონებულიყო (ცოდვილი მიცვალებულის ამოთხრა საფლავიდან), რომანს რომ დაედებოდა საფუძვლად — „აფთრებს“, რომლის პირველი ნაწილიც 1997 წელს... ედუარდ შევარდნაძის ფონდის წყალობით გამოიცემოდა, თანაც მანამდე საქართველოს მეორე პრეზიდენტი უცხოელ კორესპონდენტთან საუბრისას „მონანიების“ სცენარის ერთ-ერთ ავტორად ნოდარ წულეისკირს დაასახელებდა.

არადა, იმ შემზარავი და ფილმისთვისაც ასერიგად შთაბეჭდავი სიუჟეტური ქარგის მიმგნების გასაიდუმლოება დროის გადასახედიდან კომიკურიც რომ გამოჩნდებოდა, მწერლის უბის წიგნაკის ჩანაწერებითაც დასტურდება.

თუ იკრიბებოდნენ თენგიზ აბულაძესთან, ეს ხდებოდა უსათუოდ ღამით და იმ ოთახში არ სხდებოდნენ, ტელეფონი სადაც იდგა. ხოლო როდესაც რეჟისორი სტუმრობდა ხილიანის ქუჩაზე, ბინაში საერთოდ არ შედიოდა: აქ ყველაფერი ჩართულიაო, — ჩუმად გაჰყავდა შინიდან და „მზიურში“ ჩადიოდნენ, მოძებნიდნენ მყუდრო, უკაცრიელ კუთხეს და იქ არჩევდნენ ეპიზოდებს სცენარისათვის. უმთავრესად ემინოდათ ალექსი ინაურისა და საერთოდ უმისროვების კომიტეტის, რომელთანაც ნოდარ წულეისკირს ისედაც გართულებოდა მდგომარეობა, და ერთხელ მისთვის მძიმე საგანიც ჩაერთყათ თავში და გაეფრთხილებინათ: ვინმესთან თუ წამოგცდებოდა, უარესს ელოდეთ. ეს კი, ვინმესთან კი არა, სულაც მწერალთა სასახლეში გამართულ თავყრილობაზე მოყვებოდა ამ ამბავს და გულმშვიდად დაელოდებოდა მუქარის აღსრულებას.

ამჯერად კი შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდებოდა — ფილმს ორჯერ დააპატიმრებდნენ. მანამდე კი კინოსტუდიის დირექტორის მოადგილესთან დარეკავდნენ „იქიდან“: რა უნდა ნოდარ წულეისკირს თენგიზ აბულაძესთანო. და რაკილა მალული შეხვედრებიც ჭირდა, რეჟისორი გადაწყვეტდა, რომ ფილმს ბევრი ავტორი ჰყოლოდა — ასე შეუერთდებოდათ ჯერ მისი რძალი, თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი ნანა ჯანელიძე („სადიპლომო სჭირდება და ბარემ ჩვენთან შეასრულოს ეს სამუშაო“), შემდეგ კი რეზო კვეციელავაც, გამოცდილი კინოსცენარისტი.


ფილმის პირველავტორები კი საზოგადოებაში ერთმანეთს არ ესალმებოდნენ. ერთხელ ერთად მოხვდებოდნენ პანაშვიდზე და ვითომ ერთიმეორეს არ იცნობდნენ, ცალ-ცალკე იდგებოდნენ. ეს შეატყობდა თენგიზს მოუსვენრობას — წამდაუნწმ რომ აუფელ-ჩაუფელიდა. იფიქრებდა: ალბათ რაღაცის თქმა უნდაო, — და გაყვებოდა. როგორც კი დაიმართლებოდა, რეჟისორი გაუწყობდა: განიშნებ თვალთ, თავით, როგორ ვერ ხვდები, რომ შენთან შეხვედრა მინდაო.

როდესაც ფილმს ჩაუშვებდნენ, ნოდარს ჰონორარს როგორ გამოუწერდნენ, როდესაც არსად, არცერთ დოკუმენტში მისი გვარ-სახელი არ ჩანდა? მოხერხდებოდა ისე, რომ ჰონორარი აკაკი ბაქრაძის ხელით გამოეგზავნათ, ხოლო გადაღების პროცესშიც რომ უნდა ემუშავა სცენარზე, ლეილა გორდელაძის ფილმზე გააფორმებდნენ რედაქტორად და ხელფასს ამ გზით მისცემდნენ.

\*\*\*

იმდროინდელი ნოდარ წულეისკირის ზოგადი, ზუსტი შტრიხებით გამოკვეთილი ლაკონიური პორტრეტი ასე შემორჩებოდა რეზო ჭეიშვილის დღიურებს, 1983 წლის 6 აპრილს რომ ჩაინიშნავდა მასთან შეხვედრას კინოსტუდიაში:

— რას აკეთებს, აღარ ვეკითხები. წავიყვან თქვა, მანქანა შევთავაზე იმ დღეს, არ ჩამიჯდა, გზას არ გაგიმრუდებო. მარტოხელა, გარიყული მგელივითაა. დიდი პორტფელით და აბიჯებს სრულიად მარტო. ხვალ ხარებააო...



აქაც კი, მილიონიან ქალაქში მარტოხელა და გარიყულ მგელს დამსგავსებია და ყველასაგან მივინყებულ სოფელში რაღა გასაკვირია მისი ის ამოკეცვა საკუთარ თავში...

\*\*\*

„მონანიება“ მისი სიუჟეტით შთაგონებულიყო...

თენგიზ აბულაძეს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, უკვე გაამჟღავნებდა ფილმის ანონიმი ავტორის ვინაობასაც.

ეს დავიდარაბა არ მოხდებოდა, ედუარდ შევარდნაძეს ამომიზნებელი რომ არა ჰყოლოდა ნოდარ წულეისკირი, და ახლა რარიგ შემოტრიალებულიყო წუთისოფელი, რომ საქართველოს მეორე პრეზიდენტთან მიწერილი წერილი ბევრ სასიკეთო სიახლეს მოუტანდა სკოლას, რომელსაც უპირველესად მაინც ავტობუსი ესაჭიროებოდა, რადგანაც ძველი ავტობუსი თანდათან ჯართად გადაქცეულიყო და სექტემბრიდან პედაგოგები უკვე ვეღარ ივლიდნენ თბილისიდან წერაქვში. ასეთი უმნიშვნელო საკითხისათვის ღირდა განა პრეზიდენტის შეწუხება? თურმე აუცილებელიც გახლდათ, რადგან მის ჩაურევლად ესეც კი ვერ მოგვარდებოდა, ახლა კი სკოლასაც უნდა ამოესუნთქა, სოფელსაც და მთელ მხარესაც.

— ბატონო პრეზიდენტო, სულიერ უდაბნოში 65 წლის მწერალს ხელში თობი მიჭირავს ჩემს მონაფებთან, მათ მშობლებთან ერთად, ვთოხნი სამ ჰექტარ მიწას, ეგებ სიმინდი მოვიყვანო, მერე ის გავყიდო და ბავშვებს წიგნები ვუყიდო, სკოლას სახურავი გამოვუცვალო და ა.შ. ყველაფერ ამას ჩვენ ავითანთ, ოღონდ ის მასწავლებლები, რომლებიც ასეთი დავიდარაბით ჩამოვიყვანეთ თბილისიდან, ისეც არ დაგვეფანტონ.

ამ ბარათს ჯავახიშვილობის გრანდიოზული ზეიმი რომ მოჰყვებოდა, ამას გარდა პრეზიდენტი სკოლას გადასცემდა 10 000 ლარს, რისი მეშვეობითაც ტრაქტორს შეიძენდნენ... თუმც უნიფათოდ ვერ გადარჩებოდნენ — ტრაქტორის შეძენისას თადლითებს გადაეყრებოდნენ, ისინი კი უკეთესს რას იზამდნენ და... ჯართად ჩამოწერილ ტრაქტორს შემოაჩეჩებდნენ, რის ვაივავლახით რომ შეძლებდნენ ჯართის უკან მიბრუნებასაც და თანხის გამოგლეჯასაც.

ის წერილი კი, გაზეთ „ახალი საქართველოს“ ფურცლებიდან რომ გაუგზავნიდა „ღია საზოგადოება — საქართველოს“ (სათაურშივე გაიტანდა: ყველაზე დახურული და ბნელი საზოგადოებაო!) მისთვის ჩვეულ მძაფრ პუბლიცისტურ სტატიად წარმოგვიადგება და არა მხოლოდ გულისწყრომის გამჟღავნებდა — რატომ არ ერგუნა წერაქვის სკოლას კომპიუტერიო. წერილი ამიშველებდა სოროსის ქველმოქმედების მოჩვენებითობას და შორს გამიზნულ პოლიტიკური ზრახვებს, სულ მალე რომ უნდა გამოელო დამლუპველი შედეგი ჩვენი ქვეყნისათვის.

ეს მარცხი მისთვის მეტად პრინციპული იმიტომ გახლდათ, რომ პირად კონკურსში კი არ დამარცხებულიყო და მისი მოთხოვნები კი არ დაენუნებინა ვინმეს, დაიწუნეს წერაქვის საქმე.

— წერაქვის საქმე მარტო ჩემი პირადი საქმე არ არის, ვისაც ესმის, ის საერთო ქართული საქმეა. ამიტომ ჩამაბარეს. მე არ მითხოვია თბილისისათვის სამსახური, აქეთ მითხოვეს.

და დაბეჯითებით აცხადებს, საერთო ქართული საქმე რომ არა, სოროსის გრანტს არ ვითხოვდიო. და უფრო მკაცრადაც და მწარედაც:

— ძველი კაცებს მსგავს დანებებულებას მე სამათხოვროდ ხელს არ გაუწვდიდი.

ის კი არა, დაიმუქრებოდა: ამ წერილს ვთარგმნი და ჯორჯ სოროსს გაუგზავნი მოთხოვნით: გააუქმოს ეს საზოგადოება და ახალი შექმნას, ვისაც ეცოდინება საქართველოს ჭეშმარიტი ფასიო.

მოგვიანო მინანერში აღნიშნავდა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ეს მღელვარებით აღსავსე წერილი წაეკითხა ოთარ ჩხეიძეს, მოთათბირებოდა თავის შვილებს, დაერეკა რედაქციაში და შეეტყობინებინა, რომ ჩხეიძეთა ოჯახის ერთობლივი გადაწყვეტილებით, წერაქვის სკოლას იმ დროისათვის საუკეთესო კომპიუტერი ექნებოდა. მართლაც ორიოდ კვირაში ენვეოდნენ სანატრელი საჩუქრით და, გარდა კომპიუტერისა, სკოლას წიგნებსაც ჩაუტანდნენ.

— ამ მეგობრული და კარგი ადამიანური ჟესტით მათ სინათლე შემოიტანეს ჩემს საცოდავ სკოლაში. ჩხეიძეების ჩამოსვლითა და მათი განუმეორებელი საჩუქრით წერაქვის სკოლისათვის ახალი სიცოცხლე დაიწყო.

აქ ნაგულისხმევია და, საქმეში ჩახედულ ადამიანთათვის, სტრიქონსა და სტრიქონს შუა თვალნათლივ გამოსჭვივის სილუეტი იმ პიროვნებისა, ვისი შემწეობითაც მოხერხდებოდა ამ პატრიოტული აქციის ხორცშესხმა — ჩვენი ოჯახის წევრის, ზაზა ოქუაშვილის, ვის სახელსაც მანამდეც და მას შემდეგაც დაუკავშირდებოდა არაერთი საქვეყნო და საქველმოქმედო საქმე.

ამის კიდევ ერთ დასტურს თუნდ ნოდარ წულეისკირის ამავე წიგნის ფურცლებზე იპოვნის მკითხველი, როდესაც ავტორი მადლობას უძღვნის ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას ჭეშმარიტად ნამდვილი ლიტერატურის გამოცემისათვის, უშუალოდ აკაკი ბაქრაძის „კარდუსა“ და სხვა მნიშვნელოვანი წიგნებიც ზაზა ოქუაშვილის თანადგომით იხილავდნენ მზის სინათლეს.

ნატყებდა გადავიდოდა წიგნის ფურცლებზე მეშუარული ჩანაწერები თავის პერსონაჟად გადაქცეული მწერლის ყოფიდან, ეპიკას განდგომიდან და ლირიკულ ჩანაწერებში მოიხებებდა გულს, ისიც გამომცემლობა ძალიან რომ შეუჩნდებოდა.

არადა, უბის წიგნაკში გაეღებულ და მიმოფანტულ სახეთაგან არაერთი შეიძლება გამხდარიყო მისი მოთხრობისა თუ რომანის პერსონაჟი, ყოველ შემთხვევაში ავტობიოგრაფიული რომანის ფურცლებზე კოლორიტულად და კანთიელად წარმოსახულიყო.

აგერ უცხოელი ჟურნალისტი გაოგნებული მისწერებია ძველებურ ნაკვერჩხლის უთოს და მოწონების ნიშნად ამბობს: რა იშვიათი ანტიკვარი გქონიათო, — რის პასუხადაც მასპინძელმა არცთუ სახარბიელო ვითარება უნდა გაუმხილოს: ამ იშვიათ ანტიკვარს ხშირად ვიყენებთ, რადგანაც შუქი არა გვაქვს ხოლმეო. ჟურნალისტმა კი თარჯიმანს რამდენჯერმე უნდა ჩაჰკითხოს და უსაყვედუროს კიდევ: სწორედ ვერ მითარგმნი რაღაცას, თორემ სამუხეუმო ნივთზე ასეთ რამეს როგორ მეტყოდნენო.

აგერ ქართველი ჟურნალისტი იმით უნდა დაინტერესდეს, თუ რატომ აღარ წერს აღიარებული მწერალი, ვინც — ამ შეკითხვით გაბეზრებული — ამჯერად იუმორს მოიმარჯვებს: თაბახის ფურცელი არ გამაჩნია და იმიტომო. იმას გულში ჩარჩებოდა ეს სიტყვები და ერთ შეკვრა თაბახს რომ გამოუგზავნიდა, თან შემოუთვლიდა: იქნებ ახლა მაინც დაწეროთ რაიმე, თუ მართლა თაბახის უქონლობაა ნამდვილი მიზეზიო.

ეს... სასოებით შემოიტანდა თაბახის იმ ლურჯ შეკვრას და სანერ მაგიდაზე დაიდებდა.

აგერ საპატრიარქოს ტელევიზია სტუმრებია ახალ ნაავადმყოფარს, ინსულტის გადატანის შემდეგ მეტყველება ჯერაც რომ უძნელდება. აბო ტფილელზე იღებდნენ დოკუმენტურ ფილმს და მისი ჩანერა სურდათ, როგორც რომანის — „ღვანის და ნამება აბოსი და იოანესი“ — შემქმნელისა. ჩაინერდნენ ინტერვიუს და მალევე გაბრუნდებოდნენ, მასპინძელს კი განსაკუთრებით დაამახსოვრებოდა ეს სტუმრობა და უბის წიგნაკში დითირამბად ამოსკდებოდა, ცხადია, არამარტო იმნუთიერი შთაბეჭდილება:

— ეს მუდამ ასე იყო: ადამიანები, რომლებიც საპატრიარქოს ირგვლივ ტრიალებენ, ნამდვილად გამოირჩევიან, მათ ათასშიც კი გამოარჩევს მცოდნე თვალი. იშვიათი ხალხია, ყოველად უბოროტონი და მშვიდნი. ღმერთმა ქნას, რომ საპატრიარქოს მიდამოებში უფრო ბევრი და ბევრი ადამიანი დაიარებოდეს.

სულიერად თვითონაც იქ ტრიალებდა, საპატრიარქოს ირგვლივ, იმ მიდამოებში დაიარებოდა — სიჯიუტით, ტანჯვითა და ნვალბით. თუკი ვინმეს დახმარება მოუნდომებია, უსათუოდ დიდი ბრძოლით უნდა მიეღწია, ხშირად კი ვერც აღწევდა მიზანს.

— საკუთარი პრინციპები სხვისი გულისათვის არაერთხელ გადამიდია გვერდზე, მაგრამ მათთვის არასოდეს მილაღატია...

ამ ზნეობრიობით წარმოდგება ჩვენს წინაშე ჩანაწერების ამ ციკლის — „ოცი წელი წერაქვში“ — ავტორი, ვინც იმიტომაც შეცვლიდა მტკიცე გადაწყვეტილებას — მიეტოვებინა წერა — და კვლავ დაუბრუნდებოდა მწერლობას, რათა წინ წამოეწია თავისი ქალიშვილის — ირმა წულეისკირის — ის პატარა დიდი საქმეები, რომლითაც მას შეეძლო ესულდგმულეებინა გარშემომყოფნი; და ამასთან ერთად ეჩვენებინა ადამიანური საქმეები, რომელთა კეთებაც ამა თუ იმ მიზეზთა გამო ავიწყდებათ ხოლმე.

საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ფირმა „კრიალოსნის“ დაფუძნება უნდა დაკავშირებოდეს ირმა წულეისკირის სახელს, მამასთან ერთად განათლების ლამპარს რომ აანთებდა ამ მივარდნილ და სახელმწიფოსაგან მიტოვებულ მხარეში, და მის შვილს — თათიას — უნდა აღედგინა ამ ფირმის საქმიანობა დედის მოულოდნელი აღსასრულის შემდეგ — 2012 წლის 18 სექტემბერს ტელევიზიით ნაჩვენები ციხის შემზარავი კადრების ნახვა რომ აღმოჩნდებოდა ირმასათვის საბედისწერო...

თათია უნდა ამოდგომოდა მხარში პაპასაც უბის წიგნაკის ჩანაწერებისათვის ლიტერატურული ფორმის მინიჭებისას, რადგანაც ოთხმოც წელს გადამორებული ინსულტგადატანილი მწერლისათვის დამოუკიდებლად წერაც საძნელო შეიქნებოდა.

დასაბუთებული მიზეზი ჰქონდა, რატომ აეღო წერაზე ხელი. და ახლაც დასაბუთებული მიზეზით მოემარჯვებინა კალამი.

— მე ზუსტად ვიცი, ამჯერად ვისთვის და რისთვის ვწერ. და წინასწარვე იხილავდა იმ სურათს, ნუთისოფლიდან გამგზავრება თვითონაც რომ მოუნევდა, იმქვეყნად პირველყოფლისა ირმას რომ მოძებნიდა და უსათუოდ ჰკითხავდა:

— როგორ ხარ, შე ადამიანო?!  
შე ადამიანო...

რაოდენ ნაცნობი, გაცვეთილი და, ამავდროულად, უცნობი და შეუბღალავი სიტყვაა, რომელიც ნოდარ წულეისკირის მწერლად ხელახლა დაბადების მეგზურად ქცეულა იმ გულისმომკვლელ სინამდვილეში, სადაც ბევრს დავინწყებია ადამიანის რაობა. და რა შეიძლება ესურვებინა თვისტომთათვის ღირსეული გზის გამოვლელ მწერალს, თუ არა:

— ყველას ადამიანობა შეგაძლებინოთ ღმერთმა!

\*\*\*

შაშვის ბარტყები ხშირად ცვიოდნენ ბუდიდან და ეს მათ უთუო სიკვდილს ნიშნავდა — რა იხსნიდათ კატისა თუ სხვა მტაცებელთა ბრწყალებისაგან?!

მაგრამ გადამრჩენად უნდა მოვლენოდათ პატარა ბიჭი, ვინც თავისი სიყმანვილის მისიად მიიჩნევდა მათ გაზრდა-მოლონიერებასაც და ჰაერში ატყორცნასაც, რათა შოშიტებს ეგემათ სილაღე და თავისუფლება, ეგრძნოთ ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლის მშვენიერება.

ეს ნოდარ წულეისკირის ბავშვობისდროინდელი თამაში გახლდათ — შაშვის ბარტყების გადარჩენა, და სხვა აღარც აღარაფერი უნდოდა, დადარაჯებოდა მათ გადმოცვენას ბუდიდან, რათა ციმციმ გაექროლებინა შინ.

ყველას ადამიანობა შეგაძლებინოთ ღმერთმაო, — ჯერ კიდევ იმ თამაშში გამოწრთობილიყო ეს შეგონება, იმხანად უფრო ბუნდოვნად ნაგრძნობი, ვიდრე გამოიკვეთებოდა, სიტყვიერ გარსს მოირგებდა და თავისებურ გვირგვინად დაადგებოდა იმ პატარა ბიჭის მხატვრულ ხილვებს, ცხოვრებასა და ღვანლს.

დაიბადა 1968 წელს, ნიუ-იორკში. მამა, ჰენრი დიკინსონი იყო დურგალი. განათლება მიიღო რაიონის სკოლაში. 1991 წელს დაქორწინდა. იგი დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს „Central Hotel“-ს, რომელიც აშშ-ში მდებარეობს.

უილიამ ჰ. დიკინსონი

## პარღები

სამხრეთ კორეის ომს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ალან ფალტონმა გაუპარსავი სახიდან გაცვეთილი მუნდირის სახელოთი ჭვარტლი და ოფლი მოიწმინდა.

„მადლობა ღმერთს, ყველაფერი დამთავრდა!“ ჩაილაპარაკა მან. უცებ ალანმა ჭურვის თხრილის სიღრმეში გაშლართული ჯარისკაცი, სერჟანტი ჯიმ კოტსვორტი შენიშნა, აფეთქების შემდეგ ნამსხვერველები რომ მოხვედროდა, როდესაც ის და ალანი თავშესაფრისკენ მივლინდნენ. ალანს მარტოსაც შეეძლო თავის შეფარება, მაგრამ მორალმა არ მისცა ნება ჯიმი მიეტოვებინა; ხელში აიყვანა და რამდენიმე იარდი ასე გაიარა.

ჯიმი თვალები გაახილა, ალანს შეხედა და გაღიებდა სცადა. „ალან! მე აღარაფერი მეშველება. ჯიბეში წერილების მთელი დასტა მიდევს. აიღე და ჩემს ცოლს წაუღე; მისამართი ზედ აწერია.“ ალანი ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს.

„მგონი, უკეთესია ბაზაში წავიყვანო, ჯიმ.“ უთხრა ალანმა. „ნაღი და დახმარება მოიყვანე,“ უპასუხა ჯიმი. „მე არაფერი მომივა.“

გავიდა ერთი საათი, მაგრამ ალანი არ ჩანდა. ორი კორეელი, დაჭრილ ჯარისკაცებს რომ ეძებდა, ჯიმის უგონო სხეულს გადააწყდა, კაცი საკაცზე დადეს და ისე წაიღეს. ვიდრე ალანი საველე დახმარებასთან ერთად იმ სანგარში დაბრუნდა, სადაც ჯიმი დატოვა, მტრებმა თხრილს ძლიერი ყუმბარა დაუშინეს. სამივე კაცი მიწას განერთხა და ვერც წამოდგნენ, ვიდრე არტილერიის ცეცხლის საბოლოოდ შეწყდებოდა. მერე ნელ-ნელა გასწიეს იმ ადგილისკენ, სადაც ჯიმი ეგულეობდათ, თუმცა ველარსად ნახეს, რადგან აფეთქებას იქაურობა მთლიანად გაენადგურებინა.

\*\*\*

მორინმაც მის შტატში მცხოვრები მრავალი დედისა თუ ცოლის მსგავსად, ოფიციალური წერილი მიიღო წარწერით: „უკვალოდ დაკარგული“. ქალი მაგიდასთან ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ცრემლები წასკდა; უსაზღვრო მწუხარებას მიეცა, არაფერ ჰყავდა, რომ დაემშვიდებინა. წერილს ხელი მაგრად მყოუჭირა და გაიფიქრა: „იმ მომავალს, რომელშიც ჯიმი აღარ მეყოლება, თვალი უნდა გავუხსნო! ისეთივე უნდა დავრჩე, როგორც უკანასკნელად მნახა, მხნე და მომღიმარი. ო, ღმერთო, მომეცი ძალა, რომ გავუძლო. მან სიცოცხლე იმიტომ განირა, რომ ჩვენთვის მშვიდობა და თავისუფლება ეჩუქებინა.“

\*\*\*

ალან ფალტონის მალალი, შავგვრემანი ფიგურა „Blue Grass Mountain“-ის მწვერვალს მიუახლოვდა. შედგა და ხეც ჩახედა. ივლისის ნესტიანი დღე იდგა. ოფლისგან პერანგი მთლად დასველებოდა, რადგან მთისკენ ამომავალი კენჭებიანი ბილიკის გავლა მოუწია. სანახაობამ, რომელსაც მთებში მოგზაურობის დროს წაიყვანა, ნაბიჯი ააჩქარებინა. მოულოდნელად ჯიმის წერილები გაახსენდა. თეთრი ტანსაცმლით შემოსილი ქალი ბაღში იდგა, იმ ბაღში, რომელზეც ჯიმი ასე ხშირად უამბობდა. მორინ კოტსვორტი უნდა ყოფილიყო. სწორედ იმ დროს, როდესაც ალანი ჭიშკარს მიადგა, მორინმა ბუჩქიდან ერთი ვარდი მოწყვიტა და ბაღის კუთხეში გაცვეთილ სკამზე ჩამოჯდა. უცნობის სტუმრობით დაინტერესებული ალანს მიუახლოვდა. კაცის სასიამოვნო იერის დანახვისას მიბრუნდა და სახეში შეაჩერდა.



მხატვარი ბერდია არაბული

„ბოდიშს გიხდით შემოჭრისათვის...“ თქვა ალანმა.

„ვინ ხართ?“ ჰკითხა გოცუბულმა მორინმა.

„ალან ფალტონი,“ უპასუხა. „თქვენ კი, როგორც ვიცი, მისი ჯეიმზ კოტსვორტი უნდა იყოთ.“

„დიახ, მე ვარ. ჩემთვის რაიმე შეტყობინება ხომ არა გაქვთ?“

„დიახ.“ მიუგო ალანმა, ქურთუკის ჯიბეში ხელი ჩაიყო, წერილების მთელი შეკვრა ამოაძვრინა და ქალს გაუწოდა. როდესაც მორინმა წერილები ხელის კანკალით გამოართვა, შემთხვევით ვარდი გაუვარდა. წერილებს თვალი გადაავლო და ერთ-ერთი ამოიღო. წერილის გახსნისას დამჭკნარი ვარდი ჩამოვარდა და აყვავებულ ვარდებს შუა დაეცა. მორინმა დახედა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

„სიკვდილის დროს მასთან ხომ არ ყოფილხართ?“ ჰკითხა აცრემლებულმა.

„დიახ,“ მიუგო ალანმა. „უკანასკნელად ჯიმი მე ვნახე და მთხოვა, თქვენთვის ეს წერილები გადმომეცა.“

„კოტეჯში გამომეყვით და ჯიმის შესახებ ყველაფერი მიამბეთ.“ სთხოვა მორინმა და ალანთან ერთად შინ შევიდა. როდესაც კაცი უკან მიჰყვებოდა, ქალი ნოსტალგიურმა ლტოლვამ მოიცვა...

\*\*\*

ალანის და მორინის პირველი შეხვედრიდან დაახლოებით სამი წელი იყო გასული. მათი მეგობრობა კი ბევრად უფრო დიდ გრძობაში გადაზრდილიყო. დაქორწინდნენ კიდევ და პატარა ვაჟიც შეეძინათ, რომელსაც ჯიმი დაარქვეს.

ერთ ღამეს, როცა ოჯახი უკვე დასაძინებლად ემზადებოდა, კოტეჯს უცნობი კაცი მიადგა, სახე ხშირი წვერით ჰქონდა დაფარული. ფანჯრებიდან შუქი ანათებდა. კაცი ერთ-ერთ ფანჯარასთან ჩუმად მიიპარა და ის დაინახა, რამაც სახლში შესვლა გადააფიქრებინა. ქალი, რომლის მუხლებზეც პატარა ბიჭს ეძინა, საქანელა-სავარძელში ქანაობდა. პიჟამაში გამოწყობილი კაცი სავარძელში იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა და თან ძილის წინ გაზეთს კითხულობდა. უცნობი ფანჯარას მო-



შორდა და უხმაუროდ დაბრუნდა იქვე ტყეში მდგომ ქოხში, სადაც ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე განმარტოებით ცხოვრობდა. ვარდების ბალთან ხშირად დასეირნობდა და ერთხელ პატარა ჯიშის გამოელაპარაკა კიდეც.

ერთ დღესაც შინ დაბრუნებულმა ალანმა მორინს უთხრა: „მორინ, გახსოვს ის განდევილი, ჩვენს ბაღში რომ დაიარებოდა და ჯიშის ემეგობრებოდა?“

„კი, მახსოვს,“ უპასუხა მან, „რა მოუვიდა?“

„გუშინ მკვდარი იპოვეს. როგორც ამბობენ, გულის შეტევით გარდაცვლილა.“

უცნობის დაკრძალვის მომდევნო დღეს ალანი სოფელში წავიდა ადგილობრივ ბანკში დარჩენილი საქმეების მოსაგვარებლად.

„თქვენის ნახვით მოხარული ვარ, მისტერ ფალტონ,“ უთხრა ბანკის მენეჯერმა, ედ მეიერსმა, როდესაც ალანი მის კაბინეტში შევიდა. „თქვენთვის რაღაც მაქვს“ — და დალუქული კონვერტი მიანოდა.

გაოცებულმა ალანმა კონვერტს შეხედა. წერილი ნამდვილად მის სახელზე იყო გამოგზავნილი. კონვერტი გახსნა და წაიკითხა.

„ღმერთო!“ იყვირა მან. „წერილი ჯიმ კოტსვორტისგანაა გამოგზავნილი, თანაც, მხოლოდ სამი კვირის წინათ!“

„ღიას“, თქვა ედ მეიერსმა, „ის უცნობი კაცი ჯიმი გახლდათ.“ ალანი კაბინეტიდან გამოვიდა, იმის დაჯერება, რაც ახლახან გაიგო, არ შეეძლო. გამოდის, ჯიმი ამდენი ხნის განმავლობაში ცოცხალი იყო და, გარკვეულ მიზეზთა გამო, თავის ვინაობას მალავდა. როგორც აღმოჩნდა, მეხსიერება აღიდგინა დაკარგვიდან თვრამეტი თვის შემდეგ, რომელიც კორეის საავადმყოფოში გაატარა. არავინ იცის, რამხელა მსხვერპლი გაიღო, რომ მორინს და ალანს მშვიდად და ბედნიერად ეცხოვრათ.

„მორინმა არ უნდა გაიგოს ჯიშის დაბრუნება დაკარგულ ჯარისკაცთა ლეგიონიდან.“ გაიფიქრა ალანმა, როდესაც წერილის დანვის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა.

„მადლობა, ჯიმი,“ ჩაილაპარაკა ალანმა თავისთვის და ცას ახედა. „ურთულესი არჩევანი გააკეთე.“ შინ დაბრუნებულ ალანს ცოლის მოტანილი, ახალდაკრეფილი ვარდების თაიგული დახვდა.

„ძვირფასო, ვარდები შენს თავს მაგონებს,“ უთხრა ალანმა. მორინმა გაუღიმა.

„ნაწილს სოფლის ეკლესიაში გავაგზავნი, დანარჩენს კი — უცნობი კაცის საფლავზე, ჯიშის მოსაგონებლად, რომელიც მის მსგავსად უცხო საფლავში წევს.“


„დარწმუნებული ვარ, ორივეს უყვარდა ვარდები.“ უპასუხა ალანმა.

**ინგლისურიდან თარგმნა  
ანა კურტანიძე**



**ანა კურტანიძე**

დაიბადა 1998 წლის 25 ნოემბერს, თბილისში. ჰყავს ძმა და ორი და. მამა, პაატა კურტანიძე, ფარმაცევტული კომპანიის დამფუძნებელია. სწავლობს „ევროპულ სკოლაში“, მე-10 კლასში. იბეჭდება პირველად.



**შემას ჰინი**

**მოსაოუნი: ორი მიქლვენი**

**1. მზის შუქი**

მზის შუქი გვაკლდა. ეზოში ჩაჩქნიანი წყალსაქაჩი თუჯს ახურებდა, წყალი თაფლივით

ჩადიოდა ჯაჭვიან სათლში და მზე იდგა როგორც ტაფა გასანელებლად კედელს შეხლილი

ყოველ გრძელ შუადღეს. მისი ხელები ერკინებოდა საცომე დაფას და ალისფერი ღუმელი

გზავნიდა თავის სივარვარის ეპიდემიას იმ ადგილისკენ, სადაც იგი დგებოდა ხოლმე ფქვილიან წინსაფრით სარკმელთან ახლოს

აი, ის ფქვილს ყრის იმ დაფაზე და ბატის ფრთით აწონასწორებს აი, ისვენებს, გაცვეთილი ბოლოკაბით და გაფქვილული ფრჩხილებით

და პატარა მუხლებით აი, ის სივრცე და პური ისევ ცხვება წყვილი საათის წიკნიკის თანხლებით

და აქ არის სიყვარული თითქოს მეთუნე თავისი ნიჩბით მის ელვარებას თუნუქის კასრში აპირქვავებდეს

**2. მინის მუშები**

ასი წლის წინანდელთ ნააგვანან. ბრეიგელო, შენ მათ იცნობდი, მათი შეცნობა მე რომ შემეძლოს. ჩაჩოქილან ღობის ქვეშ ნახევარ-წრიულად

და ღობის უკან სადაც ქარი ყველაფერს აქცევს  
მათ ეწოდებათ მინის მუშები. ჩაკეცილ-ჩანაოჭებულ  
ფოთლები კარტოფილს სცილდება  
და ბოლქვები იმ გოდრის ძირში იმარხებიან.  
ერთურთის კვლის აბეზარ დროში  
მათ გალიმება მობეზრებით. ბასრი დანები  
დუნედ მოძრაობენ და ბოლქვებს ერთმანეთს ამორებენ  
რომლებიც ცვივა ხელისგულებზე:  
რძისფრად ციალებენ  
შუაში კი ნიშანი აზით  
ო საგანგებო კალენდარო ! ცხენის კუდექვეშ  
ყვითლად რომ ღვივი,  
შენ უკვდავგვყავი  
ყველა უსახელო.

**ორჯერ მეტად გაუხედავი**

შვენოდა თავსაფარი a la Bardot,  
უძირო ფეხსაცმელი ნატის.  
„განა ჩვენ მეგობრები არა ვართო,  
ჯერ ნახევარია ათის!“  
ჰაერზე გადავწყვიტეთ სეირნობა,  
მდინარის დავუყვიეთ ნაპირს.

სუნთქვა სულ შეჰკვროდა მოძრაობას,  
ცის გულმკერდს შემორტყმოდა ღვედი.  
ჩვენს უკან რიბირაბო ცახცახებდა  
იქ, სადაც გამოკრთოდა გედი,  
ეკიდა ისე, როგორც შევარდენი,  
უსულო, ველარაფრის მხედი.

საჭიროებათა ვაკუუმი  
ტანჯავდა მონადირე გულებს.  
შევარდენის შემოტევას არ ვიმჩნევდით,  
გნოლივით ვიშუშებდით წყლულებს.  
კვლავ ხელოვნებაზე ვსაუბრობდით,  
ვჭორავდით გონიერს და სულელს.

ჩვენი ყმანვილური ნაწერების,  
მოცდის და მოთმინების გუნამად:  
გრძნობები არ უნდა გააშოშვლო,  
დაუშვა დავიწყების ფარდა.  
უვნებელი სოკოს სიყვარული  
მავენებელ ბოროტებას ჰგავდა.

ვიყავით ფრთხილები და ანთებულნი,  
როგორც შევარდენი და შაშვი,  
მარტის შლეგ შებინდებით ვიგზნებოდით  
ეს ორი ნევროზული ბავშვი.  
დღესაც არსებობს ის სანაპირო  
მდინარე მორონინე ხრამში.

**შაერთების აქტი**

I  
პირველად ვიძვრი. გახშირდება ამალამ პულისი,  
თითქოსდა წვიმამ მხოლოდ კი არ გადაიარა,  
ტვინის ჩანთხევა მოინდომა ჭანჭრობის გულში.  
გვიმრის სანოლი გადაიხსნა, როგორც იარა.  
აღსავლის ნაპირს ჰგავს მაგ ზურგის წრფივი სერები,

თანმიმდევრულად რომ მივყავარ ნანატრ მიზანთან:  
მკლავ-ბარძაყიდან ბორცვებისკენ. და ვეფერები  
იმ პროვინციას, სად წარსული ამოიზარდა.  
ჩემი სამეფოს იქითაა შენი ფერდები.  
შენ არც უარმყოფ, არც პირმოთნედ მადრი საფირონს.  
დამორჩილება წოლას უდრის. მგონი, ვბერდები  
და შენს ნახევრად სუვერენულს ვთმობ სანაპიროს,  
რომლის საზღვრებსაც ეს სამკვიდრო მიუტაციათ,  
აქ მიიღწევა შეუდრეკი კულმინაცია.

**II**

და აი, კვლავაც ვარ კაცურად იმპერიული,  
მივიღვარ შენგან და სანაცვლოდ გიტოვებ ტკივილს.  
კოლონიასთან განშორება ვინ თქვა იოლი?  
სახრედაკრული კუროს გულში ეკალი ღვივის.  
აქტი მეხუთე კოლონაა, რომ დგას ჯიუტად,  
პოზიციები მისი, ალბათ, ცალმხრივად ცვალებს.  
ჩემ გულს ქვემოთ კი მისი გული, ვით კაიუტა,  
კარმელებული, პარაზიტულს მოიკრებს ძალებს.  
ურჩ და უსუსურ მუშტისცემას გაუძლებს სხვა ვინ?  
ჩემს საზღვრებს უტევს, კიდურთ კიბეს აწყვედა ხვეულს  
ჩემს სიმაღლემდე. დაიდება ვერაფრით ზავი.  
წინასწარ ვჭვრეტ, რომ მე ვავუბახავ მაგ დამსკდარ სხეულს,  
მაგ დიდ ტკივილებს, რომ ივინყებ ჩემსავით იმ წამს,  
რომ გტოვებს ხოლმე როგორც ნედლ და პირლია მიწას.

**ნაპი**

როცა წყალში ხტები, ტოსკანას ნათელი  
დაინწყებს დგაფუნს და  
აუზში არეკლილი მიმოიხრება  
ზედაპირიდან ქვედასკნელამდე.

მიყვარდა შენი სველი თავი  
ხმაურიანი აფუთფუთება  
მოცურავის ზურგი და მხრები  
ამოყვინთვა კიდეც და კიდეც, ნელს და გაისად.

მე ყელგამშრალი ვიჯექი თბილ ქვებზე  
შენ იყავ ჩემს მიღმა  
ტკბილი სიცხადე, ყურძენივით სავსე ჰაერი  
თხელდებოდა და დარდი ჩნდებოდა

მადლობა უფალს, ასე ნელა რომ ჩამოგიშვა  
ხელი შეგავლე და დაგიჭირე  
ახლოს ვართ ღრმად ვართ  
როგორც ატმოსფერო წყლის ზედაპირზე

ორივე ხელით წყლის სიღრმეს ვზომავ  
დროის აუზში მოსრიალე  
შენ ჩემი მახსოვრობის  
მოქნილი ნავი ხარ

როცა პირალმა ცურავ  
თქმოს ყველა შეთამაშება, ფეხის აქნევა  
სინათლეს ებრძვის  
და კისერთან სიცივეს გისახლებს

უეცრად მიდიხარ  
სწრაფადვე ბრუნდები კვლავ მიზანსწრაფული  
მძიმე მოლხენილი ტყავგანახლებული  
და ქვებს ბეჭედს ასვამ.

**დიდი დარტყმა**

კოლეჯის ლაზარეთში ვიჯექი მთელი დღია.  
 ვითვლიდი ზარის რეკვას. ველოდი უკანასკნელს.  
 ორზე მეზობელმა მანქანით წამიყვანა.

წინკარში მამაჩემი დავლანდე მოტირალი.  
 როდესაც გლოვობდა, ყოველთვის ბოლთას სცემდა.  
 დიდი დარტყმა იყო, ამოთქვა ჯიმ ევანსმა.

პატარა ლულუნებდა, არხევდა საბავშვო ეტლს.  
 როდესაც შევედი, ძალიან გამიკვირდა,  
 როცა მოხუცები ადგნენ და მომესალმნენ,

თქვეს, ვიზიარებთო შენს დიდ მწუხარებას.  
 უცხოებს უჩურჩულეს, ყველაზე დიდიაო,  
 სკოლაში დადისო. და ხელი დედაჩემმა

მომკიდა, დაიწყო უცრემლო ოხვრა-კვნესა.  
 ათზე კი სამსახურმა სასწრაფო დახმარების  
 ცხედარი მოიტანა, დოლბანდში გახვეული.

დილით მის ოთახში შევედი. თეთრყვავილით,  
 სანთლებით დაეფარათ იმისი სასთუმალი.  
 ექვსი კვირის შემდეგ პირველად დავინახე.

მარცხენა საფეთქელზე იარა ყვავილობდა.  
 ის იწვა ოთხ ფიცარში, როგორც თბილ სარეცელზე.  
 ნაკანრიც არ უჩანდა. უნაკლოდ ემუშავათ.

ოთახი ერთადერთი. ფიცარი ოთხია.  
 ოთხი წლის ბუთხუზასთვის სრული სამოთხეა.

**კუნელის ლამაზარი**

ო უდროო დროს ნაზამთრალი იწვის კუნელი.  
 ეკლის ნაჩხვლეტი — მცირე შუქი ლარიბებისთვის,  
 რომელთაც ქვეყნად სხვა არაფრის მიღება სურდათ,  
 ოღონდ ცოცხალმკვდარს ეკიაფა ღირსების პატრუქს  
 ისე, სინათლეს თვალი რომ არ მოეჭრა მათთვის.  
 მაგრამ ხანდახან როცა ყნოსავ დაზაფრულ კალამს,  
 გრძნობ, რომ ლამპრიან დიოგენეს ნაავავს იგი,  
 ქვეყნად ერთადერთ ადამიანს ეძებს რომელიც.  
 შენც ირინდები: კუნელია ლამპარი შენთვის,  
 რომლის რტოებიც ცახცახებენ თვალის დონეზე,  
 უეცრად ხტები, გჩხვლეს კუნელი და სისხლი მოგდის,  
 და ეს სისხლია, შენი აზრით, წვრთნა და განწმენდა.  
 მწიფე კუნელი სკანირებას მოახდენს შენსას.  
 შემდეგ კი გტოვებს.

**სასჯელი**

მე ძალმიძს, ვიგრძნო ელდა  
 ყელს მოდებული ბანრის,  
 თვალში — ნასროლი ბელტი,  
 მკერდზე — სიფითრე ნაცრის.  
 ქარი პოულობს მწველ წამს,  
 ლელავს კერტების მტილი,  
 უხდება მთრთოლავ ლერწამს  
 მისი ნეკნების ჩრდილი.

ძალმიძს, შევხედო ჭაობს,  
 იქ — მის ჩაძირულ სხეულს:  
 ვჭვრეტ, ქვა ვით მინანაობს,  
 ვჭვრეტ, რტოებს მიმორხეულს.  
 იქ მიაკვლიეს გასვრილ  
 კანგაცლილ ხის მსგავს უღირსს:  
 თავად რომ ედგა კასრი,  
 ძვლებად — ვარჯები მუხის.  
 შავი ბუძგები, მზარდი,  
 თავზე — გათხვრილი ტურფის.  
 თვალს ეკრა ხილაბანდი  
 და ყელს — ბეჭედი ყულვის,  
 გასახსენებლად სატრფოს  
 ვნებას რა გულში დატევე?  
 რა პასუხს გასცემ შმაგ ბრბოს,  
 პატარა მოლაღატევე!  
 ვიდრე დაგსჯიდნენ შენ და  
 ბედის დაგცდიდა მახე,  
 რა სილამაზეს ჰყვინდა  
 ეგ მოკუპრული სახე!  
 გქმნეს განტევეების ვაცად,  
 თითქმის მიყვარხარ, ხვდები?  
 მეც ვერ ვივარგე კაცად,  
 გტყორცნე დუმილის ქეები.  
 მხოლოდ ცბიერად ვმზერდი  
 შენს ტვინს, დანთხეულს მრუდად,  
 ვით იქცა შენი მკერდი  
 კუნთების აბლაბუდად!  
 ვერ დაგიცავი, ვერა,  
 ვერ მოვიხადე ვალი,  
 ისე დათვალეს ცერად  
 შენი სუყველა ძვალი.  
 მე დღესაც მუნჯად ვრჩები,  
 გამოგიგლოვე ოდეს...  
 შენი გამცემი დები  
 ჩაჰქვითინებენ ღობეს.  
 ის ვარ, რომ სწამდა კუშტად  
 ცივილიზებულ რისხვის,  
 თუმცა ესმოდა ზუსტად  
 ყალყზე ამდგარი სისხლის!

**სასწაული**

ო არა იგი, ვინც აიღო სარეცელი და გაიარა  
 მხოლოდ ისინი, ვინც მას იცნობდა

მთელი სიცოცხლე  
 მხრებ და მკლავებდაბუთებულნი  
 ზურგის მარადი ტკივილისგან დაკუთებულნი  
 საკაცის მიწყვიტარებისგან ხელოფლიანნი  
 მჭიდრო სარტყლებს მანამდე არ მოცილებენ  
 წელს მანამდე არ გამართავენ კრამიტთან

სახურავებქვეშ  
 ვიდრე შევებას არ მოჰგვრიან და არ განკურნავენ  
 დაიმახსოვრე როგორ იდგნენ როგორ ელოდნენ  
 გავარვარებულ თოკთა დახსნას და გაგრილებას  
 ქარაფშუტობის და ეჭვების გამონელებას  
 მხოლოდ ისინი  
 ვინც მას იცნობდა მთელი სიცოცხლე

ინგლისურიდან თარგმნა  
**ბია ჯონსაქი**

ხალიდ ალ-ხამისის, ეგვიპტელი მწერლის, კიდევ რამდენიმე ნოველა ციკლიდან „ტაქსი“, სადაც 58 ამბავია შეკრებილი. ეს არის ეგვიპტური საზოგადოებისა და მისი პრობლემების მიკროსამყარო, კაიროელი ტაქსის მძღოლთა მონათხრობი სიღარიბის, კორუფციის, უიმედობის შესახებ. წიგნი პირველად 2006 წელს გამოიცა, მაგრამ ეგვიპტის რევოლუციის შემდეგაც არ დაუკარგავს აქტუალობა. „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი უკვე გაეცნო რამდენიმე ისტორიას ამ წიგნიდან (2013, №7, 19), რომლებმაც „ტივტივის“ ათასობით სტატუსზე ხმამაღლა გაიჟღერა ეგვიპტის რევოლუციის დროს. ეს თემები და პრობლემები არც ქართული საზოგადოებისთვის არის უცხო და ამიტომაცაა, რომ ამ თხზულებით დაინტერესდა ჩვენი სალიტერატურო კრიტიკაც (ელგუჯა თავბერიძე).

**ხალიდ ალ-ხამისი**

**ტაქსი**

\*\*\*

თაჰრირის მოედანს მივუახლოვდით, რომელიც უშიშროების სამსახურის უზარმაზარი მანქანებისა და ოფიცრების გამო სამხედრო ნაწილს ჰგავდა. იმ სუბულური ტერაქტიდან, რომელიც სასონარკვეთილმა სიკვდილისჯილმა ჩაიდინა, დაახლოებით ერთი თვე იყო გასული. თვითონ დაიღუპა, რამდენიმე ტურისტის დაიჭრა, მათ შორის ერთი — ისრაელის მოქალაქე. კაიროში ამ შემთხვევამ წარმოუდგენელი არეულობა გამოიწვია.

რამზესის ქუჩაზე შევუხვიეთ. ისევ დავინახეთ მარცხენა მხარეს ჩამწკრივებული უსაფრთხოების მანქანების გრძელი რიგი. შევხედე ამ უბედურ ჯარისკაცებს, დაბლეს, უჭმელობის ამჟღავნებელი რომ ატყვიან, თითქოს დიდი ხანია ჰქონდოდათ დაიბუღა მათ სხეულებში. ერთ-ერთმა ნაღვლიანად გადმოხედა და ცხის კამერის ჭუჭურუტანის მსგავსი პატარა სარკმლიდან მძლოლი ჩემკენ შემობრუნდა და ირონიული ღიმილით მკითხა:

— იცი, პატივცემულო, ერთ ოფიცერს რა შეემთხვა?

უარყოფითი პასუხის ნიშნად თავი გადაქნიე. აი, რას მომიყვან:

— ამბობენ, რომ ერთი ჩინოსანი ოფიცერი, აი, ასეთ მანქანაში შევიდა (სამხედრო ავტომობილზე მიმითითა) და სუნმა მოკლა! აქ ხარხარი აუტყდა და ძლივს განაგრძო:

— წარმოიდგინე, რა სუნია სიცხეში, როცა ისე არიან ჩანყობილები, როგორც სარდინები ქილაში! ოფლიანობენ, გაბუბს უშვებენ... ის ოფიცერი ასფიქსიით მოკვდა, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვა, დაიხრჩო.

გაოცებულმა ვკითხე:

— ეს რა, მართლა მოხდა?

— ხუმრობაზე აცრილი ხარ?! ეს ხომ ანეკდოტია! უბრალოდ შევამჩნიე, რომ უგუნებოდ ხარ, ვიფიქრე, მოვუყვები და ერთად გავიცინებთ-მეთქი.

— მართალია, დღეს ვერ ვარ განწყობაზე, მაგრამ არ მეგონა, ასე აშკარა თუ იყო.

— ვერაინაც ვერ შეგამჩნევს. აი, შენ, კიდევ ერთი სახალისო ამბავი: ერთი კაცი უდაბნოში მიდიოდა, ალაღინის ლამპარი იპოვა. ხელი მოუსვა, ჯინი გამოეცხადა და ეუბნება: „გისმენ და გემორჩილები, მიბრძანეთ, ჩემო ბატონო!“ ამან რა თქმა უნდა საკუთარ თვლებს არ დაუჯერა, მაგრამ მილიონი ფუნტი სთხოვა. ჯინმა მოუტანა ნახევარი, ეს ეკითხება: „და მეორე ნახევარი სად არის?“ ის პასუხობს: „ხელისუფლება ხომ ლამპრის თანამფლობელია, ჩვენთან ყველაფერი ორმოცდაათი ორმოცდაათზე იყოფა“.

ტაქსის მძღოლის სიცილიმა უფრო გამაცინა, ვიდრე ანეკდოტმა.

— იცი, რომ ხელისუფლება მართლა იღებს ჩვენი შემოსავლის ნახევარს?

— როგორ?

— გაუთავებელი შემონმებით. ცოტ-ცოტა ყველას მიაქვს, სხვადასხვა მიზეზით. მაგრამ მოიცა, ყველაზე მაგარს მოგიყვები, ლვედზე.

— რა ლვედზე?

— ანეკდოტია ასეთი, სიცილით მოკვდები. სასაცილო ანეკდოტი ყოველთვის ინსპექციაზეა. მძღოლებისა და წინა სავარძელზე მსხდომი მგზავრებისთვის უსაფრთხოების ღვე-

დი შემოიდეს — სწორედ ისე, როგორც საზღვარგარეთ. მაგათი დედაც!.. ხომ იცი, ჩვენთან დიდი მიღწევაა, თუ საათში 30 კმ სიჩქარით დადიხარ, მაგრამ თითონ ხვდები, ბიზნესია.

ერთ დღესაც აცხადებენ, რომ უსაფრთხოების ღვედის შეკვრა აუცილებელია, ჯარიმა — ორმოცდაათი ფუნტი. დაინწყო „ლვედური“ ინფექციის გავრცელება, თვითონ ღვედი 200 ფუნტზე ნაკლები არ ღირს. რა თქმა უნდა ყველა ეს საქმე „მნიშვნელოვან“ ადამიანთა ნახელავია. აი, დაფიქრდი, პატივცემულო: კაიროში რამდენი ტაქსია და რამდენი მანქანას არ აქვს უსაფრთხოების ღვედი? თვითონ დათვალე! ხომ მილიონობითაა?! ახლა ასზე გაამრავლე!

— ღვედი მთელ მსოფლიოშია აუცილებელი, უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, საჭიროა მისი გამოყენება.

— სად მთელი მსოფლიო და სად ჩვენ? ჩვენი მთავრობის... შენ იცი, ვიდრე ეს სისულელე დაიწყებოდა, ღვედი რომ ფუფუნების საგნად ითვლებოდა? ანუ საბაჟოზე ითვლებოდა, რომ ეს იყო ავტომობილის დამატებითი აქსესუარი და მისთვის ცალკე უნდა გადაგხდა. საუდის არაბეთიდან „ტოიოტა“ შემომყავდა, საკუთარი ხელით მომიწია ღვედის მოჭრა და კონდიციონერის მოხსნა, ზედმეტი რომ არ გადამეხდა საბაჟოზე „ფუფუნებისთვის!“! და აჰა, ბატონო! რამდენიმე თვეც არ გასულა, ღვედის გამოყენება აუცილებელი გახდა, ე.ი. დამატებითი აქსესუარიდან აუცილებლობად გადაიქცა. რა გაენწყობა, მოგვყიდეს ღვედები და ხელი კარგად მოითბეს.

საერთოდ, ეს ყველაფერი პირნაპირი ბიზნესია. ვილაც ბობოლენა საზღვარგარეთ ღვედები იყიდეს, გაყიდეს და მილიონები იშოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯარიმა შემოიღო — ამითაც კარგად იხიერეს! ეს უბედური ჯარისკაცები დგანან ქუჩაში, გაჩერებენ, გეუბნებიან: „ღვედი, ძალისშეიღო!“ და ხუთი ფუნტი მიაქვთ. თუ გაგაჩერებენ და მათ გვერდით ოფიცერია — ოცს ითხოვენ, თითოეულმა რომ ისარგებლოს. ჰო, აი, კიდევ რა: ალბათ შენც იცი, რომ ღვედი სრული სიცრუეა, მხოლოდ თვალისასახვევად გვიკეთია (მძლოლმა თავისი ღვედი ამოწია, მაჩვენა, რომ დაბმული არ ჰქონდა). ოფიცერი გაჩერებს, მაგრამ მშვენივრად იცის, რომ ეს ისეა, მოსაჩვენებლად. მუხრუჭს რომ აწვები, ღვედი უნდა გიჭერდეს. ჩვენს მანქანებში ღვედი მაშინვე გიჭერება, როცა მუხრუჭი არ იჭერს (აქ მან ხმამაღლა გაიცინა).

ჩვენ ხომ ტყუილში ვცხოვრობთ და მისი თვითონაც გვჯერა, ხელისუფლების ერთადერთი ფუნქცია კი სხვა აღარაფერია თვალყური მიადევნოს, ამ ტყუილის ისევ გვჯეროდეს. ასე არ არის?

\*\*\*

საკუთარი თავი ინტელექტუალური საკუთრების უფლების კონცეფციის მტკიცე მონინალმდეგედ მიმაჩნია იმ, ყოველდღიურად კი არა, ყოველწამიერად მზარდი უფსკრულის გამო, რომელიც ჩვენ, განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს განვითარებულ ქვეყნებს გვაშორებს. ჩემი აზრით, აუცილებელია შესაძლებლობა გვეკონდეს, კულტურას ვეზიაროთ, რათა ორი საშინელი უბედურებისგან დავიცვათ თავი — უვიცობისა და სნეულებისგან, რომლებიც საუკუნეებია სტანდარტად გვაქვს უბედურ საზოგადოებას. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პირობებში ეს წარმოუდგენელია. ყველაფერს ისეთი ფასი დაედება, არ არის გამორიცხული, ყველაზე მდიდარი ადამიანებისთვისაც კი მიუწვდომელი გახდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ გაგიკვირდებათ, რომ ერთი კომპანიის ოფისში, ჩემს კომპიუტერში

არალიცენზირებულ ანუ მეკობრულ პროგრამებს ვაინსტალირებდი. ლიცენზირებულ პროგრამათა დაყენება უკბილო ხუმრობების ტოლფასია... როგორც კი ყველა პროგრამა ჩავტვირთე, რომელიც მინდოდა, კასრ ალ-აინის ქუჩაზე მდებარე ოფისიდან ტაქსის გასაჩერებლად გამოვედი. ვიდრე სანაპიროზე ვიდექი, ჩემთან ფეხსაცმლის მწმენდავი მოვიდა.

— გაგინმინდოთ ფეხსაცმელი, ბეი?  
— ტაქსის ველოდები.  
— დღის ორი საათია, ტაქსის დაჭერა რთული იქნება... იქნებ ჯერ ფეხსაცმელები გაგინმინდოთ, შემდეგ ტაქსის მოგიძებნით, შემდეგ კი... მომისმინეთ, ბატონო, თქვენი ფეხსაცმელები ძალზე ჭუჭყიანია!

— აბა, მიდი, ძვირფასო, განმინდე.  
— საით გაგინევიათ, ბატონო?  
— ზამალიქისკენ.<sup>2</sup>  
— იქნებ მეც თან წამიყვანოთ, უფალი მოგიზღავთ საქმისთვის.

— წაგიყვან, რატომაც არა?  
— უფალი შეგენევით! შვილები გყავთ?  
— კი, სამი.  
— ღმერთო ჩემო! მეც სამი მყავს! ერთი მეორე კურსზეა ალ-აზჰარში,<sup>3</sup> მაგრამ, სამწუხაროდ, ტანტაში<sup>4</sup> წავიდა. საშუალო მეორე კლასში სწავლობს, ნაბოლარა კი — დანყებიით სკოლის მესამე კლასში.

— ძალიან ახალგაზრდად გამოიყურები, ხანი არ გეცყობა.  
— ორმოცდახუთისა ვარ, ცოლი რომ მოვიყვანე, ოცდაერთის ვიყავი... მაგრამ მადლობა ღმერთს, მის შემწეობას ყოველთვის ვგრძნობ, ბავშვები წარჩინებულები არიან, საუკეთესოები! თავიდანვე ასეთები იყვნენ! გავზრავდი, ტანტაში რომ წაიყვანეს, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი წლით არის, გაისად ისევ კაიროში დაბრუნდება.

მწმენდავმა ფოტოსურათი ამოიღო, რომელზეც შვილებთან ერთად იყო გადაღებული. ეტყობოდა, ახალი სურათი იყო. ყველა ბედნიერად ილიმებოდა.

შუაში მამა იდგა, მარჯვნივ უფროს ვაჟიშვილს და მარცხნივ მდგომ ქალიშვილს ეხვეოდა. უმცროსი მამის წინ იდგა, და-ძმას ხელი მის მხარზე ედო.

— ეს სურათი ჩემმა ძმამ გადაგვიღო. ოცი წელია საუდის არაბეთში ცხოვრობს. ჩვენთან სტუმრად ჩამოდის ხოლმე.

— შესანიშნავი სურათია, უფალი გფარავდეთ.  
— მადლობა ღმერთს, უფალი ჩემით კმაყოფილია. ბავშვები იზრდებიან და ლამაზდებიან. სხვა რა შეიძლება ისურვო ამ ცხოვრებაში?

— ტაქსი! აი ისიც! ზამალიქი... აბა, მოდიხარ?  
— მოვდივარ, ხომ შევთანხმდით?  
— კი, შევთანხმდით.

ტაქსიში ჩავსხედით. მე წინ მოვენყვე, მძღოლის გვერდით, ის კი უკან სავარძელზე დაჯდა და ყუთი მუხლებზე დაიდო. მძღოლმა მწმენდავს ზიზლით შეავლო თვალი და შემდეგ მე მომმართა.

— თქვენ ერთად ხართ?  
— კი, ერთად.  
— როგორ თუ ერთად?... არა, ცალ-ცალკე.  
— ხომ გეუბნები, ერთად ვართ!  
— ჩინებულა, მაშინ შვიდ ფუნტს გადამიხდით.  
— ესეიგი, მგზავრები არ გინდა?  
— აი, ასეთი ვარ — ჯიუტი.

მოულოდნელად მწმენდავი ტაქსიდან გადავიდა. მეც მაშინვე გადავედი და უკან გავყვევი. ქუჩაზე გადაიარბინა და გაიქცა. ვეძახე, მაგრამ უშედეგოდ, ბრბოს შეერია...

მძღოლს გაბრაზებულმა შევხედე:  
— არ გრცხვინია? ის რა, აღამიანი არ არის?!

მძღოლმა არაფერი მიპასუხა და წავიდა. გზას ფეხით დავადექი.

ზამალიქში რომ მივედი, ჩემი ბათინკები ადრინდელზე უფრო ჭუჭყიანი იყო.

\*\*\*

გამია ად-დუვალ ალ-არაბიას ქუჩაზე მივედიოდით, ლობის გასწვრივ, რომელიც „ზამალიქის“ კლუბს ესაზღვრება. ტაქსისტს სახეზე უკიდურესი ნერვიული დაძაბულობა ეტყობოდა, თითქოს ასაფეთქებლად იყო მზად. შთაბეჭდილება დაგრჩებოდა, რომ ან „გველი ჩაუსახლდა“ ვენებში, რომელიც მრისხანების შეტევისას ხან სწორდებოდა, ხანაც იკლაკნებოდა, ან გულის შეტევა დაემართებოდა

— ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი გაივლის.  
— რაშია საქმე, პატივცემულო?  
— გატყობთ, რალაცას განიცდით და გადავწყვიტე, გითხრათ, — არ ღირს ასე ნერვიულობა.

— კი არ ვნერვიულობ, საცაა გული გამისკდება აღშფოთებისგან!  
— რა მოხდა? ამქვეყნად ისეთი არაფერია, სასიკვდილოდ ღირდეს.

— არის, როგორ არ არის?! მძიმე შრომით ვშოულობ გროშებს, რომ შვილები მშვირები არ მყავდეს, ის ძალიშვილი მოდის და მართმევს! შენ კი მეუბნები, სასიკვდილოდ არ ღირსო! ღირს, როგორ არა?! ღირს, თქვენ რას გამიგებთ, თქვენ ხომ ასეთ განსაცდელში არ ხართ!

— რა იყო, მეგობარო, უკვე ჩემზეც ბრაზობ? მომიყვი, რა მოხდა?

— მადინა ნასრში ჩამიჯდა ერთი, მუჰანდისინში წამიყვანო. კი ბატონო-მეთქი. მთელ გზაზე საცობები იყო. ხიდზე, საერთოდ, უძრავად იდგნენ. ვფიქრობ: თანხას არ დამიმატებს, რაც არის, არის, წინასწარ არ შევთანხმებოვარ. ალ — აგუზას სანაპიროზე მივედი. აქ მეუბნება, სფინქსის მოედანზე წავიდეთო. სფინქსის მოედანზე — პირველივე შესახვევში მარჯვნივ შეუხვიე, ამრა ფენდის ქუჩაზე გააჩერე და დამელელო, შემდეგ კიდევ სხვაგან უნდა წავიდეთო.

კიდევ სხვაგან! ეს როგორ? ვფიქრობ. მუნციპალური პოლიციის თანამშრომელი აღმოჩნდა, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული. რა თქმა უნდა, ასეთი არ გადაიხდის. გაეჩერე მანქანა და მეუბნება: „მარჯვნივ, არამზად!“ მე რა თქმა უნდა, ვეკითხები: „რისთვის, პატივცემულო, მე ხომ არაფერი არ დამიშავებია?“ ის: „მართვის მონმობა!“ ხუთი ფუნტი შევძლიე. „არ გამოვა!“ — მეუბნება. ათს ვაძლევ და... ათიც ეცოტავება. ოცი ფუნტი წამართვა ძალღიმვილმა! გეფიცები, უფალი არ მათქმევინებს ტყუილს — დღეს რამდენიც ვიპოვე, ბენზინის ხარჯსაც ვერ დამიფარავს! მზად ვიყავი სული ამომეხდა მისთვის, მაგრამ ცოლ-შვილი გამახსენდა. არა, მაინც ვირი ვარ! იმიტომ, რომ ახლა ბრაზისგან ვკვდები. უნდა მომეკლა, სიკვდილი სიკვდილის წილ მაინც იქნებოდა!

— ეს ხომ სრული განუკითხაობაა!  
— ასეცაა. ამ არამზადებს შორის ერთიც არ არის, ქრთამს არ იღებდეს და არა ქურდობდეს! (ერთმა ნაცნობმა მირჩია, დამენერა, რომ „მათი უმრავლესობა იღებს ქრთამს“, მაგრამ მისი რჩევა არ გავიზიარე. ეს ვითარება სრულიად არ მაძლევს ნებას წინდახედულება გამოვიჩინო და ჰიპერბოლა არ გამოვიყენო — ავტორის შენიშვნა) — ეშმაკმა დალაზვროს იმისთვის, რასაც გვიკეთებენ.

კაიროელი მძღოლების ერთ-ერთი საყვარელი სასაუბრო თემა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძაგებაა, მიუხედავად იმისა, რომ ტაქსისტები და პოლიციელები მუდმივად მეზობლობენ ქუჩაში და მძღოლები შინაგან საქმეთა თანამშრომლების მიმართ ერთგვარ პატივისცემასაც გამოხატავენ. მათ ურთიერთობაზე რას აღარ მოისმენ, მაგრამ ამ ამბავმა ნამდვილად შემადრწუნა.

უამრავი მსმენია ჩემს ჯადოსნურ კაიროში საგზაო პოლიციის გამოხდომების შესახებ, მაგრამ ამ უბედური ტაქსისტის თავგადასავალმა, ასეთი მუნციპალური არამზადას მსხვერპლად გახდომამ ჩემი ნამდვილი თანამშრომლობა გამოიწვია.

70-იანი წლების დასაწყისში პოლიციის თანამშრომლობა საოცნებო იყო, — ლამაზი ფორმა, კაიროს ქუჩების სადარაჯოზე დგომა. „იამაყე ქვეყანავ, მე ვერავინ შემედრება!“ — ვის არ ახსოვს სალაჰ გაჰინის<sup>5</sup> სიტყვები ფილმიდან „ფრთხილად, ზორო“,<sup>6</sup> სადაც პოლიციელებს დიპლომატებთან ათანაბრებენ?

როგორ მოხდა, რომ ეს ჩვენი მშვენიერი ოცნება ნამდვილ კომპარად გადაიქცა, რომელიც კაიროს ქუჩების ცხოვრებას უკვე ცამეტი წელია წამლავს?

\*\*\*

მძლოლმა რადიო ჩართო თუ არა, მაშინვე გაისმა მკაფიო ხმა, რომელიც ქალების ვერაგობის შესახებ გვაფრთხილებდა: „საყვარელო ერთმორწმუნენო, დღეს ჩვენ გარშემო მყოფთა დალუპვის მიზეზებზე ვისაუბროთ. უდავოა, რომ ერთი ყველაზე საშინელი მათ შორის ისაა, რაც მდებარეობით სქესიდან მოდის. მოწყალეო ღმერთო, გვედრებით, დაგვიცავი ყოველგვარი უკეთურებისაგან. წინასწარმეტყველმა (ალაჰმა დალოცოს იგი და მშვიდობა მიჰგვაროს) თქვა, ისრაელის ხალხი ქალებმა დალუპესო. ყველა ადამიანს თავისი დამლუპველი ჰყავს, ზოგს ფული ღუპავს, ზოგს — ქალები, რომლებიც უდიდეს ბოროტებად ითვლებიან! ისინი მუდმივი საშიშროებაა! მე, ჭეშმარიტად, ვფიქრობდი, რომ ხსნა გამოჩნდა, როცა 80-იან წლებში მოდამში შემოსული მოკლე ქვედაბოლოები 90-იან წლებში აღარავის ეცვა. ის იყო, გადავწყვიტეთ, რომ ეს საქმე დამთავრებულია, უფრო დიდი საფრთხე გამოჩნდა, რომლის მსგავსიც სამყაროს ჯერ არ უნახავს!

სრულიად ახალგაზრდა, ცამეტი-თვრამეტი წლის გოგონები ყველაზე საშინელ სასჯელად მოგვევლინნენ დედამინაზე! ჩემდა სამწუხაროდ, ახალგაზრდებთან, ასევე მიკროავტობუსის და ტაქსის მძღოლებთან საუბრისას, გავიგე, რომ გარყვნილება უკვე ჩვეულებრივ საქმედ იქცა და ხშირად დედის, მამისა თუ ქმრის თანხმობითაც ხდება! უზენაესს ვთხოვ, დასაჯოს უკეთურები და დაიცვას ჩვენი ახალგაზრდები. საშინელი პრობლემაა! დღეს შიშველი სიარული ჩვეულებრივი საქმე გახდა, გოგონა მხოლოდ მაისურს და შარვალს იცვამს, თითქოს ეს საკმარისი იყოს! წინასწარმეტყველმა (ალაჰმა დალოცოს იგი და მშვიდობა მიჰგვაროს) თქვა: „ჩაცმული და იმავდროულად შიშველი, სხეულის რხევით მოსიარულე და ამით მამაკაცთა მაცდუნებელი ქალები ვერ შევლენ სამოთხეში და ვერ შეიგრძნობენ მის კეთილსურნელებას“.

ღმერთო მოწყალეო, დაიცავი მუსლიმი გოგონები და დაიფარე შერცხვენიისაგან!

დაცემაა, საშინელი დაცემა! ჭაბუკები მარჯვნივ და მარცხნივ აცეცებენ თვალებს, ყველგან შიშველი სხეულებია, მტაცებლური და ურცხვი მზერა, უსირცხვილო ჩაცმენა! ეს ყველაფერი ქალების პროვოცირებულია!

როცა ქუჩაში ახალგაზრდებთან ერთად მივიღვარ, ბავშვები მეუბნებიან: „შეხედეთ, შეიხ!“! ჭეშმარიტად, ვევედრები მოწყალე ალაჰს, დაგვიცვას წყეული ეშმაკისაგან! არცერთი პატივსაცემი მამა თავის ქალიშვილს უფლებას არ მისცემს შინიდან ასეთი სანახავი გავიდეს! როგორ ეტყვის: „ნაიდ, დაე, ვინმემ შეგაცდინოს!“

პატივცემული შეიხის ამ უკანასკნელმა ფრაზამ მოთმინების ფილა ამივსო. მძლოლს მივუბრუნდი და ვუთხარი:

— ეს რა სიბრყვევა?

— როგორ თუ სიბრყვევა?! ნუ ლაპარაკობთ ასე, პატივცემულო! ეს შეიხ მუჰამედ ჰუსეინ იაკუბას სიტყვებია, და ყველაფერი, რასაც ამბობს, სრული ჭეშმარიტებაა! მოწყალეო ღმერთო, დაგვიფარე გოგონების მზაკვრობისგან, ყველა, მაპატიეთ გამოთქმისთვის, უსირცხვილოები გახდა! თქვენ თვითონ, რა, არ სვირნობთ ქუჩაში, მათი უხეიროდ მოხატული სახეები რომ დაათვალიეროთ? ამ გოგონებს სულში ეშმაკი ჩაუხსნა!

მინდოდა შემეჩერებინა, მაგრამ ვერ გავბედე. მძლოლი თითქოს ავტომატიდან მიშენდა სიტყვებს!

— პატივცემულო, ნუ შეგიყვანთ შეცდომაში, ჰიჯაბი<sup>1</sup> რომ ასურავთ! აჯობებს, მათ გამოხეულ შარვლებს შეხედოთ და იმ საზიზღრობას, რითაც უხეიროდ მოხატულან! აღარაფერს ვამბობ, ზაფხულობით რა ხდება! ღმერთო, დაგვიფარე ბოროტებისგან! ხომ იცით, ჩვენთან სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ჩამოდიან, მუჰანდისინი<sup>2</sup> სახლებიან. გაიარეთ გა-



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

მათ ად-ღუვალ ალ-არაბიას და აჰმედ აბდ ალ-აზიზის ქუჩებზე, ქალები იქ ბუზებივით ირევიან!

დაგვიფაროს უზენაესმა, ისინი სიკვდილის ღირსნი არიან, მტანჯველი სიკვდილისა — კოცონზე უნდა დაიწვან! ეს საყოველთაო ოკუპაციაა, არავითარი მორალური ფასეულობანი, ყოველ ნაბიჯზე მორალური გახრწნილებაა. ეს განკითხვის დღის მოახლოების მაუწყებელია.

მძლოლთან დიალოგის გამართვის იმედი დავკარგე და გადავწყვიტე, უბრალოდ მოსმენით დავკმაყოფილებულიყავი.

— პატივცემულო, იცით, რომ ქვეყანაში ქალები ბევრად მეტნი არიან, ვიდრე კაცები? აღარაფერს ვამბობ, ასეთ ოკუპაციაში რომ ვართ! ესეც განკითხვის დღის მოახლოების მაუწყებელია!

ყველაზე მთავარი ნიშანი ტიბერიადის ტბაში წყლის დონის დაკლებაა. ცნობილია, როცა განკითხვის დღე დადგება, ეს წყალსატევი მთლიანად დამრება. ამბობენ, ძალიან ცოტა წყალი დარჩაო.

ისიც გაიხსენეთ, რაც პალესტინასა და იერუსალიმში ხდება... ყველაფერი ხომ სავესებით ნათელია — კიდევ რამდენიმე წელი და ყველა, ვინც ალაჰისთვის იბრძოდა, სამოთხეში შევა, დანარჩენებს კი მინა შეჭამთ. ვინც შეძლებს, გადარჩება, სხვები — ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვებიან, მათ შორის ქალებიც, ვიდრე საკმარის სასჯელს მიიღებენ!

მადლობა ღმერთს, ჩემი მგზავრობა დასრულდა.

ვიდრე მძლოლი ჯერ კიდევ იწყევლებოდა, ტაქსიდან გადმოვხტი და ღმერთს მადლობა შევწირე, რომ ქალი არა ვარ, — ამ ადამიანისაგან გადმოღვრილი სიძულვილისა და სრული უმეცრებისგან სული მეხუთებოდა!

ამინ მაალფუს<sup>3</sup> შესანიშნავი რომანი „ბალთაზარის მოგზაურობა“ გამახსენდა, რომლის შინაარსიც რეალურ ისტორიულ მოვლენაზეა დაფუძნებული. ნაწარმოები მოგვითხრობს, როგორ დაიბადა ლეგენდა მხეცის წელზე, როგორ ელოდნენ ანტიქრისტეს გამოცხადებას და სამყაროს აღსასრულს 1666 წელს.

ყველა ეპოქაში არიან ადამიანები, რომელთაც სჯერათ, რომ განკითხვის დღის მოახლოება მათ ტირანიისა და უსამართლობისგან გათავისუფლებაში დაეხმარება.

არაბულიდან თარგმნა ირმა მახარაძე

<sup>1</sup> პარაზიტული ჭიებით გამონეული დაავადება;  
<sup>2</sup> კაიროს მდიდრული უბანი;  
<sup>3</sup> უმადლესი თეოლოგიური სასწავლებელი;  
<sup>4</sup> ქალაქი ეგვიპტეში;  
<sup>5</sup> ეგვიპტელი პოეტი და მხატვარი (1930-1987);  
<sup>6</sup> ეგვიპტელი რეჟისორის, ჰასან იმამის ფილმი, გადაღებული 1972 წელს;  
<sup>7</sup> თავსაბურავი, რომელსაც მუსლიმი ქალები ატარებენ;  
<sup>8</sup> კაიროს ერთ-ერთი პრესტიჟული უბანი;  
<sup>9</sup> ლიბანური წარმოშობის ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი.

ლალი ურდულაშვილი

# „ვარიაციები“ თუ „ცნობიერების უწყვეტობა“


როსტომ ჩხეიძე ვარიაციებს უწოდებს „ჩემი სავანის“ თემატიკაზე შექმნილ, მკვეთრი ინდივიდუალიზმის ტვიფარით აღბეჭდილ ლიტერატურულ პორტრეტებს და მათთან დაკავშირებულ მოვლენებს, მაგრამ ისინი ოდენ ვარიაციები როდია. ესაა უსასრულო სულიერი წვით გაჟღერებული ერთი გაბმული საოცარი საგა, ქრონოტოპი, რომელიც მთლიანობაში წარმოაჩენს ოთარ ჩხეიძის ეპოქის ლიტერატურულ-შემოქმედებითი პროცესის უზომო ბატალიას, რომლის მთავარი გმირიც თვითონ ბატონი ოთარი ბრძანდებოდა.

სწორედ დუენდეს ძალმოსილებითა და მემბტიანის რუდუნებით, გამონვლილივით აღწერს ვარიაციების ავტორი იმ ჩინოვნიკური ბიუროკრატიის ცხრაკლიტულით ჩაკეტილ სივრცეს, რომლის გარღვევასაც — ხშირად უშედეგოდ — მთელი ძალისხმევით ცდილობდა ოთარ ჩხეიძე. დიდი იყო სულიერი ძალა მოძღვრისა, მაგრამ სრულიად უმწეო — მისი შინაგანი არისტოკრატიზმი და უზადო კეთილშობილება სოციალიზმის მეოტბეთა წინააღმდეგ მიმართული.

სრულიადაც ვერ გაეგოთ, ვერ მიხვედრილიყვნენ, რატომ შეეძინა თითქმის საკრალური მნიშვნელობა მოძღვრისთვის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაბეჭდილ სტუდენტთა საკონფერენციო „თეზისებს“. ვინ იცოდა, რომ სწორედ იქიდან, იმ „თეზისებიდან“ უნდა ამობრწყინებულიყო „ცისკარი“, რომელიც დრო-ჟამის ვითარების გამო ჯერ „ლიახვის“ დრტივინვად და გრუხუნად გარდაიქმნებოდა, შემდგომ კი „კლდეკარად“ მოვლენებოდა ჭეშმარიტი ლიტერატურის მოყვარულთა და გულშემატკივართ. იქნებ ხვდებოდნენ კიდეც და სწორედ ამიტომ ქრებოდა ოთარ ჩხეიძისთვის ქალაქი, სტამბაც, გამომცემლობის დასტურიც...

მართლაც ბერნარდ შოუსებური იშვიათად ბედნიერი მოვლენა ბრძანდებოდა გორის (და არა მარტო გორის) ლიტერატურულ სივრცეში ოთარ ჩხეიძე, რომელიც თავისი სტოიკური ხასიათითა და შეუფალი პრინციპულობით არღვევდა მის წინ ხელოვნურად აღმართულ ჯებირებს და გზას უხსნიდა ჭეშმარიტ ნიჭიერებს, არა ბოროტების ყვაილენების, არამედ სიკეთისა და ნამდვილი პოეზიის თაიგულად შეკრულს.

ბატონი ოთარი, როგორც როსტომ ჩხეიძე იტყოდა, ის კანთიელი ფიგურა იყო იმდროინდელი გორის სამწერლობო არეალში, რომელსაც ინტელექტუალური დედოძარღვი ეპყრა ხელთ და ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდობას სანთელივით უნათებდა გარსმოჯარულ უდაბნოს, უსხივოსნებდა და უთბობდა ეპოქის მკაცრ ჩარჩოებში მოქცეულ ცივ და უსახურ ემპირიულ ყოფას. დიახ, „მოქალაქეებმა იციან და კარგადაც იციან, თუ ვინ ტრიალებს მათ გარშემო და, იმის



მიუხედავად, მათ მიმდევრებად წარმოუდგენიათ თუ არა თავი, დაფასებით აფასებენ, და ძალიანაც ეამყებნათ, მათი თანამედროვენი რომ არიან“ (როსტომ ჩხეიძე).

ოთარ ჩხეიძე ის პიროვნება იყო, ვის მიმართაც ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი განწყობა არ ექნებოდა იმდროინდელ საზოგადოებას მაშინდელი კონიუნქტურის გამო. მასთან ურთიერთობას ბევრნი ოცნებით მიესწრაფოდნენ, სხვანი შორიდან კრძალვით შესცქეროდნენ და მიახლოებას ვერ უბედავდნენ, ზოგნი კი შეგნებულად გაურბოდნენ მიზეზთა და მიზეზთა გამო. ერთს კი ყველა ეჭვგარეშე აცნობიერებდა — იგი იყო ეროვნულ ფესვებს თანშეზრდილი, ბოლო ნერვამდე ქართული საქმისთვის, ქართული სულიერებისთვის დამაშვრალი მგზნებარე მამულიშვილი — წესიერების, ნიჭიერების, წინიერების, ადამიანობის გუნდრუქმეველი, ახალგაზრდობის გზისმკვლევითა და ზნეობრივი ორიენტირი.

ყველაფერი ის, რასაც მაშინდელი „ელიტარული“ საზოგადოების წარმომადგენლები პროვინციულს უწოდებდნენ, ოთარ ჩხეიძისთვის განუზომლად ძვირფასი, სისხლხორცეული და სანუკვარი იყო — ქართული ენაც, კილოკავიც, ადათ-წესიც, მამაპაპური ტრადიციაც და ყველაფერი, რასაც მშობლიურის და გულისგულში ნაგრძნობის, განცდილის სუნი ასდოდა და ელფერი დაჰკრავდა.

თავის წიგნში „ორი მდინარის შესაყარზე“, როსტომ ჩხეიძე ოთარ ჩხეიძის მიერ შთაგონებული და ორგანიზებული გორის ლიტერატურული თავყრილობების შესახებ ვარიაციას ასე ამთავრებს:

„ოთხშაბათობით...  
სალამოჟამს...

რიტუალად და ტრადიციად დადგენილი...  
და უფრო მეტის მანიშნებელი“...

ამ სიტყვების ნაკითხვისას შეუძლებელია არ გაგიჩნდეს თვითონ როსტომ ჩხეიძის მიერ ჩვენს „უმთენარო“ რეალობაში სულიერ ოაზისად აღმოცენებული, შვებისმომგვრელი ლიტერატურული შეკრებების ასოციაცია სულ ოდნავ შეცვლილი დროის მანქანებლების მითითებით:

სამშაბათობით...  
შუადღისჟამს...

რიტუალად და ტრადიციად დადგენილი...  
და უფრო მეტის მანიშნებელი...  
და უფრო მეტის მანიშნებელი... არის კი ვინმე, ვინც ამ

„მეტობის“ ხარისხსა და მნიშვნელობას დააკონკრეტებს ანთუ დასაზღვრავს? არის კი ვინმე, ვინც ბოლომდე ჩასწვდება და „გაისიგრძეგანებს“ ამ „მეტის“ ზემოქმედების ძალას და შეიგრძნობს მართლაც ვიტალურ ენერგიას — დაბუდებულს ყოველ ჩვენგანში ყოველ მეორე სამშაბათამდე?

# კიპლინგური ეტიუდი

ხშირად იმეორებენ ხოლმე, გამოორება ცოდნის დედა არისო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გამოორება ჩვენს ძვალ-რბილში გამჯდარ სტერეოტიპებს, ვაგლახ, ვერაფერს აკლებს. რომელიმე ახალი აზრი (ჩვენთვის ახალი, თორე...) ძნელად იკვლევს გზას სტერეოტიპთა უღრან ტყეში.

აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთი — დასავლეთითო...

რამდენიც გინდა ამტკიცო, რომ ეს სიტყვები მხოლოდ პირველი ნაწილია დიდებული ინგლისელი პოეტის რედიარდ კიპლინგის მტკიცებისა, მაღალი პოეზიის ენით რომ არის თქმული, და მას ყირაზე აყენებს მისივე მეორე ნაწილი, რომელიც კვალდაკვალ მოსდევს პირველს, და თუნდაც მოიხმომონმეებად ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, დოსტოევსკი და ჩვენი რუსთველიც, კერის რომ უკრავენ კიპლინგს, და გინდაც შვიდივე ვარსკვლავი მოვიდეს და ერთხმად დაგემონმოს შვიდივე: მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ, მთვარე, ასპიროზ და მარისი — მაინც ვერაფერს გახდები, მაინც ამაოდ დაშვრები. საყველპურო საუბარშიც და მაღალ მატერიებზე მსჯელობაშიც სწავლულნი თუ უსწავლელნი დაჟინებით იმეორებენ ასი ათასჯერ ნათქვამს: აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთი — დასავლეთითო.

ათასი ჟურნალ-გაზეთი, ათასი რადიო-ტელევიზია რომ ამოვიდგეს მხარში და ინტერნეტშიც გააიმაქსო, მაინც არაფერი გეშველება. ისინიც ამას გეტყვიან: აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთი — დასავლეთითო.

ცამდე მართალნი ბრძანდებიან, მაგრამ...

გამოჩენილი რუსი არაბისტი აკად. იგნატი კრაჩკოვსკი ერთი საუკუნის წინათ წერდა, რომ ისევე როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქაში, ასევე დღესაც, მრავალი ასწლეულის შემდეგ, დასავლეთის ხალხებს ჯერ კიდევ არ გაუცნიათ აღმოსავლეთი, ის აღმოსავლეთი, საითაც იზიდავდა მათ დაუძლეველი ძალა და ლტოლვა. აღმოსავლეთი დუმდა, რადგანაც ევროპას მუნჯებად ეჩვენებოდა მისი ძეგლები, მისი ლიტერატურა. არაბების ოფიციალურ საისტორიო ნაწარმოებთა გაცნობისას ყოველთვის როდი ხერხდებოდა სრულყოფილი ჩანგდომა იმ ადამიანთა ცხოვრების წიაღში, რომელთა დასამონებლად ან ამოსაჟღერებლად მოისწრაფოდნენ შორეული დასავლეთიდან სისხლმონყურებული ჯვაროსნები.

არაბულ ხელნაწერთა სახელგანთქმული მკვლევარი ნაღვლიანად შენიშნავს, უნებურად შეძრწუნდებიო, როდესაც აღმოაჩენ საბედისწერო ურთიერთგაუგებრობის მთელ სიღრმეს, რალაც ტრაგიკულ შეცდომას რომ გამოუწვევია. კრაჩკოვსკის სიტყვით, ეს იდუმალი აღმოსავლეთი თურმე გამოძცდელი თვალთ აკვირდებოდა დასავლეთს და მისი ასავალ-დასავალი გაცილებით უკეთ ესმოდა, ვიდრე ეს იყო მოსალოდნელი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა XII საუკუნის არაბი ავტორის უსამა იბნ მუნკიზის თხზულება, მართლაც ობოლ მარგალიტად რომ გამოიყურება იმდროინდელ არაბულ მწერლობაში. ეს არ გახლავთ ტრადიციული საისტორიო წყარო, თუმცა მოტიანილი მასალის სიუხვითა და მრავალფეროვნებით რჩეულ წყაროთა შორის რჩეულებსაც არ ჩამოუვარდება და ეგებ აღემატებოდეს კიდევ. სირიელი ამირას ნანერს დღიურიც შეიძლება ვუნოდოთ ანდა, უფრო მეტი სიზუსტისათვის, მემუარებად მოვნათლოთ.

პროფ. ვიქტორ როზენი, უდიდესი მცოდნე არაბული ლიტერატურისა (როგორც ახასიათებდა მას ზემოხსენებული კრაჩკოვსკი), აღნიშნავდა, რომ უსამას თხზულების ფასდაუ-

დებელი მნიშვნელობა ისაა, რომ იგი გვიხატავს თავისი ეპოქის სულისა და ყოფის ცოცხალ, მჭევრმეტყველ სურათს, ცხოვრებისეული სინამდვილიდან რომ ამოუკრეფ-მოუგლეჯია. მთელ წიგნში მიმოფანტულა სიმრავლე ყოფიერების წვრილმან-წვრილმან ნიშნებისა, რომლებიც გვაცნობენ ავტორის თანამედროვე სირიელი, ეგვიპტელი და მესოპოტამიელი ამირების, სულტნებისა და სამხედრო მეთაურთა ცხოვრებას, მათ დამოკიდებულებას ჯვაროსანთა მიმართ და ჯვაროსანთა დამოკიდებულებასაც მათ მიმართ. როზენის დასკვნით, თითქმის შეუძლებელია გამოჰყო, გამოარჩიო ცალკეული ადგილები, როგორც ყველაზე მეტად საინტერესონი ამ თხზულებაში.

ჯვაროსანთა და მაჰმადიანთა ურთიერთობა განუწყვეტელი შეხლა-შემოხლითა და ცხარე ბრძოლებით როდი ხასიათდებოდა. იყო ხანგრძლივი დაზავებანიც და მშვიდობიანი თანაარსებობა. ჯვაროსანთა მიერ სირია-პალესტინის მიწაზე დაარსებულ სამეფო-სამთავროებში ერთიმეორის გვერდგვერდ ნორმალურ ცხოვრებას განაგრძობდნენ მკვიდრი მაჰმადიანები და ქრისტიანი კოლონისტები. გაცხოველებული იყო ვაჭრობა, სამედიცინო ცოდნა-გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებასაც არ ერიდებოდნენ — ავადსახსენებელი ასასინები თანაბრად აწუხებდნენ მაჰმადიანებსაც და ქრისტიანებსაც.

უსამა იბნ მუნკიზი, ჩანს, ფრიად დაკვირვებული კაცი ყოფილა. იგი ყურადღებას აქცევს მაჰმადიანურ სამყაროში შემოჭრილ ევროპელთა ცხოვრების წვრილმან მხარეებსაც და ბეჯითად აღწერს თავისი თხზულების ფურცლებზე. ერთ ადგილას იგი ამბობს: ფრანკებს (ე.ი. ევროპელებს) არ გააჩნიათ არავითარი თავმოყვარეობა და იჭვის გრძნობა. ხდება ხოლმე, რომ ფრანკი მისიერობს ქუჩაში თავის ცოლთან ერთად, შემოეყრებათ ნაცნობი, რომელიც ხელს მოჰკიდებს ქალბატონს, განზე გაიყვანს და ესაუბრებაო. ქმარი თავისთვის დგას, თავის ფიქრებში გაერთობა და მოთმინებით ელოდება, როდის დაამთავრებენ ისინი საუბარს. თუკი საუბარი გაჭიანურდა, ქმარი მიატოვებს ცოლს ნაცნობ მამაკაცთან და, ვითომც არაფერი, თავის გზას გაუდგებაო.

უსამა სხვა ამბავსაც გადმოგვცემს, ფრიად პიკანტურ ამბავს: ფრანკს აბანოში მიჰყავს თავისი ცოლი და მაჰმადიან დალაქს სთხოვს, ქალბატონს იგივე სამსახური გაუწიე, როგორიც მე გამინიე გუშინაო. დალაქი ამბობს, ჩემს საქმეს შევუდელო (დეტალებს ნუ დავიზომებთ!), ქმარი კი მშვიდად იჯდა და გულგრილად შემომყურებდაო. მერე მადლობა გადამიხადა და გასამრჯელოც მომცაო. დაბნეული უსამა წარმოთქვამს: ცხადია, ფრანკებს არ გააჩნიათ თავმოყვარეობა და იჭვის გრძნობა, მაგრამ ბრძოლაში ძალზე მამაცი არიანო და განა სიმამაცე სწორედ თავმოყვარეობისა და შერცხვენის შიშისაგან არ წარმოიქმნებაო?

ოღონდ ევროპელებიც სახტად რჩებოდნენ ხოლმე მაჰმადიანთა ქცევა-ქმედების წინაშე. როდესაც ჯვაროსნებმა ქალაქი ტრიპოლი აიღეს, ორი მეზობელი მაჰმადიანი ამირა სასწრაფოდ დაუკავშირდა ქალაქის დამპყრობლებს, რათა გამოესყიდათ... როგორ ფიქრობთ, რა უნდა გამოესყიდათ? არა, არც ქალები, არც თვალ-მარგალიტი, არც სარწმუნოების წმიდათაწმიდა ატრიბუტები. მხოლოდ და მხოლოდ ორი ადამიანის გამოსყიდვა ეწადათ, ერთი სწავლული იყო და მეორე — კალიგრაფი.

ადვილი წარმოსადგენია ჯვაროსანთა განცვიფრება! აღმოსავლეთი გაკვირვებული მზერით შეჰყურებდა მისთვის უცხო დასავლეთს და, რასაკვირველია, დასავლეთიც ვერ მალავდა თავის გაოცებას აღმოსავლეთის წინაშე. ბრძოლის ველზე უფრო ესმოდათ ერთმანეთისა. იქ არც გაკვირვებას ჰქონდა ადგილი, არც გულისწყრომას. ბრძოლის ველი მარტივ ასპარეზს წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და და-



სავლეთის შესახებ ვერაფერად. მშვიდობიანი ცხოვრება გაცილებით რთული და გაუფერძნებელი იყო.

კრაჩკოვსკი შენიშნავს: „უსამას მოგონებათა ღირსება ისიც არის, რომ მასში ნაჩვენებია, თუ როგორ ისახება ორმხრივი სიმშაბათი მაჰმადიანთა და ქრისტიანთა ცალკეულ წარმომადგენლებს შორის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. თავისთავად, ასეთი სიმშაბათის შესაძლებლობა, იმ დროსა და იმ ვითარებაში, წარმოადგენს მთელ ხალხებსა და მთელ კულტურებს შორის მისი შესაძლებლობის საუკეთესო დასაბუთებას“.

როდესაც იმონებენ ხოლმე კიპლინგის ცნობილ სტრიქონებს აღმოსავლეთსა და დასავლეთზე, რატომღაც ავიწყდებათ სტროფის მეორე ნახევარი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პირველ ნახევარში გამოთქმულ დებულებას. მოვიტანოთ კიპლინგის სახელგანთქმული ბალადის მთელი პირველი სტროფის შეძლებისდაგვარად ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი: „ო, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი — დასავლეთია, და ისინი ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიან, ვიდრე ხმელეთი და ზეცა არ შეიყრებიან უფლის დიდ სამსჯავროზე; მაგრამ აღარც აღმოსავლეთია და აღარც დასავლეთია, აღარც საზღვარი, აღარც მოდგმა და აღარც ჯიში, როდესაც ორი ძლიერი ერთიმეორის პირისპირ დგება, თუნდაც ისინი წარმოშობით დედამიწის ორი ბოლოდან იყვნენ!“

კიპლინგის ბალადის მთელი შინაარსიც ბანს აძლევს პირველი სტროფის მეორე ნახევარს, რომელსაც ნაკლებად იმონებენ ხოლმე.

საუკუნეთა მანძილზე სამკვედრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს ზოგჯერაც ავიწყდებოდა თავისი წარმომავლობა სწორედ ბრძოლის ველზე, როდესაც კიპლინგისა არ იყოს, ორი ძლიერი ერთიმეორის პირისპირ დგებოდა.

ალბათ გახსოვთ ილია ჭავჭავაძის პატარა და მშვენიერი მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, მაგრამ შესაძლოა ყველამ არ იცოდეს, რომ ამ მოთხრობის წყარო გახლავთ ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრებაში“ სიტყვა-ძუნწად დამონმებული ეპიზოდი. XVII საუკუნის მიწურულში სეფიანთა ირანის ჯართან ქართველების ბრძოლის აღწერისას ვახუშტი მოგვითხრობს შემდეგს: „კვალად მხნედ გამოსწინდა სპარსი ერთი, რამეთუ ჩამოჰყარნა ხუთნი მხედარნი, მხნე ჭაბუკნი. შემდგომად შეიპყრა იგიცა გოსტაშაბიშვილმან ნიკოლოზ და განუტყევა მშვიდობით სიმხნისა მისისათვის“.

მართლაც რომ დაუფერძნებელი ამბავია. ხუთი ქართველი მხედარი ჩამოჰყარაო. ვთქვათ, არც ერთი მათგანი არ დაღუპულა, მხოლოდ დაიჭრნენ თუ დაშავდნენ. დავუშვათ, ფრჩხილიც არ სტკენიათ. და მაინც მოულოდნელი და გასაოცარია ქართველი რაინდის უჩვეულო კეთილშობილება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველივე ეს ხდება ბრძოლის ველზე, თავდაუზოგავი შერკინებისას, როდესაც ადამიანი მხეცს ემსგავსება და გულჩვილობა უადგილო ფუფუნების საგნად გადაქცეულა.

ახლა ვათხოვოთ ყური ფარსადან გორგიჯანიძეს. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში აღწერილია თემურ-ლენგის ლაშქრობა საქართველოში და კერძოდ — ბირთვისის ციხის აღება, რომელიც ერთი კვირა გრძელდებოდა და სახელმწიფოებრივად „მსოფლიო დამპყრობელმა“ ვერაფერი გაანყო აულებელი ციხის წინააღმდეგ. ლონემ რომ ვერ გაუმართლათ, ბოლოს ხერხს მიმართეს. ერთ ბნელი ღამით აბრეშუმის თოკები დაგრიხეს, კიბე გააკეთეს და ორმოცდაათი მეომარი გადაძვრა თავისი მიუვალობით გულდამიმდებულ ციხეში.

ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს: „ნახეს, რომ ქართველ სძინავთ და ციხის გაფრთხილებას უკან არ არიან. ერთმან ხორასნელმან ვაჟმან კაცმან შებრალებით ქართ-

ველთა შესატყობლათ მალალის ხმით ალაჰ ალაჰ დაიძახა. მაჰმუდა მექანარემ ნაფრი დააყვირა“.

ხმაურს გამოუღვიძებია უდარდელი ქართველები... დამონმებული ორიოდ ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან მჭევრმეტყველი დადასტურებაა რედიარდ კიპლინგის შემოთქმული სტროფისა. ადამიანს ზოგჯერ ავიწყდებოდა თავისი მოდგმა და რწული, ბოლმა და სისხლისღვრის ჟინი. და უეცრად მის სულში გამოკრთებოდა ხოლმე კაცთმოყვარეობის პანია ციციანთელა.

მაგრამ აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს მართოდენ ბრძოლის ველზე როდი ხვდებოდნენ. მათი დაახლოებისა და ურთიერთშეცნობის სარბიელს პოეზიაც წარმოადგენდა.

...1622 წლის ივლისი. ქალაქი შირაზი. შაჰ-აბასის საპატიო სტუმარი, იტალიელი პილიგრიმი პიეტრო დელა ვალე მიემზადებდა გამოჩენილი სპარსელი პოეტის ჰაფეზის საფლავის სანახავად! ევროპაში ბევრს არც სმენია ჰაფეზისა თუ მისი წინამორბედების სახელი. ჯერ არ დაბადებულა არც გოეთე, რომელიც არაგაგონილ ხოტბას შეასხამს დიდ სპარსელ პოეტებს და არც ფიცჯერალდი, რომელიც ისე აამეტყველებს ომარ ხაიამს ინგლისურ ენაზე, რომ ინგლისური მწერლობის ლამის ღვიძლ შვილად გადააქცევს.

პიეტრო დელა ვალე თავისი ეპოქის უგანათლებლესი პიროვნებაა, მგზნებარე ქრისტიანსა და მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ ნახევრადფანტასტიკური პროექტების ავტორს, ახრებული საქართველოს გულშემატიკივარსა და ქომაგს, სრულიადაც არ ეუცხოება აღმოსავლური კულტურა. როგორც ცნობილია, მან ლათინურად თარგმნა არაბული ენის გრამატიკა, შეადგინა ლექსიკონი, ჩაიხატა პერსეპოლის ლურსმული წარწერები, პირველმა ევროპელთაგან თარგმნა სპარსული საისტორიო თხზულება (იტალიურ ენაზე).

და აი, შირაზში ჩასული იტალიელი მოგზაური მიდის ჰაფეზის საფლავზე. პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, ჰაფეზი ბრწყინვალე სპარსელი პოეტია, ვისი ლექსებიც შეიძლება შეადარო ტოსკანურ სონეტებს, მას დიდად აფასებენ ირანში, ჰაფეზის ნიგნი ხელიდან ხელში გადადის და ისეთივე გატაცებით კითხულობენ, როგორც ჩვენში პეტრარკასო.

დელა ვალე აღწერს ერთ დიდ ბაღში პატარა ტაძრის მსგავს გუმბათიან ნაგებობას, სადაც მოთავსებული ყოფილა აკლდამა ჰაფეზისა. პიეტროს, როგორც პოეზიის მოყვარულსა და მცოდნეს, ხმამაღლა ნაუკითხავს ოთხი იტალიური ლექსი (ეპიტაფიის ხასიათისა) ჰაფეზის საფლავთან. მაგრამ თავი შეუკავებია, თვითონაც წაენერა რამდენიმე სტრიქონი ეპიტაფიებით აჭრელებულ მარმარილოს თაღზე, მაჰმადიანებს სანყენად რომ არ დარჩენოდათ ქრისტიანის მიერ მათი პოეტის აკლდამის შებლაღვა.

ამასობაში მუზა სწვევია და ექსპრომტად პანია ლექსი შეუთხზავს: ჰაფეზის ნემტი განისვენებს ამ აკლდამაში, ალბათ მტვრად იქცა ძვლები, მაგრამ სული მისი ცოცხლობს და მართად იცოცხლებს იმ ათასობით ლექსში, შთამომავლობას რომ დაუტოვაო.

განა საოცარი სურათი არ გვესახება? იტალიელი პილიგრიმი, მგზნებარე ქრისტიანი და ყველა ქრისტიანის მოსარჩლე, დგას მაჰმადიანი პოეტის საფლავთან და ლექსსა თხზავს მისი უკვდავების შესამკობად.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს XXI საუკუნეში როდი ხდება, არამედ — XVII საუკუნეში ანუ „სისხლის წვიმების დროსა“...

და ისევ კიპლინგი — ლექსად: „მაგრამ რას ნიშნავს ჯიში და მოდგმა, რაა მამული, სისხლი, იერი, როცა პირისპირ, როცა პირისპირ, ძლიერს პირისპირ ხვდება ძლიერი!“ (თარგმანი მურმან ლებანიძისა). და განა პოეზიასაც ძლიერთა ასპარეზი არა ჰქვია?